

2010

ეფექტიური სწავლება

თეორია და პრაქტიკა



საპარტევლოს
ბანათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო



შეფასებისა
და გამოსდების
ეროვნული ცენტრი

ბამონძეების ეროვნული ცენტრი

კვლევის დეპარტამენტი

ეფექტიანი სწავლება

თეორია და პრაქტიკა

რედაქტორი: ია კუტალაძე

სარედაქციო კოლეგია: ნათელა იმედაძე, დალი ფარჯანაძე,
მარიამ მირიანაშვილი, ნინო გორდელაძე, თამარ გაგოშიძე

ენობრივი რედაქცია: თეა დულარიძე

დიზაინი: სოფიო ბახუტაშვილი

2010

„ეფექტიანი სწავლება – თეორია და პრაქტიკა“ მომზადებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის მიერ. წიგნი წარმოადგენს **დამხმარე სახელმძღვანელოს** პრაქტიკოსი და დამწყები პედაგოგებისათვის. წიგნი შეიქმნა განათლების ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში არსებული თანამედროვე ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე. მასში განხილულია ეფექტიანი სწავლების სტრატეგიები, სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, მოცემულია კვლევაზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელო დაეხმარება პედაგოგებს პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესშიც, იგი მკითხველს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ საკითხების შესახებ, რომელთა ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითაა გათვალისწინებული.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციები სათანადოდ იქნება გამოყენებული ქართველი მასწავლებლების მიერ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

წიგნზე მუშაობდნენ კვლევის დეპარტამენტის კონსულტანტები:

ნუცა (მაგდა) კობახიძე – მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო განათლების პოლიტიკაში (კოლუმბიის უნივერსიტეტი). მაგისტრის ხარისხი ფილოსოფიაში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი). 2010 წლიდან მუშაობს გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტში და კოორდინირებას უწევს წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS-ის) განხორციელებას საქართველოში.

მარიამ გაბაშვილი – მაგისტრის ხარისხი განათლებაში (ჰარვარდის უნივერსიტეტი); მაგისტრის ხარისხი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი). გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის კონსულტანტი, მუშაობს ჯგუფში, რომელიც ამზადებს პროფესიული უნარების ტესტს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სარედაქციო კოლეგიის წევრს, გამოცდების ეროვნული ცენტრის სამაგისტრო ჯგუფის კონსულტანტს ქალბატონ **ნინო გორდელაძეს**, სახელმძღვანელოს პრაქტიკული და საინტერესო მაგალითებით გამდიდრებისათვის.

სარჩევი

I. სწავლების თეორია

1. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია.....5
2. ეფექტური სწავლების შვიდი პრინციპი.....22

II. სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები

3. პირდაპირი სწავლება.....39
4. ინტერაქტიული სწავლება.....56
5. ჯგუფური მუშაობა.....75

III. მოტივაცია და კომუნიკაცია

6. მოსწავლეთა მოტივაცია.....85
7. კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები.....105

IV. სასწავლო პროცესი

8. სასწავლო პროცესის დაგეგმვა.....125
9. საშინაო დავალება.....147
10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები.....165

V. უნარების განვითარება

11. კრიტიკული აზროვნების განვითარება მოსწავლეებში...193
12. მოსწავლეების სოციალური უნარების განვითარება.....215

VI. შეფასების მეთოდები

13. მოსწავლეთა შეფასება.....229
14. მოსწავლეთა თვითშეფასება.....252

VII. სასწავლო გარემო

15. კლასის მართვა და ქცევის წესები.....265
 16. მოსწავლის უდისციპლინო ქცევის მართვა.....283
 17. საკლასო გარემო.....299
- სახელთა საძიებელი.....318

I თავი

სწავლების კონსტრუქტივისტული

მეთოდოლოგია

ძირითადი საკითხები:

- ◆ კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები;
- ◆ კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის შემადგენელი ნაწილები;
- ◆ სწავლების კონსტრუქტივისტული და ტრადიციული მეთოდების შედარება;
- ◆ კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ფორმატი.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

კონსტრუქტივიზმი სწავლებისა და სწავლის შედარებით ახალი თეორიაა, რომელმაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა. საგანმანათლებლო სფეროში სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის დანერგვამ საფუძველი ჩაუყარა სწავლების ახალ მეთოდებს და სტრატეგიებს.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ კონსტრუქტივიზმის ძირითად პრინციპებს, გავეცნობით კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილებს, შევადარებთ ერთმანეთს სწავლების კონსტრუქტივისტულ და ტრადიციულ მეთოდებს, დეტალურად განვიხილავთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ფორმატს.

სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები

კონსტრუქტივიზმი, როგორც სწავლებისა და სწავლის თეორია, იმ გზებსა და ხერხებს შეისწავლის, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები სწავლობენ და ცოდნას იძენენ (მური, 2009). კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა ინფორმაციის პასიური მიმღები. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვით, ნებისმიერი სახის ცოდნის მიღება გულისხმობს ამ ცოდნის კონსტრუირებას ანუ აგებას. მოსწავლის მიერ ცოდნის აგება, ცხადია, არ გულისხმობს მასწავლებლის მიერ ცოდნის უბრალოდ გადაცემას მოსწავლისათვის. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ფუნქციონირების ფონ გლასერსფელდის თანახმად, ამ მეთოდს საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ცოდნა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვმარტავთ მას, თავის ტვინის ფუნქციონირების შედეგად ფორმირდება. შესაბამისად, აზროვნებისას ადამიანი ახდენს იმის კონსტრუირებას, რაც იცის საკუთარი გამოცდილების საფუძველზე (მუისი და რეინოლდსი, 2005). კონსტრუქტივიზმის თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ადამიანისათვის შეუძლებელია მოვლენების ობიექტურად აღქმა, რადგან ადამიანი იმის ნაწილია, რასაც თავად აკვირდება. რეალობა, როგორც ასეთი, განყენებულად არ არსებობს, არამედ იგი ნაწილობრივ ჩვენ მიერ არის კონსტრუირებული.

სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში ცდილობს, მეთოდები მოსწავლეთა ინტერესებს მაქსიმალურად მოარგოს, წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. ამ პროცესში მასწავლებელი ხშირად იყენებს ღია კითხვებს, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის

მეთოდებს. კონსტრუქტიული სწავლების მიმდევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სასწავლო გეგმას, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინა ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.

ქვემოთ განხილულია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება მასწავლებელს ამ მეთოდით წარმატებული გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში დაეხმარება:

◆ **სწავლა ყოველთვის აქტიური პროცესია.** მოსწავლე ახდენს საკუთარი ცოდნის აქტიურ კონსტრუქციას იმის საფუძველზე, თუ რა ინფორმაცია მიიღო მასწავლებლისგან. **სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა დახმარებას არა სწორი პასუხის გასაცემად, არამედ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში დახმარებას.** მოსწავლე ყველაზე უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს პრობლემას (ბეიერი, 1985).

◆ **სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის თანახმად, სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის ძიებას.** შესაბამისად, მასწავლებლის მიზანია, სასწავლო აქტივობები ისე წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ.

◆ **სწავლა სოციალური ურთიერთობების საშუალებით თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან ურთიერთობის გზით აიგება.** შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუქციების საუკეთესო გზაა ისეთი სოციალური სიტუაციების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა და დისკუსიები.

◆ სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის, სასურველია, მასწავლებლები კარგად იცნობდნენ **ბავშვის განვითარებისა და სწავლების თეორიებს**, რათა მათ უკეთ განსაჯონ, რომელ მეთოდს მიმართონ კონკრეტულ შემთხვევაში.

◆ **სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს.** მოსწავლე არ სწავლობს აბსტრაქტულად, არამედ მიღებული ახალი ინფორმაცია ყოველთვის კავშირშია იმასთან, რაც მან უკვე იცის. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია ნათლადაა დაკავშირებული იმასთან, რაც მან უკვე ისწავლა.

კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდის გამოყენებისას განსაკუთრებით საჭიროა, კარგად იქნეს გააზრებული მასწავლებლის როლი, რადგან ხშირად მიიჩნევენ, რომ კონსტრუქტივიზმი აკნინებს მასწავლებლის როლს სასწავლო პროცესში. იმის ნაცვლად, რომ მასწავლებელი გაკვეთილს ლექციური სტილით ხსნიდეს და მოსწავლეებს მზა ცნებებსა და მათ მნიშვნელობებს აწვდიდეს, კონსტრუქტივისტული სწავლებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა, თავად იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი და შეძლონ ანალიზი. ამ პროცესში იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა, თუმცა ამ პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი, შემფასებელი და ხელის შემწყობი არის მასწავლებელი.

სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის

შემაღვანელი ნაწილები

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ კონსტრუქტივისტული მეთოდის შემაღვანელ ნაწილებს, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს ჩამონათვალი არის მხოლოდ ერთ-ერთი ნიმუში; ის არანაირად არ წარმოადგენს სტანდარტული ფორმას, რომელსაც ამ მეთოდის გამოყენების ყველა შემთხვევაში უნდა მიმართოს მასწავლებელმა.

ახალი იდეების დაკავშირება არსებულ ცოდნასთან

ეს სტრატეგია ახალ თემაზე გადასვლისას გამოიყენება; მისი გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილის ნებისმიერ ნაწილში. მასწავლებელმა უნდა დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა იმ თემის შესახებ, რომლის ახსნასაც ის აპირებს. როდესაც მოსწავლეები რაღაც ახალს აწყდებიან, ისინი ცდილობენ, ახალი უკვე კარგად ნაცნობს, ნასწავლს და გამოცდილებაში მიღებულს დაუკავშირონ. ამდენად, ეს სტრატეგია მოსწავლეს განსაკუთრებით ახალი მასალის ათვისებაში ეხმარება.

მოდელირება

მოდელირების პროცესი სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს. ამ დროს მასწავლებელი მიმართავს რთულ დავალებას და ცდილობს, მოსწავლეებისთვის თვალსაჩინო გახადოს ის ნაბიჯები, რომლებიც ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა. შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა გააცნოს მოსწავლეებს თავისი შეხედულებები და სტრატეგიები პრობლემის გადაჭრის, ამოცანის ამოხსნის პროცესში. ასწავლებელი, აგრეთვე განუმარტავს მოსწავლეებს, თუ რატომ აირჩია ეს კონკრეტული გზა და იყენებს საკვანძო ნაბიჯების თვალსაჩინოდ დემონსტრირებას.

„ხარაჩოს“ მეთოდი

მასწავლებელი ისეთ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელთა დამოუკიდებლად შესრულებაც გაუჭირდებათ. შესაბამისად, მასწავლებელი მათ ეხმარება, დახმარების წილს თანდათან ამცირებს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ საქმისათვის თავის გართმევას. „ხარაჩოს“ მეთოდ-

დი სხვადასხვა ტიპის დახმარებას ითვალისწინებს, მათ შორის: მინიშნებებს, შეკითხვების დასმას, არსებულ რესურსებზე მითითებებს და სხვა საკლასო აქტივობებს. ამ მეთოდის მიზანი არა მხოლოდ მოსწავლისათვის კონკრეტული ცოდნის გადაცემაა, არამედ მათი განვითარების ხელშეწყობაც კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური აქტივობების მეშვეობით. არ არის აუცილებელი, რომ „ხარაჩოს“ მეთოდის გამოყენებისას გადამწყვეტ როლს მასწავლებელი ასრულებდეს. მაგალითად, მცირე ჯგუფებში მუშაობისას, მოსწავლეებს შორის დისკუსიამ, შესაძლოა, „ხარაჩოს“ ფუნქცია იტვირთოს.

არტიკულაცია

სწავლის პროცესში აუცილებელია მოსწავლეთა ნახალისება, რათა მათ შეძლონ საკუთარი აზრების, ფიქრებისა და გადამწყვეტილებების გასაგებად ჩამოყალიბება. შინაარსის გაგებისა და საკუთარი აზრის ჩამოყალიბების პარალელურად, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, საკუთარი აზრები ნათლად და გასაგებად გამოხატონ. მცირე ჯგუფებში მუშაობა საუკეთესო გარემოს ქმნის საკუთარი აზრის წარმოსაჩენად. საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ვერბალიზაციის გზით და მათი დაცვა დაეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში.

რეფლექსია

რეფლექსია ხდება მაშინ, როდესაც მოსწავლეები თავად ახდენენ საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზს, მაგალითად, ადარებენ თავიანთ შეხედულებებს, ნაშრომებს სხვა მოსწავლეების ან „ექსპერტების“ აზრებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია ახალი მასალის ასათვისებლად. ამ გზით მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება უვითარდებათ და იაზრებენ

პრობლემური საკითხების გადასაჭრელად გამოყენებული გზებისა თუ სტრატეგიების ეფექტურობასა და ადეკვატურობას. **სხვაგვარად ამ პროცესს „მეტაკოგნიცია“, ანუ სწავლის პროცესის გაანალიზება ეწოდება.** მეტაკოგნიციაში მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების, საკუთარი უნარების გაცნობიერება და არა მხოლოდ სხვა მოსწავლეებისა და „ექსპერტების“ აზრების გაცნობა და გაზიარება.

თანამშრომლობა

ეს არის სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდის კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც უკავშირდება მის სოციალურ მხარეს, ამ შემთხვევაში თანამშრომლობით გარემოს, სადაც მოსწავლეები ერთმანეთთან ურთიერთობით იძენენ ცოდნას. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდი გულისხმობს ურთიერთსწავლებას, თანატოლებთან თანამშრომლობას, საკითხის გადანყვეტაზე ორიენტირებულ მითითებებსა და სხვ.

არჩევანი

კონსტრუქტივისტული მეთოდით სწავლებისას მასწავლებელი ხშირად აძლევს მოსწავლეებს არჩევანის საშუალებას. მათ თავისუფლად შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრი იმ დავალებებსა თუ პროექტებზე, რომლებზეც მუშაობენ. მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებთან ერთად ისეთი პროექტის შერჩევასა და შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლის პროცესს. მოტივაციის ზრდის გარდა, ამგვარი მიდგომა უფრო დაინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მეტად ჩართავს მათ სწავლის პროცესში.

მოქნილობა

კონსტრუქტივისტული მეთოდის თანახმად, გაკვეთილი არ არის წინასწარ მკაცრად დაგეგმილი აქტივობა. ასწავლებელი, მოსწავლეების მოქმედებებიდან გამომდინარე მოქნილად ცვლის გაკვეთილის მიმართულებას, მისი მიმდინარეობის პარალელურად. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა პასუხებსა თუ აზრებზე რეაგირება, და, შესაბამისად, გაკვეთილის წარმართვა დაგეგმილისაგან განსხვავებული მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსწავლე საინტერესო შეკითხვას დასვამს, მასწავლებლის პასუხი არ იქნება: „ძალიან საინტერესოა, მოდი, ეს საკითხი შემდეგ გაკვეთილზე განვიხილოთ“, არამედ იგი მაშინვე შეეცდება ამ საკითხს პასუხი გასცეს და შეძლებისდაგვარად, დააკმაყოფილოს მოსწავლის ინტერესი.

ადაპტაციის უნარი

მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებთან. მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თითოეული მოსწავლის სწავლის ინდივიდუალურ მხარეებს არა მხოლოდ მათი აკადემიური უნარების, არამედ სწავლის სტილის თვალსაზრისითაც. საჭიროა, მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო ცნებების საფუძვლიანად გასააზრებლად. აუცილებელია, მასწავლებელმა თვალყური ადევნოს სწავლის პროცესს და პროცესის პარალელურად შეძლოს სასწავლო პროგრამების შესატყვისად ადაპტირება.

მრავალმხრივი რეალობა

მრავალმხრივი რეალობის გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ, რომ ზოგ შემთხვევაში

განსაზღვრული სწორი პასუხი არ არსებობს. ეს შეაჩვევს მათ კრიტიკულ აზროვნებას. შესაძლოა, ეს ელემენტი არარეალური ჩანდეს, განსაკუთრებით, დაწყებითი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში. თუმცა ეს საკმაოდ მარტივად შესასრულებელია. მასწავლებელს შეუძლია, შესთავაზოს მოსწავლეს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა ან დაანახოს, რომ კონკრეტულ კითხვაზე არსებობს რამდენიმე პასუხი.

სწავლების კონსტრუქტივისტული და ტრადიციული მეთოდების შედარება

საინტერესოა კონსტრუქტივისტული და ტრადიციული მეთოდების ერთმანეთთან შედარება და მათ შორის მსგავსებაგანსხვავების დანახვა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ამგვარი შედარების ერთ-ერთი ვარიანტია ნარმოდგენილი, რომელსაც განათლების სფეროს ექსპერტები გვთავაზობენ (ბრუკსი და ბრუკსი, 1999):

ტრადიციული მეთოდი	კონსტრუქტივისტული მეთოდი
<ul style="list-style-type: none"> აქტივობები ძირითადად დაფუძნებულია სახელმძღვანელოებზეა. 	<ul style="list-style-type: none"> აქტივობები დაფუძნებულია ყოველდღიურად ნარმოჩენილ საჭიროებებთან დაკავშირებულ მასალაზე.

<ul style="list-style-type: none"> ◆ მასალის განხილვა იწყება მისი ნაწილების მიმოხილვით და შემდეგ ხდება მისი, როგორც ერთი მთლიანის ანალიზი. ◆ მასწავლებელი მკაცრად მიჰყვება დადგენილ სასწავლო პროგრამას. ◆ მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს მასალას. ◆ მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა კითხვებს „სწორი“ პასუხი გასცენ. ◆ შეფასება განიხილება, როგორც სწავლის პროცესში შემავალი ცალკეული აქტივობა და ძირითადად ხორციელდება ტესტირების, ზეპირი გამოცდისა და წერის გზით. 	<ul style="list-style-type: none"> ◆ მასალა თავდაპირველად განიხილება როგორც ერთი მთლიანი, და შემდეგ ხდება მისი შემადგენელი ნაწილების გაანალიზება. ◆ მასწავლებელი გაკვეთილს აგებს მოსწავლეების კითხვების საფუძველზე. ◆ მასწავლებელი ქმნის სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ ინფორმაციის დამოუკიდებლად „აღმოჩენა“. ◆ მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, რის საფუძველზეც ის დაასკვნის, როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი. ◆ შეფასება განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის პროცესის შემადგენელი ნაწილი და ხორციელდება პორტფოლიოების გამოყენებითა და დაკვირვების გზით.
---	--

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ფორმატი

რას ითვალისწინებს კონსტრუქტივისტული გაკვეთილი? ცხადია, შეუძლებელია სტანდარტული კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მოდელის შექმნა, რომელიც ყველა გარემოში უცვლელი დარჩება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თავისი არსიდან გამომდინარე, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო პროცესის მოქნილობას და უნდა იყოს შედარებით თავისუფალი.

1. გაკვეთილის საწყისი ფაზა

შესაძლოა, მასწავლებელმა გაკვეთილი ზოგადი კითხვების დასმით დაიწყოს, სასურველია, ამის შემდეგ მასწავლებელმა ხელი შეუწყოს კითხვებზე პასუხების გაცემას და დისკუსიის წარმართვას ამ თემის ირგვლივ. ალტერნატიული გზაა გაკვეთილის ისეთი პრობლემით დაწყება, რომელიც აქტუალურია მოსწავლეების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამის შემდეგ შესაძლებელია გაკვეთილის თემატიკაზე გადასვლა. მასწავლებელს შეუძლია, აგრეთვე, მოულოდნელი სიტუაციის შეთავაზება მოსწავლეებისთვის, რომელიც მათ ამ სიტუაციაზე დააფიქრებს, განსხვავებით იმისაგან, რომ მასწავლებელმა პირდაპირ განმარტოს ცნებები და მოსწავლეებს გამზადებული განსაზღვრებები მიანოდოს. სიტუაციის განხილვის დროს მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, თავად მიაგნონ წესებს თუ ცნებებს. უმჯობესია, თუ მასწავლებელი შექმნის ისეთ გარემოს, რომელშიც ბავშვებს ამის განხორციელება შეეძლებათ.

2. ძიების ფაზა

გაკვეთილის ამ ნაწილში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ იმ აქტივობაში, რომლის მიმდინარეობასაც მასწავლებელმა ხელი შეუწყო გაკვეთილის პირველ ნაწილში.

ეს აქტივობა, ძირითადად, იქნება კვლევა-ძიების მომცველი, მასში შევა ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული სიტუაციები და მასალები, რაც ხელს შეუწყობს ჯგუფურ მუშაობას. აქტივობა ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, გადაჭრან ყოველდღიურობასთან დაკავშირებული პრობლემები (ნათელია, რომ მოსწავლეებს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეთ ამ პრობლემების გადაჭრის უნარი).

3. რეფლექსიის ფაზა

გაკვეთილის ამ ნაწილში მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს, რომ განიხილონ განვლილი აქტივობა, გააანალიზონ და მიმოიხილონ ჩატარებული სამუშაო. განხილვა უნდა მოხდეს ან სხვა ჯგუფებთან ან მასწავლებელთან ერთად. ამ ფაზაში მასწავლებელს შეუძლია „ხარა-ჩოს“ სახით ისეთი კითხვებისა და კომენტარების მიწოდება, რომლებიც ძიების პროცესს ისე წარმართავს, რომ მოსწავლეებისთვის ადვილი გახდეს ძირითადი ცნებების ან კონცეფციების გაგება.

4. განხილვისა და შეჯამების ფაზა

ყველა ზემოთ მოცემული ფაზის გავლის შემდეგ, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, რომ განიხილონ საკუთარი მიგნებები და გამოიტანონ დასკვნები. შემდეგი ნაბიჯები, შესაძლოა, მასწავლებელმა გადადგას ან თავად მოსწავლეებმაც დაგეგმონ. მნიშვნელოვანია ძირითადი საკითხების კიდევ ერთხელ მიმოხილვა.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ერთ-ერთი შესაძლო მოდელია, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივისტული გაკვეთილის სტანდარტული სტრუქტურა არ არსებობს.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის ნიმუში (ქართული ენა და ლიტერატურა)

1. გაკვეთილის საწყისი ფაზა

- ა) ვარიანტი: **ზოგადი კითხვის დასმით გაკვეთილის დაწყება**
როგორ წიგნს ჰქვია **ლექსიკონი**?
სადისკუსიო შეკითხვა: აქვს თუ არა ერთი და იგივე **დანიშნულება** წიგნებს, რომლებსაც ლექსიკონს უწოდებენ?
- ბ) ვარიანტი: **პრობლემით გაკვეთილის დაწყება**
– წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალი გადაშალეთ და ერთი ტექსტის სათაურმა ძალიან დაგაინტერესათ. დაიწყეთ კითხვა. ტექსტში შეგხვდათ თქვენთვის უცნობი სიტყვები, რომელთა არცოდნა ხელს გიშლით შინაარსის გაგებაში. როგორ მოიქცევით?
- გ) ვარიანტი: **მოულოდნელი სიტუაციის შექმნა**
მასწავლებელი მაგიდაზე აწყობს: **ორთოგრაფიულ ლექსიკონს, განმარტებით ლექსიკონს, სინონიმთა ლექსიკონს.** შემდეგ დაფაზე წერს წინადადებას – „მწერალმა თავისი *ეპოქის* სახე გადმოგვცა.“ – და სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ ამ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

2. ძიების ფაზა

ძიებისას მოსწავლეები აღმოაჩინენ, რომ **ორთოგრაფიული ლექსიკონი** ვერ შესძენს მათ ცოდნას ამ კონკრეტულ სიტუაციაში; **სინონიმთა ლექსიკონი** მხოლოდ ნაწილობრივ დაეხმარებათ; **განმარტებითი ლექსიკონით** კი დასახულ ამოცანას შეასრულებენ.

3. რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი იყენებს ე.წ. „ხარაჩოს“ მეთოდს: დასმული შეკითხვებით მან ამ სამ ლექსიკონს შორის არსებითი განსხვავება უნდა აღმოაჩინოს მოსწავლეებს და თითოეულის ფუნქცია მათვე განასაზღვრინოს.

მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია დასვას *შეკითხვა*: ხშირად რომ არ გავიმეოროთ ეს სიტყვა – ეპოქა, სად მოვიძიებთ, რომელი სიტყვა ჩაენაცვლება მას? (მოსწავლეები სინონიმთა ლექსიკონში მოიძიებენ: ეპოქა, ხანა).

შეკითხვა: როგორ უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს სიტყვები: **ორთოგრაფიული** და **სინონიმთა**? (ამჯერად მოსწავლეები განმარტებით ლექსიკონს შეარჩევენ).

შემდეგი შეკითხვა: რომელი ლექსიკონის დახმარებით უნდა გავარკვიოთ, რა არის მართებული – სინონიმური თუ სინონიმური? (მოსწავლეები გამოიყენებენ **ორთოგრაფიულ ლექსიკონს**).

შეკითხვა: სად მოვიძიებთ თავისი მნიშვნელობით **ორთოგრაფიის** მსგავს სიტყვას? (ამჯერად მოსწავლეები სინონიმთა ლექსიკონში იპოვიან სიტყვას – **მართლწერა**).

4. განხილვისა და შეჯამების ფაზა

მოსწავლეები აჯამებენ ძირითად საკითხებს:

ლექსიკონი სხვადასხვაგვარია. ადამიანი მათ თავისი მიზნის მიხედვით შეარჩევს: სიტყვის მართლწერას აზუსტებს **ორთოგრაფიულ ლექსიკონში**, სიტყვის მნიშვნელობას – **განმარტებითში**, ხოლო მსგავსი სიტყვის მოსაძებნად სინონიმთა ლექსიკონს იყენებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ეს ცოდნა გამოცდილებით მიიღეს.

შეჯამება:

- ✓ სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია ემყარება იმ პრინციპს, რომ ნებისმიერი სახის ცოდნის მიღება გულისხმობს ამ ცოდნის კონსტრუირებას ანუ აგებას;
- ✓ სწავლა ყოველთვის აქტიური პროცესია. მოსწავლე ახდენს საკუთარი ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას იმის საფუძველზე, თუ რა ინფორმაცია მიიღო მასწავლებლისგან. სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა დახმარებას არა სწორი პასუხის გასაცემად, არამედ საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად;
- ✓ კონსტრუქტივისტული მეთოდის თანახმად, სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის ძიებას. შესაბამისად, მასწავლებლის მიზანია, სასწავლო აქტივობები ისე წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ.
- ✓ სწავლა სოციალური ურთიერთობების საშუალებით თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან ურთიერთობის გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო გზაა ისეთი სოციალური სიტუაციების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა და დისკუსიები.
- ✓ სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს. მოსწავლე არ სწავლობს აბსტრაქტულად, არამედ მიღებული ინფორმაცია ყოველთვის კავშირშია იმასთან, რაც უკვე იცის.
- ✓ შეუძლებელია სტანდარტული კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მოდელის შექმნა, რომელიც ყველა გარემოში უცვლელი დარჩება. ერთ-ერთი მოდელის მიხედვით, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი შედგება: გაკვეთილის საწყისი ფაზის, ძიების, რეფლექსიისა და შეჯამების ფაზისაგან.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის;

მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Beyer, B.K. (1985). Critical Thinking: What is it? *Social Education* 49, 270-276

Brooks, M. G. & Brooks, J.G. (1999). The Courage to be Constructivist. *Educational Leadership*, 57 (3), 18-24

Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications

Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

სასარგებლო რესურსები:

1. კონსტრუქტივიზმი საკლასო გარემოში (მასალები პე-დაგოგისათვის):
<http://www.thirteen.org/edonline/concept2class/constructivism/index.html>
2. კონსტრუქტივისტული მეთოდით სწავლება (პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებისათვის):
[http://www.ndted.org/TeachingResources/ClassroomTips/Constructivist%20 Learning.htm](http://www.ndted.org/TeachingResources/ClassroomTips/Constructivist%20Learning.htm)

II ტაპი

ეფექტური სწავლების შვიდი პრინციპი

ძირითადი საკითხები:

- ◆ სწავლების არსებულ მიდგომებთან დაკავშირებული პრობლემა;
- ◆ დ. პერკინსის ეფექტური სწავლების შვიდი პრინციპი.

მომზადა მარიამ გაბაშვილმა

შესავალი

აღბათ შეგიმჩნევიათ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობთ ყოველგვარი ძალისხმევისა თუ ცნობიერი ჩართულობის გარეშე. მაგალითად, მშობლიური ენა თითოეულმა ჩვენგანმა სკოლაში მისვლამდე დიდი ხნით ადრე ისწავლა. ქსოვა, კერვა, ავტომატის ან რაიმე სხვა ტექნიკის შეკეთება, სადილის მომზადება და ა.შ. – „ყოფითი“ სწავლის კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითია. ამგვარ სიტუაციებში დასწავლა ხშირად იმდენად მარტივად მიმდინარეობს, რომ ჩვენ თვითონაც ვერ ვაცნობიერებთ სრულად ჩვენი დახელოვნების მომენტს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პროცესი ადამიანისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას არ ითხოვს, ამ ფორმით ცოდნის მიღებას ხანდახან ძალიან დიდი დრო სჭირდება.

„ყოფითი“ სწავლისგან თითქოს სრულიად განსხვავებულია ფორმალური სასწავლო პროცესი. საბავშვო ბაღში, სკოლაში, უნივერსიტეტსა თუ სხვა სასწავლო დაწესებულების ფარგლებში, ახალი ინფორმაციის ათვისების პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს. სწავლა მოსწავლისაგან ყუ-

რადღების კონცენტრაციას, ძალისხმევას მოითხოვს. მეცნიერების აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ „ყოფით“ სიტუაციებში ჩვენ მიერ შექმნილი ცოდნა ინტუიციურ, მარტივ ხასიათს ატარებს, მაშინ, როდესაც ფორმალური განათლების პროცესში, მოსწავლეებს უნევთ რთული მეცნიერული (ხანდახან „კონტრინტუიციური“) ინფორმაციის ათვისება. ფორმალური განათლების მიზანი და ამოცანა მდგომარეობს სწორედ ამ რთული კონცეფციების მოსწავლეებისათვის მარტივი და გასაგები ფორმით წარდგენაში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ძალიან ბევრი ნაშრომი გამოქვეყნებული რთული კონცეფციების მოსწავლეებისათვის მარტივი და გასაგები ფორმით სწავლების შესახებ, შემუშავებულია უამრავი თეორია, სტრატეგია თუ მოდელი, ამ მიზნის მიღწევა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება თითქმის ყველა ქვეყნის განათლების სისტემისათვის.

წინამდებარე ნაწილში გაგაცნობთ სწავლების ეფექტურობის თემაზე შექმნილ შედარებით ახალ კონცეფციას, რომლის ავტორია ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი, საგანმანათლებლო კვლევითი ჯგუფის „Project Zero“-ს თანადირექტორი, დევიდ პერკინსი. მისი ნაშრომი „სწავლების შვიდი პრინციპი“ გამოქვეყნდა 2009 წლის გაზაფხულზე და სულ რამდენიმე თვეში შეძლო აკადემიური წრეების ყურადღების მიპყრობა და დადებითი შეფასების მოპოვება.

სწავლების არსებულ მიდგომებთან დაკავშირებული პრობლემა

სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემების, განსაკუთრებით კი სწავლების მოდელების ანალიზმა ცხადყო, რომ

დღეისათვის ყველაზე ფართოდ „ნაწილებით სწავლების“ და „საკითხის შესახებ სწავლების“ მოდელები გამოიყენება.

ნაწილებით სწავლების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს რთული საკითხების შემადგენელ ნაწილებად, ელემენტებად დაყოფასა და ამ ელემენტების თანამიმდევრობით შესწავლაში. ივარაუდება, რომ თუკი მოსწავლე კარგად აითვისებს რთული საკითხის შემადგენელ ნაწილებს, მას გაუადვილდება ამ საკითხის მთლიანობაში შესწავლა და გაგება. ეს მიდგომა, ერთი შეხედვით ძალიან ლოგიკური და გასაგებია. ალბათ ამიტომაც არის იგი ასე ფართოდ გამოყენებული არა მხოლოდ განათლების სისტემაში, არამედ ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. თუმცა დ. პერკინსის აზრით, კომპლექსური საკითხის ნაწილებზე განსაკუთრებული და ხანგრძლივი ფოკუსირება მოსწავლის მხედველობის არეალიდან ფაქტობრივად აქრობს ამ ელემენტების გამაერთიანებელ მთლიანს, საბოლოო პროდუქტს. ამ საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის გარეშე კი, შემადგენელი ნაწილების შესწავლის პროცესი მოსწავლეებისათვის უინტერესო ხდება. შედეგად ვიღებთ იმას, რომ მაგალითად, პირველკლასელს შეუძლია ანბანის ყველა ასოს ცნობა და ცალ-ცალკე გამოწერა, თუმცა უჭირს ამ ცოდნის გამოყენება სიტყვის ან წინადადების შედგენისათვის. ნაწილებზე ფოკუსირება მოკლე დროით, განსაკუთრებით ახალი საკითხის შესწავლის საწყის ეტაპზე, სასარგებლო და სასურველიც კი არის. ნაწილებად სწავლების მოდელი არაეფექტურია მაშინ, როდესაც მისი გამოყენება ძალიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება.

საკითხის შესახებ სწავლების პრინციპი გულისხმობს შესასწავლი თემის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას მოსწავლეებისათვის, საკითხის დეტალური და სიღრმისეული ანალიზის გარეშე. ამ მეთოდს განსაკუთრებით ხშირად იყენებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ისევე, როგორც ნაწილების სწავლების მოდელი, საკითხის შესახებ სწავლებაც საკმაოდ ეფექტური სტრატეგია შეიძლება იყოს

კონკრეტულ ვითარებაში და კონკრეტულ საგანთან მიმართებაში. თუმცა ეს მეთოდი არაეფექტური ხდება მაშინ, როდესაც მისი გამოყენება გაუაზრებლად და საკმარისზე მეტი დროის განმავლობაში ხდება.

დევიდ პერკინსის მიერ შემუშავებული მოდელი წარმოადგენს ამ ორი მიდგომის პოზიტიური მხარეების ეფექტურად გამოყენების მცდელობას. მისი აზრით, მოდელში აღწერილი შვიდი პრინციპი დაეხმარება მასწავლებელს, გააღვივოს მოსწავლეებში სწავლის მიმართ ინტერესი, აგრეთვე, ხელს შეუწყობს რთული კონცეფციების მარტივი და გასაგები ენით მიწოდებასა და სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში. შემდეგი თავი მთლიანად მიეძღვნება ამ პრინციპების განხილვას.

დ. პერკინსის ეფექტური სწავლების შვიდი პრინციპი

ადამიანებს ბუნებრივად გვაქვს სწავლისადმი მიდრეკილება და როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ჩვენ საკმაოდ წარმატებით ვართმევთ თავს ამ აქტივობას ყოფით სიტუაციებში შედარებით მარტივი ცოდნის შექენისას. დევიდ პერკინსი შეეცადა, ყოფითი სწავლის პროცესის შესწავლასა და მისი ძირითადი, პოზიტიური ელემენტების გადმოტანას ფორმალური განათლების კონტექსტში. მისი აზრით, ამ გზით შესაძლებელია რთული საკითხების ისეთივე მარტივ და ინტუიციურ ცოდნად გადაქცევა, როგორც მშობლიური ენის თუ ქსოვის სწავლაა. ამისათვის, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სამუშაოს დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში დაიცვას ქვემოთ წარმოდგენილი შვიდი ძირითადი პრინციპი:

1. გააცანით მოსწავლეებს სასწავლო პროცესის „საბოლოო პროდუქტი“

აღბათ თითოეულ ჩვენგანს ახსოვს, როგორ ისწავლა ბანქოს, ჭადრაკის ან სხვა რაიმეს თამაში. ტრადიციულად, ასეთი თამაშების სწავლა ხდება ზოგადი პრინციპის ახსნით, მთლიანობითი და არა ნაწილებით სწავლების მეთოდით; ბავშვს მოკლედ უხსნიან თამაშის წესებს, პრინციპებს და ფაქტობრივად მომდევნო 15 წუთშივე იგი უკვე ერთვება თამაშის პროცესში. თამაშის პროცესში ჩართვა რეალურად ბავშვს „საბოლოო პროდუქტის“ დანახვის შესაძლებლობას აძლევს. ამ გამოცდილების გარეშე ძალიან რთული, უფრო ზუსტად, შეუძლებელიც კი იქნება თამაშის არსის სრულად წვდომა. გარდა ამისა, „საბოლოო პროდუქტის“ ხედვა (ჩვენს შემთხვევაში – თამაშში ჩართვა), ბავშვს სწავლებისადმი ინტერესს და საკუთარი უნარების დახვეწის სურვილს უღვივებს. იგი თითქოს მომენტალურად, პირველივე თამაშის შემდეგ კარგ მოთამაშედ ჩამოყალიბების სურვილით ინთება.

პერკინსი ამ მიდგომას ტრადიციულ ფორმალურ განათლებას უპირისპირებს. მისი აზრით, ძალიან იშვიათად ხდება მოსწავლეებისათვის საბოლოო მიზნის, „საბოლოო პროდუქტის“ ჩვენება. განათლების პროცესი უპირატესად ემსახურება მთლიანის სხვადასხვა ნაწილის, ელემენტების დამოუკიდებლად, იზოლირებულად სწავლებას. როცა მოსწავლეებისათვის უცნობია „საბოლოო პროდუქტი“, ისინი ფაქტობრივად ვერ ახერხებენ ამ ელემენტების გაერთიანებას, მათ უკან მდგარი მთელის დანახვას. თამაშის ანალოგიას რომ მივუბრუნდეთ, ტრადიციული განათლების სისტემა ძალიან ჰგავს მოსწავლეებში კონსტრუქტორის სხვადასხვა ელემენტის შესახებ ცოდნის გადაცემას ამ ელემენტებისაგან საბოლოო ფიგურის აწყობის გარეშე. ფორმალური განათლება ვერ აღვივებს მოსწავლეებში ძლიერ ინტერესს, ვერ ავითარებს სა-

ბაზო უნარებს ისე კარგად, როგორც ყოფითი სწავლის პროცესში „საბოლოო პროდუქტის“ დანახვის პირობებში ხდება.

ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება გაიფიქროს, რომ საგნის სპეციფიკა ხშირად არ იძლევა მოსწავლეებისთვის „საბოლოო პროდუქტის“ გაცნობის შესაძლებლობას. ასე მაგალითად, ერთი შეხედვით შეიძლება გაუგებარი იყოს, რა არის მათემატიკის, გეომეტრიის თუ ისტორიის „საბოლოო პროდუქტი“. დევიდ პერკინსი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პრინციპის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საგანთან მიმართებაში. ამისათვის საჭიროა, მასწავლებელი შემოქმედებითად მიუდგეს სწავლების პროცესს. პერკინსის აზრით, სულაც არ არის სავალდებულო, რომ საბოლოო პროდუქტი რეალურად არსებობდეს. მასწავლებელს შეუძლია, თვითონ მოიფიქროს კავშირი სხვადასხვა ელემენტს შორის. ასე მაგალითად, ისტორიის გაკვეთილზე ამა თუ იმ მეფის მოღვაწეობის წლების მარტივი დამახსოვრების მაგივრად, მოსწავლეებს შეიძლება ვთხოვოთ იმავე პერიოდის სხვა ქვეყნების მეფეებზე ინფორმაციის მოძიება და საკითხის გაანალიზება ეპოქის გავლენის კონტექსტში. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული მეფის მოღვაწეობის პერიოდის შესწავლა თვითკმარი ნაწილიდან რაღაც უფრო დიდის და საინტერესოს ელემენტად იქცევა. საბოლოო პროდუქტის წარმოდგენა სხვადასხვა დისციპლინის გაერთიანების გზითაც არის შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით მარტივია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემთხვევაში. მოსწავლეებს შეიძლება წარუდგინოთ რაიმე ბუნებრივი მოვლენა ან სამეცნიერო ფაქტი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საგნის ფარგლებში მიღებულ ცოდნას.

2. აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ საკითხის შესწავლას

ტრადიციულ სასწავლო გარემოში ცოტა რამ არის მოსწავლეებისთვის ბუნებრივად ძლიერი ინტერესის აღმძვრელი.

მთლიანობაში სასწავლო პროცესი მათთვის გარკვეული ხელოვნურობით ხასიათდება – ნლების განმავლობაში ბავშვები სწავლობენ იმას, რისი ცოდნის ღირებულებაც არ ესმით. საკითხების შესწავლა ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოცემულია სასწავლო გეგმაში, ტესტში, მასალაში და ა.შ. ალბათ თითოეულ მასწავლებელს ერთხელ მაინც ჰყოლია კლასში „თავხედი“ მოსწავლე, რომელსაც ეჭვის ქვეშ დაუყენებია კონკრეტული საკითხის შესწავლის საჭიროება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსწავლეების ბუნებრივი და ნორმალური რეაქციაა იმ სისტემაში, სადაც არანაირი ყურადღება არ ეთმობა ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობის, მისი საჭიროების ანალიზს. დ. პერკინსის აზრით, მასწავლებელი ვალდებულია საგანგებოდ აუხსნას მოსწავლეებს, თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ თემას, რისთვის არის საჭირო კონკრეტული საკითხის შესწავლა და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თემის უცოდინრობას. ამავდროულად, ისეთი ზოგადი განმარტებები, როგორებიცაა „ამის ცოდნა ყველა განათლებული ადამიანისთვის არის სავალდებულო“ ან „ეს ინფორმაცია მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ“, ვერ ჩაითვლება ამ მოვალეობის შესრულებად. ვიდრე მოსწავლეებისათვის არ იქნება ცალსახა და ნათელი პასუხი კითხვაზე, თუ რას მოუტანს კონკრეტულად ამა თუ იმ საკითხის შესწავლა მათ, სასწავლო პროცესი ვერ გახდება საინტერესო და მამოტივირებელი.

დ. პერკინსის აზრით, მოსწავლეებში ამა თუ იმ თემის მიმართ ბუნებრივი ინტერესის გაღვივების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მოსწავლეებისათვის „საბოლოო პროდუქტის“ ჩვენებაა (იხ. პრინციპი №1). ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ პრინციპის გამოყენებით მასწავლებელი ყველა მოსწავლის თანაბარ დაინტერესებას შეძლებს. ბავშვები განხვავდებიან ერთმანეთისაგან ინტერესებით და პიროვნული ნიშნებით. შესაბამისად, ზოგიერთისთვის შეიძლება სრულიად უინტერესო და არამამო-

ტივირებელი იყოს როგორც კონკრეტული ნაწილი, ისე მთლიანი საბოლოო პროდუქტი. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის გამოყენება, ვინაიდან ამ გზით მასწავლებელი გაუმარტივებს სწავლის პროცესს იმ მოსწავლეებს, რომელთათვისაც საბოლოო პროდუქტი ღირებული და საინტერესოა.

ისევე, როგორც სხვა პრინციპების შემთხვევაში, მეორე პრინციპის გამოყენება საკლასო გარემოში ბევრი სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. მასწავლებლის შემოქმედებითი მიდგომა აქაც გადამწყვეტ როლს ასრულებს. ბევრი მასწავლებელი მიმართავს ე.წ. „დამაინტრიგებელი დასაწყისის“ მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს საკითხის ახსნის დაწყებით ეტაპზე – პირველივე გაკვეთილზე დამაინტრიგებელი, ინტერესის აღმძვრელი შესავლის გამოყენებას. ამ სტრატეგიას წარმატებით იყენებენ მწერლები – მოქმედების პირველივე ნაწილს ისინი დამაინტრიგებელი მომენტით იწყებენ, რაც მკითხველს მთლიანი ნაწარმოების წაკითხვის ინტერესს უღვივებს. ინტრიგას შეიძლება შეიცავდეს, როგორც მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, ისე მისი წარდგენის ფორმა.

3. საგანგებო ყურადღება გაამახვილეთ რთულ საკითხებზე

აღბათ თითოეული ჩვენგანისთვის არის ნაცნობი სიტუაცია, როდესაც ადამიანი ხანგრძლივად ასრულებს ერთსა და იმავე აქტივობას, შესრულების ხარისხი კი არ უმჯობესდება. ამ იდეის საილუსტრაციოდ განვიხილოთ არაპროფესიონალი (მოყვარული) ჩოგბურთელის მაგალითი. ამ კატეგორიაში ხვდებიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან უყვართ სპორტის ეს სახეობა, და პერიოდულად (კვირაში ერთხელ მაინც) პოულობენ დროს მეგობრებთან თამაშისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ამდენ დროსა და ენერგიას უთმობენ აღნიშნულ საქმიანობას, და თანაც გულწრფელად დაინტერესებულნი და მოტივირებულნი არიან საკუთარი უნარე-

ბის გაუმჯობესებით, მათი თამაშის ხარისხი, როგორც წესი, არ უმჯობესდება. ამის მიზეზი არის ის, რომ ისინი რთულ ნაწილებზე არ ამახვილებენ ყურადღებას. მეგობრებთან შეხვედრისას, არაპროფესიონალები „მთლიან“ თამაშს თამაშობენ და არ ამახვილებენ ყურადღებას იმ ილეთებზე, რომლებიც ცუდად გამოსდით. მათგან განსხვავებით, პროფესიონალი ჩოგბურთელები მუდმივად და საკმაოდ თვალსაჩინოდ აუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს, რაშიც უდიდესი წვლილი შეაქვს მათ მიერ რთულ მომენტებზე რუტინულ, დაუღალავ მუშაობას. პროფესიონალმა ჩოგბურთელმა შეიძლება მთელი დღე დახარჯოს მხოლოდ ერთი ილეთის შესწავლაზე, მის დახვეწაზე, რაც ცხადია, დადებითად აისახება მისი თამაშის საბოლოო ხარისხზე.

წინამდებარე პრინციპის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ **მასწავლებელი საგანგებო ყურადღებას უნდა აქცევდეს მოსწავლეებისათვის რთულ, პრობლემურ ნაწილებს; უნდა უთმობდეს დროს ამ ელემენტების დამუშავებას, რათა უზრუნველყოს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების და, ზოგადად, სწავლის პროცესის თვისებრივი გაუმჯობესება.** როგორც ვხედავთ, ამ პრინციპს საფუძვლად ნაწილებით სწავლების მოდელი უდევს. ჩვენ დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ეს მოდელი საკმაოდ ეფექტურია ადეკვატურ გარემოსა და ვითარებაში. დ. პერკინსის აზრით, ნაწილებით სწავლების მიდგომა ძალიან ეფექტური და საჭიროა სასწავლო პროცესის შუალედურ ეტაპზე მაშინ, როდესაც მოსწავლეებისათვის უკვე ნათელია, თუ რა არის მათი სწავლის საბოლოო შედეგი და პროდუქტი. საბოლოო პროდუქტის დაშლა შემადგენელ ელემენტებად, ნაწილებად, მათი სიმრავლიდან ყველაზე რთული ელემენტების გამოცალკევება და მათი დამოუკიდებლად სწავლება, ვიდრე ისინი მოსწავლისათვის სხვა ნაწილებივით მარტივი არ გახდება, პერკინსის აზრით, მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ საგანმანათლებლო პროცესისთვისაც არაა უცხო რთული დეტალების იდენტიფიცირება და მათზე საგანგებოდ მუშაობა. მასწავლებელთა უმეტესობა საკმაოდ აქტიურად იყენებს ამ მიდგომას, თუმცა სასურველი შედეგის მიღწევა, დ. პერკინსის აზრით, ვერ ხერხდება, ვინაიდან ამ ნაწილებზე მუშაობა არასაკმარისი ან საკმარისზე მეტი ხნის განმავლობაში ხდება და მათი დამუშავებისას იგნორირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებები.

დ. პერკინსი მიიჩნევს, რომ წინამდებარე პრინციპი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიერ სისტემატურად და ობიექტურად ხდება მოსწავლეებისათვის რთული, გაუგებარი საკითხების იდენტიფიცირება. აგრეთვე ამ საკითხების შიგნით კონკრეტული პრობლემების გამომწვევი მიზეზების ძიება. ამ ცოდნის გარეშე სხვადასხვა ელემენტების გამეორება, მათზე დროის დახარჯვა არ იქნება მნიშვნელოვანი წინსვლის მომტანი. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილებასთან ერთად მასწავლებელს უყალიბდება წარმოდგენა იმ ტიპური სირთულეების შესახებ, რომლებსაც მოიცავს ესა თუ ის თემა/საკითხი. ეს გამოცდილება პედაგოგმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს მომდევნო წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და ყველა ეს საკითხი წინასწარ, საგანგებოდ უნდა გაითვალისწინოს სასწავლო გეგმაში.

4. დაეხმარეთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში

ფორმალური განათლების უმთავრესი მიზანია მოსწავლეების მომზადება მომავალი, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სკოლამ, უმაღლესმა სასწავლებლებმა და სხვა სასწავლო დაწესებულებებმა უნდა აღჭურვონ მოსწავლეები იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც დაეხმარება მათ სრულფასოვან ფუნქციონირებაში მთელი ცხოვრების მანძილზე. შესაბამისად, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად უმჯობესდება მოს-

წავლეთა აკადემიური მიღწევები საკლასო/სასკოლო გარემოში, არამედ იმაზეც, თუ რამდენად ახერხებენ ისინი მიღებული ცოდნის გამოყენებას/ტრანსფერს შესაბამის ცხოვრებისეულ სიტუაციებში, საკლასო ოთახის მიღმა. დ. პერკინსი აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში ამ საკითხს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. შედეგად მოსწავლეები ისე ამთავრებენ სკოლას და ისე იწყებენ ზრდასრულ ცხოვრებას, რომ არ აქვთ განვითარებული პრაქტიკული, ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საბაზისო უნარები. **მასწავლებელმა კარგად უნდა გააცნობიეროს ეს პრობლემა და საგანგებო დრო და ყურადღება დაუთმოს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების (სასურველია საკლასო გარემოს გარეთ) ხელშეწყობას.**

პრაქტიკოსი პედაგოგები ხშირად მიიჩნევენ, რომ ცოდნის ტრანსფერის უნარი მოსწავლეს ავტომატურად უვითარდება საკითხის შესახებ თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად. არსებული სამეცნიერო ცოდნა არ ამყარებს ამ მოსაზრებას. პირიქით, აღმოჩნდა, რომ ტრანსფერზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილების გარეშე, მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა პასიურ, გამოუყენებელ ინფორმაციად იქცევა დროთა განმავლობაში.

ცოდნის ტრანსფერის/გამოყენების ხელშეწყობა ბევრი სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. მაგალითად, კონკრეტული სტატისტიკური მეთოდების თუ ოპერაციების ახსნამდე, მოსწავლეებს ამოსახსნელად შეიძლება მივცეთ ყოფით ვითარებასთან ძალიან მჭიდროს დაკავშირებული ამოცანა; ვთხოვოთ, ჯგუფური მუშაობის გზით, მოიფიქრონ ამ ამოცანის გადაჭრის სტრატეგიები. ჯგუფების მიერ მომზადებული პასუხების გაერთიანების და გაანალიზების გზით, პედაგოგმა საგაკვეთილო პროცესი ნელ-ნელა უნდა გადაიყვანოს კონკრეტული სტატისტიკური მეთოდებისა და ოპერაციების შესწავლის ფაზაში, განაზოგადოს მოსწავლეების მიერ მოფიქრებული კონკრეტული სტრატეგიები და დაუკავშიროს იმ

სტატისტიკურ კანონზომიერებას, კონცეფციას, რომელთა სწავლებაც აქვს გამიზნული. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად გაუმარტივებს მოსწავლეებს ამ საკითხების გაგებას, აჩვენებს მათ, თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციებში.

5. გააცანით მოსწავლეებს თემის/საკითხის მიღმა არსებული ლოგიკა, პრინციპი

ფორმალური განათლების პროცესში ბავშვებს, როგორც წესი, რთული, კომპლექსური საკითხების შესწავლა უწევთ. განხილულ კონცეფციათა უმრავლესობის მიღმა გარკვეული ლოგიკა, კანონზომიერება და/ან პრინციპია, რომელიც არ არის იმთავითვე ნათელი და გამოკვეთილი. სამყარო ჩვენ ირგვლივ საკმაოდ რთულია და მოვლენების გაგება, მათი სიღრმისეული წვდომა მხოლოდ სამყაროში არსებული ფიზიკური კანონზომიერების თუ პრინციპების შესწავლით არის შესაძლებელი. მოსწავლეთა გადატვირთვის თუ სახელმძღვანელოში/სასწავლო გეგმაში მოცემული საკითხებიდან გადახვევის შიშით, ტრადიციულ სასწავლო გარემოში ამ პრინციპებისა და კანონზომიერების განხილვა, როგორც წესი, არ ხდება. მიჩნეულის, რომ მოსწავლე ამ ინფორმაციას თვითონ მოიძიებს დაინტერესების ან უმაღლესი განათლების საფეხურზე შესაბამისი მიმართულებით სწავლის შემთხვევაში. არადა, ეს ინფორმაცია არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ მნიშვნელოვნად აადვილებს ამა თუ იმ თემის შესწავლას, საკითხის სრულფასოვან გაგებას/წვდომას. მაგალითისთვის შეგვიძლია ისევ ჩოგბურთის თემას მივუბრუნდეთ. ერთი შეხედვით ამ სპორტს არანაირი კავშირი არ აქვს ისეთ მეცნიერებებთან, როგორებიცაა ფიზიკა და მათემატიკა. თუმცა, დარგის პროფესიონალებმა კარგად იციან, რომ ჩოგბურთელი წარმატებას აღწევს სწორედ ამ მეცნიერებების წიაღში მოპოვებული ცოდნის საფუძველზე. ასე მაგალითად, კარგი დარტყმის „ანყობა“/გამოთვლა შეიძლება ზუსტი მათემატი-

კური ფორმულის გამოყენებით, ბურთის წონის, ჰაერის სინოტივის, ქარის ძალისა და სხვა ფიზიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ზუსტად ისევე შეიძლება მეცნიერული ცოდნის გამოყენება ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის. შესაბამისად, **მოვლენების უფრო სიღრმისეულად წვდომისათვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მოვლენების უკან მდგარ პრინციპებზე, კანონზომიერებებზე და ერთი შეხედვით, უხილავ ლოგიკაზე.** ამ ცოდნის გარეშე არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ბავშვმა იცის საკითხი.

6. განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისაგან სწავლის უნარი

ადამიანი სოციალური არსებაა. ცხოვრების უდიდეს ნაწილს ჩვენ სხვა ადამიანების გარემოცვაში ვატარებთ. დაწყებული ადრეული ასაკიდან – საბავშვო ბაღიდან, ჩვენ ყოველთვის სხვა ადამიანებთან ვურთიერთობთ და ამ ურთიერთობას უდიდესი გავლენა აქვს ჩვენზე. თანატოლებისაგან სწავლის პრინციპი გულისხმობს სოციუმის გავლენის გამოყენებას განათლების მიზნებისათვის. დ. პერკინსის აზრით, **ბავშვებს, ისევე როგორც ზრდასრულებს, ძალიან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისაგან, ამდენად მასწავლებლის ვალდებულებაა მაქსიმალურად შეუნყოს ხელი ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურად განხორციელებას.**

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ არსებობს აქტივობები, რომლებსაც უფრო ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და თითქოს არ იძლევა სოციალურად სწავლის შესაძლებლობას. დ. პერკინსი არ ეთანხმება ამ შეხედულებას და მიიჩნევს, რომ ამგვარი საკითხების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ეს ფაქტი ვერ გამოდგება სოციალური დასწავლის ეფექტურობის კონტრარგუმენტად.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპის გამოყენება საკმაოდ აქტიურად ხდება თანამედროვე განათლების სისტემებში.

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მოსწავლეების მუშაობა წყვილებში ან ჯგუფებში, მათი აკადემიური დამეგობრება პარალელური კლასის ან თუნდაც მცირედით განსხვავებული ასაკის მოსწავლეებთან, რაც ამ პრინციპის გამოყენების კონკრეტული და საკმაოდ ეფექტური სტრატეგიების ნიმუშებია.

7. ასწავლეთ მოსწავლეებს სწავლა

სწავლის სწავლების პრინციპის საილუსტრაციოდ ისევ მშობლიური ენის შესწავლის ანალოგიას გამოვიყენებთ. როგორც აღვნიშნეთ, ბავშვი თითქოს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ითვისებს მშობლიურ სალაპარაკო ენას. იგივე ბავშვი სკოლაში, სავარაუდოდ, ბევრად უფრო რთულად გაართმევს თავს ახალი, მეორე ენის შესწავლის პროცესს. ეს იმის გამო ხდება, რომ უმეტესი ჩვენგანისთვის მეორე ენის შესწავლა სტრუქტურირებული, ორგანიზებული სახით უცნობი, უჩვეულო გამოცდილებაა. უჩვეულო პროცესის ათვისებას კი გარკვეული დრო და ძალისხმევა სჭირდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ენის სტრუქტურასთან ერთად, მოსწავლე სწავლის პროცესსაც სწავლობს, ანუ იძენს ცოდნას საკუთარი სასწავლო პროცესის თავისებურებების შესახებ. დევიდ პერკინსის აზრით, იგივე ბავშვი მოგვიანებით მესამე ენის შესწავლასაც თუ დაიწყებს, შეამჩნევს, რომ პროცესი ბევრად უფრო ადვილად, ნაკლები ძალისხმევით წარიმართება. რასაც იგი ხსნის იმ გარემოებით, რომ მესამე ენის შესწავლის მომენტისთვის მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი იქნება საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებები, რაც ბევრად გაუადვილებს სწავლის სწორად ორგანიზებას და მართვას.

დ. პერკინსის აზრით, **მოსწავლეებში სწავლის უნარის განვითარება მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული მიზანია. თუ მოსწავლემ იცის, როგორ უნდა შეუწყოს ხელი საკუთარ სწავლას, როგორ უნდა გახადოს იგი უფრო ეფექტური, ის ფაქტობრივად დამოუკიდებელი ხდება**

მასწავლებლისაგან. იგი თვითონ მართავს საკუთარი განვითარების, სწავლის პროცესს და ბევრად უფრო მაღალ შედეგებს აღწევს, ვიდრე მასწავლებელზე მიჯაჭვული მოსწავლე. სწავლის უნარის გარეშე მოსწავლე სრულიად მოუმზადებელია ზრდასრული ცხოვრებისა და მის წინაშე წამოჭრილი ამოცანებისა და სირთულეების დასაძლევად.

შეჯამება:

- ✓ სწავლა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარია. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ცნობიერი ძალისხმევის გარეშეც უამრავ ახალ ცოდნას ვიძენთ. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ბუნებრივი სწავლების კანონზომიერებებს და იყენებდეს ამ ცოდნას სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდისათვის;
- ✓ რთული საკითხების შემადგენელ ნაწილებად, ელემენტებად დაყოფა და ამ ელემენტების თანამიმდევრობით შესწავლა (ნაწილებით სწავლების პრინციპი) სწავლების ეფექტური სტრატეგიაა. თუმცა კომპლექსური საკითხის ნაწილებზე ხანგრძლივი ფოკუსირება ამ ელემენტების გამაერთიანებელი საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის გარეშე მოსწავლისათვის უინტერესოს ხდის სწავლის პროცესს.
- ✓ სწავლის მიმართ ინტერესის და სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია, ბავშვებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მთლიანად შესასწავლ საკითხზე (საბოლოო პროდუქტზე), აგრეთვე, მისი შესწავლის ღირებულებასა და აუცილებლობაზე; მასწავლებელი ვალდებულია, საგანგებოდ აუხსნას მოსწავლეებს, თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ თემას, რისთვის არის საჭირო კონკრეტული საკითხის შესწავლა და როგორ შეიძლება გამოიყენოს ეს ცოდნა პრაქტიკაში. ამასთან, მოვლენების უფრო სიღრმისეულად წვდომისათვის მნიშვნელოვანია, დავანახოთ მოსწავლეებს შესასწავლ მოვლენებთან დაკავშირებული პრინციპები და კანონზომიერებები.
- ✓ მასწავლებელი საგანგებო ყურადღებას უნდა აქცევდეს თემაში მოსწავლეებისათვის რთულ, პრობლემურ ნაწი-

ლებს; პედაგოგი უნდა გაერკვეს, რამ განაპირობა სირთულე, გამოყოს დრო და სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით დაეხმაროს მოსწავლეს რთული ელემენტების გაგებასა და გააზრებაში.

- ✓ მოსწავლეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისაგან, რაც ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა საგაკვეთილო პროცესში (წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა, ერთობლივად პრეზენტაციის მომზადება და სხვ.)
- ✓ პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს იმის გააზრებაში, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი საკუთარ სწავლას, როგორ უნდა მართოს თვითონ საკუთარი განვითარების, სწავლის პროცესი.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად.

გამოყენებული ლიტერატურა

Perkins, N., D. (2009). *Making Learning Whole: How Seven Principals of Teaching Can Transform Education*. Jossey – Bass Publication

III ტაპი

პირდაპირი სწავლება

ძირითადი საკითხები:

- ◆ სწავლების ორი ტიპი: პირდაპირი და არაპირდაპირი;
- ◆ პირდაპირი სწავლება;
- ◆ მარტივად სტრუქტურირებული გაკვეთილი;
- ◆ დამოუკიდებელი მუშაობა;
- ◆ პირდაპირი სწავლების მეთოდის უარყოფითი მხარეები.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

საგნის სწავლებასთან ერთად მასწავლებელი ხშირად მოსწავლეებს იმასაც ასწავლის, თუ როგორ ისწავლონ. ზოგადად, მასწავლებელს კლასში მოსწავლეების სამი ძირითადი კატეგორია ხვდება: მოსწავლეები, რომლებიც სხვისი დახმარების გარეშე სწავლობენ; მოსწავლეები, რომლებსაც მცირე დახმარება სჭირდებათ და მოსწავლეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დახმარება სჭირდებათ სწავლაში (მური, 2009). მასწავლებლის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დახმარების გარეშე უჭირთ სწავლა და განუვითაროს მათ დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი უამრავ მეთოდსა და სტრატეგიას იყენებს, რომელთაგან ზოგიერთი მოსწავლეზე პირდაპირ და ზოგიერთი არაპირდაპირ გავლენას ახდენს. თუ სწავლების ერთი ტიპის სტრატეგია აქცენტს მასწავლებლის როლზე აკეთებს, მეორე ტიპის

სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს მოსწავლეების მეტად აქტიურობასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. აქედან გამომდინარე, მკვლევრები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, ვიდრე არაპირდაპირი. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია ან მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას (მური, 2009; მუისი და რეინოლდსი, 2005).

პირდაპირი სწავლების დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ეფექტურია ინფორმაციის მოსწავლეებისათვის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით. ამიტომ კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნის გადაცემისას. პირდაპირი სწავლება ნაკლებად ეფექტურია შედარებით მაღალი სააზროვნო უნარების, მაგალითად, ანალიზისა და შეფასების უნარების განსავითარებლად. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება არაპირდაპირი სწავლების მეთოდები, რომლებიც მოსწავლეს უფრო მეტ სტიმულს აძლევს, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გაანალიზოს, დაასკვნას და განაზოგადოს. გარდა ამისა, არაპირდაპირი სწავლებით მოსწავლეს კვლევაძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები უვითარდება.

საგულისხმოა ისიც, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის. ხშირად ორივე სტრატეგია ერთი და იმავე გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. მაგალითად, მასწავლებელმა გაკვეთილი შეიძლება ლექციური მეთოდით დაიწყოს და ამ გზით მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში გამოიყენოს მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი. ის, თუ რომელი მიდგომა და მეთოდი უნდა

გამოიყენოს მასწავლებელმა ამა თუ იმ გაკვეთილზე, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, როგორცაა მაგალითად: საგანი, მოსწავლეთა ასაკი, კონკრეტული სასწავლო მიზანი, სწავლების საფეხური, კლასი, მოსწავლეების ტიპი, დრო და ა.შ. ამასთან, სწავლების სტრატეგიების ცვლა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

პირდაპირი სწავლება

პირდაპირი სწავლების მეთოდს ხშირად კლასის ერთობლივი სწავლების მეთოდსაც უწოდებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ტიპის სწავლებისას მასწავლებელი მთელ კლასთან ერთდროულად მუშაობს და ყველა მოსწავლეს ერთდროულად აწვდის მასალას. პირდაპირი სწავლების მრავალ სახეს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია **ლექცია**, რომელსაც სხვადასხვა სიხშირით ყველა მასწავლებელი იყენებს.

ლექციის ტიპის გაკვეთილს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს, რომლებიც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ლექციის ტიპის გაკვეთილის დადებითი მხარეა ის, რომ ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დიდი მოცულობის ინფორმაცია ერთდროულად მიანოდოს მოსწავლეებს, ასევე, ეფექტურად შეაჯამოს გაკვეთილი. ლექციის მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე მასწავლებელს დროს აზოგინებს, თუმცა გაკვეთილამდე სერიოზულ მომზადებას და დაგეგმვას საჭიროებს. ლექციის მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მიდგომით მოსწავლეები პასიურად სწავლობენ, ასევე დაბალია მოსწავლეთა ჩართულობის დონე. მოსწავლეებს მოეთხოვებათ ისხდნენ მშვიდად, უხმაუროდ და ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ლექციის ტიპის გაკვეთილი ხშირად მოსაწყენია მოსწავლეებისათვის, რის გამოც ხშირად

მათ დაბალი მოტივაცია აქვთ, ასევე დიდია დისციპლინის დარღვევების ალბათობა.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადად პირდაპირი სწავლების მეთოდით გაკვეთილის ჩატარების ეფექტურობას. **წარმატებისათვის აუცილებელია, რომ გაკვეთილი კარგად იყოს სტრუქტურირებული და მიზნები მკაფიოდ განსაზღვრული.** მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას ძირითად საკითხებს და გაკვეთილის ბოლოს შეაჯამოს მთავარი მასალა. მასალა ეტაპობრივად უნდა მიენოდოს მოსწავლეებს. შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე, მოსწავლეებმა უნდა განიმტკიცონ მიღებული ცოდნა. ლექციური ტიპის გაკვეთილზე განსაკუთრებით ეფექტურია დამხმარე ვიზუალური მასალის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა გაკვეთილის პროცესში აქტიურ ჩართვას.

მარტივად სტრუქტურირებული გაკვეთილი

მარტივად სტრუქტურირებული გაკვეთილი ხელს უწყობს მოსწავლეებს, ადვილად გაიგონ მინოდებული ინფორმაციის შინაარსი და ის ეფექტურად დააკავშირონ მანამდე მიღებულ ცოდნასთან. მრავალი მკვლევრის აზრით, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გაკვეთილს წინა გაკვეთილზე განვლილი მასალის მიმოხილვით დაიწყებს. შესაძლებელია საშინაო დავალების განხილვაც, ამით მასწავლებელი დაადგენს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა (მუისი და რეინოლდსი, 2005).

მოსწავლეებისთვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს გაკვეთილის მიზნები. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილი შემდეგი სიტყვებით დაიწყოს „დღეს ჩვენ ვისაუბრებთ...“, „დღევანდელი გაკვეთილის თემა იქნება...“ და სხვ. სევე, შესაძლებელია განსახილველი თემების დაფაზე

ჩამონერაც. გაკვეთილის მსვლელობისას საჭიროა, რომ მასწავლებელმა რამდენჯერმე გაამახვილოს ყურადღება ძირითად საკითხებზე. ერთი და იმავეს რამდენჯერმე გამეორება ხშირ შემთხვევაში ეფექტური სტრატეგიაა და მასალის ათვისებას უწყობს ხელს. სასურველია, რომ გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა განვლილი მასალა შეაჯამოს. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რა შეისწავლეს იმ დღეს. ამავე ხერხით შესაძლებელია გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილში განვლილ მასალასთან მიბრუნება. როდესაც გაკვეთილი განსხვავებულ ფაზაში გადადის, მაგალითად, იგეგმება ახალი მასალის ახსნა ან უკვე განვლილი თემის მიმოხილვა, საჭიროა მასწავლებელმა მოსწავლეებს ამის შესახებ აცნობოს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, არა მარტო კარგად დაიმახსოვრონ განვლილი მასალა, არამედ მთლიანობაშიც აღიქვან ის.

შედარებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის (მაგალითად, ნესების) სწავლებისას, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გამოყოფს ძირითად საკითხებს და რამდენჯერმე გაიმეორებს მათ. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა მეთოდის, ასევე ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს განსხვავებული ათვისების უნარის მქონე ბავშვებს მასალის უკეთესად გააზრებაში.

სასურველია, მასალა მოსწავლეებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიენოდოს, მათი განვითარებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით. ეს დაეხმარება მოსწავლეებს შეთავაზებული მასალის შინაარსის უკეთესად ათვისებაში. ასევე საგულისხმოა, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს ინფორმაცია ნათლად და ხალისით მიანოდოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ერთ კონკრეტულ სფეროზე და მოერიდოს ბუნდოვან ფრაზებსა და გამონათქვამებს.

არსებობს გზები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გაკვეთილის ახსნის პროცესი უფრო მკაფიო გახდეს.

განასახვავებენ მასალის მინოდების ორ ტრადიციულ მიდგომას: **დედუქციურსა და ინდუქციურს.**

◆ **დედუქციური მიდგომით ჩატარებული გაკვეთილი იწყება ზოგადი ცნებების განმარტებით, რის შემდეგაც მასწავლებელი გადადის უფრო კონკრეტული საკითხების განხილვაზე.** მაგალითად, დემოკრატიის სწავლებისას მასწავლებელი თავდაპირველად განიხილავს ზოგადად დემოკრატიას, დემოკრატიის მნიშვნელობას და შემდეგ ცდილობს, ისაუბროს კონკრეტული პოლიტიკური სისტემებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიაზე.

◆ **ინდუქციური მიდგომით მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს და შემდეგ განაზოგადებს მათ.** თუ იმავე მაგალითს გამოვიყენებთ, მასწავლებელს შეუძლია განიხილოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წყობის მოდელები და ამის შემდეგ გამოყოს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად დემოკრატიული მმართველობისათვის.

ინდუქციური და დედუქციური მიდგომის გარდა, მკვლევრები გვთავაზობენ გაკვეთილის სტრუქტურირების კიდევ რამდენიმე სტრატეგიას (ბორიხი, 1996):

◆ **ნაწილი-მთელის ფორმატი.** ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მასწავლებელი თემას ხსნის ზოგადად და შემდეგ საკითხს შემადგენელ ნაწილებად ყოფს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ საკითხის გამოყოფილი ნაწილები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული მთელთან (ზოგადთან). მაგალითად, ზმნის კავშირებითი კილოს ახსნისას, მასწავლებელი ჯერ ზოგადად ხსნის, თუ რას ნიშნავს ეს გრამატიკული კატეგორია და შემდეგ მოსწავლეებს აცნობს კონკრეტულ წესებს, რა შემთხვევაშიც ხდება კავშირებითი კილოს გამოყენება.

◆ **მიმდევრობითი წყობა.** ამ სტრატეგიის თანახმად, შინაარსის/წესების ახსნა ხდება იმ რიგითობის დაცვით,

რომლითაც ისინი რეალობაში გვხვდება. ეს მიდგომა ხშირად საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას გამოიყენება, ნიმუშად შესაძლოა გამოდგეს ლითონის მიღების პროცესი: მასწავლებელი განიხილავს ყოველ ეტაპს რკინის საბადოში ლითონის მოპოვებით დაწყებული, მზა პროდუქტის მიღებით დასრულებული.

◆ **კომბინირება.** ამ სტრატეგიის გამოყენებით მასწავლებელი ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ტიპის გადამწყვეტილებას, ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს ამა თუ იმ მოვლენაზე/ფაქტზე. მაგალითად, სამართლის საკითხების სწავლებისას მასწავლებელს შეუძლია იმ გარემოებებისა და ფაქტორების განხილვა, რომლებიც კონკრეტული კანონის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

◆ **შედარებითი კავშირები.** ამ სტრატეგიის გამოყენებისას ხდება მასალის ნაწილების ისე წარმოდგენა, რომ მოსწავლეებს მიეცეთ მათი ერთმანეთთან შედარებისა და შეპირისპირების საშუალება. მაგალითად, ლიტერატურის სწავლებისას ხდება ორი განსხვავებული ლიტერატურული ჟანრის ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება (მოთხრობისა და ნოველის, ლირიკული ლექსისა და პოემის შედარება).

გაკვეთილის ტემპი

პირდაპირი სწავლებისთვის მნიშვნელოვან საკითხს გაკვეთილის ტემპი წარმოადგენს. თავდაპირველად მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ გაკვეთილის ტემპი სწრაფი უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე არ დაკარგავდა ინტერესს ახალი მასალის მიმართ და მასწავლებელს შედარებით დიდი მოცულობის მასალის სწავლების საშუალება მიეცემოდა (მუისი და რეინოლდსი, 2005). აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ეფექტურია დაწყებით კლასებში, სადაც ხდება ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ხოლო ზედა კლასებში, სადაც გაკვეთილის შინაარსი შედარებით რთულია,

საჭიროა მოსწავლეებისთვის მეტი დროის გამოყოფა იმ მიზნით, რომ მათ უკეთესად გაიაზრონ მოწოდებული მასალა.


მოდელირება

გარკვეული ტიპის მასალის ახსნისას მნიშვნელოვანია მასალის ან პროცედურის თვალსაჩინო წარმოდგენა ანუ მოდელირება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისთვის პროცედურის დემონსტრირებას. ეს შესაძლოა უფრო ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე სიტყვიერი განმარტებების გამოყენება, განსაკუთრებით კი ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც სწავლების ვიზუალურ მეთოდს არჩევენ. მოდელირება ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: მასწავლებელი ახდენს პროცესის, რაიმე აქტივობის დემონსტრირებას. შემდეგ ამ კონკრეტულ აქტივობას მასწავლებელი უკავშირებს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც მოსწავლეები უკვე ფლობენ. საჭიროა, რომ მასწავლებელმა ნათლად და სტრუქტურირებულად განიხილოს ამ აქტივობის სხვადასხვა ეტაპი. მასწავლებელმა უნდა განმარტოს, თუ რას აკეთებს იგი ყოველი ეტაპის შემდგომ. მოსწავლეებმა უნდა დაიმახსოვრონ ეს ნაბიჯები და სცადონ მათი გამეორება/მიბაძვა.

კონცეპტუალური რუკის გამოყენება

კონცეპტუალური რუკა გულისხმობს კონცეპტუალური ნახაზის/გეგმის შექმნას, რაც შეიძლება ძალიან დაეხმაროს მოსწავლეებს ახალი მასალის ათვისებაში. მასწავლებელმა კონცეპტუალური რუკა სასურველია მოსწავლეებს ახალი მასალის ახსნამდე მიაწოდოს. რუკის დახმარებით მოსწავლე ეცნობა ასახსნელი მასალის შემადგენელ ნაწილებსა და საკვანძო საკითხებს. ეს ეხმარება მოსწავლეებს ცნებების დამახსოვრებასა და სხვადასხვა მასალის ერთმანეთთან დაკავშირებაში.

კონცეპტუალური რუკის ნიმუში



პირდაპირი სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დამოუკიდებელი მუშაობა, თუმცა ამ პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად გარკვეული წინაპირობებია საჭირო. დამოუკიდებელი მუშაობა კარგად უნდა იყოს დაგეგმილი მასწავლებლის მიერ და უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეების შესაძლებლობებს.

დამოუკიდებელი მუშაობისათვის მზადებისას მნიშვნელოვანია, რომ მთელი პროცესის განმავლობაში მოსწავლეებს სამუშაოსათვის საკმარისი მასალა ჰქონდეთ. თუ მოსწავლეებს ფურცლებზე უნევთ მუშაობა, საჭიროა ფურცლების მომარაგება იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მათგანი დროზე ადრე დაასრულებს თავის სამუშაოს და სხვა აქტივობაზე გადავა. თუ სამუშაო ითვალისწინებს ინვენტარის გამოყენებას (მაგალითად, მაკრატლები, სახაზავები და სხვ.), საჭიროა, რომ მასწავლებელს ისინი საჭირო რაოდენობით ჰქონდეს მომარაგებული.

დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაო მჭიდრო კავშირში უნდა იყოს გაკვეთილის მიზანთან და მიმდინარე გაკვეთილზე ასათვისებელ მასალასთან. მოსწავლეებმა დამოუკიდებელი მუშაობა უნდა დაიწყონ უშუალოდ გამოკითხვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები ნაკლებ შეცდომას დაუშვებენ და მათ გაუჩნდებათ შეგრძნება, რომ კარგად დაეუფლნენ მასალას (მუისი და რეინოლდსი, 2005).

ხშირად დამოუკიდებლად მუშაობისას, მოსწავლეებს უნევთ სახელმძღვანელოებში მოცემული სავარჯიშოების შესრულება. ამას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. სახელმძღვანელოებისა და ბუკლეტების გამოყენება დამოუკიდებლად მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. აღსანიშნავია, რომ კარგად ილუსტრირებულმა სახელმძღვანელოებმა შესაძლოა მოსწავლეების (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლეების) მოტივაცია გაზარდოს. თუმცა, აუცილებელია, რომ სახელმძღვანელოში არსებული ილუსტრაციები შეესაბამებოდეს მოსწავლეების განვითარების დონეს, გაკვე-

თილის მიზნებს თუ კონკრეტულ გაკვეთილზე ასათვისებელ მასალას.

როგორც გაკვეთილის დაწყების წინ, ასევე დამოუკიდებლად მუშაობის დაწყებამდე აუცილებელია, რომ მასწავლებელმა მკაფიოდ განუმარტოს მოსწავლეებს დაგეგმილი პროცესის მიზნები. ზოგჯერ ეს საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა არ იფიქრონ, რომ დამოუკიდებლად მუშაობის მეშვეობით მასწავლებელი ცდილობს გაკვეთილის დასრულებამდე დარჩენილი დროის შევსებას.

საჭიროა, რომ მოსწავლემ კარგად გაიგოს, თუ რა ევალება მუშაობისას. თუ მუშაობის დაწყების შემდეგ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ მოსწავლეებმა ვერ გაიაზრეს, ზუსტად რა ევალებათ, მასწავლებელს შეუძლია ხელმეორედ აუხსნას, თუ რა მოეთხოვებათ დამოუკიდებლად მუშაობისას. **იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგონ, რისი გაკეთება ევალებათ, სასურველია მასწავლებელმა პირველი დავალება მთელ კლასთან ერთად შეასრულოს.** მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, რომ ისინი შეძლებენ ამ ტიპის დავალებებთან გამკლავებას.

მასწავლებელი გამუდმებით უნდა აკონტროლებდეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობისას. მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეები დავალებებზე მუშაობენ და მათ კარგად ესმით, რაც მოეთხოვებათ. თუ მოსწავლეებს უჭირთ დავალების შესრულება, საჭიროა მასწავლებელი უშუალოდ ჩაერთოს პროცესში და დაეხმაროს მათ. თუ მოსწავლეების მნიშვნელოვან რაოდენობას ერთი ტიპის პრობლემა აქვს, საჭიროა მასწავლებელმა შეაჩეროს მუშაობა და ყველას ერთად მისცეს განმარტება. ამის შემდეგაც მოსწავლეებმა უნდა განაგრძონ მუშაობა. აუცილებელია, რომ მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ მასწავლებლისთვის დახმარების თხოვნა.

მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ დიდი დრო არ დაუთმოს მოსწავლესთან ან მოსწავლეების ჯგუფთან ინდი-

ვიდუალურ ურთიერთობას, რადგან ამ დროს მას უყურადღებოდ რჩება კლასის დანარჩენი ნაწილი. კონკრეტული მოსწავლისათვის დახმარების განევისას მასწავლებელმა დროდადრო ყურადღება უნდა მიაქციოს დანარჩენ მოსწავლეებსაც. ზოგიერთ გაკვეთილზე შესაძლოა ეფექტური იყოს, თუ მასწავლებელი კლასში სიარულისას პარალელურად მოსწავლეების ნაშრომებს შეამონმებს. ამ დროს მიუღებელია, რომ მასწავლებელი თავის მაგიდასთან იჯდეს და ელოდებოდეს, სანამ რომელიმე მოსწავლეს პრობლემა შეექმნება და მასწავლებელს მიაკითხავს (მუისი და რეინოლდსი, 2005).

მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, თუ რა შემთხვევაში არის დაშვებული საუბარი დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში. თავისთავად დამოუკიდებელი მუშაობა თანამშრომლობითი საქმიანობაა და საუბარიც ხშირ შემთხვევაში დაშვებულია, თუმცა, დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლოა მასწავლებელმა შეზღუდოს საუბარი. საუბრის სიხშირესა და ხანგრძლივობას განაპირობებს ის, თუ როგორ გაანაწილებს მასწავლებელი მოსწავლეებს კლასში — მოსწავლეების მაგიდის ირგვლივ განთავსება ხელს შეუწყობს საუბარს, ხოლო მათი ინდივიდუალურად განთავსება ერთ მწკრივად, გაართულებს მას.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა არ აღიქვან დამოუკიდებელი მუშაობის პროცესი, როგორც დროის გასაყვანი აქტივობა, აუცილებელია, მათ მასწავლებლისგან მიიღონ კომენტარი შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ეს შესაძლებელია რამდენიმე საშუალების გამოყენებით; დამოუკიდებელი მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია ჩამოიაროს და შეფასებები დაუნეროს ან სიტყვიერად გააცნოს საკუთარი აზრი მოსწავლეებს. მასწავლებელს შეუძლია აგრეთვე მოსწავლეებს სთხოვოს ერთმანეთის ნაშრომების შემოწმება. მასწავლებელს შეუძლია ასევე ჩაიბაროს ნაშრომები და მოგვიანებით გაასწავლოს ისინი. საკმაოდ ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს საკუთარ

კომენტარს აცნობს მათი ნაშრომების შესახებ. მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, რომ მათ ხმამაღლა თქვან თავიანთი პასუხები ან სამუშაო ჯგუფის შემთხვევაში, თითოეულმა ჯგუფმა გამოხატოს თავისი აზრი. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ დამოუკიდებელი მუშაობისას მოსწავლეებს რთული დავალებები არ მისცეს. სასურველია, თუ ბავშვები წარმატებით გაართმევენ თავს დავალებების 60 - 90 პროცენტს (მუისი და რეინოლდსი, 2005).

მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა გადანყვიტოს, მოახდინოს თუ არა **დავალებების დიფერენცირება**. თუ მასწავლებელი დიფერენცირების მეთოდს აირჩევს, მას შესაძლებლობა ექნება, ესა თუ ის დავალება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს მიუსადაგოს. **ეს ხერხი ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლეების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია**. დავალებების დიფერენცირების კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გაუნანილოს დავალებები ერთი სფეროდან, ერთი პრობლემის ირგვლივ და გაკვეთილის ბოლოს მთლიანობაში, კომპლექსურად განიხილოს მათ მიერ შესრულებული სამუშაო. ეს მეთოდი აჩვენებს მოსწავლეებს თანამშრომლობისა და ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობას.

პირდაპირი სწავლების მეთოდის უარყოფითი მხარეები

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი სწავლების მეთოდი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ფართოდ გავრცელებული მეთოდია, იგი არ არის საუკეთესო ხერხი ყველა სიტუაციისათვის. კვლევებმა აჩვენა, რომ პირდაპირი სწავლება საუკეთესო საშუალებაა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის წესების, პროცედურებისა და ძირითადი ჩვენების სწავლებისათვის (გუდი და ბროფი, 1986). თუმცა,

როდესაც გაკვეთილის მიზნები უფრო რთული და ზოგადი ხასიათისაა (მაგალითად, მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარება), პირდაპირი სწავლება შედარებით ნაკლებად ეფექტურია.

პირდაპირი სწავლების მეთოდის კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ამ მეთოდით მოსწავლეების როლი სასწავლო პროცესში შეიძლება თანდათან პასიური გახდეს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მასწავლებელზე ზედმეტად დამოკიდებულება და ხელი შეუშალოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას.

პირდაპირი სწავლების მეთოდის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია ძირითადად მარტივი შინაარსის მქონე ინფორმაციის გადასაცემად. ზოგჯერ პირდაპირი სწავლება შესაძლოა გადაიზარდოს მოსაწყენ მონოლოგში. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში **პირდაპირი სწავლების მეთოდის გამოყენების საჭიროება უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებს.**

შეჯამება:

- ✓ მკვლევრები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, ვიდრე არაპირდაპირი.
- ✓ პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია ან მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას.
- ✓ პირდაპირი სწავლების დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ეფექტურია ინფორმაციის მოსწავლეებისათვის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით.
- ✓ პირდაპირი სწავლება ნაკლებად ეფექტურია შედარებით მაღალი სააზროვნო უნარების, მაგალითად, ანალიზისა და შეფასების უნარების განსავითარებლად. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება არაპირდაპირი სწავლების მეთოდები, რომლებიც მოსწავლეს უფრო მეტ სტიმულს აძლევს, მოიძიოს ინფორმაცია, და დასკვნები და განზოგადებები თავად გამოიტანოს.
- ✓ პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის, ხშირად ორივე მეთოდი ერთი და იმავე გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა.
- ✓ პირდაპირი სწავლების მეთოდს ხშირად აქტიური სწავლებისა და კლასის ერთობლივი სწავლების მეთოდსაც უწოდებენ.

- ✓ პირდაპირი სწავლების მრავალ სახეს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია *ლექცია*, რომელსაც სხვადასხვა სიხშირით ყველა მასწავლებელი იყენებს.
- ✓ ლექციის მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე მასწავლებელს დროს აზოგვინებს, თუმცა გაკვეთილამდე სერიოზულ მომზადებას და დაგეგმვას საჭიროებს.
- ✓ ლექციის მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მიდგომით მოსწავლეები პასიურად სწავლობენ, ასევე, დაბალია მოსწავლეთა ჩართულობის დონე.
- ✓ განასხვავებენ მასალის მიწოდების ორ ტრადიციულ მიდგომას: დედუქციურ და ინდუქციურ მიდგომას.
- ✓ დედუქციური მიდგომით ჩატარებული გაკვეთილი იწყება ზოგადი ცნებების განმარტებით, რის შემდეგაც მასწავლებელი გადადის უფრო კონკრეტული საკითხების განხილვაზე.
- ✓ ინდუქციური მიდგომით მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს და შემდეგ განაზოგადებს მათ.
- ✓ ინდივიდუალური მუშაობა, როგორც პირდაპირი სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, კარგად უნდა იყოს დაგეგმილი მასწავლებლის მიერ და უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეების შესაძლებლობებს.
- ✓ პირდაპირი სწავლების მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მეთოდით მოსწავლეების როლი სასწავლო პროცესში შეიძლება თანდათან პასიური გახდეს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მასწავლებელზე ზედმეტად დამოკიდებულება და ხელი შეუშალოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება.

თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის:

მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Borich, G. (1996). *Effective Teaching Methods* (Third Edition). New York: Macmillan

Good, T. L., & Brophy, J.E. (1996). *Looking in Classrooms* (sixth edition). New York: Harper Row

Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications

Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

IV თავი

ინტერაქტიული სწავლება

ძირითადი საკითხები:

- ◆ ინტერაქტიული გაკვეთილის ნაწილები;
- ◆ მოსწავლეთა გამოკითხვის ეფექტური სტრატეგიები;
- ◆ საკლასო დისკუსია;
- ◆ ინტერაქტიული სწავლების გამოწვევები;
- ◆ სიმულაცია და როლური თამაშები.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

ინტერაქტიული სწავლება ფართო ცნებაა და თავის თავში გულისხმობს ეფექტური სწავლების ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა, მაგალითად თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა, საკლასო დისკუსია, დებატები, როლური თამაშები და სხვ. ინტერაქტიული სწავლების დროს სასწავლო პროცესი სასიამოვნო და სახალისოა, მოსწავლეები გაკვეთილის პროცესში აქტიურად არიან ჩართული და სასწავლო მიზნები მაქსიმალურად მიღწეულია.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და მიდგომას, გავეცნობით მასწავლებლის მიერ კითხვების დასმის ეფექტურ ხერხებს, ასევე დისკუსიის დაგეგმვისა და წარმართვის სტრატეგიებს, ვისაუბრებთ როლურ თამაშებზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ინტერაქტიული გაკვეთილის ნაწილები

გამოკითხვა

ინტერაქტიულ გაკვეთილებზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ისეთი ხერხები გამოიყენოს, რომლებიც გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. სასურველია, რომ კლასში იყოს მაქსიმალურად პოზიტიური და, რაც შეიძლება, მოსწავლის მიმართ ნაკლებად კრიტიკული გარემო.

მოსწავლეები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში, თუ იგრძნობენ, რომ არასწორი პასუხის შემთხვევაში ისინი არ დაიმსახურებენ მასწავლებლისგან (ან თანაკლასელებისგან) კრიტიკას. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, გაკვეთილი სასურველია იწყებოდეს განვლილი მასალის მიმოხილვით. ეს გაკვეთილის პირველი ნაწილია, სადაც გამოკითხვა გადამწყვეტ როლს თამაშობს. გამოკითხვა საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის ათვისების შესამოწმებლად. ახალი მასალის მიწოდება სასურველია მოხდეს ეტაპობრივად და თითოეულ ეტაპს მოჰყვებოდეს პრაქტიკული მუშაობა, რომლის დროსაც მოსწავლეები გაიმყარებენ მიღებულ ცოდნას, ხოლო მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, შეამოწმოს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა. შედეგად მასწავლებელი მიხვდება, არის თუ არა საჭირო განვლილი მასალის ხელახლა ახსნა (ნაწილობრივ ან მთლიანად). კარგი იქნება, თუ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წინა გაკვეთილზე შესწავლილი მასალა გაიხსენონ.

გამოკითხვა გაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რამდენიმე მიზეზის გამო:

- ◆ მასწავლებელი მოკლე დროში იღებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა შეთავაზებული მასალა.

- ◆ გამოკითხვა თავად მოსწავლეს ეხმარება განვლილი თემის უკეთ ათვისებაში, რის შემდეგაც მასწავლებელს საშუალება ეძლევა, ახალ მასალაზე გადავიდეს.
- ◆ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა მოსწავლეებს კმაყოფილების განცდას უჩენს, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება თვითშეფასებაზე და ამზადებს მათ ახალ მასალაზე გადასასვლელად.
- ◆ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ აზრი, გაანალიზონ ახალი ინფორმაცია და ცნებები.

მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები

მასწავლებლის მიერ გამოკითხვის პროცესში დასმული შეკითხვები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. არსებობს **რთული და მარტივი კითხვები**, რომლებიც სხვადასხვა საფეხურის სააზროვნო (კოგნიტური) უნარების გამოყენებას მოითხოვს. გარდა ამისა, კითხვები ერთმანეთისაგან ფორმითაც გასხვავდება, მაგალითად, **ღია და დახურული კითხვები**. დახურულ შეკითხვას ერთი კონკრეტული პასუხი აქვს, მაგალითად, *რამდენია ოთხი გამრავლებული რვაზე*, მაშინ, როდესაც ღია შეკითხვას რამდენიმე პასუხი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, *რა განაპირობებს ქვეყანაში დემოკრატიას*.

შედარებით იოლ კითხვებზე პასუხის გაცემა არ მოითხოვს მაღალი საფეხურის სააზროვნო უნარების გამოყენებას მაშინ, როდესაც რთული კითხვები მეტ აზროვნებას მოითხოვს. კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო ეფექტურია მასწავლებელი, მით უფრო ხშირად იყენებს რთულ კითხვებს, თუმცა მაღალი და დაბალი საფეხურის კითხვების შეფარდება დამოკიდებულია გაკვეთილის შინაარსზე (მუისი და რეინოლდსი, 2005). მაგალითად, გამრავლების ტაბულის ცოდნა ითვალისწინებს კითხვების უმრავლესობას დაბალი საფეხურის სააზროვნო

დონიდან, თუმცა, შედარებით რთული კითხვები სამეცნიერო ექსპერიმენტის დაგეგმვის შესახებ ავტომატურად ითვალისწინებს მაღალი საფეხურის სააზროვნო დონეს. სასურველია, რომ მასწავლებელი მაღალი საფეხურის კითხვის დასმის შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებდეს, რათა მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარებას შეუწყოს ხელი.

პროცესსა და შედეგზე ორიენტირებული კითხვები

შედეგზე ორიენტირებული კითხვებით მასწავლებელი იგებს, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს კონკრეტული პრობლემისათვის გამოსავლის მოძებნა, ხოლო პროცესზე ორიენტირებული კითხვების დროს მასწავლებელი არკვევს, რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ის პროცედურები და წესები, რომლებიც სწორი პასუხის დასადგენად გამოიყენება.

ბოლო დროს, საგანმანათლებლო სფეროში აქტიური დისკუსიები იმართება ამ ორი ტიპის შეკითხვების მნიშვნელობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში სასწავლო პროცესში მეტი მნიშვნელობა ენიჭება პროცესზე ორიენტირებულ კითხვებს, რათა მოსწავლეს განუვითარდეს პრობლემის გადაჭრის უნარი. ამ ტიპის კითხვების სასარგებლოდ, ძირითადად, ის არგუმენტი მოჰყავთ ხოლმე, რომ სწრაფადცვალებად სამყაროში პროცესში გარკვევის უნარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტობრივი ცოდნის დაგროვება.

კვლევებმაც ცხადყო, რომ წარმატებული მასწავლებლები როგორც შედეგზე, ასევე პროცესზე ორიენტირებულ შეკითხვებს სვამენ (მუისი და რეინოლდსი, 2005). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც, შეკითხვების თანაფარდობა დამოკიდებულია გაკვეთილის თემატიკასა და მიზნებზე. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ შედეგზე ორიენტირებული შეკითხვები, როგორც წესი, დახურული და დაბალი საფეხურისაა. მაშინ, როცა პროცესზე ორიენტირებული შე-

კითხვები, ძირითადად, ღია და მაღალი საფეხურის კატეგორიას განეკუთვნება.

მოსწავლეთა გამოკითხვის ეფექტური სტრატეგია

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეკითხვაზე სწორ პასუხს გასცემს?

როდესაც მოსწავლე სწრაფად და სწორად პასუხობს, მასწავლებელმა მაშინვე უნდა დაადასტუროს პასუხის სისწორე, მაგრამ გადამეტებული და ემოციური შექება საჭირო არ არის, რადგან ამან შეიძლება გაკვეთილის მსვლელობის შეფერხება გამოიწვიოს. მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ზოგჯერ მასწავლებლის მხრიდან თავის დაკვრა ან რაიმე დამადასტურებელი შესტიც კი საკმარისია.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეყოვნდება, მაგრამ მაინც სწორ პასუხს გასცემს?

თუ მოსწავლე შეყოვნდება და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს სწორ პასუხს — რაც ხშირად ხდება ახალი მასალის სწავლისას — საჭიროა, რომ მასწავლებელმა დადებითი უკუკავშირი მიანოდოს მას. ამ შემთხვევაში უკუკავშირი სასურველია იყოს უფრო მკაფიო, ვიდრე მაშინ, როცა მოსწავლემ სწორი პასუხი სწრაფად გასცა. მკაფიო და დადებითი უკუკავშირი დაეხმარება მოსწავლეს იმის დამახსოვრებაში, რომ მან ნამდვილად სწორი პასუხი გასცა. შედეგად, როდესაც მომავალში იგივე კითხვა იქნება დასმული, მოსწავლე მეტი თავდაჯერებულობით გასცემს მასზე პასუხს. თუ მოსწავლეები ხშირად ყოვნდებიან კონკრეტული საკითხის ირგვლივ კითხვებზე პასუხის

გაცემისას, მასწავლებელმა უნდა დაადგინოს ამის მიზეზები და, შესაძლოა, საჭირო გახდეს ამ მასალის ხელახლა ახსნა.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეკითხვაზე არასწორად გასცემს პასუხს?

შესაძლებელია **ორი ტიპის არასწორი პასუხის** გამოყოფა:

- არასწორი პასუხები, რომლებიც განპირობებულია დაუდევრობით, სიჩქარით ან არასაკმარისი დაფიქრებით.
- არასწორი პასუხები, რომლებიც გამომწვეულია იმით, რომ მოსწავლეს არ ესმის, ან ვერ გაიგო მასალა.

ორივე შემთხვევაში მასწავლებელმა ყოველგვარი კრიტიკის გარეშე უნდა აღნიშნოს, რომ პასუხი არასწორია.

შესაძლოა, რთული იყოს ამგვარი ქცევა ისეთი შემთხვევებისას, როდესაც არასწორი პასუხი გამომწვეულია დაუდევრობით, თუმცა კრიტიკა ნაკლებად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს. კერძოდ, მოსწავლე უარყოფითად განწყობა მასწავლებლის მიმართ და კიდევ უფრო ნაკლებ ძალისხმევას გამოიჩინებს კონკრეტული საგნის ასათვისებლად. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლემ შეკითხვას არასწორი პასუხი გასცა, მან მაშინვე ყურადღება უნდა გადაიტანოს სხვა მოსწავლეზე.

მასწავლებელმა განსხვავებული სტრატეგია უნდა აირჩიოს, თუ არასწორი პასუხის მიზეზი გახდა ის, რომ მოსწავლეს არასაკმარისად ესმის ესა თუ ის საკითხი/თემა. ასეთ შემთხვევაში სასურველია, თუ მასწავლებელი გაამარტივებს შეკითხვას, ან მოსწავლეს გარკვეულ მინიშნებებს მისცემს, რათა ის მსჯელობისა და დაფიქრების გზით მივიდეს სწორ პასუხამდე. თუ ამ მეთოდმაც არ გამოიღო შედეგი, მასწავლებელს შეუძლია, სხვა მოსწავლეს მიმართოს იმავე კითხვით. როდესაც ამის შესაძლებლობაა,

მასწავლებელი ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ თვითონ კი არ გასცეს კითხვას სწორი პასუხი, არამედ სხვა მოსწავლეს მისცეს საშუალება გაასწოროს მცდარი პასუხი.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მოსწავლე შეკითხვაზე ნაწილობრივ სწორად გასცემს პასუხს?

როდესაც მოსწავლე ნაწილობრივ სწორად სცემს კითხვაზე პასუხს, საჭიროა, მასწავლებელმა აღნიშნოს, თუ პასუხის რა ნაწილი იყო სწორი და, შესაბამისად, რა ნაწილი მცდარი, რათა მოსწავლეებს შორის შესაძლო დაბნეულობა თავიდან აიცილოს. ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეს საშუალება, შეასწოროს პასუხის ის ნაწილი, რომელიც არასწორი იყო. თუ ამ მეთოდმა არ გაამართლა, მასწავლებელმა დახმარება სხვა მოსწავლეს უნდა სთხოვოს. თუმცა, სანამ ამ ხერხს მიმართავს, მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ კითხვის არასწორი ნაწილი სწორედ იმ მოსწავლემ გამოასწოროს, რომელმაც ეს პასუხი გასცა.

მოსწავლის დახმარება შეხსენებით

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე არასწორად პასუხობს შეკითხვაზე, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს არასწორი პასუხის გამოსწორების სურვილი აღუძრას. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა **სიტყვიერი დახმარება**. ეს, შესაძლოა, გაკეთდეს მინიშნებებისა და განვლილი მასალის შეხსენების გზით. სიტყვიერი დახმარების მაგალითებია: „რა იყო ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო პირველი ნაბიჯი, რომელიც განვიხილეთ?“ „გახსოვთ, რა გავაკეთეთ გუშინ ექსპერიმენტის დროს?“ და ა.შ. მასწავლებლები ხშირად ჟესტიკულაციით ეხმარებიან და ბიძგს აძლევენ მოსწავლეებს. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია, მიუთითოს მოსწავლეს იმ ინსტრუ-

მენტზე, რომლის გამოყენებაც საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, სახაზავი ან მიკროსკოპი), ან ისეთი ქცევის მოდელირება, როგორცაა სანერი კალმის სწორად დაჭერა. დანყებით კლასებში, შეიძლება, საჭირო გახდეს მითითება უშუალო მოქმედებით. ასეთი შემთხვევებია, მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ასოებისა და ციფრების დასაწერად არ აქვს საკმარისად განვითარებული მოტორული უნარები სანერი კალმის ხელში დასაკავებლად. ამ დროს, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეს ხელი მოჰკიდოს და დაეხმაროს საჭირო ფორმების შემოხაზვაში.

მინიშნებითა და შეხსენებით დახმარების დროს, მასწავლებელმა ამ მეთოდის უარყოფითი ეფექტიც უნდა გაითვალისწინოს, რაც შემდეგში გამოიხატება: არსებობს რისკი, რომ მოსწავლე ზედმეტად დამოკიდებული გახდეს მასწავლებლის მითითებებსა და შეხსენებებზე, რაც დამოუკიდებელ მოქმედებასა და აზროვნებაში ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს.

რა დრო უნდა მისცეს მასწავლებელმა მოსწავლეს პასუხის მოსაფიქრებლად?

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საჭიროა, მასწავლებელმა შეინარჩუნოს გაკვეთილის ტემპი და თავიდან აიცილოს არასასურველი სიჩუმე კლასში, ამავდროულად, საკმარისი დრო უნდა მისცეს მოსწავლეებს პასუხის მოსაფიქრებლად. სწორედ ამიტომ, მოსაფიქრებელი დრო დამოკიდებული უნდა იყოს კითხვაზე. თუ კითხვა არჩევითაა პასუხიანია და ფაქტობრივი ცოდნის შემონახვას ისახავს მიზნად, მოსაფიქრებლად სამი წამი სავსებით საკმარისია. ღია, რთულ კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად საჭიროა თხუთმეტი წამი. ამაზე მეტი დროის მიცემამ, შეიძლება, სხვა მოსწავლეებში მოუხვეწრობა გამოიწვიოს. შესაბამისად, დროის ამონურვის შემდეგ, საჭიროა მოსწავლისათვის მინიშნებების გაკეთება.

ამ საკითხზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დამწყები მასწავლებლები უფრო ხშირად არასაკმარის დროს აძლევენ მოსწავლეებს პასუხის მოსაფიქრებლად.

რა შემთხვევაში ითვლება განვლილი მასალა ათვისებულად?

განვლილი მასალა ათვისებულად რომ ჩაითვალოს, კითხვების უმრავლესობას უნდა მოჰყვეს სწრაფი, სწორი და ნათელი პასუხი. თუ მოსწავლეების 95 პროცენტი სწორ პასუხს გასცემს შეკითხვებს, ეს ნიშნავს, რომ მასალა ძალიან კარგადაა ათვისებული. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ღია კითხვებს ხშირად რამდენიმე სწორი პასუხი აქვს და მასწავლებლის შეფასება – „პასუხი სწორია, ჭეშმარიტია“ ან „პასუხი არასწორია, მცდარია“ – არ იყოს მართებული. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ მასწავლებელმა ნებისმიერი სწორი პასუხი მიიღოს, მიუხედავად სხვა პასუხის მოლოდინისა. ამის შემდეგ, მასწავლებელს შეუძლია, მინიშნებების მეშვეობით მოსწავლე ალტერნატიულ პასუხამდე მიიყვანოს (მაგალითად: „პასუხი სწორია. არსებობს თუ არა ამ შედეგის მიღების კიდევ სხვა საშუალება/მეთოდი?“).

საკლასო დისკუსია

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას. ვაკვეთილზე დისკუსია, შესაძლოა, ორ, სხვადასხვა სახის გარემოში წარიმართოს: **თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის, ან მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.** ამ ნაწილში, ძირი-


თადად, საუბარი იქნება დისკუსიების შესახებ მთელი კლასის მონაწილეობით.

დისკუსიამ საკლასო ოთახში, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სწავლების რამდენიმე ძირითად მიზანს:

1. დაეხმაროს მოსწავლეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილის მსვლელობაში საკუთარი აზრის გამოხატვის გზით;
2. დაეხმაროს მოსწავლეებს, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში;
3. ხელი შეუწყოს მოსწავლეებს სასწავლო მასალის ათვისებაში მისი კრიტიკული გააზრების გზით;
4. დაეხმაროს მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

დისკუსია უნდა იყოს კარგად მომზადებული და სასურველია ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, თუმცა, შესაძლებელია ახალი თემის/საკითხის ირგვლივ საკლასო დისკუსიის მოწყობაც. ასევე, შესაძლებელია, რომ დისკუსია მოჰყვეს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ პრეზენტაციას. დისკუსიის წარმატებით წარმართვისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კლასში მერხების განლაგება. **მერხების წრიული განლაგება მასწავლებელს მისცემს საშუალებას, დაინახოს მთელი კლასი და გააკონტროლოს, რამდენად არის ყველა მოსწავლე დისკუსიაში ჩართული.** გარდა ამისა, მოსწავლეთა წრიული განლაგება იმ პრინციპსაც უსვამს ხაზს, რომ ყველა მოსწავლის მიერ გამოთქმული აზრი თანასწორია და თანაბრად მნიშვნელოვანი. მერხების წრიული განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავისუფლად ესაუბრონ თითოეულს, მოისმინონ ერთმანეთისა და მასწავლებლის აზრი. **გარდა მერხების წრი-**

ული განლაგებისა, დისკუსიის ორგანიზების ერთ-ერთი მიღებული ფორმაა მერხების ოთხკუთხა განლაგებაც. ქვემოთ მოცემული ნახაზები გამოხატავს დისკუსიის დროს კლასში მოსწავლეთა განლაგების წრიულ და ოთხკუთხა სქემებს:



ორივე ნახაზზე გამოსახული მერხების განლაგების სქემა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია ზედმეტი მოძრაობისა და თავის მოტრიალების გარეშე დაამყარონ.

წყარო: მური, კ. დ. (2005). სწავლების ეფექტური სტრატეგიები: თეორიიდან პრაქტიკისაკენ.

იმისათვის, რომ დისკუსია ეფექტური აღმოჩნდეს, საჭიროა, ის ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. საჭიროა, მასწავლებელმა ნათლად და მკაფიოდ განმარტოს დისკუსიის მიზნები. სასურველია, თუ მასწავლებელი დისკუსიას დაიწყებს რამდენიმე მიმანიშნებელი კითხვით და მას მოსწავლეების მიერ განვლილ მასალას დაუკავშირებს. სასურველია მოსწავლეებს წინასწარ ჰქონდეთ დისკუსიის თემასთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნა, რათა მათ შეძლონ მსჯელობა საკითხის გარშემო. დისკუსიის მსვლელობისას აუცილებელია, მასწავლებელმა გააკონტროლოს, რომ მოსწავლეები არ გადაერთონ სხვა საგანზე ან თემაზე. დისკუსიის ძირითადი მიზნების დაფაზე ჩამოწერა

ხაზს გაუსვამს იმ ფაქტს, რომ ეს აქტივობა მიზნად ისახავს ცოდნის მიღებას და თავისუფალი დროის შევსებას არ ემსახურება. ამდენად, დისკუსიის წესების შემუშავება (მაგალითად, ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება) და დაცვა ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ დისკუსია წარმატებით განხორციელდეს საკლასო გარემოში.

დისკუსიის მსვლელობისას საჭიროა, მასწავლებელმა ისეთი რეაგირება მოახდინოს მოსწავლეთა გამონათქვამებსა და იდეებზე, რომ დაეხმაროს ბავშვებს საკუთარი ნათქვამის გააზრებასა და აღქმაში. ეს, შესაძლოა, გაკეთდეს განმარტების თხოვნის გზით: „შეგიძლია, განმიმარტო?“. მოსწავლის იდეაზე ყურადღების გამახვილებით: „ეს საინტერესო იდეაა, ჩემი აზრით, შენ ამით იმის თქმა გსურს, რომ...“. წარმატებული დისკუსიისათვის მნიშვნელოვანია, რომ კლასში მოსწავლეები ერთმანეთის შეხედულებებს პატივს სცემდნენ. რთულია ისეთი დისკუსიის მართვა, როდესაც ჯგუფში რამდენიმე ლიდერია, რომლებიც ერთმანეთთან ვერ თავსდებიან და პატივს არ სცემენ ერთმანეთის მოსაზრებებს.

დისკუსიის დასრულების ბოლოს, სასურველია, თუ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ ჩამოთვლის ძირითად საკითხებს, შეაფასებს პროცესის წარმატებულობას და აღნიშნავს, თუ რა გაკეთდა სწორად და რა საჭიროებს გამოსწორებას. ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია კლასში დისკუსიის მეთოდის გამოყენება, სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანსა და მოსწავლეების კომუნიკაციის უნარებზე.

დისკუსია, ისევე, როგორც ჯგუფური მუშაობის მეთოდი, მოითხოვს გაკვეთილის დანყებამდე საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. მაგალითად, მერხების შესაბამის განლაგებას. ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის, ამიტომ დისკუსიის მეთოდის გამოყენებამდე სასურველია,

მასწავლებელმა კარგად დაგეგმოს პროცესი, რომ მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს.

ინტერაქტიული სწავლების გამოწვევა

ინტერაქტიული სწავლების დროს მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილის პროცესში ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, როგორც გოგონები, ასევე ბიჭები, დაბალი, საშუალო და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეები. ხშირად ხდება, რომ თამამი ბავშვები უფრო აქტიურები არიან და, შესაბამისად, ხშირად ისინი პასუხობენ კითხვებს. ამისაგან განსხვავებით, მორცხვ ბავშვს დისკუსიაში მონაწილეობის სურვილი შეიძლება არ ჰქონდეს, რისი მიზეზიც, შესაძლოა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა იყოს. ამ ტიპის პრობლემების თავიდან აცილება შესაძლებელია მასწავლებლის სწორი რეაგირების შემთხვევაში.

გამოკითხვისას მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ მაქსიმალურად ყველა მოსწავლე იყოს აქტიური და გასცეს პასუხი დასმულ შეკითხვებს. მასწავლებელმა უნდა აკონტროლოს, რომ დისკუსიაში ყველა მოსწავლე იყოს ჩართული ამის მიღწევის რამდენიმე მეთოდი არსებობს. მასწავლებელს შეუძლია, სწრაფად დაუსვას ყველა მოსწავლეს კითხვები, აგრეთვე შესაძლებელია, რომ მასწავლებელს თავის მაგიდაზე ჰქონდეს მოსწავლეთა სია, რომელშიც ჩაინიშნავს, თუ რომელმა მოსწავლემ გასცა პასუხი კითხვაზე და ამით გააკონტროლებს, თითოეული მოსწავლის ჩართულობას სწავლის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ დანყებით კლასებში მასწავლებელმა აღკვეთოს პასუხების წამოძახება, რადგან ასეთ დროს მხოლოდ აქტიური მოსწავლეები იღებენ პროცესში მონაწილეობას.

მასწავლებელმა არ უნდა გაამახვილოს ყურადღება მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც, როგორც წესი, სწორად პასუხობენ. მასწავლებელმა კითხვის სირთულე უნდა განსაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ ვისთვისაა ეს კითხვა განკუთვნილი. **მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შედარებით სუსტ მოსწავლეებს რთული კითხვები არ დაუსვას, ვინაიდან თუ მოსწავლე ხშირად ვერ გასცემს კითხვაზე სწორ პასუხს, ეს მის თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობაზე უარყოფით გავლენას იქონიებს.**

სიმულაცია და როლური თამაშები

სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენება სასწავლო პროცესში ერთ-ერთი საინტერესო და გამოსადეგი სტრატეგიაა, რომელიც განსაკუთრებით ახალისებს სასწავლო პროცესს. ამ სტრატეგიებს მასწავლებელმა შესაძლოა მიმართოს რთული თემის ასახსნელად, რომელიც მოსწავლის მხრიდან დიდი დროისა და ენერჯის დახარჯვას ითვალისწინებს.

სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სიმულაცია არის მოდელი იმისა, რაც არსებობს ან შეიძლება არსებობდეს რეალურ ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება.

საკლასო გარემოში, ძირითადად, გამოიყენებენ ორი ტიპის სიმულაციას: *სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით და სიმულაციას კომპიუტერის მეშვეობით* (მური, 2009). **სიმულაციას ადამიანის მონაწილეობით სხვანაირად როლურ თამაშებს უწოდებენ.**

რითი განსხვავდება სიმულაცია თამაშებისაგან? თამაშის პროცესი ყოველთვის გამარჯვებულს გულისხმობს, მაშინ, როდესაც სიმულაციას არ სჭირდება გამარჯვებული. ხშირად

სიმულაციის დროს ძნელი გასარკვევია, ვინ გამარჯვებულია და ვინ, დამარცხებული. სიმულაციის მიზანია, სხვა ადამიანის როლის თამაშით, მოსწავლეებმა ერთი და იმავე საკითხს რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერს გაუფართოებს.

როლური თამაშების დროს ხდება ისტორიული, ლიტერატურული ან გამოგონილი პერსონაჟების ქცევის გათამაშება. გათამაშება შეიძლება რეალურ, წარსულ, მომავალ ან წარმოსახვით დროს უკავშირდებოდეს. როლური თამაშით მოსწავლე „ხდება“ სხვა ინდივიდი, მისი როლის გათავისებით ის უკეთესად წვდება იმ ადამიანის ბუნებას, მოტივაციასა და ხასიათს, რომელსაც განასახიერებს. როლურ თამაშებში სასურველია, რამდენიმე მოსწავლე ან მოსწავლეთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი მონაწილეობდეს.

როლურ თამაშებს ხშირად გამოიყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები ან ეთიკური ქცევები. ეს მეთოდი მოსწავლეებს ადამიანის ქცევის თავისებურებებსა და მის მოტივებს აცნობს და ასწავლის. ამ გზით მოსწავლეებს უვითარდებათ პრობლემის გადაჭრის, ასევე გადაწყვეტილების მიღების უნარები (მური, 2009).

როლური თამაში ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება: სიტუაცია, როლური თამაში და საკლასო დისკუსია მის შესახებ. აუცილებელია მასწავლებელი თავად ძალიან კარგად იყოს მომზადებული და მოსწავლეებიც მოამზადოს როლური თამაშისათვის, მისცეს მათ წინასწარ საკითხავი ლიტერატურა, რომელიც მათ საკითხის ირგვლივ ცოდნას გაულრმავეებს.

სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენებას სასწავლო პროცესში ბევრი დადებითი ეფექტი აქვს:

- ◆ თამაშში მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება;
- ◆ მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარები უვითარდებათ;

- ◆ მოსწავლეები უკუკავშირს მაშინვე იღებენ;
- ◆ თამაშებში მონაწილეობა ინტერესსა და ენთუზიაზმს იწვევს მოსწავლეებში;
- ◆ ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას უწყობს ხელს;
- ◆ მოსწავლეს უვითარებს თანაგანცდის უნარს.

გარდა დადებითი ეფექტებისა, აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს სიმულაციისა და როლური თამაშების სირთულეებიც, კერძოდ:

- ◆ როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს მოითხოვს;

- ◆ როლური თამაშების დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად არაფორმალური ხასიათი მიიღოს, რამაც მომავალში შესაძლებელია კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები შექმნას.

შეჯამება:

- ✓ ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენებაა;
- ✓ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, სასურველია, გაკვეთილი იწყებოდეს განვლილი მასალის მიმოხილვით. ეს გაკვეთილის პირველი ნაწილია, სადაც ინტერაქცია და გამოკითხვა გადამწყვეტ როლს თამაშობს. გამოკითხვა საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის ათვისების შესამოწმებლად.
- ✓ არსებობს *რთული* და *მარტივი* კითხვები, რომლებიც სხვადასხვა საფეხურის სააზროვნო უნარების გამოყენებას მოითხოვს.
- ✓ დახურულ, არჩევითპასუხიან შეკითხვას ერთი კონკრეტული პასუხი აქვს, მაშინ, როდესაც ღია შეკითხვას რამდენიმე პასუხი შეიძლება ჰქონდეს.
- ✓ შედეგზე ორიენტირებული კითხვების დროს მასწავლებელი იგებს, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს კონკრეტული პრობლემისათვის გამოსავლის მოძებნა, ხოლო პროცესზე ორიენტირებული კითხვების დროს მასწავლებელი არკვევს, რამდენად კარგად გაიგო მოსწავლემ ის პროცედურები და წესები, რომლებიც სწორი პასუხის დასადგენად გამოიყენება.
- ✓ დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც სასწავლო პროცესში ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების განვითარებას.
- ✓ დისკუსია უნდა იყოს კარგად მომზადებული და სასურველია ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, თუმცა

შესაძლებელია ახალი თემის/საკითხის ირგვლივ საკლასო დისკუსიის მონყობაც.

- ✓ ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია კლასში დისკუსიის მეთოდის გამოყენება, სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანსა და მოსწავლეების კომუნიკაციის უნარებზე.
- ✓ ამიტომ დისკუსიის მეთოდის გამოყენებამდე სასურველია, მასწავლებელმა კარგად დაგეგმოს პროცესი, რომ მაქსიმალურ ნარმატებას მიაღწიოს.
- ✓ სიმულაციისა და როლური თამაშების გამოყენება სასწავლო პროცესში საინტერესო და გამოსადეგი სტრატეგიაა, რომელიც განსაკუთრებით ახალისებს სასწავლო პროცესს.
- ✓ სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სიმულაცია არის მოდელი იმისა, რაც არსებობს ან შეიძლება არსებობდეს რეალურ ცხოვრებაში.
- ✓ როლურ თამაშებს ხშირად გამოიყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები ან ეთიკური ქცევები. ეს მეთოდი მოსწავლეებს ადამიანის ქცევის თავისებურებებსა და მის მოტივებს აცნობს და ასწავლის. ამ გზით მოსწავლეებს უფითარდებათ პრობლემის გადაჭრის, ასევე გადანყვევტილების მიღების უნარები.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის;

მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Kwo, O. (2010). *Teachers as Learners. Critical Discourse on Challenges and Opportunities* (Ed.). Hong Kong University. Springer
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies. From Theory to Practice*. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

V თაპი

ჯგუფური მუშაობა

ძირითადი საკითხები: _____

- ◆ ჯგუფური მუშაობის დადებითი მხარეები;
- ◆ ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეები;
- ◆ ჯგუფური მუშაობისათვის ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის მექანიზმები.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია გაკვეთილზე როგორც განვლილი მასალის გამეორებისა და განმტკიცების თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მუშაობისას. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კლასში ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენებას.

მკვლევართა დიდი ნაწილი ჯგუფურ მუშაობას სწავლებისა და სწავლის ახალ მიდგომად მიიჩნევს, რომელიც კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება (კონსტრუქტივიზმის შესახებ იხილეთ თავი № 1, გვ. 5.). შეგახსენებთ, რომ ამ მიდგომის თანახმად, სწავლა აღიქმება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლე თავად ახდენს მასალის აგებას ანუ კონსტრუირებას.

ზოგიერთი პრაქტიკოსი მასწავლებელი ჯგუფურ მუშაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ მთელი გაკვეთილის ამ პროცესის გარშემო აგება სწავლების ძალიან ეფექტური სტრატეგიაა. საგულისხმოა, მას-

წავლებელმა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფური მუშაობის მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებს. ასევე, მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ჯგუფური მუშაობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჯგუფური მუშაობის დადებითი მხარეები

ინდივიდუალურ მუშაობასთან შედარებით, ჯგუფურ მუშაობას რამდენიმე მთავარი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, ჯგუფური მუშაობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ **ის ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას და სოციალიზაციის უნარის განვითარებას. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებს უფრო რთული დავალების გადაჭრა შეუძლიათ, რადგან ჯგუფში არსებული ცოდნა და უნარები აღემატება იმ ცოდნას, რაც ცალკეულ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს.** შესაბამისად, მთელ ჯგუფს ერთად გაცილებით მეტი რესურსი აქვს დავალების შესასრულებლად, ვიდრე ჯგუფის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე.

ამას გარდა, ჯგუფში მუშაობა მოსწავლეს თანაგრძნობის (ემპათიის) უნარსაც უვითარებს. ის სწავლობს სხვისი აზრის გათვალისწინებას, აცნობიერებს, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ჯგუფში მუშაობის დროს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას მოსწავლე ეჩვევა სხვისი შეხედულების გათვალისწინებასაც. ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის პროცესში მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთის განვითარებასაც შეუნყონ ხელი. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური, კომუნიკაციური და სხვა ინტერპერსონალური უნარების განვითარებას.

იმისათვის, რომ ჯგუფური მუშაობა ეფექტურად მიმდინარეობდეს, საჭიროა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო-

ბის ჩატარება, შესაბამისი წინაპირობების შექმნა და გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება. ჯგუფური მუშაობა კომპლექსური პროცესია. ამის გამო, შეიძლება, მასწავლებლისათვის რთული აღმოჩნდეს ამ პროცესის მართვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის სწორი დაგეგმვა, საჭირო რესურსების მომარაგება და დროის განაწილება.

რამდენი მოსწავლე შეიძლება იყოს ერთ ჯგუფში? ეს ის საკითხია, რომელსაც ცალსახა პასუხი არ გააჩნია, რადგან ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა საერთო რაოდენობაზე, სივრცის, მერხების განლაგების შესაძლებლობასა და სხვა ფაქტორებზე. თუმცა მკვლევარები რეკომენდაციის სახით ამბობენ, რომ ოპტიმალურია ჯგუფში ხუთიდან შვიდ მოსწავლემდე იყოს და არა შეიძლება მეტი, რადგან უფრო დიდ ჯგუფებში მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი მოსწავლე პასიურად იჯდეს და მასწავლებელმა ვერ შეამჩნიოს, ხოლო უფრო პატარა ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება ნაკლები იყოს (მური, 2009).

თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა ითვალისწინებს სპეციალურ მომზადებას. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ნათლად განსაზღვროს ინსტრუქციები, ასევე, მზად ჰქონდეს საჭირო რაოდენობის დავალებები, რომლებიც ისე იქნება შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს ჯგუფში კონსტრუქციულ ურთიერთობებს. ჯგუფური მუშაობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ ერთმანეთთან თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. **კვლევებმა აჩვენა, რომ ჯგუფური მუშაობა დადებითად აისახება მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებთან მხოლოდ მაშინ, როცა თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული (მუისი და რეინოლდსი, 2005).**

ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეები

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური მუშაობა სწავლების პროცესში ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, მას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც აქვს. ქვემოთ ჩამოთვლილია ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- ◆ ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე სწორედ მისი თანამშრომლობითი ხასიათია. **ამგვარი ტიპის მუშაობა ნაკლებად უწყობს ხელს დამოუკიდებლად სწავლას.**

- ◆ ამას გარდა, ჯგუფში შეიძლება გაჩნდეს ლიდერი, რომლის მოსაზრება მნიშვნელოვანი იქნება ჯგუფის სხვა წევრებისათვის, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს **ჯგუფის ლიდერზე ზედმეტი დამოკიდებულება** და მისი აზრის უკრიტიკოდ მიღება.

- ◆ ასევე, ჯგუფური მუშაობისას, შესაძლოა, მოსწავლემ განზრახ არ მიიღოს მონაწილეობა სამუშაო პროცესში და სხვების მიერ შესრულებული საქმით გავიდეს ფონს. **ამდენად, ჯგუფური მუშაობისას რთულია თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.**

- ◆ იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფის რომელიმე წევრს არასწორი ინფორმაცია აქვს, შესაძლოა, მოხდეს **მცდარი ინფორმაციის გავრცელება ჯგუფში.** ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ამ მოსწავლეს ლიდერის ფუნქცია აქვს ჯგუფში და ავტორიტეტად ითვლება.

- ◆ ჯგუფური მუშაობა კომპლექსური პროცესია. ამის გამო, შეიძლება, **მასწავლებლისათვის რთული აღმოჩნდეს ამ პროცესის მართვა.** თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა ითვალისწინებს სპეციალურ მომზადებას. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ნათლად განსაზღვროს ინსტრუქციები, ასევე მზად ჰქონდეს საჭირო რაოდენობის დავალებები,

რომლებიც ისე იქნება შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს ჯგუფში კონსტრუქციულ ურთიერთობებს.

მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გააკონტროლონ ჯგუფური მუშაობისას წარმოქმნილი უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თავიდან აიცილოს და არ დაუშვას შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს არ შეაქვს წვლილი ჯგუფურ მუშაობაში. ასეთ შემთხვევაში ეფექტური გამოსავალია, მასწავლებელმა საქმე თითოეულ მოსწავლეს გაუხანტილოს, და, შესაბამისად, **შეაფასოს როგორც ცალკეული მოსწავლე, ასევე მთელი ჯგუფი**. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ჯგუფური მიზნების მიღწევასა და თითოეული მოსწავლის პასუხისმგებლობასაც გაზრდის.

ქვემოთ განხილულია ჯგუფური მუშაობისათვის ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის მექანიზმები.

1. ხშირია შემთხვევები, როცა მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ განვითარებული ერთმანეთთან **ინფორმაციის გაზიარების უნარი**. ამის გამო მათ უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა და ცდილობენ ჯგუფში თანამშრომლობის ნაცვლად დომინირებას. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობის დახმარებით. მაგალითად, შეიძლება, გამოიყენონ ე. წ. „წრიული სისტემა“: მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვას, რომელსაც შეიძლება რამდენიმე პასუხი ჰქონდეს. კითხვას ჯერ ერთი მოსწავლე პასუხობს, შემდეგ რიგს სხვა მოსწავლეს უთმობს. პროცესი სრულდება მაშინ, როცა კლასში მყოფი ყველა მოსწავლე უპასუხებს.

2. ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს ჯგუფში ინტეგრაცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება **მორცხვობა იყოს**. ასეთი შემთხვევის დროს მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაო პროცესი, რომ თითოეულ მოსწავლეს კონკრეტული როლი ჰქონდეს ჯგუფში. შესაძლებელია მოსწავლეებისათვის დროის ლიმიტის დაწესებაც. ასეთ პირობებში სხვა მოსწავლეებსაც მიეცემათ გაკვეთილის პროცესში მონაწილეობის საშუალება.

3. **პრობლემა შეიძლება კომუნიკაციისათვის საჭირო უნარების ნაკლებობითაც შეიქმნას.** ეს ის შემთხვევაა, როცა მოსწავლეს უჭირს საკუთარი აზრის მკაფიოდ გადმოცემა, რაც თავისთავად ართულებს მის მუშაობას და ინტეგრაციას ჯგუფში. ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე შესაძლებელია, საჭირო გახდეს მოსწავლეებისათვის კომუნიკაციური უნარების გასავარჯიშებელი აქტივობების დაგეგმვა.

4. ჯგუფური მუშაობისათვის ხელის შემშლელი კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება გახდეს – **მოსმენის ჩვევის ნაკლებობა.** ეს პრობლემა ხშირად თავს იჩენს დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან. **დაწყებითი კლასის მოსწავლეები ხშირად არ ელოდებიან თავიანთ რიგს და არ უსმენენ თანაკლასელების პასუხებს.** ასეთი უნარის განვითარებისათვის ეფექტურია შემდეგი აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ პასუხის გაცემამდე წინა მოსწავლის ნათქვამი გაიმეოროს (მუისი და რეინოლდსი, 2005).

იმისათვის, რომ მცირე ჯგუფში მუშაობა ეფექტური იყოს, საჭიროა, მოსწავლეებისათვის მიცემული დავალებები მასწავლებელმა სწორად და ნათლად ჩამოაყალიბოს. **მუშაობის დაწყებამდე საჭიროა, დავალების მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდეთ ბუნდოვანი წარმოდგენა დავალების შესახებ.** მკვლევრები ამბობენ, რომ ეს მიზნები საერთო უნდა იყოს ჯგუფისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს თანამშრომლობის ხელშეწყობა. ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ თითოეულმა მოსწავლემ სასურველია, განმარტოს მის მიერ შეტანილი წვლილი იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სამუშაოს მიმართ პასიური დამოკიდებულება. სხვა ჯგუფებთან მეტოქეობამ და შეჯიბრმა შეიძლება, ხელი შეუწყოს და გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია.

მოსწავლეთა პასიური დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია, სამუშაო ისე გადახანტილდეს, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული დავალება მიეცეს. ერთი დავალების შესრულება შესაძლებელია, დამო-

კიდებული იყოს სხვა დავალების შესრულებაზე, შესაბამისად, ასეთი მიდგომა გამორიცხავს მოსწავლეთა პასიურობას ჯგუფში.

მკვლევრებმა გამოიყვეს სხვადასხვა როლი, რომლებსაც მოსწავლეები ჯგუფური მუშაობისას მათზე დაკისრებული ფუნქციის მიხედვით შეიძლება ასრულებდნენ (ჯონსონი და ჯონსონი, 1994). ჯგუფში ერთი ან რამდენიმე მოსწავლე შეიძლება იყოს პრეზენტატორი, რომლის ფუნქციაა ჯგუფის ნამუშევრის მოკლე შინაარსის გადმოცემა და მთელი კლასისათვის წარდგენა; ჯგუფური დავალების პირობიდან გამომდინარე, ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს მკვლევრის ფუნქცია, რომელიც აგროვებს დავალებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მოიპოვებს დამატებით მასალას; ჯგუფის რომელიმე წევრი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს მატერიალური რესურსების, მაგალითად, საკანცელარიო მასალების, ტექნიკისა და ლექსიკონის უზრუნველყოფაზე; ასევე, შესაძლებელია ჯგუფის ერთი წევრი ინიშნავდეს ჯგუფის მუშაობის მნიშვნელოვან ფაქტებს, მიღწევებსა თუ ხარვეზებს და აჯამებდეს ჯგუფის მუშაობას, რომელსაც მუშაობის დასრულების შემდეგ წერილობით სახეს მისცემს.

ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ, კარგი იქნება, მასწავლებელმა მთელ კლასს გააცნოს მუშაობის შედეგები და მთელი პროცესი შეაფასოს. შეიძლება დასაწყისში მასწავლებელმა ჰკითხოს მოსწავლეებს, რა მოეწონათ, ან რა არ მოეწონათ ჯგუფური მუშაობის დროს. ამის შემდეგ, მასწავლებელს შეუძლია, განიხილოს, სამუშაო პროცესის რომელი ნაწილი წარმართა წარმატებულად და რომელი – შედარებით წარუმატებლად, და მოსწავლეებს სთხოვოს, მოძებნონ სამუშაო პროცესის გაუმჯობესების გზები.

კვლევებმა აჩვენა, რომ თანამშრომლობითი მუშაობისას სასურველია თუკი ჯგუფები დაკომპლექტდება არაერთგვაროვნად – ერთ ჯგუფში მოხვდებიან განსხვავებული აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეები. ასეთი ჯგუფები უფრო

ეფექტურია და წარმატებული. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობა მოითხოვს დაფიქრებას და კარგად მომზადებას; მხოლოდ მოსწავლეების მაგიდის გარშემო დასმა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჯგუფური მუშაობა ეფექტურად წარიმართოს.

შეჯამება:

- ✓ მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია გაკვეთილზე როგორც განვლილი მასალის გამეორებისა და განმტკიცების თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული მუშაობისას.
- ✓ საჭიროა მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებს. ასევე, მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ჯგუფური მუშაობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც.
- ✓ ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობასა და სოციალიზაციის უნარის განვითარებას. ამას გარდა, ჯგუფში მუშაობა მოსწავლეს თანაგრძნობის უნარსაც უვითარებს. ის სწავლობს სხვისი აზრის გათვალისწინებას. მოსწავლე აცნობიერებს, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები.
- ✓ ჯგუფური მუშაობა დადებითად აისახება მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე მხოლოდ მაშინ, როცა თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული.
- ✓ ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამგვარი ტიპის მუშაობა ნაკლებად უწყობს ხელს დამოუკიდებლად სწავლას.
- ✓ ჯგუფური მუშაობისას, შესაძლოა, მოსწავლემ განზრახ არ მიიღოს მონაწილეობა სამუშაო პროცესში და სხვების მიერ შესრულებული საქმით გავიდეს ფონს.
- ✓ ჯგუფური მუშაობისას აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ნათლად განსაზღვროს ინსტრუქციები, ასევე მზად ჰქონდეს საჭირო რაოდენობის დავალებები, რომლებიც

ისე იქნება შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს ჯგუფში კონსტრუქციულ ურთიერთობებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Jonson, D.W. & Jonson, R.T. (1994). *Joining Together*. Group Theory and Group Skills. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

VI ტავი

მოსწავლეთა მოტივაცია

ძირითადი საკითხები:

- ◆ შინაგანი და გარეგანი მოტივაცია;
- ◆ მოტივაცია და სასწავლო გარემო;
- ◆ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.

მომზადა მარიამ გაბაშვილმა

შესავალი

მოტივაცია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისათვის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ტერმინი „მოტივაცია“ ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვიდრდა და არსებობის მანძილზე, ფაქტობრივად, არ შეუცვლია პირვანდელი მნიშვნელობა. **მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს ენერჯის მიმართვას გარკვეული (ადამიანისთვის სასურველი) მიმართულებით.** სწორედ ამიტომ ხშირად მოტივაციაზე საუბრისას მიმართული ქცევის ტერმინს იყენებენ. **პედაგოგიაში და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ტერმინს „მოტივაცია“ იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისათვის.**

როგორც აღმოჩნდა, მოტივაცია ინდივიდუალურია, ანუ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მოტივაციის აღმძვრელი ფაქტორების, ისე მოტივაციის ხარისხის, მისი სიძლიერის თვალსაზრისით. მაგალითად, ორი მოს-

წავლე შეიძლება იყოს ერთნაირად წარმატებული, თუმცა, მათი მოტივაციის წყარო და მოტივაციის ხარისხი სრულიად განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი და უცვლელი, როგორც, მაგალითად, თვალის ფერი. იგი საკმაოდ დინამიურია და მნიშვნელოვნად იცვლება ასაკის მატებასა თუ ადამიანზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. ის, რაც მოსწავლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელი იყო მეოთხე კლასში, შეიძლება სრულიად უინტერესო იყოს მერვე კლასში და პირიქით.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ მოტივაციის საკითხს, ვისაუბრებთ მოტივაციისა და სასწავლო გარემოს კავშირებზე, ასევე, შემოგთავაზებთ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების პრაქტიკულ სტრატეგიებსა და მეთოდებს.

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

იმის მიხედვით, თუ რა აღძრავს მოსწავლის ინტერესს, რა განაპირობებს მის ქცევას, სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას – შინაგან და გარეგან მოტივაციას.

შინაგანი მოტივაცია – ადამიანის ქცევა განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, კონკრეტული ქცევის/მისი შედეგების მიმართ შინაგანი ინტერესით. ასე მაგალითად, შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე წიგნს კითხულობს იმიტომ, რომ ეს ქცევა მისთვის თავისთავად ღირებულია, საინტერესო და სასიამოვნოა, შესაბამისად, მისი განხორციელება შინაგანი კმაყოფილების გრძნობასთან არის დაკავშირებული.

გარეგანი მოტივაცია – ადამიანის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. ადამიანისათვის კონკრეტული ქცევა/აქტივობა არ არის იმთავითვე საინტერესო ან სასურველი, თუმცა, იგი ასეთად იქცევა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. გარეგანი ფაქტორებია: სხვა პირის (მასწავ-

ლებელი, მშობელი...) მიერ შექება, წახალისება/დაჯილდოვება, ან სასჯელის, არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ქცევა და ა.შ. ისევ ზემოთ ხსენებულ მაგალითს თუ დავუბრუნდებით, გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე წიგნს კითხულობს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქცევით იგი მშობლების მიერ თუ მასწავლებლისაგან წახალისებას ელის ან არ წაკითხვასთან დაკავშირებულ სასჯელს გაურბის.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის/თვითკონტროლის მაღალი უნარით და ზოგადად უფრო დადებითი განწყობა აქვთ განათლების, სწავლის მიმართ. შინაგანად მოტივირებული მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები არიან. მათ არ ეშინიათ რთული ამოცანების და მათი დაძლევის ახალი, უფრო ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან.

გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები ხასიათდებიან სირთულეების და რისკის მიმართ მკაფიოდ გამომხატული შიშით. როგორც წესი, ასეთი მოსწავლეების მიზანია, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის (წახალისება/ჯილდო) მიღება. ბუნებრივია, ეს სტრატეგია არ არის ეფექტური რთული ამოცანების დაძლევისათვის, შესაბამისად, გასაგები ხდება გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლის მცდელობა თავი აარიდოს რთულ დავალებებს. **ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენებული გარეგანი მოტივაცია თითქმის შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევას.**

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოტივაციის წყაროების შესაბამისად მოსწავლეებიც ორ ჯგუფად იყოფიან. ერთ სიტუა-

ციაში მოსწავლის ქცევას შეიძლება წარმართავდეს გარეგანი ფაქტორები, მეორეში კი – შინაგანი.

შინაგან და გარეგან მოტივაციასთან კავშირში, ხშირად საუბრობენ ხოლმე შესრულებასა და განვითარებაზე ორიენტირებულ ქცევებზე. განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლისათვის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზეზია საკუთარი უნარების და შესაძლებლობების არეალის გაფართოება/განვითარება, მაშინ, როდესაც შესრულებაზე ორიენტირებული მოსწავლისათვის ძირითადი საზრუნავი ამოცანის მინიმალური დანახარჯებით შესრულებაა, გარედან (მასწავლებლის ან მშობლის მიერ) დადგენილი სტანდარტის/მოლოდინის შესაბამისად. განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლისათვის საინტერესოა ცოდნის შეძენის ახალი, უფრო ეფექტური სტრატეგიების ძიება და გამოყენება. შესრულებაზე ორიენტირებული მოსწავლე წარუმატებლობის შიშით გაურბის სირთულეებს. განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლეებისათვის შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე განვითარების, სწავლის საუკეთესო საშუალებაა. ამდენად, ისინი შეცდომას მტკიცნეულად არ აღიქვამენ და ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი ტოლერანტულობით შეცდომის, წარუმატებლობის, რისკის მიმართ.

ისევე როგორც შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიზნების/ორიენტაციის კვალდაკვალ ადამიანებიც იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვა დროსა და გარემოში შეიძლება იყოს ორიენტირებული ხან საკუთარ განვითარებაზე და ხან შესრულებაზე. **მოსწავლის სწავლისა და კოგნიტური განვითარების ხელშესაწყობად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებელმა წახალისოს, განამტკიცოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული ქცევა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე აღიქმება, როგორც მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანამდევი ფაქტორები.**

მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებაც მუშაობდნენ. ასე მაგალითად დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში (უზნაძე, 2003) იგივე მოსაზრება ჰქონდა ცნობილ ქართველ მკვლევარს შ. ჩხარტიშვილსაც. თავის შრომებში, იგი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ჰომოგენურ (შინაგან) და ჰეტეროგენულ (გარეგან) მოტივებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ჰომოგენური მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულების შეგნებას (ჩხარტიშვილი, 1972).

მოტივაცია და სასწავლო გარემო

სასწავლო გარემოს უდიდესი გავლენა აქვს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ქვემოთ განვიხილავთ სასწავლო გარემოს რამდენიმე კომპონენტს, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისთვის. ეს კომპონენტებია – სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება/ნახალისება და კონტროლის/პასუხისმგებლობების განაწილება.

სასწავლო აქტივობები

სასწავლო აქტივობებში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამალღებაზე ორიენტირებულ აქტივობათა ერთობლიობა. როგორც აღმოჩნდა, იმას, თუ როგორ აღიქვამს მოსწავლე ამა თუ იმ სასწავლო აქტივობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მიმდინარე აკადემიური წარმატების, ისე ზოგადად, სწავლის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლეთათვის საკუთარი უნარების და შესაძლებლობების ერთგვა-

რი საზომია. თუკი მოსწავლე აქტივობას რთულად, მისთვის დაუძლევედ მიიჩნევს, დიდია ალბათობა იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და გულგრილი გახდეს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა მოტივაცია შეიძლება დაკარგონ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ესა თუ ის სასწავლო აქტივობა ძალიან მარტივია, განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვს და შესაბამისად, უინტერესოა. როდესაც დავალება განსაკუთრებით რთულია, არ არის გამორიცხული მოსწავლემ ეჭვის ქვეშ დააყენოს შრომისა და გულმოდგინების საჭიროება/ეფექტურობა, რაც ნეგატიურად აისახება სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე. ამავდროულად, არც ძალიან მარტივი დავალებებია გამოსავალი, ვინაიდან მოსწავლე მათ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ადვილად გაართმევს თავს და ვერ შეიძენს ახალ ცოდნას. **„იდეალური სირთულის“ დავალება ერთგვარი გამოწვევაა მოსწავლისათვის, მაგრამ დაძლევადი.**

როგორი უნდა იყოს დავალება იმისათვის, რომ მოსწავლე სიამოვნებით ერთვებოდეს მის შესრულებაში? მკვლევრები აღნიშნავენ, რომ დავალება მოსწავლეებისთვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელია, თუ ის არის:

1. **ორიგინალური და შემოქმედებითი;**
2. **მრავალფეროვანი; რაც უფრო განსხვავებულია ესა თუ ის აქტივობა მოსწავლისათვის უკვე კარგად ნაცნობისაგან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი ინტერესით ჩაერთოს მის შესრულებაში.**

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისათვის ნათელი იყოს დავალების შესრულებაში ჩართვის აუცილებლობაც და მისი შესრულების მიზანი. ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული აქტივობის დაკავშირება მოსწავლისათვის მნიშვნელოვან, საინტერესო სფეროსთან. **ესა თუ ის აქტივობა მოსწავლეებისათვის შეთავაზებული უნდა იყოს, როგორც მნიშვნელოვანი მიზნების მიღწე-**

ვის შესაძლებლობა; ასეთი კავშირის არარსებობის შემთხვევაში, აქტივობა კარგავს მნიშვნელობას მოსწავლისათვის, შესაბამისად, იკარგება სწავლის მოტივაციაც.

მოსწავლეთა შეფასება და ნახალისება

მასწავლებლის მიერ გამოყენებულ შეფასების პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისათვის. შეფასების პოლიტიკაში იგულისხმება შეფასების სტანდარტები, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების სიხშირე.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შეფასების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შეფასების პოლიტიკის ობიექტურ მახასიათებლებზე, არამედ ამ მახასიათებლების ინტერპრეტაციაზე მოსწავლეების მიერ; იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად მიაჩნიათ მათ არსებული პოლიტიკა. შეფასების სისტემის თავისებურებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსწავლეთა მოტივაცია არა მხოლოდ ხარისხობრივად (გაძლიერება/შესუსტება), არამედ მიმართულების თვალსაზრისითაც. მასწავლებელი ძალიან ფრთხილი უნდა იყოს შეფასების სისტემის შემუშავებისას და მუდმივად უნდა აანალიზებდეს, თუ რა ტიპის ქცევას/შედეგებს ნახალისებს მოსწავლეებში არსებული შეფასების სისტემით.

მოსწავლეთა მოტივაციაზე ასევე გავლენა აქვს იმას თუ რას მიიჩნევენ ბავშვები შეფასების დანიშნულებად. კვლევებით დადგინდა, რომ **შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთშედარებისათვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგების შედგენა და ა.შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.** ასე მაგალითად, მოსწავლე, რომელიც რეიტინგის ბოლო ადგილზე მოხვდა, სავარაუდოდ, დაკარგავს არა მხოლოდ ინტერესს

სწავლის მიმართ, არამედ საკუთარი შესაძლებლობების რწმენასაც.

შეფასებასთან ერთად, მნიშვნელოვანია წახალისების პოლიტიკის საკითხის განხილვაც. საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ გადადგმულ თითოეულ წარმატებულ ნაბიჯს ძალუძს, გააღვივოს ადამიანის მოტივაცია შემდგომი ეფექტური ნაბიჯების განხორციელებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული**. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად რეალურ/ობიექტურ პროგრესს, არამედ ამ პროგრესის არსებობას ადამიანის აღქმაში. თუკი მოსწავლეს მიაჩნია, რომ მან წინ გადადგა ნაბიჯი და გააუმჯობესა საკუთარი შედეგი, ეს უკვე საკმარისი სტიმული შეიძლება გახდეს შემდგომი წარმატებებისთვის. მაშინაც კი, როდესაც ეს ნაბიჯი რეალურად გადადგმული არ ყოფილა. ლოგიკურად ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლა შეიძლება არ გახდეს შემდგომი წარმატების სტიმული, თუკი მოსწავლე მას არ აღიქვამს პროგრესად.

ბოლო პერიოდში, სპეციალურ ლიტერატურაში მოსწავლის სწავლის მოტივაციის გაღვივების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიად განიხილება აკადემიური მიზნების მცირე „ქვე-მიზნებად“ დაყოფა. მარტივი მიზნების მიღწევა პროგრესის, მიღწევის განცდას უჩენს მოსწავლეს. მცირე და მარტივი ქვემიზნების მიღწევის პირობებში იზრდება მოსწავლის დაინტერესება და მოტივაცია, დაძლიოს უფრო დიდი და რთული მიზნები.

მოსწავლეებში შემდგომი წარმატების მიღწევის სტიმულირებისა და მოტივაციის გაღვივებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საგანგებოდ გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების პროგრესზე, სისტემატიურად მიაწოდოს მათ დადებითი უკუკავშირი.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წახალისება და შექება ყველა შემთხვევაში არ არის ეფექტური. თუკი მოსწავლე

ჩათვლის, რომ მოსწავლეთა წახალისებისას მასწავლებელი არ იცავს სამართლიანობის პრინციპს, შესაძლოა, მან სწავლაზე აიცრუოს გული. ამავდროულად, ბოლო დროს სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მოსწავლეთა წახალისება მცირეოდენი წარმატებისთვისაც (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში), რაც შეიძლება ნეგატიურადაც აისახოს მოსწავლის მოტივაციაზე. ასე მაგალითად, თუკი მოსწავლეს აინტერესებს კითხვა და მისთვის ეს აქტივობა თავისთავად ღირებულია (ანუ ბავშვი შინაგანად არის მოტივირებული), მასწავლებლის მხრიდან ამ აქტივობის სისტემატური წახალისება (მაღალი ნიშნებით, საჯარო შექებით და ა.შ.) შეიძლება შინაგანი ინტერესის შესუსტების ან დაკარგვის წინაპირობა გახდეს.

კონტროლი და პასუხისმგებლობა

კვლევებით დადგინდა, რომ საკლასო ოთახში უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისათვის. **აუცილებელია მოსწავლეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა/დაგეგმვაში.** ტრადიციულად, მასწავლებელი სასწავლო პროცესის ძირითად მაკონტროლებელ პირად გვევლინება. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე, შეფასების სისტემებზე, განსახილველი საკითხების თანამიმდევრობაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საკუთარი სწავლა-განათლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკარგვას. რაკი მასწავლებელი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ყველაფერზე, მოსწავლე ხდება პასიური და აღარ ზრუნავს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე. მოსწავლეს არ უნდა შეექმნას განწყობა, რომ გაკვეთილებზე დახარჯულ დროსა და ენერჯიას იგი მასწავლებელს „უძღვნის“, მისთვის ირჯება და არა სა-

კუთარი თავისთვის. სწავლის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, არ შეუწყობს ხელს ხანგრძლივ პერსპექტივაში მოსწავლის სწავლასა და განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომელშიც მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც იქნებიან პასუხისმგებელი საკუთარ განათლებაზე და განვითარებაზე. **გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად, სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.**

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები

◆ **გამდიდრეთ სასწავლო პროცესი.** ამის მიღწევა შეიძლება დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და ახალი სწავლების მეთოდების/სტრატეგიების გამოყენებით. ძალიან ხშირად პედაგოგები „ეჯაჭვებიან“ სწავლების რომელიმე კონკრეტულ, მათთვის ყველაზე კომფორტულ სტრატეგიას/მეთოდს ან მასალის კონკრეტულ წყაროს. ასეთი „მიჯაჭვულობა“ მეტად კომფორტულია მასწავლებლისათვის, თუმცა, ხშირად მეტად მოსაბეზრებელია მოსწავლეებისათვის. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გაამრავალფეროვნოს თავისი პრაქტიკა, რათა სასწავლო პროცესი სახალისო და საინტერესო იყოს თითოეული მოსწავლისათვის.

◆ **გააქტიურეთ მოსწავლეები.** აქტიურობა სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამ ასაკში ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი არაერთგვაროვანი სტრატეგიით შეიძლება. ჩაატარეთ დისკუსიები, გამოიყენეთ

ჯგუფური მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და ა.შ. ამავდროულად გაითვალისწინეთ, რომ კლასის გააქტიურების სტრატეგიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია დროის სწორი შერჩევა. ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა კი შეიძლება არ იყოს შედეგიანი, თუკი მასწავლებელმა იგი დღის ბოლოს, დაღლილ მოსწავლეებთან ან რაიმე სხვა შეუსაბამო დროს გამოიყენა.

◆ **ჩართეთ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში.** ერთ-ერთი ყველაზე სახალისო და სასარგებლო აქტივობა, რომელშიც მოსწავლეები შეიძლება იყვნენ ჩართულნი, არის ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადება. იგულისხმება მოსწავლეების ჩართვა სემესტრული ტესტების, კონკრეტულ თემებთან დაკავშირებული კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების და ა.შ. მომზადებაში. ეს არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ინტერესს გაკვეთილის მიმართ, არამედ ხელს შეუწყობს მასალის უკეთ ათვისება/გაგებას.

◆ **გამოიყენეთ განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები.** კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე საკითხზე/თემაზე განსხვავებული სირთულის ამოცანებს/დავალებებს/აქტივობებს მოიფიქრებთ. ეს შესაძლებლობას მოგცემთ გაითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და შესაფერი სირთულის დავალებების მიცემის გზით გააღვივოთ მათი მოტივაცია.

◆ **გამოიყენეთ „უნიშნო“ აქტივობები.** მასწავლებლის მიზანია, სასწავლო პროცესი სახალისო და საინტერესო გახადოს მოსწავლეებისათვის. ამისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს „უნიშნო“ აქტივობების/დავალებების პრაქტიკის შემოღება. ამგვარ დავალებებში მოსწავლეთა ყურადღება საბოლოო შედეგიდან უფრო პროცესზე გადაერთვება, მათთვის მნიშვნელოვანი იქნება უკვე არა

იმდენად ნიშანი, არამედ საკუთარი პროგრესი და აქტიურობა.

◆ **გასსოვდეთ, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო სა-შუალებებია.** ძალიან მნიშვნელოვანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს პოტენციური ნეგატიური შეფასების, კრიტიკის ან შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ დაშვებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარების და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება. ზოგიერთი მასწავლებელი ამ რეკომენდაციას წარმატებით იყენებს წერილობითი დავალებების შემთხვევაშიც. ამ პედაგოგთა აზრით, მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ბევრად უფრო ეფექტურია მათთვის საკუთარ ნაწერში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების უბრალოდ წითელი კალმით მონიშვნა და საბოლოო შეფასების დაწერა. სხვათა შორის, სულ უფრო და უფრო მეტი პრაქტიკოსი პედაგოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა შეცდომების გასწორება წითელი კალმით ნეგატიურად აისახება მათი სწავლის მოტივაციაზე. ერთი შეხედვით კალმის მელნის ფერს არ უნდა ჰქონდეს კავშირი მოსწავლის მოტივაციასთან, თუმცა მრავალი პედაგოგის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სხვა, შედარებით უფრო ნეიტრალური ფერის მელნის მქონე კალმების გამოყენება ბევრად უფრო პოზიტიურ განწყობას აღძრავს მოსწავლეებში, მეტ ხალისსა და ინტერესს აღვიძებს მათში საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობის პროცესში.

◆ **მიანოდეთ მოსწავლეებს დადებითი უკუკავშირი.** დადებითი თვითშეფასებისა და სწავლის მიმართ პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა სისტემატურად მიიღონ პედაგოგისგან დადებითი უკუკავშირი. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ დადებითი უკუკავშირის გამოყენება ერთნაირად ეფექტურია, როგორც „სუსტ“

ისე „ძლიერ“ მოსწავლეებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი პედაგოგი იყენებს ე.წ. „1/2 ნესს“, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის მიერ ყოველ ერთ ნეგატიურ კომენტარზე (შენიშვნაზე, შეცდომის აღნიშვნაზე და ა.შ.) ორი პოზიტიური კომენტარის დართვას. ეს მიდგომა საკმაოდ მექანიკურია და შესაძლოა, არ გამოდგეს ყოველ კონკრეტულ სუტუაციაში, თუმცა, ის კარგად გადმოსცემს დადებითი უკუკავშირის მნიშვნელობას და მის სასურველ პროპორციას ნეგატიურ შენიშვნებთან მიმართებაში.

◆ **თავი აარიდეთ მხოლოდ ნიშნის დანერას.** ტრადიციულად, მასწავლებლები მოსწავლეთა ნამუშევრებს მხოლოდ ნიშნით აფასებენ, რაც არაფრის მთქმელია მოსწავლისათვის შემდგომი მუშაობის თვალსაზრისით. ნიშანში ასახულია ნაშრომის ზოგადი შეფასება, თუმცა, არ ჩანს კონკრეტულად რა იყო კარგი ან ცუდი მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოში. მოსწავლე ვერ იგებს, რას უნდა მიაქციოს უფრო მეტი ყურადღება შემდგომ დავალებაზე მუშაობისას. ეს პრობლემა ერთნაირად აქტუალურია როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისათვის, ისე შედარებით უფრო სუსტებისთვისაც. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლისათვის წინასწარ იყოს ცნობილი ამა თუ იმ დავალების შეფასების სქემა და ნიშანთან ერთად წერილობით (ნაშრომშივე ან ცალკე ფურცელზე) ვრცელი (ამომწურავი) კომენტარი მიიღოს მის ნაშრომთან დაკავშირებით.

◆ **არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ.** საჯარო კრიტიკამ შესაძლოა, ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ალბათ ყველა მასწავლებელმა იცის ამის თაობაზე, ყოველდღიურ ვითარებაში, გაღიზიანებული და გადაღლილი პედაგოგისთვის ხშირად შეუძლებელი ხდება საჯარო კრიტიკისაგან თავის შეკავება. გახსოვდეთ, რომ ეს აქვეითებს როგორც მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციას, ისე მის ნდობასა და პატივისცემას თქვენ მიმართ.

◆ **იყავით მიუკერძოებელი.** მასწავლებელი ისეთივე ადამიანია, როგორც ნებისმიერი სხვა, შესაბამისად, პიროვნულ შეხედულებებს, სიმპატიებს ან პირიქით, ნეგატიურ დამოკიდებულებებს ისეთივე გავლენა აქვთ მასწავლებელზე, მის ქცევაზე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანზე. სრულიად დაუშვებელია პიროვნული შეხედულებების და განწყობების გამოვლენა სასკოლო გარემოში. ეს ეხება როგორც ზოგადად ურთიერთობებს მოსწავლეებთან, ისე მათი შეფასებისა და წახალისების კონკრეტულ შემთხვევებს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს ყოველთვის ახსოვდეს ამის თაობაზე და იღებდეს ზომებს სუბიექტივიზმის გამოსარიცხად.

◆ **ტესტირებისას გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები.** ზოგიერთი მოსწავლე უფრო კარგი წერის უნარით არის დაჯილდოებული, ვიდრე სხვები. შესაბამისად, უფრო კომფორტულად გრძნობს თავს ღია ბოლოიან კითხვებზე პასუხის გაცემის დროს. სხვებს კი პირიქით, ყველაზე მეტად დახურული კითხვები მოსწონთ, შესაბამისად, თავს უხერხულად გრძნობენ ღია კითხვებზე მუშაობისას. მასწავლებელი ვალდებულია, ყველა მოსწავლეს შეუქმნას ცოდნის და შესაძლებლობების გამოვლენისათვის საუკეთესო (კომფორტული) პირობები, რათა ინდივიდუალურ თავისებურებებმა არ მოახდინოს ნეგატიური ზეგავლენა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე. ამისათვის შეიძლება სრულიად საკმარისი იყოს ტესტის ისე კონსტრუირება, რომ დაცული იყოს ბალანსი ღია და დახურულ კითხვებს შორის. ამგვარი ტესტი არ მიანიჭებს უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ მოსწავლეს და შესაბამისად, კლასის მოსწრებისა და ცოდნის შეფასების უფრო ადეკვატური ინსტრუმენტი იქნება.

◆ **სათანადო დრო და ყურადღება დაუთმეთ მოსწავლეების თითოეულ ნაშრომს.** ჩვეულებრივ, მოსწავლე საკმაო დროსა და ენერგიას ხარჯავს წერილობითი დავალებების შესრულებისათვის. ბუნებრივია, რომ შრომისა და დროის ინვესტირების სანაცვლოდ, ის მასწავლებლისგან ადეკვატურ რეაგირე-

ბას მოელის. ობიექტური შეფასების გარდა, მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სათანადო დრო და ყურადღება დაუთმოს მისი ნაშრომის განხილვას და შეფასებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლის ნაშრომს ზედაპირულად, არასრულად განიხილავს. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება დიდ კლასთან მუშაობის დროს. მოსწავლეები გრძნობენ ამგვარ ზერელე დამოკიდებულებას, რაც საგნის მიმართ დაინტერესებასა და თქვენდამი დამოკიდებულებაზე აისახება.

◆ **ჩართეთ მოსწავლეები საკლასო გადანყვეტილებების მიღებაში.** ტრადიციულად მასწავლებელი როგორც ზოგადად საკლასო, ასევე საგნის სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა გადანყვეტილებას თვითონ იღებს. თუმცა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეფექტურობით მოსწავლეთა თანამონაწილეობით მიდგომას. ბავშვების ჩართვა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: საკლასო ნორმების შემუშავება, შესასწავლ საკითხთა თანამიმდევრობის განსაზღვრა, შეფასების კომპონენტების შემუშავება და სხვა., მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ამ შეთანხმებების/გადანყვეტილებების დაცვას/შესრულებას.

◆ **ანარმოეთ „წინადადებების ყუთი“.** მიეცით მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების, იდეების თუ შეფასებების ანონიმურად წარმოდგენის შესაძლებლობა. „წინადადებების ყუთი“ ამის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ფორმაა. გახსოვდეთ, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას სამი პირობა არის დასაცავი: (1) მასწავლებელმა დეტალურად უნდა აუხსნას მოსწავლეებს ყუთის არსი და მისი გამოყენების მიზანი; სავარაუდოდ, მოსწავლეები არ გამოიყენებენ ყუთს, თუკი არ იქნებიან კარგად ინფორმირებულები ამ მეთოდის დანიშნულებისა და ეფექტურობის თაობაზე; (2) მასწავლებელმა წინადადების წარმოდგენის გარკვეული ფორმატი უნდა შეიმუშაოს. მეთოდის ეფექტურობა შეიძლება არ იყოს მაღალი, თუ მოს-

წავლევები სხვადასხვა ფორმით წარმოადგენენ საკუთარ წინადადებას. ფორმაში იგულისხმება არა წინადადების გაფორმება, არამედ მოთხოვნა კონკრეტული ტიპის ინფორმაციაზე, რომლის მითითებაც სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. (3) მასწავლებელმა სისტემატურად უნდა განიხილოს მოსწავლეთა წინადადებები. აუცილებელია წინადადებებზე რეაგირება. წინადადებების ყუთის საბოლოო მიზანი ხომ მოსწავლეთა ჩართულობის და თანამონაწილეობის გაზრდაა. შესაბამისად, რეაგირების კომპონენტი – ანუ მათი წინადადებების გათვალისწინება (შესაძლებლობების ფარგლებში), მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იმ წინადადებებზეც ისაუბროს, რომელთა გათვალისწინებაც არ მოხდება და დაასაბუთოს უარის მიზეზი.

◆ საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან ურთიერთობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება, რწმენა იმის თაობაზე, რომ **ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული**. თუმცა, თითოეულ მათგანს ამისათვის განსხვავებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება. მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენს განწყობას მოსწავლის მიმართ ძალიან დიდი გავლენა აქვს მის განწყობაზე საკუთარი თავის მიმართ, მის თვითრწმენაზე და ზოგადად, სწავლისადმი დამოკიდებულებაზე.

შეჯამება:

- ✓ აკადემიური მიღწევების ამაღლების, აგრეთვე, სწავლისა და ცოდნის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს მოსწავლეთა მოტივაციის გაღვივებაზე.
- ✓ მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც მიმართავს ქცევას, ყურადღებას ადამიანისთვის სასურველი მიმართულებით. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი. იგი ხასიათდება დინამიურობით და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ისე გარემო ფაქტორებზე. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი და გარემო, რომ მაქსიმალურად ხდებოდეს ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება.
- ✓ სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება – მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტებია. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ეფექტურად გამოიყენოს ეს ელემენტები მოსწავლეთა მოტივაციის ზრდისათვის.
- ✓ მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და განვითარებაზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებაზე. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლეთა ნარმატების ხელშეწყობა როგორც სასკოლო გარემოში, ისე ზრდასრულობაში.
- ✓ მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა არ უნდა იფარგლებოდეს კონკრეტული საკლასო ოთახით. მამოტივირებელი გარემო უნდა იქმნებოდეს მთელი სკოლის მასშტაბით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული შესაბამისი სტრატეგიები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს.

- ✓ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები;
- ✓ გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი;
- ✓ გაააქტიურეთ მოსწავლეები;
- ✓ ჩართეთ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში;
- ✓ გამოიყენეთ განსხვავებული სირთულის დავალებები/აქტივობები;
- ✓ თავი აარიდეთ მხოლოდ ნიშნის დაწერას, გამოიყენეთ „უნიშნო“ აქტივობები;
- ✓ გახსოვდეთ, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა;
- ✓ მიანოდეთ მოსწავლეებს დადებითი უკუკავშირი;
- ✓ არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ;
- ✓ იყავით მიუკერძოებელი;
- ✓ ტესტირებისას გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის კითხვები;
- ✓ სათანადო დრო და ყურადღება დაუთმეთ მოსწავლეების ნაშრომებს;
- ✓ ჩართეთ მოსწავლეები საკლასო გადანყვეტილებების მიღებაში;
- ✓ აწარმოეთ წინადადებების ყუთი;
- ✓ ინდივიდუალური მიდგომა იპოვეთ თითოეულ მოსწავლესთან

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის მოტივაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში:

მასწავლებელმა იცის სწავლის მოტივაციის ამალგების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;

მასწავლებელმა იცის როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ განცობიერებული დამოკიდებულება.

გამოყენებული ლიტერატურა

- უზნაძე, დ. (2003). *სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*, თბილისი ჩხარტიშვილი, ჩ. (1972). *სწავლის მოტივაციური სტრუქტურა*. სკოლა და ცხოვრება. თბილისი
- Theobald, A., M. (2006) *Increasing Students' Motivation: Strategies for Middle and High School Teachers*. Corwin Press
- Ames, A., C. (1991). *Motivation: What teachers need to know*. University of Illinois
- Ames, A., C. (1991). *Classrooms: Goals, Structures and Student Motivation*. Department of Educational Psychology. University of Illinois
- Anderman, H., L. & Midgley, C. (1998). *Motivation and Middle School Students*, ERIC Digest, Retrieved on December 1, 2010
- Martin, J., A. & Dawson, M. (2009) *Interpersonal relationships, motivation, engagement and achievement: Yields for theory, current issues and educational practice*. Review of Educa-

tion Research, Retrieved on December 1, 2010 from <http://rer.aera.net>

Lumsden, S. L. (1994) *Student motivation to learn*. ERIC Clearing House on Educational Management. Retrieved on December 1, 2010 from [//learn2study.org/teachers/motivation.htm](http://learn2study.org/teachers/motivation.htm)

Pintrich, R. P. (2003) *A motivational science perspective on the role of student motivation in learning and teaching context*. *Journal of Educational Psychology*, vol 95, #4 667-686

VII თავი

კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგია

ძირითადი საკითხები:

- ◆ კომუნიკაციის განმარტება;
- ◆ კომუნიკაციის ფორმები;
- ◆ დროის ფაქტორი კომუნიკაციაში;
- ◆ კომუნიკაცია მშობლებთან;
- ◆ კომუნიკაციის გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციები.

მოამზადა მარიამ გაბაშვილმა

შესავალი

კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის შედეგიანად წარმართვა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა ჩართვას მოსწავლეთა განათლების პროცესში, რაც მხოლოდ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის გზით არის შესაძლებელი. შესაბამისად, პედაგოგი სათანადო პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს კომუნიკაციას და ისევე ზრუნავდეს კომუნიკაციური უნარის განვითარებაზე, როგორც პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა უნარზე.

ამ თავში საგანგებო ყურადღებას გავამახვილებთ მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად კომუნიკაციური უნარის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე. გაგაცნობთ კომუნიკაციის

სხვადასხვა ფორმასა და ამ უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

კომუნიკაციის განმარტება

ტრადიციული განმარტების თანახმად, **კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი ორ ან მეტ ადამიანს შორის.** აღნიშნული პროცესი თავის თავში მოიცავს ორ კომპონენტს – ინფორმაციის გაცემას და მის მიღებას. ეფექტური კომუნიკაცია წარმოდგენილია ამ ორი კომპონენტიდან რომელიმეს არარსებობის პირობებში. ინფორმაციის გაცვლა შეიძლება ხდებოდეს როგორც სიტყვიერად (ვერბალურად), ისე სიტყვების მიღმაც (ხმის ინტონაციით, მიმიკით, ჟესტებით და ა.შ.). საკლასო გარემოში კომუნიკაციაზე საუბრის დროს ტრადიციულად მოიაზრებენ მასწავლებლის უნარს, გადასცეს მოსწავლეებს ახალი ცოდნა ვერბალური კომუნიკაციის გზით. იგულისხმება, რომ მასწავლებელი, როგორც ძირითადი „მოსაუბრე“ ფიგურა, ისე უნდა ახდენდეს საკუთარი აზრებისა და ცოდნის ფორმულირებას, რომ მოსწავლეებისათვის გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს მიწოდებული მასალა. ამიტომაც პედაგოგიურ სასწავლებლებსა და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამებში საგანგებო ყურადღება კომუნიკაციის სწორედ ამ კომპონენტზეა გამახვილებული. თუმცა, კომუნიკაცია საკმაოდ კომპლექსური ფენომენია და არ არის სწორი მისი დაყვანა მხოლოდ ეფექტური მეტყველების უნარამდე. კომუნიკაციის სხვა ფორმების აქტიურად გამოყენების გარეშე და მოსწავლეთა მოსმენისა და მათი მოსაზრებების მიმართ ინტერესის გამოვლენის გარეშე, მასწავლებლის კომუნიკაცია ვერ მოიტანს მნიშვნელოვან შედეგებს.

კომუნიკაციის ფორმები

კომუნიკაციაზე საუბრისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს. ვერბალურია კომუნიკაცია, თუკი ინფორმაციის გაცემა/გადაცემა ძირითადად მეტყველების, სიტყვების გამოყენებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერბალური კომუნიკაციის დროს ინფორმაციის ძირითადი გადამცემი სიტყვა და მისი სემანტიკური მნიშვნელობაა. არავერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას მეტყველების კომპონენტის გამოყენების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ნამყვანი მნიშვნელობა ისეთ არავერბალურ კომპონენტებს ენიჭება, როგორებიცაა: სახის გამომეტყველება, ჟესტები, სხეულის მოძრაობა/მდგომარეობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ყველაზე ხშირად ვერბალურ კომუნიკაციას მიმართავენ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არავერბალური კომუნიკაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე ვერბალური. **კვლევებმა აჩვენა, რომ მსმენელის მიერ ვერბალური გზით მიღებული ინფორმაციის მხოლოდ 20%-ის „შენარჩუნება“ ხდება, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის კომბინაციის შემთხვევაში 80%-მდე იზრდება (მური, 2009).**

კომუნიკაციის ეს ორი ფორმა არ არის ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებული, განცალკევებული. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ კომუნიკაციაში თითოეული ჩვენგანი ხშირად გაცნობიერებული კონტროლის გარეშეც კი, კომუნიკაციის ორივე ფორმას მიმართავს ერთდროულად („საუბარი ხელებით“, სახის გამომეტყველების შეცვლა საუბრის დროს, თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად, გაღიმება, ხმის ტონის ცვლილება და ა.შ.).

კომუნიკაციის ამ ორი ფორმის უკეთ გაგების მიზნით, ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ვერბალური კომუნიკაცია

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას სიტყვების გამოყენებით. ვერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს რამდენიმე კომპონენტის, ელემენტის ერთობლიობას. ეს ელემენტებია – შინაარსი, ხმის მახასიათებლები და მეტავერბალური ნაწილი.

ვერბალური კომუნიკაციის შინაარსი მოიცავს კონკრეტულ სიტყვებს, რომლებსაც იყენებს, მაგალითად, პედაგოგი მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში. ის, თუ როგორ იქნება აღქმული შინაარსი, დამოკიდებულია არა მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელზე, არამედ მის მიმღებზე, მსმენელზე. ასე მაგალითად, საკლასო გარემოში რამდენად კარგად გაიგებენ მოსწავლეები მასწავლებლის ნათქვამს, დამოკიდებულია არა მხოლოდ მასწავლებლის კომუნიკაციურ უნარზე, არამედ მოსწავლეების მიერ შესაბამისი სიტყვების სემანტიკური შინაარსის ცოდნასა და გაგების უნარზე (გაგებას, თავის მხრივ, განაპირობებს კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა). როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ისე საკლასო გარემოში, ხშირად „მსმენელისთვის“ ბუნდოვანი ან სრულიად გაუგებარი რჩება მიწოდებული ინფორმაცია მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის უცნობია გამოყენებული სიტყვის/სიტყვების მნიშვნელობა ან მის გამოცდილებაში ამ სიტყვასთან/სიტყვებთან განსხვავებული შინაარსი ასოცირდება.

ნათელია, რაოდენ დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს პედაგოგი ვერბალური კომუნიკაციის ამ კომპონენტს. სასწავლო პროცესის ძირითადი მიზანია მოსწავლეებისათვის ახალი ცოდნის, ინფორმაციის გადაცემა, რაც ცხადია შეუძლებელი იქნება, თუკი მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვები მათთვის ბუნდოვანი ან გაუგებარია. მოსწავლეთა ცოდნის, მათი გამოცდილების გათვალისწინება ვერბალური ინფორ-

მაციის მომზადების პროცესში სასწავლო პროცესის ეფექტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ცხადია, აქ არ იგულისხმება ზედმეტად გამარტივებული თუ ჟარგონული ტერმინების გამოყენება საკლასო ოთახში. მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილი არ იყოს გადატვირთული უსარგებლო და საგაკვეთილო თემატიკასთან დაუკავშირებელი, აგრეთვე ძალიან ზოგადი, კონცეპტუალური ტერმინოლოგიით. მნიშვნელოვანი ტერმინები კი საგანგებოდ განიმარტოს მოსწავლეებისათვის გასაგები და შედარებით კონკრეტული ცნებების თუ სიტყვების გამოყენებით.

ინფორმაციის შინაარსზე საუბრისას ხშირად აღნიშნავენ მისი სწორად ორგანიზაციის მნიშვნელობასაც. **გაფანტული, შეუკავშირებელი თუ არაორგანიზებული ფორმით მიწოდებული ინფორმაციის გაგება საკმაოდ რთულია მაშინაც კი, თუკი გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა „მსმენელისთვის“ ნათელია.** საკლასო გარემოში ინფორმაციის ორგანიზებულად მიწოდებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის ეფექტურობისთვის, ვინაიდან აქ მიზანი უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება კი არა, მოსწავლეების მიერ მისი ათვისება, გააზრება და დამახსოვრებაა, რაც თითქმის შეუძლებელი ხდება ცუდად ორგანიზებული და სტრუქტურირებული ინფორმაციის შემთხვევაში.

ხმის მახასიათებლების კომპონენტში გაერთიანებულია ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა ინტონაცია, სიმაღლე, საუბრის სისწრაფე და ა.შ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გადასაცემი ინფორმაციის შინაარსი. მაგრამ ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ ჩვენს სათქმელს. ჩვენი ხმა ფაქტობრივად აცოცხლებს, სახეს აძლევს ჩვენ მიერ მიწოდებულ კონკრეტულ შინაარსს. ხმის მახასიათებლების ცვლილებას მეტყველების დროს ძალუძს „მსმენელის“ ყურადღების გამახვილება ინფორმაციის ამა თუ იმ ნაწილზე, აგრეთვე, ინ-

ფორმაციის აღქმადობის, დამახსოვრებადობის გაუმჯობესება.

საკლასო გარემოში მასწავლებელს უნევს ინფორმაციის მიწოდება ერთდროულად რამდენიმე ათეული მოსწავლისთვის. ასეთ პირობებში ხმის მახასიათებლებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ხმის სხვადასხვა პარამეტრის მანიპულირებით მასწავლებელმა ნათელი უნდა გახადოს ყველა მოსწავლისათვის, თუ რა არის ძირითადი მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში და რაზე უნდა გაამახვილონ საგანგებო ყურადღება. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მარტივი ამოცანა. ძალიან ცოტა ადამიანი არის ბუნებრივად კარგი ორატორი. ადამიანთა უმეტესობა, ძირითადად, ერთსა და იმავე ინტონაციას, საუბრის ტემპსა თუ ტონს იყენებს, რაც ერთფეროვანს და უინტერესოს ხდის კომუნიკაციის პროცესს. თუმცა საკუთარი ხმის მახასიათებლების „დამორჩილება“ სრულიად რეალისტური და სავალდებულო ამოცანაა, განსაკუთრებით – პედაგოგებისთვის. ამისათვის, ისევე როგორც სხვა პროფესიული უნარების შემთხვევაში, საჭიროა პრაქტიკა, ხმის მახასიათებლების ცნობიერი კონტროლი და მანიპულირება.

მეტავერბალური კომპონენტი მოიცავს ვერბალური კომუნიკაციის იმ ნაწილს, რომელიც ექსპლიციტურად (ცხადად) არ არის ასახული არც გამოყენებულ სიტყვებში და არც ხმის მახასიათებლებში. არსებითად, ეს არის ინფორმაცია, რომელიც ნაგულისხმებია მოსაუბრის მიერ. მეტავერბალურ ინფორმაციას ხშირად „წინადადებებს შორის“ მოცემულ ინფორმაციასაც უწოდებენ, ვინაიდან იგი „მსმენელისაგან“ მოითხოვს იმის „გაგებას“, რაც ცხადად არ არის მოწოდებული. მეტავერბალური კომპონენტის გამოყენებისთვის საჭიროა, რომ მოსაუბრესაც და მსმენელსაც ერთნაირად ესმოდეთ, რა იგულისხმება ექსპლიციტურად (ცხადად) მიწოდებული შინაარსის მიღმა. ხშირად კომუნიკაცია მახინჯდება სწორედ იმიტომ, რომ „მსმენელს“ არასწორად ესმის, თუ რა

იგულისხმება კონკრეტული შინაარსის მიღმა, ან „მოსაუბრე“ ვერ აცნობიერებს, რომ მის მიერ მიწოდებული შინაარსი შეიძლება არასასურველ, არასწორ მეტავერბალურ ინფორმაციასაც შეიცავდეს.

ვინაიდან მასწავლებელს ერთდროულად ბევრ მოსწავლესთან უნევს კომუნიკაცია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი კომუნიკაციის მეტავერბალური კომპონენტი წინასწარ იყოს კარგად გააზრებული. მოსწავლეთა მიერ სხვადასხვანაირად არ უნდა ხდებოდეს მეტავერბალური კომპონენტის ინტერპრეტაცია. მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს კომუნიკაცია, რომ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, მისი ფორმა და იმპლიციტური (ანუ ნაგულისხმევი) ვარაუდები მეტნაკლებად ერთნაირად გაიგოს თითოეულმა მოსწავლემ.

არავერბალური კომუნიკაცია

კომუნიკაცია შეიძლება არავერბალურადაც მიმდინარეობდეს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ დიდი მოცულობით გადავცემთ ინფორმაციას არავერბალური კომუნიკაციის გზით. ვინაიდან კომუნიკაციის 80% სწორედ არავერბალურ დონეზე ხორციელდება, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს კარგად ჰქონდეს გააზრებული კომუნიკაციის ამ ფორმის მნიშვნელობა და იყენებდეს მას სასწავლო მიზნებისთვის.

ინფორმაციის გადაცემა არავერბალური გზით ხდება თითქმის უწყვეტი ნაკადის სახით. ჩვენი ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება, თვალები, მოძრაობა, დგომისა თუ ჯდომის პოზა და ა.შ. მუდმივად გადასცემს მსმენელს ინფორმაციას ჩვენი მდგომარეობის, გრძნობებისა და დამოკიდებულებების შესახებ. განსაკუთრებით მეტყველია არავერბალური კომუნიკაციის ის ნაწილი, რომელიც ჩვენი ცნობიერი კონტროლის გარეშე მიმდინარეობს. ასე მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება „იძულებით“ გაუღიმოს ან თვალებში უცქიროს

მოსწავლეს მისი აზრის მიმართ ინტერესის იმიტირების მიზნით, თუმცა თვალების გამომეტყველებით, სხეულის პოზით თუ უკონტროლო ფესტიკულაციით იგი მაინც „გამომჟღავნებს“ ნამდვილ დამოკიდებულებას. ვერბალური და არავერბალური წყაროებით მიწოდებული ინფორმაციის შეუსაბამობის შემთხვევაში, „მსმენელები“, როგორც წესი, არავერბალურ კომპონენტს ენდობიან უფრო მეტად. შესაბამისად, ამგვარი შეუსაბამობის აღმოცენება მასწავლებელს მოსწავლეთა პატივისცემის, მათი კეთილი განწყობის დაკარგვის ფასად შეიძლება დაუჯდეს.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ არავერბალური კომუნიკაციის რამდენიმე ფორმას. მათგან ყველაზე პოპულარულია მიმიკა და სხეულის მოძრაობები. მიმიკა არავერბალური კომუნიკაციის ყველაზე მდიდარ წყაროდ არის მიჩნეული. დაკვირვებული „მსმენელი“ ადვილად ამოიკითხავს „მოსაუბრის“ რეალურ გრძნობებს, დამოკიდებულებებსა და განწყობას სახისა და თვალების გამომეტყველებით. მიმიკა არავერბალური ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროა, რადგანაც „მოსაუბრისთვის“ პრაქტიკულად შეუძლებელია საკუთარი მიმიკისა და თვალების გამომეტყველების ცნობიერი კონტროლი. ჩვენ ვახერხებთ სახის მაკრო მოძრაობების კონტროლს და მათ მანიპულირებას (ლიმილი, წარბების აწევა და ა.შ.); თუმცა, ვერც კი ვაცნობიერებთ, თუ რამდენი სხვა მიკრო ელემენტი „გასცემს“ ჩვენს რეალურ დამოკიდებულებასა და გრძნობებს.

მიმიკასთან კავშირში, როგორც წესი, თვალების გამომეტყველებაზეც საუბრობენ. ჩვენი სახე ისეა აწყობილი, რომ თითქმის ყველა ემოცია ასახვას პოულობს ჩვენი თვალების გამომეტყველებაშიც. ცნობილ გამოთქმას – „თვალები სულის სარკეა“, ხშირად შინაგანი მდგომარეობის, გრძნობებისა და თვალების გამომეტყველებას შორის ამ მჭიდრო კავშირის აღსანიშნავად იყენებენ ხოლმე.

თვალეების გამომეტყველებისაგან დამოუკიდებლად განიხილავენ მზერის მიმართულებასაც. ის, თუ საითკენ არის მიმართული მზერა, კიდევ ერთი ინფორმაციის მდიდარი წყაროა დაკვირვებული „მსმენელისთვის“. ასე მაგალითად, მსმენელისკენ, მისი თვალეებისკენ მიმართული მზერა, ხშირად ასოცირდება მოწოდებული ინფორმაციის მიმართ ინტერესის არსებობასთან, თვალის არიდება კი „ნამდვილი“ გრძნობების დაფარვის, ან მოსაუბრისაგან თავის არიდების მცდელობასთან. საკლასო გარემოში მასწავლებლები საკმაოდ წარმატებით (თუმცა, ხშირად გაუცნობიერებლად) იყენებენ ხოლმე თვალეების მოძრაობის ტექნიკას. თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც განუცდია მასწავლებლის დაჟინებული მზერა არასასურველი ქცევის სასწრაფოდ შეწყვეტის ნიშნად. გამოცდილი მასწავლებლებისთვისაც ნაცნობია მოსწავლის დაბნეული თვალეების მოძრაობა, დასმულ შეკითხვაზე პასუხის არცოდნის თუ გამოძახებისაგან თავის არიდების მცდელობის დროს.

სხეულის მოძრაობები, მაგალითად, ხელების, თავის და მხრების მოძრაობა გვეხმარება ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციის უკეთ გაგება/ამოკითხვაში. თავის დაქნევით ჩვენ ვადასტურებთ თანხმობას, ან იმას, რომ „მიყვებით“ მოსაუბრეს საუბრის პროცესში, ხელების მოძრაობით, ჟესტებით, ჩვეულებრივ, ჩვენ უფრო ნათელს და გასაგებს ვხდით საკუთარ აზრებს, მხრებით თუ ზოგადად სხეულის მდგომარეობით „გაცვიმთ“ საკუთარ მდგომარეობას, გრძნობებს და ა.შ. საკლასო ოთახში მოძრაობის, გადაადგილების თავისებურებებიც, აგრეთვე, ბევრი რამის მთქმელია მასწავლებლის დამოკიდებულებების თაობაზე. ასე მაგალითად, მოსწავლის მიმართულებით გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი, მისი აზრის მიმართ ინტერესის გამოხატვად შეიძლება იქნას აღქმული; მაშინ, როდესაც მოსაუბრე მოსწავლისადმი ზურგის შექცევა ან მისი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა, პირიქით, ინტერესის არქონაზე მიუთითებს. გარდა

ამისა, მასწავლებლის მუდმივი კონცენტრაცია საკლასო ოთახის წინა ნაწილში, უკანა რიგებში მოხვედრილი მოსწავლეების მიმართ უყურადღებობად შეიძლება იყოს მიჩნეული.

მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს, თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა სწავლის პროცესზე მისი სხეულის მოძრაობებს. ფესტიკულაციის ნაკლებობა (გაშეშებული პოზა) მონოტონური საუბრის ანალოგიაა და უინტერესოს ხდის კომუნიკაციას მოსწავლეებისათვის. გადამეტებული ფესტიკულაცია კი, თავის მხრივ ყურადღების გამფანტველი შეიძლება აღმოჩნდეს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოძრაობა, კლასში გადაადგილების ტრაექტორია, ჯდომის თუ დგომის მანერა მასწავლების კომპეტენტურობის, მისი სანდოობისა და მისდამი პატივისცემის აღმძვრელი შეიძლება გახდეს მოსწავლეებისათვის.

სხეულის მოძრაობასთან კავშირში ხშირად განიხილავენ ჩაცმულობას და ზოგად მონესრიგებულობასაც. როგორც მოძრაობები და სხეულის პოზა, ასევე მასწავლებლის ჩაცმის სტილი ბევრი რამის მთქმელია პედაგოგის შესახებ. ერთი და იგივე ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვან მოსწავლეებმა იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის ჩაცმული მასწავლებელი ამ მასალის მიწოდების დროს. მოუნესრიგებელი, სკოლისათვის შეუსაბამო ჩაცმულობა ნეგატიურ დამოკიდებულებას აღვიძებს მოსწავლეებში, ნაკლებად სანდოს და დასამახსოვრებელს ხდის მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და პირიქით.

სხეულის მოძრაობასთან კავშირში, ასევე, განიხილება მოსწავლისათვის მხარზე ხელის მოსმა ან რაიმე სხვა „მიღებული“ ფესტიკული მოსწავლის ნახალისება. ეს ფესტიკული შექების სიტყვების გამოყენებაზე ბევრად უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა, ზოგადად, მოსწავლეთა ხშირი შეხება არ არის რეკომენდებული.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციის პროცესი ძალიან კომპლექსურია და მას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის

პროცესში. მასწავლებელი ძალიან დიდი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს კომუნიკაციის უნარის განვითარებას და ცდილობდეს მის გამოყენებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დროის ფაქტორი კომუნიკაციაში

კომუნიკაციის ხარისხზე დიდი გავლენა აქვს ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდების კონკრეტულ დროს, მომენტს. ამასთან, მნიშვნელოვანია, დროის ეფექტური გამოყენება უშუალოდ კომუნიკაციის პროცესში. დროით ფაქტორებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგაკვეთილო პროცესში, რადგან გაკვეთილის დროს მოსწავლეებთან კომუნიკაცია ძალიან მკაცრად არის ლიმიტირებული დროითი ჩარჩოებით.

პედაგოგები მიიჩნევენ, რომ გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები მაქსიმალურად მობილიზებულნი არიან და უფრო ადვილად ითვისებენ ახალ მასალას. ამიტომ ახალი მასალის ახსნას გაკვეთილის დასაწყისში ცდილობენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიან გაკვეთილის სხვა ნაწილებზე. ჩვენ აქ არ ვიმსჯელებთ იმის თაობაზე, რამდენად სწორია გაკვეთილის ამგვარად დაგეგმვა. ეს მაგალითი ინფორმაციის სწორ მომენტში მიწოდების იდეის ილუსტრირებისათვის მოვიყვანეთ. არასწორად შერჩეულ მომენტს შეუძლია მნიშვნელოვნად დააბრკოლოს და „დაამახინჯოს“ კომუნიკაციის პროცესი. ამდენად, პედაგოგი მოსწავლეებთან კომუნიკაციის დროს პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ე. წ. „მომენტის“ ფაქტორს.

დროის ფაქტორზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია უშუალოდ კომუნიკაციის დროსაც. ასე მაგალითად, ახალი წინადადების დაწყებამდე, ან მისი დასრულების შემდეგ რამდენიმე წამიანი პაუზა „მსმენელისთვის“ იმის მაჩვენებელია,

ნებელია, რომ წინადადება მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. ოდნავ უფრო გახანგრძლივებული პაუზა კი მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. პაუზა მიუთითებს გარკვეული პრობლემის არსებობაზე და ახდენს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას უჩვეული პაუზის პირობებში. მაგალითად, მასწავლებლები დროებით აჩერებენ ახალი მასალის ახსნის პროცესს, რათა მიაწინონ ცელქ მოსწავლეს, რომ მისი ქცევა ხელს უშლის გაკვეთილის მიმდინარეობას. ხანგრძლივი პაუზით მასწავლებელი შეიძლება მიუთითებდეს მოსწავლეთა მხრიდან ინტერესის არარსებობას ან თანამშრომლობის სურვილის არქონაზე.

ცხადია, ნებისმიერი კომუნიკაცია გარკვეულ დროით ჩარჩოებში აღმოცენდება და შესაბამისად, დროის კონტექსტს უდიდესი გავლენა აქვს მის მიმდინარეობაზე, გადაცემული მასალის ათვისების ხარისხსა თუ დამახსოვრებაზე.

კომუნიკაცია მშობლებთან

მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი მშობლების ჩართულობასა და თანამონაწილეობას შვილების განათლების პროცესში. მშობელთა აქტიური ჩართვა შვილების განათლების პროცესში მათთან ეფექტური კომუნიკაციით მიიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელსა და მშობლებს საერთო ინტერესი ამოძრავებთ (მოსწავლის კეთილდღეობა), ხშირად მშობელთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სპეციალური ძალისხმევის გარეშე ფაქტობრივად ვერ ხერხდება.

ტრადიციულად, მშობლებთან კომუნიკაცია სასკოლო კრებებისა თუ სხვა ფორმალური ღონისძიებების ფორმატში მიმდინარეობს. ეს პრაქტიკა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებელიც და მშობელიც საკმაოდ გადატვირთულნი

არიან ყოველდღიური საქმიანობით იმისათვის, რომ გამო-
ნახონ ინდივიდუალური შეხვედრების თუ საუბრის დრო. აღ-
სანიშნავია, რომ ეს მიდგომა უფრო კომფორტულია, ვიდრე
ეფექტური. მართალია, იგი იძლევა დროისა და ენერჯის და-
ზოგვის შესაძლებლობას, თუმცა, მხოლოდ კრება, მისი ფორ-
მალური ხასიათიდან გამომდინარე, ვერ ჩაუყრის საფუძველს
ეფექტურ კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.

მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა მათთვის ინდივიდუალური შეხვედრის დროის გამოყოფაა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავ-
ლებელი იცნობდეს თითოეულ მშობელს, ჰქონდეს მათთან
სისტემატური კონტაქტი, აწვდიდეს დეტალურ ინფორმაციას
მათი შვილების პროგრესსა თუ პრობლემებზე, აგრეთვე
ქმნიდეს მშობლების ერთმანეთში დამეგობრებისათვის საჭი-
რო პირობებს. გახსოვდეთ, რომ მშობლები მართლაც ძალიან
დაკავებული არიან ყოველდღიური პრობლემებით და რომ
თითოეული ოჯახი სრულიად უნიკალური და სპეციფიკურია
თავისი კულტურით, ტრადიციებით, სოციალური თუ ეკონო-
მიკური მდგომარეობით და ა.შ., ამიტომაც არ შეიძლება ამ
განსხვავებულობების იგნორირება და ყველასთან ერთნაირი
მიდგომის გამოყენება. წლის დასაწყისშივე გაიცანით თი-
თოეული მშობელი და სატელეფონო ზარების, ინდივიდუა-
ლური შეხვედრების, ღია გაკვეთილების თუ ექსკურსიების
ორგანიზების გზით ეცადეთ, მაქსიმალურად დაუახლოვდეთ
თითოეულ მათგანს. ცხადია, მიზანი არ არის უბრალოდ
მეგობრული და თბილი ურთიერთობების დამყარება მშობ-
ლებთან. მასწავლებლის მიზანია, მაქსიმალურად დააინტერე-
სოს მშობლები შვილების განათლების პროცესით, ჩართოს
ისინი ამ პროცესში. ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია
მშობლებთან კეთილგანწყობილი, ინდივიდუალური ურთიერ-
ობების დამყარების გარეშე.

ყველა ის პრინციპი, რომელიც გამოსადეგია მოსწავ-
ლებებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის, შეიძლება გამოვიყე-

ნოთ მშობლებთან კომუნიკაციის დამყარების მიზნისთვისაც. ერთადერთი, რაც ალბათ ოდნავ ართულებს მშობლებთან კომუნიკაციას, არის ის ფაქტი, რომ ისინი ზრდასრული ადამიანები არიან და მათთან კომუნიკაცია აკადემიური კონტექსტის მიღმა მიმდინარეობს. შეილებისაგან გასწავლებით, მათ არ აქვთ მასწავლებლის მოსმენის, მისი ნათქვამის „მიღების“ ვალდებულება. შესაბამისად, ეფექტური კომუნიკაციის აგება მასწავლებლებისაგან კიდევ უფრო მეტ ძალისხმევასა და სიფრთხილეს მოითხოვს. ბოლო დროს პოპულარული გახდა ტერმინი „რთული მშობელი“. მასწავლებლები ასე მოიხსენიებენ ისეთ მშობელს, რომელიც ფაქტობრივად არ იჩენს ინტერესს შვილის სწავლის პროცესის მიმართ და თავს არიდებს მასწავლებელთან კომუნიკაციას. პედაგოგები ხშირად იმავე ტერმინით მოიხსენიებენ მშობლებს, რომლებიც უხეშები არიან ურთიერთობებში ან გარკვეულ პრეტენზიებს უყენებენ პედაგოგს, სკოლას, სასწავლო პროცესის შინაარსსა თუ სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

უპირველეს ყოვლისა, პედაგოგებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი სახელდებებისაგან, ვინაიდან ეს ფაქტი თავისთავად უკვე ნეგატიურად ისახება კომუნიკაციის პროცესზე. მასწავლებელმა ყველა ზომას უნდა მიმართოს ამგვარ მშობლებთან ნორმალური კომუნიკაციის დასამყარებლად. ყველაზე რთულ და არაკომუნიკაბელურ მშობლებთანაც კი არის შესაძლებელი ეფექტური კომუნიკაციის დამყარება მასწავლებლის მიერ სათანადო ნაბიჯების გადადგმისა და ბავშვის ინტერესების წინა პლანზე წამოწევის შემთხვევაში. ნებისმიერ, განსაკუთრებით კი რთულ მშობლებთან ურთიერთობისას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გამოავლინოს პროფესიონალიზმი, კორექტულობა და პროფესიული ეთიკა.

კომუნიკაციის გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციები

კომუნიკაციის თემის განხილვისას უკვე შევხებით კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდის რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიას. ამჯერად კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას მათზე და შემოგთავაზებთ რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიას, რომელთა გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პედაგოგის კომუნიკაციის უნარს და ამავდროულად ხელს შეუწყობს ეფექტური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას:

◆ **ყურადღებით შეარჩიეთ ვერბალური კომუნიკაციის ტექსტი, სიტყვები.** გახსოვდეთ, რომ ისინი მისადაგებული უნდა იყოს მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებასთან. თავი აარიდეთ ძალიან ზოგადი და რთული ტერმინების გამოყენებას;

◆ **კომუნიკაციის შინაარსობრივ მხარეზე ფიქრის დროს ეცადეთ, გაითვალისწინოთ თქვენი პოზიციის სანინალმდეგო პოზიცია (კონტრარგუმენტები).** კვლევებით დადგინდა, რომ როდესაც მოსაუბრე საკუთარ პოზიციას აყალიბებს და ამავდროულად თვითონვე მიუთითებს ამ პოზიციის შესაძლო ნაკლოვანებებსა თუ სანინალმდეგო პოზიციების არსებობაზე, „მსმენელი“ უფრო მეტი ნდობითა და ყურადღებით ერთვება კომუნიკაციის პროცესში;

◆ **იზრუნეთ ვერბალური ინფორმაციის ორგანიზებაზე.** ეცადეთ, დაუკავშიროთ საკითხები ერთმანეთს, გამოყოთ ძირითადი იდეები, თვალსაჩინო და ნათელი გახადოთ თქვენი ძირითადი აზრი. ეს გაუადვილებს მოსწავლეებს ინფორმაციის აღქმას და მის დამახსოვრებას;

◆ **თავი აარიდეთ მონოტონურობას, მუდმივად ცვალებად საუბრის ტემპი, ინტონაცია თუ ხმის სიმაღლე.** გახსოვდეთ, რომ სწრაფად საუბარი „მსმენელს“ უტოვებს განცდას, რომ

ინფორმაცია უმნიშვნელოა. შედარებით ნელა საუბარი კი ხაზს უსვამს და იპყრობს ყურადღებას, თუმცა, ძალიან ნელი საუბარი მოსაბეზრებელს და უინტერესოს ხდის მას. აგრეთვე, გაითვალისწინეთ, რომ სწორად შერჩეული ტონი მეტ დამაჯერებლობას მატებს თქვენს ნათქვამს. ძალიან მაღალი ტონი (ინტონაცია) ხშირად გამაღიზიანებლად მოქმედებს „მსმენელზე“, თუმცა, ზედმეტად დაბალი ტონიც მოსწავლეებისთვის ყურადღების გამფანტველი და დამაბნეველი შეიძლება აღმოჩნდეს;

◆ **თავი აარიდეთ „ფიზიკურ მონოტონურობასაც“.** ისევე, როგორც ვერბალური მონოტონურობა, ერთი და იმავე სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა თუ შესტები ერთფეროვანს და უინტერესოს ხდის კომუნიკაციას. კარგად გაიაზრეთ, თუ როგორ შეიძლება დაგეხმაროთ არავერბალური კომუნიკაცია ვერბალურად გადმოცემული ინფორმაციის გამყარებაში, მისი დამაჯერებლობის უზრუნველყოფაში. ამავდროულად, თავი აარიდეთ გადამეტებულ შესტიკულაციას და მოძრაობებს, ვინაიდან ეს შეიძლება გახდეს „მსმენელის“ ყურადღების გაფანტვის მიზეზი.

◆ **მონესრიგებული შედით საკლასო ოთახში.** ძალიან რთულია ინფორმაციის სერიოზულად აღქმა ან დამახსოვრება, თუკი მოსაუბრე მოუნესრიგებელია. დაჭმუჭნულ ტანსაცმელშია გამონყობილი ან არასერიოზული, სკოლისათვის შეუსაბამო სამოსი აცვია. გახსოვდეთ, რომ ჩაცმულობა თქვენ შესახებ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს. ამდენად, ყურადღებით მოეკიდეთ ჩაცმის საკითხს, თუკი არ გინდათ, რომ ბავშვებმა დაკარგონ ინტერესი თქვენი და თქვენი საგნის მიმართ.

◆ **გადაადგილდით ხოლმე საკლასო ოთახში.** შეეცადეთ, თანაბრად „მოიცვათ“ მთელი კლასი. თავი აარიდეთ კლასის წინა ნაწილზე ფიზიკურ „მიჯაჭვას“. თავისუფლად გადაადგილდით კლასში და აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ თქვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი.

◆ **ისწავლეთ გულდასმით მოსმენა.** გახსოვდეთ, რომ კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია. მისი განუყოფელი ნაწილი მოსმენის უნარია. ყურადღებით უსმინეთ მოსაუბრეს, ეცადეთ, კარგად გაიგოთ მისი პოზიცია და შემდგომი კომუნიკაცია სწორედ მიღებულ ინფორმაციაზე დააფუძნოთ. მოსმენა არ არის მხოლოდ ჩუმად ყოფნა, იგი გულისხმობს გაგებას, საპირისპირო მხარის პოზიციის მიღებას დასამუშავებლად. უბრალოდ სმენა და მოსმენა ერთი და იგივე არ არის. მოსმენა აქტიური პროცესია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტური კომუნიკაციის აწყობა.

◆ **გახსოვდეთ თვალის კონტაქტის მნიშვნელობა.** ამავდროულად ფრთხილად იყავით, რომ თვალის კონტაქტი არ გადაიზარდოს დაჟინებულ, შეფასებით და დისკომფორტულ მზერაში. მოსაუბრე უნდა გრძნობდეს, რომ მისი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, თქვენი მზერა არ უნდა უქმნიდეს მას ერთგვარ დისკომფორტს.

◆ **მიანუჭეთ კომუნიკაციას ზომიერი ემოციურობა.** ადამიანებისთვის ბუნებრივია ემოციების გამოვლენა. შესაბამისად, ემოციის ელემენტები კომუნიკაციაში უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს მას და „მოსაუბრეს“;

◆ **ნუ ეცდებით რთული, „ინტელექტუალური“ საუბრების წარმართვას.** გახსოვდეთ, რომ ადამიანები ისედაც საკმაოდ მცირე დოზით აღიქვამენ ვერბალურ ინფორმაციას (მხოლოდ 20%), შესაბამისად, კონკრეტული შინაარსების გართულება „მოსაუბრის“ ინტელექტუალურობის გამოვლენის მიზნით, კიდევ უფრო შეამცირებს ამ მაჩვენებელს და ზოგადად ნეგატიურად აისახება მოსაუბრის იმიჯზე. გამოიყენეთ მარტივი და გასაგები წინადადებები. გახსოვდეთ, რომ კომუნიკაციაში თქვენი მიზანია, მოსწავლეებმა და მშობლებმა კარგად გაიგონ, თუ რას ეუბნებით და არა ის, რომ შეაფასონ თქვენი რიტორიკა;

◆ **ყოველთვის მთავრად თქვენი კომუნიკაცია აუდიტორიას.** ყოველი მოსწავლე, ისევე როგორც ყოველი მშობელი,

უნიკალური ინდივიდია, უნიკალური გამოცდილებით, სოციალური თუ ეკონომიკური პირობებითა და პრობლემებით. დაუშვებელია ყველასთან კომუნიკაციის ერთი და იმავე მეთოდის, მიდგომის გამოყენება. კარგად შეისწავლეთ თქვენი აუდიტორია და შესაბამისად, წარმართეთ კომუნიკაციის პროცესიც;

◆ **გაამდიდრეთ კომუნიკაციის პროცესი ანალოგიების, მეტაფორებისა თუ კონკრეტული მაგალითების გამოყენებით.** ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს თქვენ მიერ მისაწოდებელი მასალის აღქმას. ყველა ეს მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მოსწავლეთა ყურადღების მიზიდვაზე, რაც უკვე მნიშვნელოვანი წინაპირობაა მათი სწავლისათვის.

◆ **ნუ მიეჯაჭვებით კომუნიკაციის რომელიმე ერთ, კონკრეტულ ფორმას თუ მეთოდს.** მოსწავლეთა თუ მშობელთა ყურადღების, მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აქტიურად იყენებდეს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას.

შეჯამება:

- ✓ კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. განათლების სისტემა ემყარება კომუნიკაციას, რაც დღის წესრიგში აყენებს მასწავლებლებში ამ უნარის განვითარების საჭიროებას.
- ✓ კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას (გაცემას და მიღებას) ორ ან მეტ ადამიანს შორის, როგორც ვერბალურად, ისე სიტყვების გამოყენების გარეშე.
- ✓ კომუნიკაციის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს ჩვენი ცნობიერი ჩარევის გარეშეც კი. თუკი ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ფრთხილად ვარჩევდეთ და „ვწონილდეთ“ თითოეულ სიტყვას, არავერბალური კომუნიკაცია, მათ შორის, თვალების თუ სახის გამომეტყველება, ჩვენდა უნებურად მუდმივად აწვდის „მსმენელს“ უტყუარ ინფორმაციას ჩვენი გრძნობების თუ დამოკიდებულებების შესახებ.
- ✓ ეფექტური კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ ჩვენს სათქმელს. აზრის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტურად მიწოდების უნარის განვითარებას პრაქტიკული ვარჯიში სჭირდება.
- ✓ კომუნიკაცია არ არის მონყვეტილად არსებული ფენომენი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ის გარკვეულ კონტექსტში მიმდინარეობს და ამ კონტექსტს უდიდესი გავლენა აქვს მასზე. კომუნიკაციის კონტექსტის სწორად შერჩევა, აგრეთვე, კონტექსტის პირობების გამოყენება კომუნიკაციის პროცესში, მისი ეფექტურობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში;

მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს, რა გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე მოსწავლეთა თავისებურებები;

მასწავლებელმა იცის და იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან, მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილ-განწყობილი ურთიერთობებისთვის;

მასწავლებელმა იცის, როგორ განუვითაროს მოსწავლეებს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Moore. D., K. (2009). *Effective Instructional Strategies – From Theory to Practice* SAGE Publication Inc

Gary Orren (2009) *Persuasion: The Science and Art of Effective influence*. John F Kennedy School of Government, Harvard University

VIII თავე

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ძირითადი საკითხები:

- ◆ სასწავლო გეგმის სახეები;
- ◆ ჯგუფური დაგეგმვა;
- ◆ დროის მართვა;
- ◆ მიზნების დასახვა.

მომზადა მარიამ გაბაშვილმა

შესავალი

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მასწავლებლის პროფესია თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს. ამ მოსაზრების მომხრეები მიიჩნევენ, რომ ხელოვანთა მსგავსად, მასწავლებლის წარმატებული საქმიანობაც წარმოუდგენელია თანდაყოლილი ნიჭის გარეშე. თანდაყოლილი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები მნიშვნელოვანია, თუმცა, ცალსახად არ განსაზღვრავს პედაგოგის წარმატებას. განათლება, პროფესიული უნარები, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული ცნობისმოყვარეობა, სასწავლო პროცესის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა (კრეატიულობა) – მხოლოდ რამდენიმეა იმ ფაქტორთაგან, რომლებიც განსაზღვრავს პედაგოგის წარმატებას. ექსპერტთა აზრით, ყოველი კონკრეტული გაკვეთილი თანდაყოლილი ნიჭის სპონტანური რეალიზება კი არ არის, არამედ შექმნილი ცოდნის (თეორიული თუ პრაქტიკული) საფუძველზე ორგანიზებული, წინასწარ დაგეგმილი

პროცესია, შესაბამისად, წარმატებულ პედაგოგიურ პრაქტიკას ისინი ძალიან ხშირად დაგეგმვის უნარს უკავშირებენ.

პრაქტიკოსი პედაგოგები ალბათ დაგვეთანხმებიან იმაში, რომ მხოლოდ საგნის კარგი ცოდნა არ არის საკმარისი ეფექტური სწავლებისათვის. მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და ახალი ცოდნის ათვისების ხელშეწყობისათვის, მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს/მეთოდებს; მას უნდა შეეძლოს ამ მეთოდების მისადაგება მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებთან. მასწავლებელი სწორად უნდა არჩევდეს ყოველი კონკრეტული მეთოდის გამოყენების დროსა და რიგითობას გაკვეთილის მსვლელობისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **წარმატებული სასწავლო პროცესი მასწავლებლისაგან ეფექტურ დაგეგმვას მოითხოვს.**

ამ თავში მოკლედ შევეხებით დაგეგმვის თეორიულ მხარეებს და გაგაცნობთ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკულ სტრატეგიებს. წარმოდგენილი რეკომენდაციები შემუშავებულია ამერიკელი მეცნიერის, განათლების დოქტორის და განათლების სისტემაში 35 წელიწადზე მეტი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ავტორის, კენეტ დ. მურის შრომებზე დაყრდნობით.

სასწავლო გეგმის სახეები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებლისა და ზოგადად სასწავლო პროცესის ეფექტურობას დიდ წილად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის სწორი დაგეგმვა. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დაგეგმვის მნიშვნელობა მცირდება პედაგოგის პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ **დაგეგმვის მნიშვნელობა არ კლებულობს პედაგოგის გამოცდილებასთან**

ერთად – ძალიან გამოცდილი და წარმატებული მასწავლებელი ისევე უნდა იყოს ჩართული ამ შრომატევად პროცესში, როგორც დამწყები პედაგოგი. გამოცდილების შექენასთან ერთად, დაგეგმვა სასწავლო პროცესის მარტივი ორგანიზების გარდა, მის გამდიდრება/გამრავალფეროვნებასაც ისახავს მიზნად. პედაგოგის მიერ გამოყენებული სწავლების მიდგომების, სტრატეგიების, აგრეთვე, საკლასო თუ საშინაო დავალებების/აქტივობების განახლება დაგეგმვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს. სხვაგვარად პროცესი ავტომატიზებული და მოსაბეზრებელი გახდება როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეებისათვის. სასკოლო კონტექსტში, დაგეგმვაზე საუბრისას პირობითად ერთმანეთისაგან გამოყოფენ ოთხი ტიპის – საგნის, თემის, კვირისა და გაკვეთილის გეგმებს. საგნის და საკითხების გეგმა შედარებით ზოგადი, ასე ვთქვათ, ჩარჩო გეგმებია, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ რა მიმართულებით წაიყვანს მასწავლებელი მოსწავლეებს წლის განმავლობაში. ყოველკვირეული და გაკვეთილის გეგმები კი, საგნის და თემის გეგმაში დადგენილი მიზნების მიღწევის ძალიან კონკრეტული და დეტალიზებული აღწერაა.

დეტალურად განვიხილოთ წარმოდგენილი გეგმების თითოეული სახეობა:

საგნის გეგმა

საგნის გეგმა ეს არის ძალიან ზოგადი ჩარჩო, სქემა იმისა, თუ რა საკითხები განიხილება წლის განმავლობაში და როგორ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგნის გეგმა არის ერთგვარი ჩონჩხი, ზოგადი ორიენტირი. ამ გეგმის შემუშავება უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო სტანდარტებს (ეროვნულ სასწავლო გეგმას). მასწავლებლის მიზანია, არა უბრალოდ გადმოიწეროს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ზოგადი მონახაზი, ან შესაბამის ლიტერატურაში,

მაგალითად, სახელმძღვანელოში მოცემული მასალის თანამიმდევრობა, არამედ გაამდიდროს დადგენილი მასალა საკუთარი გამოცდილებითა და შეხედულებებით.

„კარგი“ გეგმის აუცილებელი კომპონენტები

საგნის ეფექტური გეგმა უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

◆ რა ძირითადი საკითხები იქნება განხილული წლის განმავლობაში და რატომ?

◆ რა მასალით შეიძლება ამ საკითხების შესწავლა (ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, აუდიო-ვიდეო მასალა და ა.შ.)?

◆ როგორ შეიძლება განსახილველი საკითხების დაჯგუფება და/ან მათი შესწავლის თანამიმდევრობის განსაზღვრა?

◆ რამდენი დრო უნდა დაეთმოს თითოეული საკითხის შესწავლას (ყველა ერთნაირად/განსხვავებულად)?

◆ რა მეთოდების გამოყენებით იქნება შესაძლებელი (ეფექტური) ამ საკითხების სწავლება, მოსწავლეების მიერ მათი ათვისების ხელშეწყობა?

ამ კითხვებზე პასუხების გაცემა დაეხმარება მასწავლებელს საგნის სწავლებისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაში, საგნის სწავლების პროცესის ეფექტურად აგებაში.

თემის გეგმა

თემის გეგმა არის ინფორმაციის მსხვილი ერთეულების – წლის განმავლობაში განსახილველი თემების აღწერა. ესა თუ ის საგანი, როგორც წესი, პირობითად იყოფა თემებად, ასე ვთქვათ, ინფორმაციის დამოუკიდებელ ერთეულებად, რაც ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის გადაცემის, სწავლების ეფექტურ მართვას. თითოეული ასეთი ერთეული – თემა, მოიცავს ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულ საკითხთა ერთობლიობას. თემის გეგმა უფრო დეტალური და

კონკრეტული უნდა იყოს, ვიდრე საგნის გეგმა. როგორც წესი, იგი მოიცავს იმ მიზნებს, რომელთა მიღწევაც სურს პედაგოგს ამ კონკრეტული საგნის სწავლებისას, ამასთანავე, თემის გეგმა ასახავს ამ მიზნების მიღწევის ზოგად გზებს/მეთოდებსა და მიღწეული შედეგების შეფასების კომპონენტებს. გამოცდილი პედაგოგები აღნიშნავენ, რომ თემის გეგმის გაცნობა მოსწავლეებისათვის საკმაოდ ეფექტური შეიძლება იყოს მათი აკადემიური მოსწრების ამალგების და ადეკვატური მოლოდინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კარგად მომზადებული თემის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ◆ თემის სათაური (რომელიც საგნის გეგმასა და ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც არის განერილი);

- ◆ მიზნები და ამოცანები – ამ კონკრეტული თემის ფარგლებში მისაღწევი მიზნების, სასურველი შედეგების ჩამონათვალი;

- ◆ განსახილველი ინფორმაციის მოკლე შინაარსი – ეს დაგეხმარებათ საკითხის განხილვის სწორად ორგანიზებაში, ქვესაკითხების თანამიმდევრობის განსაზღვრაში, სასწავლო მასალის (წიგნების, დამატებითი ლიტერატურის) და სწავლის მეთოდების შერჩევაში;

- ◆ კონკრეტული სასწავლო მეთოდები თუ აქტივობები ყოველი კონკრეტული განსახილველი თემისათვის.

- ◆ საკითხის შესწავლისათვის სასურველი/საჭირო ლიტერატურა — ძირითადი და დამატებითი მასალა, აგრეთვე, თვალსაჩინოება, ვიდეო და აუდიო მასალა, რომელიც საჭიროა საკითხის ეფექტურად ახსნისათვის;

- ◆ შეფასების სისტემის აღწერა — კონკრეტული მეთოდებისა თუ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომელთა გამოყენებითაც მოხდება მიზნის მიღწევის გზაზე პროგრესის შეფასება, აგრეთვე, საბოლოო მიზნის მიღწევის დადასტურება/უარყოფა.

◆ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისადმი გეგმის ადაპტირება – თუ კლასში განსაკუთრებული საჭიროების ან სხვა სირთულის მქონე ბავშვია, აგრეთვე, შედარებით უფრო ნიჭიერი ან კლასის საერთო დონეს ჩამორჩენილი მოსწავლე. საკითხის გეგმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ მოსწავლეების დახმრების შესაძლებლობას.

◆ თვითანალიზის კომპონენტი. გათვალისწინებული უნდა იყოს დრო და სავარაუდო მეთოდები, რომლითაც მასწავლებელი შეაფასებს საკუთარ თავს, საკუთარ სამუშაოს გეგმის განხორციელების შემდეგ. აღნიშნული კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია მომდევნო სასწავლო წლის უფრო ეფექტურად დაგეგმვისა და საკუთარი პროფესიული უნარების განვითარება – დახვეწისათვის.

კვირის გეგმა

კვირის გეგმა, როგორც წესი, არის მოკლე, თუმცა ძალიან კონკრეტული დოკუმენტი, რომელშიც განერილია ამა თუ იმ კვირის განმავლობაში შესასწავლი საკითხი/საკითხები, და მათი განხილვის/სწავლების კონკრეტული სტრატეგიები. კვირის გეგმა ეხმარება მასწავლებელს გაკვეთილების უფრო სისტემურად დანახვაში. კვირის გეგმაში ყოველი კონკრეტული გაკვეთილი ცალკე არსებული ერთეული კი არ არის, არამედ რალაც უფრო დიდის ნაწილი, თემის გეგმით დასახული მიზნების მიღწევის საშუალებაა.

კვირის გეგმის არსებობას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. იგი შეუცვლელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ატარებს გაკვეთილს და მის მაგივრად კლასში შედის შემცვლელი პედაგოგი. კვირის გეგმის არსებობის გარეშე შემცვლელ პედაგოგს გაუჭირდება, ადეკვატურად წარმართოს კონკრეტული გაკვეთილი, რადგან მას დრო დასჭირდება მოსწავლეთა ცოდნის დონის და

მოცემულ მომენტამდე გავლილი მასალის გაანალიზებისათვის.

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის გეგმა არის ყველაზე დეტალური და კონკრეტული განხილულ გეგმათაგან. ის უნდა **აღწერდეს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე**. სხვადასხვა ლიტერატურაში ხშირად წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმის ნიმუშები ან სტანდარტები. ჩვენ განზრახ ავარიდეთ თავი ამგვარი ინფორმაციის წარმოდგენას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ეს პროცესი თვითონ წარმართოს, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების და არა თავს მოხვეული სტანდარტების მიხედვით.

კარგად მომზადებული გაკვეთილის გეგმა ფაქტობრივად იმავე კითხვებს პასუხობს, რომლებიც განვიხილეთ საგნის გეგმაზე საუბრის დროს. მასში უნდა იყოს ასახული გაკვეთილის:

- ◆ ძირითადი თემა;
- ◆ მიზანი;
- ◆ შესავალი – მოსწავლეთა მომზადება განსახილველი თემისთვის;
- ◆ განსახილველი ინფორმაციის მოკლე შინაარსი;
- ◆ კონკრეტული სასწავლო მეთოდები და აქტივობები, მათი თანამიმდევრობის მითითებით;
- ◆ შეჯამება – გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის ძირითადი პუნქტების შეჯამება და ხაზგასმა მოსწავლეებისთვის შესაბამისი აქტივობით ან უბრალოდ მათი გამეორებით;
- ◆ საჭირო ლიტერატურა – ძირითადი და დამატებითი. აგრეთვე, თვალსაჩინო, ვიდეო და აუდიო მასალა;

- ◆ შეფასება – მოსწავლეების მიერ გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდი;
- ◆ პრაქტიკული სავარჯიშოები – საკლასო და საშინაო დავალებები/სავარჯიშოები.

ნებისმიერი გაკვეთილის გეგმა უნდა მოიცავდეს: გაკვეთილის შესავალს, მასალის მიწოდებასა და გაკვეთილის დასრულებას.

შესავალი გაკვეთილის გეგმის ელემენტია, რომლის არსი მდგომარეობს ასახსნელი მასალისთვის მოსწავლეთა მომზადებაში, მათი ინტერესის გაღვივებასა და სათანადო კოგნიტიური მზაობის ჩამოყალიბებაში. ამ მოდელის ავტორების აზრით, ვიდრე მოსწავლეები მობილიზებული და მომზადებულები არ არიან ახალი მასალისთვის, გაკვეთილის მეორე ნაწილზე – მასალის მიწოდებაზე გადასვლას არანაირი აზრი არ აქვს. შესაბამისად, მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს შესავლის მომზადებას. იგი ისე უნდა იყოს დაგეგმილი და წარმართული, რომ მოსწავლეთა ყურადღების 100%-ით მობილიზებას შეუწყოს ხელი, გააღვივოს მათი ინტერესი განსახილველი საკითხის მიმართ და მოამზადოს ისინი ახალი მასალის ასათვისებლად.

მასალის მიწოდება წარმატებული გაკვეთილის გეგმის მეორე ელემენტია. იგი პირობითად შეიძლება დაყვით ორ ურთიერთდაკავშირებულ ქვეელემენტად – მეთოდებად და პროცედურად.

ყველა გაკვეთილი მიზნად ისახავს ახალი ცოდნის, ინფორმაციისა და მასალის მიწოდებას მოსწავლეებისათვის. თუმცა, ამ მასალის მარტივად მიწოდება მოსწავლეებისთვის, ცხადია, ვერ იქნება ეფექტური. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააანალიზოს და განჭვრიტოს, თუ რომელი კონკრეტული მეთოდი იქნება ყველაზე ეფექტური მოსწავლეების მიერ ახალი მასალის ათვისების თვალსაზრისით. ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, საგანმანათლებლო ექსკურსია – ეს

მხოლოდ რამდენიმე შესაძლო ვარიანტია სწავლის მეთოდების თითქმის ამოუწურავი სიიდან. საკუთარ გამოცდილებაზე თუ თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული საგნის სწავლებისათვის ყველაზე ეფექტური, ამავდროულად, მოსწავლეთა კოგნიტური შესაძლებლობებისათვის ყველაზე შესატყვისი მეთოდის შერჩევა. არ იქნება სწორი, ვიფიქროთ, რომ გაკვეთილის წარმატება მხოლოდ გამოყენებულ მეთოდებზეა დამოკიდებული. სწავლების სტრატეგიები, მეთოდები ვერ იქნება სასურველი შედეგის მომტანი, თუკი მასწავლებელმა არ იფიქრა ამ მეთოდების გამოყენების კონკრეტულ დროსა და მათ თანამიმდევრობაზე. სწორედ ამას მოიცავს გაკვეთილის პროცედურული ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცედურული ნაწილი წარმოადგენს მასალის მიწოდების პროცესის განერას ნაბიჯებად, ეტაპებად, რაც, ერთი მხრივ, აადვილებს მასწავლებლისთვის გაკვეთილის წარმართვის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ახალი მასალის ათვისებას.

გაკვეთილის გეგმის ბოლო ელემენტი – **დასრულება** მასწავლებლის ყურადღების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგანი უნდა იყოს. გაკვეთილი არ შეიძლება სრულდებოდეს ზარის დარეკვით და/ან ახსნის დასრულებით. მოსწავლეების მიერ ინფორმაციის უკეთ გაგებისთვის და დამახსოვრებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ახალი მასალის განხილვას მოჰყვებოდეს გარკვეული შეჯამება, ერთგვარი დასკვნითი მოსაზრებები. დასკვნაში მასწავლებელმა არა მხოლოდ მიმდინარე გაკვეთილი უნდა შეაჯამოს, არამედ უნდა დააკავშიროს ახლად მიღებული ცოდნა უკვე არსებულთან, გაავლოს პარალელები მოსწავლეებისთვის უკვე ნაცნობ საკითხებთან, იპოვოს მსგავსება, განსხვავებები და ამ გზით „შეკრას“ მიწოდებული ინფორმაცია. ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, ჩვენ შევიკავებთ თავს გაკვეთილის დასრულების კონკრეტული მეთოდების

განხილვისაგან, ვინაიდან პოტენციური მეთოდების რაოდენობა ფაქტობრივად ამოუწურავია. ისევე, როგორც დაგეგმვის ნებისმიერ სხვა ეტაპზე, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თვითონ „მოირგოს“ თავისი საგნის თუ კლასის შესატყვისი მიდგომა. ერთადერთი რამ, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ კონტექსტში, არის შერჩეული მიდგომის ცვალებადობის აუცილებლობა. გაკვეთილის შეჯამების რომელიმე ერთი კონკრეტული მოდელის ხშირი გამოყენება მობეზრების და ერთფეროვნების განცდას შეუქმნის მოსწავლეებს, რაც აისახება მათ ყურადღებაზეც. ამდენად, შეჯამების წინაშე მდგარი მიზნების მიღწევისათვის, სასურველია, რომ მასწავლებელმა მუდმივად ცვალოს, განაახლოს საკუთარი მიდგომა.

ნებისმიერი გეგმა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს იმისათვის, რომ გარკვეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესაძლებლობას ქმნიდეს. ჩვენ დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ მკაცრ მეცნიერულ მიდგომასთან ერთად, მასწავლებლის პროფესია შემოქმედებითი პროფესიაა. მასწავლებლობა ერთგვარი ხელოვნებაცაა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გეგმა უტოვებდეს ავტორს იმპროვიზაციისა და შემოქმედებითობის შესაძლებლობას. ამასთან, კლასი დინამიური გარემოა, შესაბამისად, დაგეგმვისას შეუძლებელია ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელმაც შეიძლება იჩინოს თავი საგაკვეთილო პროცესის წარმართვისა და გეგმის განხორციელების პროცესში. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გეგმის მომზადებისას დრო ფუჭად იკარგება, მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ესმოდეს, რომ გეგმა შეიძლება ვერ განხორციელდეს ისე, როგორც მას სურს და მზად უნდა იყოს ამ შემთხვევისთვის. ამგვარ სიტუაციაში პედაგოგმა შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს შეუესებელი დროითი ინტერვალები. თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სასწავლო პროცესი შეფერხდა ან

საკითხების განხილვა ვერ მოხდა დაგეგმილი ტემპით, შეუვსებელი დროითი ინტერვალი დაეხმარება მასწავლებელს დაგეგმილი მასალის სრულად დაფარვაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი სიტუაცია არ შეიქმნება, შეუვსებელი დრო შეიძლება გამოყენებული იყოს ახალი, საინტერესო აქტივობების თუ დავალებებისათვის, განვლილი მასალის შეჯამებისათვის, საგნის ყველაზე კრიტიკული მომენტების გადამეორებისათვის ან, მარტივად, დამატებითი პრაქტიკული მუშაობისთვის.

ჯგუფური დაგეგმვა

ჯგუფურ დაგეგმვას უდიდესი ღირებულება აქვს დაგეგმვის პროცესის გამარტივებისა და შედეგის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თითქმის ყველა სკოლაში მუშაობს ამა თუ იმ საგნის რამდენიმე მასწავლებელი. **ჯგუფური მუშაობის გეგმა გულისხმობს მათ გაერთიანებას ერთიანი სასკოლო საგნობრივი გეგმის შემუშავებისათვის.** ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ყოველ კონკრეტულ პედაგოგს დაგეგმვის რთულ და შრომატევად პროცესს, დაეხმარება დროის დაზოგვაში, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ **საგნობრივი ჯგუფების მიერ მომზადებული ერთობლივი გეგმა ხარისხობრივად ბევრად უფრო დახვეწილი პროდუქტი იქნება, ვინაიდან სხვადასხვა პედაგოგის გამოცდილებისა და ცოდნის წყალობით იგი გამდიდრდება ახალი იდეებითა და მიდგომებით.** ამგვარი ერთიანი გეგმის არსებობა, აგრეთვე, მნიშვნელოვნად ამარტივებს მასწავლებელთა ურთიერთინაცვლების პრაქტიკასაც.

ჯგუფური დაგეგმვა საკმაოდ ეფექტურია სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული საგნების სწავლების გეგმის შემუშავების დროსაც. ასე მაგალითად: საბუნებისმეტყველო

საგნების, ისტორია-გეოგრაფიის, ასევე, ისტორიისა და ლიტერატურის, მასწავლებლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, შესაძლებელი იქნება მათ საგნებში განსახილველი, აზრობრივად დაკავშირებული მასალის სწავლების დაგეგმვა ერთი და იმავე პერიოდისთვის ისე, რომ მოსწავლეებისთვის უფრო გასაგები გახდეს კონკრეტული მოვლენა თუ ფაქტი. ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებს უჭირთ ერთი მოვლენის შესახებ სხვადასხვა საგნის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის დაკავშირება, გაერთიანება. მაგალითად, თუ ლიტერატურის მასწავლებელი აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავს“ იწყებს, სასურველია, ისტორიის მასწავლებელმა სწორედ ამ დროს ნიადაგი შეუმზადოს მას საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების განხილვით, X საუკუნის საქართველოში კურაპალატის ტიტულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებითა თუ სხვა სათანადო მოვლენების ანალიზით.

ბოლო დროს აგრეთვე პოპულარული ხდება **ერთი და იმავე საფეხურის პედაგოგების ერთობლივი მუშაობა გეგმებზე**. ასე მაგალითად, დანყებითი საფეხურის პედაგოგების ერთობლივი მუშაობის შედეგად შესაძლებელია მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნა და შემდგომი განათლებისათვის უფრო მყარი საფუძვლის შექმნა. მაგალითად, გრამატიკის სწავლებისას შედეგიანია იმის გათვალისწინება, თუ რა ისწავლეს წინა კლასში მოსწავლეებმა და რა უნდა შეისწავლონ მათ მომდევნო წლის კურსით. ამგვარი კოორდინაცია ხელს შეუწყობს პედაგოგებს დაიცვან პრინციპი — „მარტივიდან რთულისაკენ“.

საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას ჯგუფური დაგეგმვის სამ მნიშვნელოვან კომპონენტზე, რომლებიც განსაზღვრავს ჯგუფური დაგეგმვის ეფექტურობას:

1. აუცილებელია, ჯგუფის თითოეულმა წევრმა შეიტანოს პროცესში საკუთარი წვლილი/ცოდნა/გამოცდი-

ლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გეგმაზე ჯგუფურად მუშაობა აზრს კარგავს.

2. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის მუშაობა იყოს კარგად ორგანიზებული და კოორდინირებული.

3. ჯგუფურად შემუშავებული გეგმის განხორციელების შეფასება (თვითშეფასება), ერთობლივად, ჯგუფურ ფორმატში უნდა მოხდეს. შედეგების ჯგუფურად განხილვა და ანალიზი მომდევნო დაგეგმვის პროცესის დახვეწისა და ჯგუფის თითოეული წევრის პროფესიული ზრდის წინაპირობაა.

დაგეგმვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის მართვისა და მიზნების დასახვის თემა. ამჯერად, ყურადღებას სწორედ მათზე გავამახვილებთ.

დროის მართვა

დრო მნიშვნელოვანი რესურსია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ სტრუქტურირებულ გარემოში, როგორც სკოლაა. აქ თითქოს ყველაფერი ამ ძვირფასი რესურსის ირგვლივ ეწყობა – სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და სხვა პერსონალი ყოველდღიურად ცდილობენ მათ ხელთ არსებული დროის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემისა და უნარების განვითარების ხელშესაწყობად. სასკოლო კონტექსტში დროს პირობითად ხუთ კომპონენტად, ურთიერთდაკავშირებულ დონეებად ყოფენ:

◆ **სავალდებულო სასკოლო დრო** – სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი წლიური სასკოლო დრო, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც აკადემიური, ისე არაკადემიური აქტივობები. ტრადიციულად, სავალდებულო სასკოლო დრო 9 — 10 თვეს უტოლდება.


◆ **მიზნობრივად გამოყოფილი დრო** – კონკრეტული აქტივობისთვის (საგნისთვის, კლასგარეშე აქტივობისთვის თუ სპორტისთვის) გამოყოფილი სავალდებულო სასკოლო დროის ნაწილი.

◆ **აკადემიური დრო** – მიზნობრივად გამოყოფილი დროის ის ნაწილი, რომელიც იხარჯება სასწავლო/აკადემიურ აქტივობებზე. აქ შედის კონკრეტული საგნების სწავლები-სათვის გათვალისწინებული წლიური დროც.

◆ **სასწავლო დრო** – აკადემიური დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეები ჩართული არიან სწავლის პროცესში. სასწავლო დრო არ უნდა გავაიგივოთ აკადემიურ დროსთან, ვინაიდან ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათ მიერ ახალი ინფორმაციის ათვისება არ ხდება სტაბილურად მთელი აკადემიური დროის მანძილზე. აქტიური სწავლის პროცესი მიმდინარეობს აკადემიური დროის მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებში. სწორედ ამ მონაკვეთებს ეწოდება სასწავლო დრო.

◆ **ნაყოფიერი სწავლის დრო** – სასწავლო დროის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეთა ყურადღება მაქსიმალურად არის მობილიზებული და სწავლის პროცესიც ინტენსიურად მიმდინარეობს. ხშირად მოსწავლეები თითქოს უსმენენ მასწავლებელს, აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს, თუმცა, ფაქტობრივად არ ითვისებენ ახსნილ მასალას. ეს შეიძლება განპირობებული იყოს გადაღლილობით, ყურადღების მოდუნებით ან რაიმე სხვა ფაქტორის ზემოქმედებით. ნაყოფიერი სწავლის დრო მოიცავს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეების მიერ რეალურად ხდება ახალი ინფორმაციის ათვისება, ახალი უნარების განვითარება.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს სასკოლო დროის ჩვენ მიერ აღწერილ კომპონენტებს და მათ ურთიერთმიმართებას.



სასკოლო დროის დაყოფა ამ პირობით კომპონენტებად, მეცნიერების აზრით, უნდა უმსუბუქებდეს მასწავლებელს სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზების/დაგეგმვის ამოცანას. განხილული სქემა ნათელ წარმოდგენას ქმნის იმ დროით რესურსებზე, რომლებიც მასწავლებელს ეძლევა სამუშაოს წარმართვისთვის, შესაბამისად, წარმატებული მასწავლებლის მიზანია, სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული მისთვის განსაზღვრული დრო და, რაც მთავარია, ხელი შეეწყოს ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდას.

დროის მართვის თემა გვინდა დავასრულოთ იმ ფაქტორების განხილვით, რომლებიც „იპარავენ“ მასწავლებლისაგან აკადემიურ, შესაბამისად, სასწავლო დროს. ცხადია, ეს ნუს-

ხა არ არის ამომწურავი, დროის მფლანგველი ფაქტორი ძალიან ბევრია ტრადიციულ სასწავლო გარემოში. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას:

სიის ამოკითხვა. მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილს სწორედ მოსწავლეთა სიის ამოკითხვით ან აღრიცხვის ალტერნატიული აქტივობით იწყებს. საშუალო ზომის კლასში (15 – 20 მოსწავლე) სიის ამოკითხვას 5 – 10 წუთი მიაქვს, გადავამრავლოთ ეს დრო წლის განმავლობაში ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობაზე და ნათელი გახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეს ერთი შეხედვით უწყინარი პრაქტიკა სასწავლო მიზნებს. სწორედ ამიტომ, ბოლო დროს პოპულარული გახდა მოსწავლეთა აღრიცხვისაგან თავის შეკავება, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ამის გაკეთება შეუძლებელია (სკოლა ან ზემდგომი ორგანიზაციები ითხოვენ მოსწავლეთა დასწრების მკაცრ აღრიცხვას), მასწავლებლები მიმართავენ მათთვის ხელმისაწვდომ აღრიცხვის ალტერნატიულ მეთოდებს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი შეიძლება იყოს ასისტენტის გამოყენება მოსწავლეთა აღრიცხვისა და სხვა ადმინისტრაციული დეტალების მოგვარებისათვის. ასისტენტის ფუნქცია შეიძლება მოსწავლეებმაც შეასრულონ.

დამატებითი თვალსაჩინო მასალების (ვიდეო, აუდიო მასალა, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ.) გამოყენება. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ დამატებითი მასალის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტურობას, თუმცა, თვალსაჩინოების არამიზნობრივად (გადამეტებულად) და/ან არაორგანიზებულად გამოყენება სასწავლო დროის გაფლანგვის წინაპირობა შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანია, ყოველი ახალი თვალსაჩინოების გამოყენებამდე, მასწავლებელმა კარგად გაიაზროს მისი საჭიროება და დაგეგმვისას გაითვალისწინოს საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების ჰირობები. —თუ დამატებითი მასალა არ არის

ინტეგრირებული საერთო გაკვეთილში, არ არის ადეკვატურად მომზადებული ან არასწორად არის გამოყენებული, იგი ვერ მოიტანს დადებით შედეგს.

მოსწავლეთა ყოფაქცევისა და/ან სასწავლო პროცესის მიღმა არსებული სხვა საკითხების განხილვა გაკვეთილის განმავლობაში. ერთი მხრივ, პედაგოგის გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სრულიად გასაგებია, რატომ განიხილავს პედაგოგი, მაგალითად, მოსწავლეთა ყოფაქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს გაკვეთილზე – დღეში რამდენიმე გაკვეთილია დაგეგმილი და მას ფაქტობრივად არ რჩება მოსწავლეებთან ამა თუ იმ საკითხის ინდივიდუალურად განხილვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ხანდახან მოსწავლის ქცევა მასწავლებლის დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სასკოლო ასაკის ბავშვები საკმაოდ აქტიურები არიან, საშუალოდ კლასში კი შეიძლება ოცამდე ბავშვი იყოს, გაკვეთილის განმავლობაში თუნდაც რამდენიმე მათგანთან ინდივიდუალური საუბრის წარმართვა სასწავლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილის „ფლანგვას“ უწყობს ხელს. ყურადღების დისციპლინურ საკითხზე გამახვილებისას, მასწავლებლისა და მოსწავლეებისთვისაც ძირითადი საგაკვეთილო თემა, ახალი ინფორმაცია მეორეხარისხოვანი ხდება, ყურადღება იფანტება და „მომენტის“ უკან დაბრუნება (როცა კლასის ყურადღება სასწავლო თემაზე იყო ფოკუსირებული) მასწავლებლისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. მოსწავლეთა ყურადღების ძირითად თემაზე კონცენტრაციას სულ ცოტა რამდენიმე ნუთი მაინც დაჭირდება და არ არის გამორიცხული, რომ პედაგოგმა ვერც კი შეძლოს მოსწავლეთა ყურადღებისა და მათი ჩართულობის სრული აღდგენა.

გაკვეთილის დროზე ადრე დასრულება. ალბათ ყველა მასწავლებელს ერთხელ მაინც ჰქონია გამოცდილებაში შემთხვევა, როდესაც ყველა დაგეგმილი საკითხის განხილვა დროზე ადრე დაუმთავრებია. ამის გამო, პედაგოგები მოსწავლეებს

გაკვეთილიდან ადრე უშვებენ ან რაიმე სხვა, გაკვეთილთან დაკავშირებულ თემებზე იწყებენ მათთან საუბარს. მართალია, ასეთ შემთხვევებში „დროის ეკონომია“ არ აღემატება 5 – 10 წუთს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი რამ ყველა მასწავლებელს შეიძლება შეემთხვას, თანაც წელიწადში რამდენჯერმე, „დაკარგული“ დროის ოდენობა საკმაოდ სერიოზულ მაჩვენებლებს უახლოვდება. მეცნიერების აზრით, მასწავლებელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს „შემონახული“ დამატებითი საკითხები თუ სავარჯიშოები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებს ასეთ შემთხვევებში. ამით იგი თავს აარიდებს სასწავლო დროის ფლანგვას და ხელს შეუწყობს აკადემიური მიზნების მიღწევას.

მიზნების დასახვა

დაგეგმვის პროცესი ძალიან მჭიდრო კავშირშია მიზნების დასახვასთან. **წარმოუდგენელია ეფექტური გეგმის შემუშავება, თუკი პედაგოგს ნათელი წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ რის მიღწევას ცდილობს ამ გეგმით.** მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების გარეშე შემუშავებული გეგმა ფაქტობრივად იგივეა, რაც ექსპედიციაში წასვლა რუკის გარეშე. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ თითქმის ყველაფერი, რასაც ის აკეთებს კლასში, აუცილებლად აისახება მოსწავლეებზე (დადებითად ან უარყოფითად). საკლასო ოთახში კონკრეტული მიზნების და მათი მიღწევის გეგმის გარეშე შესვლა ზრდის უარყოფითი ეფექტის რისკს.

სასკოლო კონტექსტში მიზნების ფორმულირებისას მასწავლებელს უნდა ახსოვდეს ორი ძირითადი პრინციპი:

1. მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს არა მასწავლებლის, არამედ მოსწავლის პერსპექტივიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმა ეფექტურია, თუკი მისი მიზანია, მოსწავლეების ცოდნაში, მათ უნ-

არებში ასახული კონკრეტული (გაზომვადი) პოზიტიური ცვლილებების მიღწევა და შემონახვა. ასე მაგალითად, უცხოურ ენებში, „კარგი“ მიზანი შეიძლება იყოს ფორმულირებული შემდეგნაირად: „სემესტრის ბოლოს კლასის მოსწავლეთა 85% მაინც შეძლებს უცხოურ ენაზე მოცემული ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანას.“ როგორც ვხედავთ, ეს მიზანი საკმაოდ კონკრეტულია, გაზომვადია, ანუ ადვილია იმის განსაზღვრა მიაღწევს თუ არა მასწავლებელი ამ შედეგს და, რაც მთავარია, იგი ფორმულირებულია მოსწავლეების პერსპექტივიდან.

2. ჩამოყალიბებული მიზნები უნდა იყოს გეგმის ათვლის ნერტილი. ამ პრინციპს სხვაგვარად უკან სვლით დაგეგმვა-საც უწოდებენ ხოლმე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაო გეგმის შემუშავებისას მასწავლებლისთვის ათვლის ნერტილი გეგმის შემუშავების მომენტი კი არა, მისი საბოლოო მიზანი უნდა იყოს. საბოლოო მიზნის ფორმულირების შემდეგ მასწავლებელი „უკუსვლით“, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აყალიბებდეს ამ მიზნის მიღწევის გეგმას/სტრატეგიას.

განათლების ექსპერტის, კენეტ მურის რეკომენდაციით, ეფექტური მიზნების ჩამოყალიბების პროცესში პედაგოგებს დაეხმარება ქვემოთ მოცემული ოთხი კითხვა:

◆ *მოსწავლეთა რომელ კონკრეტულ ქცევაში აისახება მიზნის მიღწევა?* – პასუხი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ცოდნას, უნარს, რომელსაც მოსწავლეები, ისწავლიან/შეიძენენ თქვენ მიერ დასახული მიზნის მიღწევის შემთხვევაში, ან აქტივობას/ქცევას, რომელსაც მოსწავლეები განახორციელებენ მიღებული ცოდნის საფუძველზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ქცევა გამოხატული იყოს კონკრეტული, დაკვირვებადი სიტყვებით (ზმნებით). ისეთი ზოგადი ცნებები, როგორებიცაა – „მოსწავლეები უკეთ გაიგებენ“, „გაიაზრებენ“, „ეცოდინებათ“ – ვერ გამოდგება ამ კითხვაზე პასუხად. ამ მნიშვნელოვან კითხვაზე ამგვარი ზოგადი, ან

ბუნდოვანი პასუხი არ გვაძლევს მოსწავლეთა კონკრეტული უნარის, ცოდნის თუ ქცევის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მისაღები პასუხის რამდენიმე მაგალითია: „მოსწავლეები შეძლებენ ტექსტში ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის მოძიებას“, „კონკრეტულ ეპოქაში მოღვაწე მწერლების/მეფეების/პოეტების ჩამოთვლას“ და ა. შ. – ანუ კონკრეტული ქცევითი აქტივობები, რომლებზე დაკვირვებაც, და რომელთა ობიექტურად „დანახვა“ არის შესაძლებელი.

● რა „პროდუქტი“ შეიქმნება პირველ კითხვაში აღწერილი მოსწავლეთა ქცევის/ქმედების შედეგად? ასეთი „პროდუქტის“ ნიმუში შეიძლება იყოს ორგვერდიანი ესე კონკრეტულ თემაზე, მწერალთა/მეფეთა ერთგვერდიანი სია, რაიმე კონკრეტული ანყობილი ობიექტი და ა.შ.; ანუ ეს არის ერთგვარი ინდიკატორი იმისა, რომ მოსწავლეების მიერ განხორციელდა პირველ კითხვაში განხილული ქცევა.

● რა პირობები უნდა არსებობდეს ზემოთ აღწერილი ქცევისა და პროდუქტის გამოვლენისა და შეფასებისათვის? აღნიშნული კითხვა გარკვეულ „შეზღუდვას“ აწესებს, აკონკრეტებს და უფრო თვალსაჩინოს ხდის საბოლოო მიზანს. ამ კითხვაზე პასუხის მაგალითი შეიძლება მოიცავდეს გარკვეულ დროით ლიმიტებს, მაგალითად, „მოსწავლეები გააკეთებენ ამ აქტივობას 10 წუთში“.

● რა კრიტერიუმებით იქნება შესაძლებელი საბოლოო პროდუქტის/მოსწავლეთა ქმედების შეფასება? ამ შემთხვევაში, კრიტერიუმში იგულისხმება ერთგვარი ზღვარი, სტანდარტი, რომლის ქვემოთაც მიღწეული შედეგი ვერ ჩაითვლება საბოლოო მიზნის მიღწევად. ამგვარი კრიტერიუმის ნიმუშები შეიძლება იყოს ისევ და ისევ დროითი ლიმიტები, სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი, სწორი პასუხების მიმალური სავალდებულო ოდენობა და სხვა.

შეჯამება:

- ✓ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, დაგეგმვის მნიშვნელობა არ იკლებს გამოცდილებასთან ერთად. მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე პედაგოგისთვის ისევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია დაგეგმვა, როგორც დამწყებისათვის. გეგმა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს, რათა მასწავლებელს სპონტანური ელემენტების დამატების შესაძლებლობას უტოვებდეს.
- ✓ ეფექტური დაგეგმვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აკონტროლებდეს, მართავდეს მის ხელთ არსებულ დროს. დროის „გაფლანგვის“ პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, პედაგოგმა დეტალურად გააანალიზოს საგაკვეთილო პროცესი.
- ✓ მასწავლებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სწავლების განსხვავებული სტრატეგიებისა თუ მიდგომების გამოყენებით მოსწავლეთა ნაყოფიერი სწავლის დროის გაზრდა.
- ✓ ხანმოკლე და ხანგრძლივი გეგმების მომზადებისას მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული მათგანის მიზანი. ის შედეგი, რომლის მიღწევასაც ემსახურება გეგმა. ამავედროულად, მიზნების ფორმულირება უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა პერსპექტივიდან, ასახავდეს იმ კონკრეტულ შედეგებს, რომლებსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ. შედეგების კონკრეტიზაციის მაღალი ხარისხი იძლევა მათი ობიექტურად გაზომვის შესაძლებლობას.
- ✓ გაკვეთილის გეგმაზე მუშაობისას, მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს გაკვეთილის დაწყებისა და მისი დასრულების

კომპონენტებზე, ვინაიდან ამ ელემენტების სწორად წარმართვის გარეშე გაკვეთილის სხვა ნაწილების ეფექტურობაც ქვეითდება.

- ✓ დაგეგმვის პროცესის შემსუბუქებისა და მისი ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით, რეკომენდებულია საგნობრივი თუ სხვა ნიშნის მიხედვით მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობა. საბოლოო პროდუქტის (ანუ გეგმის) გაუმჯობესების გარდა, აღნიშნული მიდგომა საკმაოდ ნაყოფიერია თითოეული პედაგოგის პროფესიული ზრდისა და განვითარების მისაღწევად.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად;

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;

მასწავლებელმა იცის როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად;

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება და შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა

Moore., D. K. (2009) *Effective Instructional Strategies – From Theory to Practice*. SAGE Publication Inc

IX თავი

საშინაო დავალება

ძირითადი საკითხები:

- ◆ არის თუ არა საშინაო დავალება შედეგიანი?
- ◆ საშინაო დავალების დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- ◆ საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენების პრინციპები;
- ◆ მშობლების როლი საშინაო დავალების მომზადებაში;
- ◆ საშინაო დავალების შესრულების საერთო სასკოლო წესი.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

საშინაო დავალება სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი, მაგრამ ხშირად საკამათო ნაწილია. საშინაო დავალება მოსწავლეებს შორის პოპულარობით ნაკლებად სარგებლობს, რასაც ხშირად მასწავლებლები და მშობლებიც ეთანხმებიან. მიუხედავად არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, საშინაო დავალება სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საშინაო დავალებასთან დაკავშირებულ თემებს, ასევე, განვსაზღვრავთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს. რამდენად ეფექტურია საშინაო დავალება? სწავლების რომელ საფეხურზე არის ის უფრო ეფექტიანი? რა მოცულობის საშინაო დავალება უნდა მივცეთ მოსწავლეს? რა როლი აქვთ მშობლებს საშინაო დავალების შესრულებაში? წინამდებარე თავში გაანალიზებულია ყველა

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი, მოცემულია ის მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება სწავლების პროცესში უფრო ეფექტურად გამოიყენოს საშინაო დავალება.

არის თუ არა საშინაო დავალება შედეგიანი?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ არსებობს. საშინაო დავალებას, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, საერთაშორისო კვლევების ფარგლებში აქტიურად შეისწავლიან. მაგალითად, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიღწევის საერთაშორისო კვლევის (TIMSS) მათემატიკურ ნაწილში არსებობს დადებითი კორელაცია საშინაო დავალების დიდ მოცულობასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის, მაშინ როდესაც იმავე კვლევის საბუნებისმეტყველო ნაწილში ასეთი აშკარა კორელაცია არ ჩანს (მულისი, მარტინი & ფოი, 2007).

კუპერი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა საშინაო დავალების ეფექტიანობის საკითხი 120 კვლევაზე დაყრდნობით. კვლევების 70 პროცენტის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებიც ასრულებდნენ საშინაო დავალებას, გაცილებით წარმატებულნი იყვნენ, ვიდრე ის მოსწავლეები, რომლებიც არ ასრულებდნენ დავალებას. გარდა ამისა, მოსწავლეებს, რომლებიც რეგულარულად ასრულებდნენ საშინაო დავალებას, უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მათ, რომლებიც იშვიათად ასრულებდნენ საშინაო დავალებას; ხოლო ამ უკანასკნელთა შედეგები ჯობდა იმ მოსწავლეების შედეგებს, რომლებიც არასოდეს ასრულებდნენ საშინაო დავალებას (კუპერი, 1989, 1994).

რა მიზნებს ემსახურება საშინაო დავალება?

საშინაო დავალების მიზანი შეიძლება იყოს:

- ◆ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება;
- ◆ კლასში ნასწავლი მასალის გამეორება და გამყარება;
- ◆ დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება;
- ◆ თვითდისციპლინის გამომუშავება;
- ◆ პასუხისმგებლობის გრძობის გაზრდა;
- ◆ დროის სწორად განაწილების უნარის ჩამოყალიბება;
- ◆ მშობლების ჩართვა შეილების სწავლის პროცესში;
- ◆ მომზადება სამომავლო გაკვეთილებისა და თემებისათვის;
- ◆ კვლევისთვის აუცილებელი უნარების განვითარება;
- ◆ სკოლაში დაწყებული სასწავლო აქტივობების გაგრძელება.

საშინაო დავალების ფორმა დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომელთა მიღწევაც მასწავლებელს სურს. თუმცა, საშინაო დავალების ძირითად მიზანი მაინც სწავლის პროცესის ხელშეწყობაა.

საშინაო დავალება კლასგარეშე სამუშაოა, რომელიც საკლასო სამუშაოს გაგრძელებას წარმოადგენს. მას, შესაძლოა, ჰქონდეს ინდივიდუალური ხასიათი, ან იყოს საერთო მთელი კლასისთვის.

მკვლევრები გამოყოფენ საშინაო დავალების სამ ძირითად სახეს (ლაკონტი, 1981):

◆ **პრაქტიკული დავალება** – რომლის მიზანია, ახლად შეძენილი უნარებისა და ცოდნის გამყარება. მაგალითად, თუ მოსწავლეებმა თეორიული ცოდნა მიიღეს ფოთლების სხვადასხვა სახეობის შესახებ, მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მათ, გავიდნენ ეზოში და ფოთლები შეაგროვონ.

◆ **მოსამზადებელი დავალება** – რომლის მიზანია, კონკრეტული თემისათვის ინფორმაციული ფონის

მომზადება. მაგალითად, გაკვეთილისთვის მზადებისას მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს შესაბამისი ტექსტების წაკითხვასა და საჭირო მასალის შეგროვებას. კონკრეტული მაგალითი: თუ მასწავლებელი სტალაქტიტისა და სტალაგმიტის, ზოგადად, მლვიმის შესახებ გეგმავს გაკვეთილს, მას შეუძლია მოსწავლეებს წააკითხოს წინასწარ გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „სათაფლი“.

◆ **მასალის გაღრმავების დავალება** – ათვისებულ მასალაზე პრაქტიკული მუშაობა და მოსწავლეთა ნახალისება, რათა მათ დამატებით იმუშაონ განვლილ მასალაზე, გაეცნონ ლიტერატურას და გაიფართოვონ თვალსაწიერი კონკრეტული საკითხის ირგვლივ. ასე მაგალითად: თუ მოსწავლეებს უკვე შესწავლილი აქვთ დედამიწის კონტინენტები, შესაძლებელია, მასწავლებელმა ურჩიოს მათ, ანტუან დე სენტ-ეკვიუპერის „პატარა უფლისწული“ წაიკითხონ და იმსჯელონ, რატომ და რას აღწერს ხატოვნად მწერალი, როდესაც ის ექვს კონტინენტზე მეფარნეთა არმიის მოძრაობაზე გვიამბობს.

საშინაო დავალების დადებითი და უარყოფითი მხარეები

საშინაო დავალება, სწავლა-სწავლების სხვა კომპონენტების მსგავსად, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება, რომელთა ცოდნა და პრაქტიკაში გათვალისწინება მასწავლებელს დაეხმარება, საშინაო დავალება უფრო მოქნილად გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

საშინაო დავალების დადებითი მხარეები

საშინაო დავალება ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას, უკეთესად გააზრებას, კრიტიკული აზროვნებისა და

ინფორმაციის გადამუშავების უნარის განვითარებას, სწავლის ჩვევების დახვეწას, სკოლისა და სწავლის პროცესის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ჩგარდა ამისა, საშინაო დავალება მოსწავლეს ასწავლის საკუთარი თავის მართვასა და დისციპლინის შემუშავებას, უფითარებს დამოუკიდებლად სწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს, აჩვენებს დროის უკეთესად განაწილებასა და ინფორმაციის მიღების სურვილს უღვივებს.

საშინაო დავალების უარყოფითი მხარეები

უარყოფით მხარეებში ხშირად მოიაზრებენ მობეზრებას, როდესაც მოსწავლე იღლება სწავლისაგან და საშინაო დავალებების შესრულებისაგან, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ინტერესისა და მოტივაციის კლება.

კვლევების ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ხშირად საშინაო დავალება ხდება მოსწავლეებსა და მშობლებს შორის დაძაბულობისა და უსიამოვნების მიზეზი, რამაც შესაძლებელია ზოგ მოსწავლეში გაღიზიანება გამოიწვიოს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ საშინაო დავალება თავისუფალ დროს ართმევს (ჰალემი, 2004). **დიდი მოცულობით საშინაო დავალების მიცემამ მოსწავლეს შეიძლება არ დაუტოვოს დრო კლასგარეშე აქტივობებისათვის, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის დავალებების გადანერასა და კარნახს.** ყოველივე ამან კი თავის მხრივ, სავარაუდოა, მოსწავლეები უარყოფითად განაწილოს სწავლისა და ზოგადად სკოლის მიმართ.

საშინაო დავალებამ შეიძლება, ასევე, ხელი შეუწყოს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას სკოლაში, კერძოდ, შედარებით ნაკლები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეები, შესაძლებელია, დაიჩაგრონ იმით, რომ მათ სახლში საშინაო დავალების შესრულებისათვის საჭირო გარემო, დრო და რესურსები არ

ჰქონდეთ; ასევე, ხელმოკლე ოჯახებში მოსწავლეები შეიძლება დატვირთული იყვნენ სხვა დამატებითი საქმიანობითა და პასუხისმგებლობებით და საკმარისი დრო ვერ დაუთმონ საშინაო დავალებას.

საშინაო დავალების ეფექტურობას გარკვეულწილად მისი შინაარსი და მიზანი განსაზღვრავს და არა მისი მოცულობა. ზოგიერთ შემთხვევაში, საშინაო დავალება უფრო ეფექტურია, როდესაც მის შესრულებას არ სჭირდება დიდი დრო.

საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენების პრინციპები

საშინაო დავალება ეფექტიანი რომ იყოს, იგი რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს.

1. პირველი პრინციპის თანახმად (რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად უგულებელყოფილია), საშინაო დავალება არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეები უარყოფითად განეწყობიან საშინაო დავალების მიმართ და არ აღიქვამენ მას ცოდნის მიღების საშუალებად. მოსწავლეები შეეცდებიან, საშინაო დავალება შეასრულონ რაც შეიძლება სწრაფად, იმუშავენ უყურადღებოდ და ზედაპირულად.

2. საშინაო დავალება უნდა გასწორდეს, რაც შეიძლება სწრაფად და ზედმინვნით. თუ მასწავლებელი დროულად ან საერთოდ არ ასწორებს საშინაო დავალებას, მოსწავლეები ფიქრობენ, რომ საშინაო დავალება არ არის მნიშვნელოვანი და მთავარია დავალების შესრულება და არა – შესრულებლი სამუშაოს ხარისხი. შესაბამისად, მოსწავლეები არ ეცდებიან დავალების კარგად შესრულებას და ზერეულდ მოეკიდებიან მას.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ, საშინაო დავალებას, რომელიც გასწორდა, გაცილებით უფრო დადებითი ზეგავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე, ვიდრე დავალებას, რომელიც არ გასწორებულა. უკეთესია, საშინაო დავალების მოცულობა იყოს მცირე და იგი გასწორდეს, ვიდრე მისი მოცულობა იყოს დიდი და ის არ გასწორდეს (კუპერი, 1989). უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელს მოსწავლესთან ჰქონდეს უკუკავშირი შესრულებულ საშინაო დავალებაზე, მიუთითოს, რა ნაწილი იყო სწორი და რა საჭიროებს დამატებით მეცადინეობას. საშინაო დავალებაზე უკუკავშირს, სასურველია, ჰქონდეს ახსნა-განმარტების ფორმა და არ ფასდებოდეს ნიშნით.

აღსანიშნავია, რომ გასწორებულმა საშინაო დავალებამ, შესაძლოა, კონკრეტულ საგანში მოსწავლის პროგრესზე ეფექტურად იმოქმედოს. მასწავლებელს შეუძლია, ივარაუდოს, თუ რა დრო დასჭირდებათ მოსწავლეებს საშინაო დავალების შესასრულებლად. შემდგომ მოსწავლეებმა ფურცელზე უნდა მიაწერონ რეალურად დახარჯული დრო; თუ ეს დრო ხანგრძლივია, ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ ამ კონკრეტული საკითხის ათვისება.

3. საშინაო დავალება რომ ეფექტური იყოს, უნდა მოხდეს მისი ინტეგრირება იმ მასალასთან, რომელსაც მოსწავლეები კლასში ეუფლებიან. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა გაკვეთილის დაწყებისას საშინაო დავალების განხილვა. თუ ეს პრაქტიკა ყოველდღიურ ფორმას მიიღებს, მოსწავლეები საშინაო დავალებას აღიქვამენ, როგორც გაკვეთილის განუყოფელ ნაწილს. მასწავლებელს კი მიეცემა საშუალება, რომ საშინაო დავალება გამოიყენოს განვლილი და ასახსნელი მასალის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

4. არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ საშინაო დავალება ყველაზე ეფექტიანი მაშინ არის, როდესაც ის ორიენტირებულია სასწავლო გეგმის ძირითად მიზნებზე (ბლეკი, 1997). საშინაო დავალებამ ინტერესი უნდა აღუძრას

მოსწავლეს, მაგრამ მოსწავლეებმა წარმატებით უნდა შეძლონ მისი შესრულება. იგი არ უნდა იყოს დამაბნეველი ან ბუნდოვანი. თითქმის ყველა მოსწავლეს უნდა შეეძლოს საშინაო დავალების წარმატებით შესრულება. მნიშვნელოვანია საშინაო დავალებისათვის ინდივიდუალური ხასიათის მიცემა, რაც ნიშნავს იმას, რომ დავალების სირთულე მოსწავლეთა შესაძლებლობების ადეკვატური იქნება.

5. საშინაო დავალება უფრო საინტერესო იქნება, თუ მოსწავლეთა მიერ კლასში წასწავლ მასალას ყოველდღიურ ცხოვრებასთან დააკავშირებთ. მაგალითად, საათის ცნობის სწავლებისას მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს სატელევიზიო გადაცემათა პროგრამა; ადგილობრივი ისტორიის შესასწავლად მოსწავლეებს შეუძლიათ მუზეუმში წასვლა, ნათესავებისაგან ინტერვიუს აღება და სხვა. ახალი გაკვეთილის თემების მომზადებისას, მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს, რომ კლასში მოიტანონ მათ მიერ შეგროვებული მასალა, მაგალითად, გირჩები, ფოთლები თუ სოკოები (ბიოლოგიის გაკვეთილზე). ინტერნეტიდან გარკვეულ თემასთან დაკავშირებული მასალის მოძიება, შესაძლოა, სასარგებლოც იყოს და სასიამოვნოც.

6. საშინაო დავალების სწორად დაგეგმვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ორგანიზებულობისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას. დაგეგმვისას მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მცირე ზომის კალენდარი, რომელშიც აღნიშნავენ შესასრულებელი სამუშაოს შინაარსს და დასრულების თარიღს. თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს დაგეგმვის პრინციპი, შემდეგ მოსწავლეები თავად შეძლებენ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვას. საშინაო დავალების დაგეგმვის მეთოდი დაეხმარება მოსწავლეებს სწავლისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებაში, ასევე მათ დროის რაციონალურად განაწილებას ასწავლის.

7. თუ მოსწავლე არ შეასრულებს საშინაო დავალებას, ამას უნდა მოჰყვეს მასწავლებლის მხრიდან შესაბამისი რეაგირება. მაგალითად, მოსწავლეს, შესაძლოა, მოუხდეს დავალების შესვენებაზე დასრულება. თუ საშინაო დავალების შეუსრულებლობას არ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება, დროთა განმავლობაში მოსწავლეები ნაკლებად სერიოზულად აღიქვამენ მას და მალე შეუსრულებელი საშინაო დავალება ჩვეულებრივი მოვლენა გახდება კლასში.

8. არ არის აუცილებელი საშინაო დავალებაზე მოსწავლე მარტო მუშაობდეს. შესაძლებელია, დავალება მიეცეს მოსწავლეთა ჯგუფს (ერთობლივი საშინაო დავალება). ასეთ შემთხვევებში დავალების შესრულება შესაძლოა დაევალოს ორ ან მეტ მოსწავლეს. როგორც ზოგადად ჯგუფური მუშაობისას, საერთო საშინაო დავალების შემთხვევაშიც, აუცილებელია, მოსწავლეებს განვითარებული ჰქონდეთ ერთად მუშაობისათვის საჭირო უნარები. ერთობლივი საშინაო დავალების წარმატებისათვის აუცილებელია როგორც ერთიანი მიზნების არსებობა, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

9. მკვლევრების აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე (მუისი და რეინოლდსი, 2005). კარგად არის ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. მოსწავლის ზრდასთან ერთად შესაძლებელია დავალებების გართულებაც, მაგალითად, თემის დაწერა გარკვეული კვლევის საფუძველზე. საშინაო დავალების ეფექტურობა მოსწავლეთა ასაკთან ერთად მატულობს. საშინაო დავალება ყველაზე ეფექტურია დამამთავრებელ კლასებში. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს, რომლებსაც საშინაო დავალებების შესრულება ხშირად ევალებათ, მკვეთრად უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ ავალებენ მას. საშუალო საფეხურზე სხვაობა

მკვეთრი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია (მუისი და რეინოლდსი, 2005). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიებს თუ გავითვალისწინებით, რა მოცულობით უნდა მიეცეთ მათ საშინაო დავალება?

დანყებით კლასებში საშინაო დავალების დიდი მოცულობით მიცემას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. ვინაიდან სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები უკვე საკმაოდ დაღლილები არიან და დავალება მათ, სავარაუდოდ, გადატვირთავს. შესაბამისად, ზოგიერთი მკვლევრის თანახმად, დანყებით კლასებში არ არის სასურველი საშინაო დავალების მიცემა (მუისი და რეინოლდსი, 2005). თუმცა არსებობს სანინაალმდეგო მოსაზრებებიც, რომელთა თანახმადაც, სასურველია დანყებითი კლასის მოსწავლეთათვის გარკვეული სახის საშინაო დავალების მიცემა მაინც. ამ პოზიციას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საშინაო დავალება დანყებითი კლასების მოსწავლეებს განუვითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარს და უჩვენებს მათ, რომ სწავლა და ინფორმაციის მიღება სკოლის გარეთაც შესაძლებელია. თუმცა, არ არის სასურველი, რომ დანყებითი კლასის მოსწავლეები დიდი მოცულობით საშინაო დავალებით გადაიტვირთონ. **რეკომენდებულია, რომ პირველი სამი კლასის განმავლობაში მოსწავლეებმა საშინაო დავალებაზე დახარჯონ მაქსიმუმ 20 წუთი, ხოლო დანყებითი კლასების მეორე ეტაპზე მისი ხანგრძლივობა შეიძლება თანდათან გაიზარდოს 30-40 წუთამდე.** მოსწავლეთა ასაკობრივი ზრდა იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ მეტი დრო დახარჯონ დავალების მომზადებაზე, პარალელურად მოსწავლეებს უვითარდებთ დამოუკიდებლად სწავლის უნარიც. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ საბაზო სკოლის მოსწავლეებმა საშინაო დავალების შესრულებას დღეში, დაახლოებით, 90 წუთი დაუთმონ (მუისი და რეინოლდსი, 2005).

მშობლების როლი საშინაო დავალების მომზადებაში

საშინაო დავალება ერთ-ერთი მთავარი გზაა, რომლის მეშვეობით მშობლები აკვირდებიან საკუთარი შვილების სწავლის პროცესსა და წინსვლას, იგებენ, რა ხდება სკოლაში და რა თემებს სწავლობენ მათი შვილები. საშინაო დავალებისადმი მშობლების დამოკიდებულება ძირითადად არაერთგვაროვანია. ზოგიერთი მათგანის აზრით, საშინაო დავალებამ, შესაძლოა, დადებითი გავლენა მოახდინოს ბავშვის მოსწრებაზე, თუმცა ნაწილს მიაჩნია, რომ საშინაო დავალება მოსწავლეს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებისათვის დროს არ უტოვებს. ხშირია, როცა მშობლებმა არ იციან, თუ როგორ გაუნიონ დახმარება შვილებს საშინაო დავალებაზე მუშაობისას.

საუკეთესო დახმარება, რომელიც შეუძლია მშობელმა შვილს გაუნიოს საშინაო დავალებაზე მუშაობისას, მშვიდი და მყუდრო გარემოს შექმნა. მყუდრო გარემოს შექმნა, პირველ რიგში, გულისხმობს გარემოს, რომელიც მოსწავლეს ყურადღების კონცენტრაციაში დაეხმარება, ასევე უზრუნველყოფილი იქნება კარგი განათება და სასწავლო მასალები. მყუდრო გარემოს შექმნა არ გულისხმობს ბავშვებისათვის მუსიკის მოსმენის აკრძალვას. პირიქით, ზოგიერთი კვლევის თანახმად, მუშაობის პარალელურად მუსიკის მოსმენა აუმჯობესებს კონცენტრაციას (ჰალემი და კოვენი, 1999). სავარაუდოდ, ამ თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ბავშვები და თუ ბავშვს სურს მეცადინეობისას მუსიკის მოსმენა, მას უნდა მიეცეს ამის საშუალება.

მშობლებმა უნდა მოუნოდონ ბავშვებს, დაასრულონ საშინაო დავალება და თხოვნის შემთხვევაში, დახმარებაც უნდა გაუნიონ, თუმცა, დავალება მათ ნაცვლად არ უნდა შეასრულონ. მშობლების მხრიდან საშინაო დავალების მიმართ ინტერესის გამოჩენა ბავშვებს შეუქმნის აზრს, რომ დავალების შესრულება მნიშვნელოვანია და სასარგებლო.

მშობლებს შეუძლიათ, აგრეთვე, საშინაო დავალების შესასრულებლად ბავშვებისათვის დღის გარკვეული მონაკვეთი გამოყონ, რათა ამ მოქმედებამ სისტემური ხასიათი მიიღოს. მშობლებს შეუძლიათ, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყონ ბავშვებს დროის განაწილებასა და ორგანიზაციული უნარების განვითარებაში. თუმცა, ამ პროცესში მშობელს დასჭირდება გარკვეული რჩევების მიღება სკოლიდან. **ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის, რომლებსაც უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ მშობლებისაგან საშინაო დავალების შესასრულებლად, ვიდრე უფროსკლასელებს.**

სასურველია, სკოლამ რეგულარულად მიანოდოს ინფორმაცია მშობლებს მათი შვილების მიერ შესრულებული საშინაო დავალების ხარისხის შესახებ. თუ სკოლაში არსებობს ერთიანი პოლიტიკა საშინაო დავალებასთან დაკავშირებით, მშობლები ამის თაობაზე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ. მასწავლებელმა სასურველია, შეატყობინოს მშობლებს, თუ რა მოცულობის დავალების მიცემას აპირებს ბავშვებისათვის და დაახლოებით რა დრო უნდა დასჭირდეთ მათ ამ სამუშაოს შესასრულებლად. ამ გზით მშობლები სისტემატურად იქნებიან ინფორმირებულები სკოლისა და მასწავლებლის მხრიდან. თუ ბავშვი სტაბილურად ვერ ახერხებს საშინაო დავალების შესრულებას, ან მის მიერ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება სასურველ სტანდარტებს, საჭიროა, მასწავლებელი გაესაუბროს მშობლებს და დაადგინოს მიზეზები. შესაძლებელია, ბავშვს არ აქვს სახლში საშინაო დავალებაზე მუშაობისათვის შესაბამისი გარემო. მასწავლებელმა ამ პრობლემის მოგვარებაში შეძლებისდაგვარად მშობელიც უნდა ჩართოს. შესაძლოა, მშობელი გვიან ბრუნდებოდეს სამსახურიდან სახლში და თავად არ იცოდეს, თუ რა პრობლემა აქვს თავის შვილს საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აუხსნას მშობელს, თუ როგორ დაეხმაროს ბავშვს საშინაო დავალების

შესრულებაში, რადგან იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი და მშობელი დახმარების განსხვავებულ მეთოდებს გამოიყენებენ, ამან შესაძლოა, ბავშვი დააბნიოს.

სასურველია, თუ დანყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები მიიღებენ მონაწილეობას საშინაო დავალების შესრულების პროცესში. მათ შეუძლიათ ბავშვებს ხმამაღლა უკითხონ ან ითამაშონ მათთან ერთად. სასურველია, წლის დასაწყისში მასწავლებელმა განუმარტოს მშობლებს მათი როლი საშინაო დავალების შესრულებაში. გარდა ამისა, მასწავლებელს შეუძლია, შეიმუშავოს შესაბამისი სახის დავალებები, რომლებსაც მშობელი და ბავშვი ერთად შეასრულებენ (ბრაიანი და სალივანი, 1995).

მშობლებისათვის, რომლებსაც სოციალური და ეკონომიკური პრობლემები აქვთ, შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს ბავშვებისათვის შესაბამისი მშვიდი გარემოს შექმნა საშინაო დავალების შესრულებისას. მშობლების მცირე ნაწილს, შესაძლოა, არც კი გაუჩნდეს ამის სურვილი. **ასეთ შემთხვევებში, სკოლამ უნდა შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი გარემო, მაგალითად, საშინაო დავალების წრეები/ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვები შეძლებენ გაკვეთილების შემდეგ დარჩენას და დავალებაზე მუშაობას.** ეს პრაქტიკა წარმატებით დაინერგა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

საშინაო დავალების შესასრულებელი წრეები დადებითად განაწყობს მოსწავლეებს საშინაო დავალების მიმართ. ბავშვების დიდ ნაწილს ამგვარ წრეში მუშაობა ურჩევნია, ვიდრე შინ მუშაობა. საშინაო დავალების წრეებში მუშაობას შეუძლია, თავიდან ააცილოს მოსწავლეებს დაძაბულობა მშობლებთან, რაც გამოწვეულია საშინაო დავალებაზე მუშაობით.

საშინაო დავალების შესრულების საერთო სასკოლო წესი

საშინაო დავალების ერთიანი სასკოლო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საშინაო დავალების ეფექტიანობის ხარისხის გაზრდაში. **ამ მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა იმის ცოდნა, რომ ყველა გაკვეთილზე თითოეული მოსწავლის მიმართ არსებობს ერთი და იგივე დამოკიდებულება, ვინაიდან ყველა მასწავლებელი მიჰყვება ერთსა და იმავე წესს.** ეს მიდგომა ავტომატურად გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როცა ზოგი მასწავლებელი მოსწავლეებს დიდი რაოდენობით საშინაო დავალებას აძლევს და ზოგიერთს შედარებით ნაკლებს.

ერთიანმა წესმა, შეიძლება, განსხვავებული ფორმები მიიღოს. სხვადასხვა საგანში ყოველ კვირას გარკვეული მოცულობით საშინაო დავალების მიცემამ, შესაძლოა, დადებითი შედეგი გამოიღოს (მაგალითად, ორშაბათი დღე განკუთვნილი იქნება მათემატიკის საშინაო დავალებისთვის). ასეთ შემთხვევებში ეფექტურია გარკვეული სტანდარტების შემოღებაც. საშინაო დავალებასთან დაკავშირებულ წესებში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული შემდეგი მოთხოვნები: **საშინაო დავალების სისტემატურად და დროულად შემოწმება და ნაშრომების მოსწავლეებისათვის დაბრუნება.** წესებში, აგრეთვე, **ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა მოეთხოვებათ მშობლებს.**

საშინაო დავალების მოსამზადებელი წრეებისა და სკოლის შემდეგ სასკოლო ბიბლიოთეკით სარგებლობა, შესაძლოა, დაეხმაროს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ სახლში მუშაობისას. აუცილებელია მსგავსი აქტივობების კოორდინირება მთელი სკოლის მასშტაბით, რათა არ მოხდეს წრის, ან ბიბლიოთეკის, ან ნებისმიერი სხვა ერთეულის გადატვირთვა.

შეჯამება:

- ✓ საშინაო დავალებას მრავალი მიზანი აქვს: მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესება, კლასში განხილული თემების გამყარება და გამეორება, დაუსრულებელი სამუშაოს ბოლომდე მიყვანა, დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება, მშობლების ჩართვა მოსწავლეების სწავლის პროცესში და სხვა.
- ✓ კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საშინაო დავალება დადებითად ზემოქმედებს მოსწავლეების მოსწრებაზე. თუმცა ეს დადებითი გავლენა იცვლება ასაკის შესაბამისად.
- ✓ საშინაო დავალების მნიშვნელობა მოსწავლეთა მოსწრების თვალსაზრისით სწავლის მესამე საფეხურზე, დამამთავრებელ კლასებში იზრდება. თუმცა, ადეკვატური მოცულობით საშინაო დავალება სასარგებლოა დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვისაც, ვინაიდან ამ პროცესში მათ უვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლისა და ორგანიზაციული უნარები, ხვდებიან აგრეთვე იმას, რომ ცოდნის მიღება სკოლის გარეთაც არის შესაძლებელი.
- ✓ იმისათვის, რომ საშინაო დავალება იყოს ეფექტური, უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა. მნიშვნელოვანია, რომ საშინაო დავალება არ იყოს დასჯის ფორმა.
- ✓ საშინაო დავალების ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს სასკოლო სამუშაოს დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. შესაბამისად, დავალებებში უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეების ყოველდღიურობიდან აღებული მაგალითები.
- ✓ მოსწავლეების ასაკის მატებასთან ერთად უნდა გაიზარდოს დრო, რომელსაც ისინი საშინაო დავალებაზე მუშაობას უთმობენ. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა

შემთხვევაში საშინაო დავალებაზე დახარჯული დრო არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს, მაშინ, როდესაც დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები საშინაო დავალებაზე, სასურველია, ხარჯავდნენ 90 წუთს.

- ✓ მშობლებმა ბავშვებს უნდა შეუქმნან მშვიდი გარემო საშინაო დავალებაზე სამუშაოდ. სასურველია, მასწავლებლებმა რეგულარულად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაცია, თუ რას ეხება საშინაო დავალება და რას მოელიან ისინი მოსწავლეებისაგან.
- ✓ ზოგჯერ მშობლებმა შეიძლება ვერ მოახერხონ ბავშვების მშვიდი გარემოთი უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევებში ხელსაყრელი გამოსავალია საშინაო დავალების შესასრულებლად განკუთვნილი წრეები, სადაც მასწავლებლებს შეეძლება, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიონ ბავშვებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კუტალაძე, ი., & მიმინოშვილი მ. (2009). *მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა: მათემატიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი*
- Black , S. (1997). Doing Our Homework on Homework. *American School Board Journal*, 183, 48-51
- Bryan, T., & Sullivan-Burstein, K. (1997). Homework How-To's. *Teaching Exceptional Children*, 29 (6)
- Cooper, H. (1989). Synthesis of Research on Homework. *Educational Leadership*, 47, 58-91
- Cooper, H. (1994). *The Battle over Homework: An Administrator's Guide to Setting Sound and Effective Policies*. London: Corwin Press
- Hallam, S., & Cowan, R. (1999). *Is Homework Important for Increasing Educational Achievement?* LDE-Online Publications
- Hallam, S. (2004). *Homework: The Evidence*. London: Institute of Education
- LaConte, R. T. (1981). *Homework as a Learning Experience: What Research Says to the Teacher*. Washington, DC: NEA
- Martin, M, O., Mullis I.V.S., & Foy P. (2007). *TIMSS 2007 International Science Report*. TIMSS and PIRLS International Study Center
- Mullis, I.V.S., Martin M. O., & Foy P. (2007). *TIMSS 2007 International Mathematics Report*. TIMSS and PIRLS International Study Center
- Muijs, D., & Reynolds D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Editon. Sage Publications

დამატებითი რესურსები

1. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში: სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის
<http://www2.ed.gov/pubs/HelpingStudents/index.html>
2. როგორ დავეხმაროთ ბავშვს საშინაო დავალების შესრულებაში: სახელმძღვანელო მშობლებისათვის
<http://www2.ed.gov/parents/academic/help/homework/index.htm>
3. საშინაო დავალების პოლიტიკა და პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში
<http://ericae.net/faqs/homework.htm>

X თაპი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებაჲის მქონე მოსწავლეაჲი

ძირითადი საკითხები:

- ◆ ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- ◆ უნარის/უნარების დეფიციტი მოსწავლეებში;
- ◆ აკადემიური უნარების დაქვეითება;
- ◆ კოორდინაციის უნარის დაქვეითება და სწავლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები;
- ◆ ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ◆ რჩევები სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლეთა მშობლებს;
- ◆ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეები;
- ◆ დაჩქარებული სწავლება.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

ბოლო წლებში პოპულარობით სარგებლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩვეულებრივ სკოლებში ინკლუზია. სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძველში ისეთი ფუნდამენტური პრინციპები დევს, როგორცაა, მაგალითად, განათლების ხელმისაწვდომობა, ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი

სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფა, ასევე, განსხვავებულის აღიარება და პატივისცემა.

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ ფართო ცნებაა, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მოსწავლეები, რომლებსაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა აქვთ. მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს მაშინ, როცა თავისი ასაკის სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით უჭირს ახალი მასალის ათვისება და სპეციალური გარემოს შექმნა სჭირდება იმისათვის, რომ ისწავლოს და აკადემიურ წარმატებებს მიაღწიოს. **მკვლევრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ, მაგალითად, განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან მათთვის სწავლის ჩვეულებრივი მოდელი ისევე შეუსაბამოა, როგორც სწავლის დაქვეითებული უნარის მოსწავლეებისათვის.** ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ამ თავში განვიხილავთ ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებს, ასევე, ვისაუბრებთ შეზღუდული შესაძლებლობების სხვადასხვა კატეგორიაზე და იმ სტრატეგიებზე, რომლებიც, სასურველია, მასწავლებელმა ასეთ მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში გამოიყენოს. ამ თავში ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც დაეხმარება მშობლებს გაუღვივონ სწავლის მიმართ ინტერესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს და მათ აკადემიურ წინსვლას ხელი შეუწყონ.

ინკლუზიური განათლების პრინციპები

ხშირად ინკლუზიურ განათლებაში გულისხმობენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. სინამდვილეში ეს ინკლუზიური განათლების მხოლოდ ერთი ასპექტია. **ინკლუზიური განათლება ზოგადად გულისხმობს განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ერთად სწავლებას მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.** ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროება შეიძლება ჰქონდეს როგორც განვითარებაში შეფერხებისა და კონკრეტული უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს, ასევე იმასაც, ვინც განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული, ვისთვისაც სწავლების ენა მშობლიური არ არის, ან ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახიდანაა და ა.შ.

ინკლუზიური განათლება ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეების ინდივიდუალურ უნარებსა და სწავლის სტილზე და ამ მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმას მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს არგებს. შესაბამისად, ინკლუზიური განათლების ძირითად იარაღს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს.

ინკლუზიური განათლების მრავალ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგალითად, რა გავლენა აქვს ინკლუზიურ განათლებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე? ინკლუზიური განათლების მონინაალმდეგეები მიიჩნევენ, რომ მცირე ზომის კლასები და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლების ყურადღება გადამწყვეტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების უკეთესი აკადემიური მიღწევებისათვის. გარდა ამისა,

სპეციალურ სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს უფრო მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, ვიდრე – ჩვეულებრივ სკოლებში. დამატებითი არგუმენტია ისიც, რომ ჩვეულებრივ სკოლას არ აქვს ადეკვატური რესურსები, მიიღოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები. აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს არ აქვს ამგვარი ტიპის მოსწავლეებთან ურთიერთობის გამოცდილება. მეორე მხრივ, ინკლუზიური განათლების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ სპეციალურ სკოლაში მოსწავლეთა მიმართ დაბალი მოლოდინებია, რაც იწვევს მათ სწავლის მიმართ დემოტივაციას. გარდა ამისა, სპეციალურ სკოლებში შედარებით დაბალი აკადემიური მოთხოვნებია, იშვიათად ხდება მაღალი ინტელექტუალური უნარების გავარჯიშება, დაბალია სწავლების ტემპი, მცირე დრო ეთმობა აკადემიურ საქმიანობას და სხვ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით არის ის, თუ რა გავლენას ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრირება ჩვეულებრივ სკოლებში ამავე სკოლებში მყოფ მათ თანატოლებზე (მუისი და რეინოლდსი, 2005).

ინკლუზიური სწავლების სასარგებლოდ ერთ-ერთი არგუმენტია ისიც, რომ ამგვარი სწავლების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს უფრო მაღალი თვითშეფასება უყალიბდებათ, რადგან ისინი ჩვეულებრივ სკოლაში დადიან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალურ სკოლაში გადაყვანა და მათი სეგრეგაცია საზოგადოებისაგან გარიყულობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, საგულისხმო მიზეზია ისიც, რომ ინკლუზიური სწავლებისას დიდია ალბათობა, რომ ჩვეულებრივი ბავშვები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე

თანატოლებთან ურთიერთობას ისწავლიან და ამის გამო მომავალში მათ მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დისკრიმინაცია ნაკლებად სავარაუდო იქნება.

მასწავლებლის მომზადება

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები თავად ფიქრობენ, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები ვერ შეძლებენ მასალის ისე ათვისებას, როგორც მათი ჩვეულებრივი თანატოლები. **უმნიშვნელოვანესია, მასწავლებლებს სჯეროდეთ, რომ შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური წინსვლა, მათი წარმატება.** გარდა ამისა, მასწავლებლებმა კლასში სხვა მოსწავლეებიც უნდა მოამზადონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვების მისაღებად და მათ გასაგებად. ამ მიზნით, როგორც ნესი, ხდება მასწავლებლების სპეციალური მომზადება, რაც გულისხმობს როგორც მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს, ასევე ბავშვის ქცევაზე ობიექტურ დაკვირვებასა და მის აღწერას.

ინკლუზიური განათლების ეფექტურობის შესახებ კვლევების შედეგების მიხედვით, ინკლუზიური განათლება შედეგიანი და წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება, ალჭურვილი არიან ადეკვატური ცოდნით და რაც მთავარია, სპეციალისტების მხრიდან აქვთ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა (ჰეპირი, 2006).

ფიზიკური გარემო/საკლასო ოთახი

იმისათვის, რომ ინკლუზიური განათლება განხორციელდეს, საკლასო ოთახი და სკოლა ფიზიკურად მზად უნდა იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მისაღებად. აგრეთვე, აუცილებელია, რომ სკოლის ყველა თანამშრომელს ესმოდეს ასეთი ბავშვების მდგომარეობა. საჭიროა შესაბამისი ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისათვის, რათა ისინი მზად იყვნენ ბავშვებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად (გაგოშიძე და სხვები, 2008). სასურველია, რომ მასწავლებლებმა დადებითი ურთიერთობა ჩამოაყალიბონ სკოლაში მოწვეულ სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებთან. ხშირად სკოლებში აღნიშნული პირობები არ სრულდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მიღებამდე, რის გამოც, შეიძლება ითქვას, რომ სკოლები მოუმზადებელია ამ პროცესისათვის. ყოველივე ამან კი, შესაძლოა, არასასურველი გარემო შექმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.

კოორდინატორი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა, როდესაც სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს კოორდინატორი ჰყავთ, რომელიც აკონტროლებს და უზრუნველყოფს ამგვარი მოსწავლეების ადეკვატურ დახმარებას. **კოორდინატორმა უნდა მოახერხოს მასწავლებელთან კარგი თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება.** ყოფილა შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი და კოორდინატორი არ მუშაობენ შეთანხმებულად და კოორდინატორების არსებობა სკოლაში ინვესტ მასწავლებლების გაუცხოებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების

პრობლემებისაგან. მასწავლებელს მიაჩნია, რომ ამ მოსწავლეების ყველა პრობლემას კოორდინატორი მოაგვარებს. შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და შედეგად ნაკლებია მათი აკადემიური მიღწევებიც. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანაბარი დრო დაუთმონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებსა და მათ თანაკლასელებს.

უნარის/უნარების დეფიციტი მოსწავლეებში

მას შემდეგ, რაც ბავშვს დაუდგენენ გარკვეული სახის უნარის/უნარების დაქვეითებას, საჭიროა, სკოლამ მას სწავლისათვის შესაბამისი პირობები შეუქმნას. ასეთ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის არსებობს რამდენიმე არჩევანი:

- ◆ სპეციალურ სკოლაში გადაყვანა;
- ◆ ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დატოვება, მაგრამ მისი სპეციალურ კლასში გადაყვანა;
- ◆ მოსწავლის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში; (ამ შემთხვევაში მოსწავლეს ზოგიერთი გაკვეთილი სპეციალურ კლასში აქვს, ზოგიერთი კი – ზოგადსაგანმანათლებლო კლასში);
- ◆ ინკლუზიური სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნული არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებზე – ზოგიერთი მოსწავლისათვის ადეკვატურია ინკლუზიური და ინტეგრირე-

ბული სწავლება, ზოგიერთისათვის კი შეიძლება სპეციალურ სკოლაში სწავლება იყოს სასარგებლო.

მოსწავლესთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება გულისხმობდეს:

1. შეზღუდვას მოქმედებასა და აქტივობაში;
2. შეზღუდვას მონაწილეობის შესაძლებლობაში (იგულისხმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვასთან დაკავშირებული სირთულეები).

უნარშეზღუდულობის დეფინიციაში მთავარი აქცენტი უნარის/უნარების განუფითარებლობა/შეფერხებაზე, დეფიციტზე კეთდება. სწორედ ამ „დეფიციტის“ მიხედვით ხდება უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრა. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრისას მხოლოდ „დეფიციტის“ და სუსტი მხარეების დადგენა არ არის საკმარისი. აუცილებელი და მნიშვნელოვანია ადამიანის ძლიერი მხარეების განსაზღვრაც, რაც მისი ეფექტური სწავლების აუცილებელი პირობაა.

უნარშეზღუდულობას ორ დიდ ჯგუფად ყოფენ, ერთია თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (როდესაც მოსწავლეს თვალშისაცემი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი აქვს) და არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (როდესაც მოსწავლეს თვალსაჩინოდ არ ეტყობა შეზღუდული შესაძლებლობა მოქმედებასა თუ მონაწილეობაში). (გაგოშიძე და სხვები, 2008).

დასწავლის უნარის დაქვეითება, სხვა უნარების შეზღუდვისაგან განსხვავებით (მაგალითად, მხედველობისა და სმენის დაქვეითებასთან შედარებით), შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით შეუმჩნეველია და უნარშეზღუდულობის არათვალსაჩინო ჯგუფს განეკუთვნება.

აკადემიური უნარების დაქვეითება

დაქვეითებული აკადემიური უნარების მქონე მოსწავლეები, როგორც წესი, ჩამორჩებიან თანატოლებს ერთ ან მეტ აკადემიურ უნარში. ეს უნარები შეიძლება იყოს: კითხვის, წერის ან ანგარიშის უნარი. შესაბამისად, აკადემიურ უნარებში ჩამორჩენა, შესაძლოა, სამი ფორმით გამოვლინდეს:

◆ კითხვის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები და დისლექსია გულისხმობს კითხვის სწავლის სირთულეებს, რაც ხშირად გამოწვეულია სიტყვებში ბგერების გარჩევისა და ბგერების სიტყვებში გაერთიანების პრობლემით. მაღალ კლასებში, სადაც წაკითხულის გააზრება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თავს იჩენს კითხვასთან დაკავშირებული სხვა ტიპის პრობლემები, მაგალითად, ახალი ინფორმაციის/ცნებების მეხსიერებაში არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირება.

◆ წერის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები: ზოგიერთ ბავშვს, შესაძლოა, სირთულეები ჰქონდეს წერასთან მიმართებაში, რაც ძირითადად დაკავშირებულია მოტორული კოორდინაციის განვითარების დარღვევასთან, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

◆ ანგარიშის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ვლინდება ციფრების ცნობის, მრავალნიშნა რიცხვის წაკითხვის, რაოდენობის გაგების ან არითმეტიკული ოპერაციების შესრულების სირთულეებში.

მოსწავლეებს კითხვის პრობლემების გადასაჭრელად ყველაზე ხშირად ფონეტიკაში ავარჯიშებენ. მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევების თანახმად, ეს მიდგომა საკმაოდ ეფექტურია. ასეთი ვარჯიშის შედეგად მოსწავლეს უფითარდება და ავტომატური ხდება ე.წ. „დეკოდირების უნარი“ ანუ ბგერის გრაფიკული გამოსახულების (გრაფემის) სამეტყველო ბგერასთან (ფონემასთან) შესატყვისობის

უნარი. დეკოდირების უნარის ავტომატიზება მნიშვნელოვანია, რადგანაც მეხსიერების რესურსი, რომელიც ტექსტის გააზრებაზე უნდა იხარჯებოდეს, არ გაიფლანგოს დეკოდირების პროცესზე. ტექსტის გააზრებას ხელს უწყობს მოსწავლის განათლება და სიტყვების საკმარისი მარაგიც. ადრეული ბავშვობიდან მეტყველებაში გავარჯიშება და უფროსების მიერ ბავშვისათვის წიგნის სისტემატური კითხვა დაეხმარება ბავშვს მოგვიანებით კითხვის პრობლემების თავიდან აცილებაში. ბავშვებისათვის კითხვა და ზღაპრების მემწეობით მათი სხვადასხვა თამაშში ჩართვა, დადებით შედეგს იქონიებს ბავშვების მეტყველებისა და კითხვის უნარის განვითარებაზე (გაგომიძე და სხვები, 2008).

კოორდინაციის უნარის დაქვეითება სწავლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები

ზოგადასაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობენ ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მეტყველების განვითარების, მოტორული კოორდინაციის, ყურადღების კონცენტრაციის, კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობების, ემოციური რეგულაციისა და ქცევის პრობლემები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სწავლასა და სწავლებაზე.

მასწავლებელია ის პიროვნება, ვისაც შესანიშნავი საშუალება აქვს დააკვირდეს ბავშვს და აღწეროს მისი არასასურველი ქცევა ან პრობლემები სწავლაში.

მოტორული კოორდინაციის განვითარების დარღვევა, ანუ დისპრაქსია – მოტორული განვითარების ისეთი შეფერხებაა, რომლის ძირითადი გამოვლინებაა მოძრაობათა კოორდინაციის სირთულეები, მიუხედავად ნორმალურად განვითარებულ მოძრაობის უნარისა. ამ მდგომარეობას

„მოუქნელი ბავშვის“ სინდრომსაც კი უწოდებენ. ასეთი ბავშვი განსაკუთრებით მოუქნელია ისეთი მოქმედებების შესრულებაში, რასაც ნატიფი მოტორული კოორდინაცია ესაჭიროება, მაგ., ხატვა, წერა, მოძრავი თამაშები. ასეთ ბავშვს უჭირს გაკვეთილზე ჯდომა და ცდილობს დაწვეს მერხზე ან მიეყუდოს კედელს, ხშირად უარს ამბობს წერით სამუშაოზე, ლაშქრობაში წასვლაზე და ა.შ. ცხადია, ყველა მოუქნელ ბავშვს ვერ ექნება მოტორული კოორდინაციის განვითარების დარღვევა. როდესაც მოტორული მოუქნელობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვს გარემოსთან ადაპტაციასა და სწავლაში, მაშინ დგება ასეთი ბავშვის სპეციალისტის მიერ შეფასების საკითხი.

აუტიზმი განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევაა, რომლის დროსაც ადამიანს უჭირს სხვებთან კომუნიკაცია და სოციალური ურთიერთობების დამყარება. აუტიზმის მქონე ბავშვს ხშირად გამოხატული პრობლემა აქვს მეტყველების განვითარებაში და აკვიატებული, განმეორებადი მოქმედებები ახასიათებს. აუტიზმი სპეციალისტის მიერ დასმული სამედიცინო დიაგნოზია და არაფერი აქვს საერთო ადამიანის ხასიათის თავისებურებებთან, როგორცაა სიმორცხვე, არაკომუნიკაბელობა, გულჩათხრობილობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აუტიზმი განვითარების დარღვევაა და დაუშვებელია „აუტისტის“ იარლიყის მინებება იმ ბავშვებსათვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო უჭირთ გარემოსთან შეგუება, ურჩევნიათ მარტო თამაში და არ ჰყავთ მეგობრები.

არ არსებობს მეთოდი, რომელიც თანაბრად წარმატებული იქნება აუტიზმის მქონე სხვადასხვა ბავშვის შემთხვევაში. თუმცა, არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც გარკვეული წარმატებები შეიძლება იქნას მიღწეული. ზოგადად, აუტიზმის მქონე

ბავშვებისათვის სასარგებლოა კარგად სტრუქტურირებული და წინასწარმეტყველებადი გარემო, სადაც ნათლად იქნება მითითებული, თუ რა არის დაშვებული და რა – არა. რადგან აუტიზმის მქონე ბავშვებს არ უყვართ სიახლეები და ცვლილებები, ასეთ გარემოში მრავლად უნდა იყოს მასალა, რომელიც დაეხმარება აუტიზმის მქონე ბავშვს იმის გააზრებაში, თუ რა აქტივობები იგეგმება და როგორია მათი თანამიმდევრობა. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია წერილობითი ან ვიზუალური მასალის გამოყენება. აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლებისას მნიშვნელოვანია იმ უნარების განვითარება, რომლებიც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობის დროს გამოადგება. აუტიზმის მქონე ბავშვს უჭირს თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით უძნელდება ვერბალური კომუნიკაციის დამყარება, ასევე, სხვა ადამიანის მოქმედების თუ აზრის გათვალისწინება; ამიტომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აუცილებელია სოციალური და კომუნიკაციური ჩვევების ათვისების ჩართვა.

გონებრივი ჩამორჩენა ფსიქიკური განვითარების დარღვევაა, რაც ვლინდება ინტელექტუალური შესაძლებლობების მნიშვნელოვნად ჩამორჩენასა (ქულა ინტელექტის მაჩვენებლის ტესტში 70-ზე დაბალია) და ადაპტაციური ქცევების მნიშვნელოვან სირთულეებში (კომუნიკაცია, საკუთარი თავის მოვლა, სოციალური უნარები და ქცევა, ასევე ჯანმრთელობა და განათლება). ამგვარი დარღვევები, როგორც წესი, თავს იჩენს ადრეულ ასაკში და აუცილებლად თვრამეტ წლამდე უნდა გამოვლინდეს. სხვადასხვა ადამიანს, შესაძლოა, გონებრივი ჩამორჩენის სხვადასხვაგვარი ფორმები ჰქონდეს. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებს პრობლემები აქვთ სწავლაში და განიცდიან სირთულეებს ინფორმაციის

დამახსოვრებაში, პრობლემების გადაჭრაში, ლოგიკურ აზროვნებასა და ყურადღების კონცენტრაციაში.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების სწავლებისას სასურველია:

- ◆ ხელშესახები და თვალსაჩინო მასალის გამოყენება;
- ◆ დავალებების მცირე ნაწილებად დაყოფა და მარტივიდან შედარებით რთულ დავალებაზე ეტაპობრივი გადასვლა;
- ◆ სწავლება ნელი ტემპით – ცოდნის თუ დასწავლილი ჩვევის სისტემატური გამეორება;
- ◆ დასწავლილი ჩვევის სხვადასხვა სიტუაციებში გამოყენება ანუ სხვა სიტუაციებზე განზოგადება.

აღსანიშნავია, რომ ყოველდღიური ჩვევების ათვისება, შესაძლოა, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს ასეთი მოსწავლეების ადაპტაციის უნარების განვითარებისათვის.

მეტყველების განვითარების სპეციფიკური დარღვევების მქონე ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს პრობლემები მეტყველების გაგებასთან, ასევე აზრის გადმოცემასა და თხრობითი მეტყველებასთან დაკავშირებით, რაც სხვადასხვა ხარისხით ვლინდება და არ არის კავშირში ინტელექტის დონესთან. ხშირად ასეთ ბავშვებს საშუალო, ნორმალური, ან ძალიან მაღალი ინტელექტიც კი აქვთ, მაგრამ ჩამორჩენილი მოსწავლის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მსუბუქ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი შეხედვით მეტყველების პრობლემები არ ჩანს, მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს პრობლემა წერა-კითხვის ათვისებასა და შინაარსის გადმოცემაში. ამიტომ **მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც მწირი ლექსიკური მარაგი, თხრობის და კარნახით წერის პრობლემა აქვთ.** მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხარდაჭერა, ნახალისება და თუ საჭიროა, დასასწავლი მასალის მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტირება.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების, ანუ ნეირობიოლოგიური დარღვევით გამოწვეული სიმპტომების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს:

- ◆ **ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს** (უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა);

- ◆ **იმპულსურობას** (უნებლიე ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე);

- ◆ **ჰიპერაქტივობას** (მოტორული მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასაც ხშირად ერთვის ემოციური მოუქნიებლობა, აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება.

თუ ბავშვს სკოლაში აქვს სწავლისა და კლასელებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობის პრობლემები, თუ იგი ვერ ახერხებს კონცენტრაციას საკლასო ოთახში, არ ამთავრებს და გაურბის სამუშაოს – შესაძლოა, მას ჰქონდეს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი. ასეთ ბავშვებს ხშირად „ჰიპერაქტიურებს“ უწოდებენ, თუმცა, ცნობილია, რომ ზოგ შემთხვევაში, ყურადღების პრობლემები, შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს იმპულსურობისა და ჰიპერაქტივობის გარეშე.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი სპეციალისტის მიერ დასმული სამედიცინო დიაგნოზია და მიესადაგება ყველა ბავშვს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ყურადღების ან ქცევის განსაკუთრებული პრობლემა. ბავშვი ჰიპერაქტიური და უყურადღებო ბევრი მიზეზის გამო შეიძლება იყოს, მაგალითად, თუნდაც მოჭარბებული შფოთვის, შეგუების პრობლემის, დაბალი თვითშეფასების და სხვ. ამიტომ საკითხში საფუძვლიანად გარკვევისა და ბავშვის ქცევაზე დაკვირვების გარეშე ხელალებით „დიაგნოზის“ დასმა დაუშვებელია.

მოსწავლის დასწავლისა და ქცევის პრობლემების იდენტიფიკაციაში მასწავლებელს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რადგანაც მას შეუძლია დააკვირდეს ბავშვს როგორც სტრუქტურირებულ გარემოში – გაკვეთილზე, ასევე ნაკლებად სტრუქტურირებულ, თავისუფალ გარემოში – დასვენებაზე, გაითვალისწინოს მისი თანატოლებთან ურთიერთობას და ა.შ. სპეციალისტისთვის ბავშვის ობიექტური შეფასებისას მასწავლებლის ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ყურადღასთან დაკავშირებული პრობლემები

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ყურადღების კონცენტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, განსაკუთრებით უჭირთ დავალებისათვის შესაბამისი დროით ყურადღების დათმობა. არ უსმენენ, როდესაც უშუალოდ მათ ესაუბრებიან, არ ითვალისწინებენ მითითებებს, უჭირთ ორგანიზება, ერიდებიან ისეთ საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივ კონცენტრაციას, ადვილად ეფანტებათ ყურადღება და გულმავინყები არიან. **ამ პრობლემის მქონე ბავშვებს ახასიათებთ იმპულსური მოქმედება და უჭირთ ერთ ადგილზე მშვიდად გაჩერება. ისინი, როგორც წესი, მოუსვენრად არიან კლასში, ვერ იცავენ წესებს და უჭირთ რიგის პრინციპის დაცვა.**

ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეებს, როგორც წესი, ავიწყდებათ თარიღები, დავალებები, აგრეთვე კლასში საჭირო მასალის მიტანა. ასეთმა ბავშვებმა, შესაძლოა, არასწორად ჩაინიშნონ დავალება, არაეფექტურად გამოიყენონ გამოყოფილი დრო. ამგვარ მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი შეხედულებისა და მოსაზრებების მწყობრად გამოთქმა. პრობლემურ ბავშვებს მასწავლებელმა უნდა აუხსნას და დაუსაბუთოს, თუ რა უნდა მოიტანონ საკლასო

ოთახში კონკრეტულ შემთხვევაში და რა მნიშვნელობა აქვს ამ აქტივობას. მასწავლებელმა მოსწავლეებს ნათელი და გასაგები მითითებები უნდა მისცეს და შემდეგ ისინი გაამეორებინოს. სასურველია, მასწავლებელმა საშინაო დავალებები გასაგები ფორმით მიანოდოს მოსწავლეებს და ყოველ ჯერზე ერთი და იმავე ადგილას დაწეროს დაფაზე. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ყველა მოსწავლემ გადაინეროს ეს დავალებები.

განათლების სფეროში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბოლო ხანებში მატულობს ყურადღების კონცენტრაციის პრობლემების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რაც თავისთავად პრობლემაა (ფალკი, 2000). ასეთ ბავშვებს შეუძლიათ თანაკლასელების შეწუხება და გაკვეთილის ჩაშლაც კი. **არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებისა და განსაკუთრებით კი ყურადღების კონცენტრაციის პრობლემების მქონე ბავშვების ყურადღების წარმართვა.**

◆ ეფექტურია გაკვეთილის დაწყებისას საინტერესო შესავლის გაკეთება და ხაზგასმა იმაზე, რომ თემა, რომლის ახსნასაც დღეს მასწავლებელი აპირებს, მნიშვნელოვანია ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ასე მაგალითად: არითმეტიკული ოპერაციები – მიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა – დაუკავშირდეს ყოველდღიურობას: ნივთის შეძენასა თუ მეგობრების დახმარებას, საჩუქრების განაწილებას, ასევე, დროის გამოთვლას, სადღესასწაულო დღეების მოახლოების გამოანგარიშებას.

◆ დადებითი შედეგი მოაქვს, აგრეთვე, მასალის ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდებას მოსწავლეებისათვის და ამ პროცესში ყოველი ნაბიჯის მნიშვნელობის განმარტებას.

◆ სასურველია, მასწავლებელმა მოკლევადიანი მიზნები დაისახოს, რომელთა მიღწევა არც თუ ისე რთულია.

◆ სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და აქტივობების სწრაფი ცვლა, შესაძლოა, დაეხმაროს

მასწავლებელს მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციაში, თავის მხრივ, მოსწავლეებიც ნაკლებად მონყენილები არიან ასეთ გაკვეთილზე.

კვლევების თანახმად, მოსწავლეებს, რომლებსაც კონცენტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნიათ, უჭირთ ცვლილებებთან შეგუება. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამიმდევრულობა. სასურველია, მასწავლებელმა ასეთი ბავშვები წინა რიგებში დასვას, რათა მათ ნაკლებად ჰქონდეთ საშუალება, თანაკლასელების მოძრაობებს ადევნონ თვალი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს არსებობს რისკი, რომ თუ მოსწავლე ჰიპერაქტიურია, შესაძლოა, თანაკლასელების ყურადღება მიიქციოს და მათ ხელი შეუშალოს. ამიტომ კონცენტრაციის პრობლემების მქონე მოსწავლეების გვერდით და უკან უნდა ისხდნენ მშვიდი მოსწავლეები (სტივენსი, 1997).

რჩევები დასწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლეთა მშობლებს

ქვემოთ განხილულია რამდენიმე რჩევა, რომლებიც განკუთვნილია დასწავლის დაქვეითებული უნარის მქონე მოსწავლეების მშობლებისათვის. მშობლების მხრიდან რჩევების გათვალისწინება დაეხმარება ბავშვებს დამოუკიდებლობის შექმნასა და უკეთესად სწავლაში (მუისი და რეინოლდსი, 2005):

- ◆ მიეცით ბავშვებს საშუალება, დაგეხმარონ სახლის საქმეში, ეს გამოიწვევს მათი თვითშეფასების ამაღლებას. საქმის დასრულების შემდეგ აგრძნობინეთ ბავშვს, რომ მისი ნამუშევარი მოგეწონათ და აფასებთ;

- ◆ რჩევების მიცემისას ან რაიმე საკითხის ახსნისას, გამოიყენეთ მოკლე და მარტივი მითითებები;

◆ საფუძველი ჩაუყარეთ მარტივად გასაგებ ყოველდღიურ წესებსა და ჩვევებს;

◆ მეცადინეობისას შეუქმენით მშვიდი გარემო, გამორთეთ ტელევიზორი და რადიო;

◆ იყავით მომთმენი და როდესაც ბავშვს რაიმე დაავიწყდება, მშვიდად შეახსენეთ. გახსოვდეთ, რომ ისი ამას განზრახ არ აკეთებს;

◆ წარმატების შემთხვევაში ქება არ დაიშუროთ. უკუკავშირი უნდა იყოს მყისიერი და უნდა უკავშირდებოდეს შესრულებულ სამუშაოს. უკეთესი იქნება, თუ საჩუქრებისა და ფულადი ჯილდოების მაგივრად შემოიფარგლებით შექებითა და ღიმილით;

◆ ნაუკითხეთ ბავშვს წიგნები და სთხოვეთ, მანაც წაგიკითხოთ;

◆ აუხსენით ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თქვენი ბავშვის პრობლემები;

◆ იყავით თანამიმდევრული. ისეთი წესები გქონდეთ ოჯახში, რომლებიც მარტივია და ყველას ესმის. ეს წესები უნდა მოიცავდეს დისციპლინასა და შექებას;

◆ მოუწოდეთ ბავშვს თანატოლებთან აქტიური ურთიერთობისაკენ და მოძებნეთ მშობლები, რომლებსაც თქვენს გამოცდილებას გაუზიარებდით.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვების სწავლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასკოლო სისტემა მეტწილად ჩვეულებრივი განვითარების მქონე მოსწავლეებზე არის მორგებული, ამიტომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში აუცილებელი ხდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასკოლო გარემოში. **კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ნორმისაგან განსხვავდება და**

განსაკუთრებული გარემოს შექმნას საჭიროებს სკოლაში, არის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ჯგუფი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია თვისებები, რომლებიც დაგვეხმარება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ გონებაგახსნილი ბავშვები განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისაგან (მუისი და რეინოლდსი, 2005).

გონებაგახსნილი ბავშვი	განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი
<ul style="list-style-type: none"> ◆ იცის პასუხები; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ სვამს კითხვებს;
<ul style="list-style-type: none"> ◆ დაინტერესებულია; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ ავლენს განსაკუთრებულ ინტერესს;
<ul style="list-style-type: none"> ◆ კონცენტრირებულია; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ ჩართულია ფიზიკურად და გონებრივად;
<ul style="list-style-type: none"> ◆ ბეჯითად შრომობს; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ ცელქობს, მაგრამ მაინც მაღალ შეფასებას იღებს;
<ul style="list-style-type: none"> ◆ პასუხობს კითხვებს; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ სკეპტიკურად უყურებს პასუხებს;
<ul style="list-style-type: none"> ◆ სიამოვნებს თანატოლებთან ურთიერთობა; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ უპირატესობას ანიჭებს ზრდასრულებთან ან უფროს ბავშვებთან ურთიერთობას;
<ul style="list-style-type: none"> ◆ კარგი მეხსიერება აქვს; 	<ul style="list-style-type: none"> ◆ ხშირად შეუძლია პასუხის გამოცნობა;

◆ მარტივად ითვისებს;

◆ თვითკმაყოფილია.

◆ იოლად ბეზრდება
გაკვეთილი, ვინაიდან
წინასწარ იცის პასუხები;

◆ პერფექციონისტი და თვით-
კრიტიკულია.
(ინგლუსურიდან: *Perfection* –
სრულყოფა, გაუმჯობესება)

მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების იდენტიფიცირება ადრეული ასაკიდან მოხდეს, რაშიც დაკვირვების მეთოდი დაგვეხმარება. როგორც წესი, ასეთი ბავშვები შემდეგ თვისებებს ავლენენ:

1. ბავშვი თავის ასაკთან შედარებით მდიდარ ლექსიკას ფლობს;
2. ბავშვს ადრეულ ასაკში შეუძლია აბსტრაქტული ცნებების გააზრება;
3. ბავშვს ახალი უნარის ათვისება მოკლე დროში შეუძლია;
4. ბავშვი ავლენს გამორჩეულ ფიზიკურ უნარებს;
5. ბავშვი ავლენს აზროვნების გამორჩეულ უნარს, რაც მოვლენების განმარტებაში გამოიხატება;
6. ახალი გამოცდილების პარალელურად ბავშვი იყენებს ახალ სიტყვიერ გამოთქმებს;
7. საუბრისას ბავშვი ავლენს იუმორის გრძნობას.

ზოგი ბავშვი თანატოლებთან შედარებით სწრაფად ვითარდება და ამ დროს მას ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულად თვლიან, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი და სხვა თანატოლების განვითარების დონე ერთნაირი ხდება, ამიტომ რამდენიმე დაკვირვებით არ უნდა გამოვიტანოთ საბოლოო გადანწყვეტილება.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების სწავლებამ ჩვეულებრივ საკლასო გარემოში, შესაძლოა, პრობლემები გამოიწვიოს. ასეთი ბავშვებისათვის გაკვეთილის თემატიკა, შეიძლება, უინტერესო და მარტივი იყოს. ისინი თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს საკლასო ოთახის ფარგლებში ვერ გამოავლენენ. ხშირად ჩვეულებრივ კლასებში მყოფ ნიჭიერ ბავშვებს მოსწყინდებათ სასწავლო პროგრამით სწავლა, რამაც, შესაძლოა, სკოლაზე გულის აცრუება და დაბალი მოსწრება გამოიწვიოს. კვლევების მიხედვით, ასეთი მოსწავლეები სკოლაში დროს ფლანგავენ, ვინაიდან მათ უკვე იციან სასწავლო პროგრამის დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ინტერესების გასათვალისწინებლად.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა თანამშრომლობითი სწავლა. ამ მიდგომის ძირითადი არსი ის არის, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები რჩევებს აძლევენ თანაკლასელებს და ეხმარებიან მათ. შედეგად, მათ აღარ მოწყინდებათ გაკვეთილზე ჯდომა, რადგან დაკავებულები იქნებიან თანატოლების დახმარებით. არსებობს მოსაზრება, რომ სწავლა უფრო ეფექტურია, როცა ინფორმაციის მიღება ხდება სხვისთვის სწავლებისა და დახმარების პარალელურად.

აღსანიშნავია, რომ ამ თანამშრომლობითი სწავლის მიდგომასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, რომლებიც მასწავლებელმა საჭიროა, გაითვალისწინოს. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა, შესაძლოა, დაიწყონ კლასში დომინირება, მთელი სამუშაო მხოლოდ თვითონ გააკეთონ და ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებს არ მისცენ ჯგუფურ მუშაობაში ჩართვის საშუალება.

დაჩქარებული სწავლება

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების შემთხვევაში კიდევ ერთი საშუალებაა დაჩქარებული სწავლება. ამ მეთოდის თანახმად, ნიჭიერ ბავშვებს ეძლევათ საშუალება, თანაკლასელებთან შედარებით უფრო სწრაფად აითვისონ სასწავლო პროგრამა. დაჩქარებულმა სწავლებამ, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მაგალითად, ნაადრევად შესვლა სკოლაში, კლასებში გადახტომა ან ნაადრევად ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში. აგრეთვე, შესაძლებელია, ნიჭიერი მოსწავლე რამდენიმე საგანში გაკვეთილს უფროს კლასელებთან ერთად დაესწროს. ამავე პრინციპით შესაძლებელია, საშუალო სკოლის მოსწავლე ლექციებს უნივერსიტეტში დაესწროს.

დაჩქარებული წესით სწავლების მეთოდის ეფექტურობის შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა, ექსპერტების აზრით, ყოველივე ამას აქვს თავისი დადებითი მხარეებიც, მაგალითად (საუზერნი და ჯონსი, 1991; დავისი და რიმი, 1988):

- სწავლის ეფექტურობისა და შედეგიანობის ზრდა;
- სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეებზე;
- მოსწავლეების ახალ, უფრო ჩამოყალიბებული თანატოლების ჯგუფში შეყვანა;
- მეტი დრო კარიერის ასარჩევად;
- მეტი საშუალებები აკადემიური კვლევისათვის;
- მონყენილობის თავიდან აცილება.

დაჩქარებულ სწავლებას უარყოფითი მხარეც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბავშვები მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან, შესაძლოა, მათ სოციალური უნარები საკმარისად არ ჰქონდეთ განვითარებული. შესაბამისად, მათი უფროსი ასაკის მოსწავლეებთან ერთად განაწილებამ, შესაძლოა, უარყოფითი სოციალური შედეგები გამოიღოს;

მაგალითად, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვს შეიძლება, გაუჭირდეს უფროსი მოსწავლეების ჯგუფში ინტეგრირება.

მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამის დაჩქარებული წესით შესწავლის გადანყვეტილების მიღებაზე საჭიროა რიგი საკითხების გათვალისწინება (ბენბოუ, 1991):

- ◆ უნდა შეფასდეს მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობები (ამ მიზნით შესაძლებელია ტესტების გამოყენება);

- ◆ ფსიქოლოგის მიერ უნდა შეფასდეს ბავშვის სოციალურ-ემოციური მზადყოფნა. მოსწავლეს არ უნდა გააჩნდეს ახალ ჯგუფთან შეგუების პრობლემები და უნდა ჰქონდეს სწავლის ძლიერი მოტივაცია;

- ◆ ბავშვმა და მშობელმა ერთობლივად უნდა მიიღონ პროგრამაში მონაწილეობის გადანყვეტილება;

- ◆ მასწავლებელი უნდა იყოს თანახმა, რომ მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და დახმარება გაუწიოს ბავშვს;

- ◆ კლასის გამოტოვებით მაღალ კლასში გადასვლა უნდა მოხდეს ახალი სასწავლო წლის დასაწყისში;

- ◆ კლასის გამოტოვებით მაღალ კლასში გადასვლას უნდა ჰქონდეს გარკვეული საცდელი პერიოდი (ერთიდან ორ თვემდე). ამ დროის გასვლის შემდეგ, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავის კლასში დაბრუნების შესაძლებლობა, თუკი მას ამის სურვილი ექნება;

- ◆ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს არ ჰქონდეს გადამეტებული მოლოდინი, რათა წარუმატებლობის შემთხვევაში არ დაქვეითდეს ბავშვის თვითშეფასება;

- ◆ ხანდახან კლასის გამოტოვებით მაღალ კლასში გადასვლა ითვალისწინებს გარკვეულ ჩავარდნებს საგნობრივ ცოდნაში, ვინაიდან ბავშვს უწევს პროგრამის ნაწილის გამოტოვება.

მშობლები და ნიჭიერი მოსწავლეები

ნიჭიერი ბავშვების აღზრდა არც თუ ისე ადვილია, ვინაიდან მათი ინტერესები მუდამ განსხვავდება თანატოლების ინტერესებისაგან. მათ აქვთ გამძაფრებული ცნობისმოყვარეობა და ბევრ შეკითხვას სვამენ. ასეთმა ბავშვებმა, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ თავად მშობლების გადაწყვეტილებებიც. შესაბამისად, მშობლები უნდა შეეცადონ, დამაკმაყოფილებელი განმარტება მიაწოდონ ბავშვებს მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

მცირე ასაკიდან ბავშვებისათვის კითხვა და მათთვის ინტელექტუალურად მასტიმულირებელი გარემოს შექმნა დაეხმარება მათ როგორც გონებრივი, ასევე ემოციური სფეროს განვითარებაში. ბავშვებს ხელი უნდა შეუწყოს ინტერესების გაღვივებაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინტერესები უჩვეულოდ მოგეჩვენებათ ასეთ ადრეულ ასაკში. მათთვის, შესაძლოა, სასარგებლო იყოს მშობლების ინტერესების გაცნობაც.

მშობლებს, შესაძლოა, დასჭირდეთ ბავშვის ისეთ სკოლაში მიყვანა, სადაც კარგი პირობებია შექმნილი ნიჭიერი მოსწავლეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ხშირად მშობელი არაობიექტურია საკუთარი ბავშვის მიმართ და შეიძლება, მან უსაფუძვლოდ მოსთხოვოს მასწავლებელს, რომ მის შვილს მოექცეს, როგორც ნიჭიერს.

შეჯამება:

- ✓ სწავლების ინკლუზიური მიდგომის საფუძველში ისეთი ფუნდამენტური პრინციპები დევს, როგორიცაა ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფა, განათლების ხელმისაწვდომობა, განსხვავებულის აღიარება და პატივისცემა.
- ✓ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ ფართო ცნებაა, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მოსწავლეები, რომლებსაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა აქვთ.
- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე არის არა მხოლოდ ის, ვისაც რაიმე სახის ფიზიკური შეზღუდვა ახასიათებს, არამედ ისიც, ვინც შედარებით გვიან ითვისებს მასალას ან ემოციურად გაუწონასწორებელია.
- ✓ მკვლევრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებსაც, რადგან ნიჭიერ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ.
- ✓ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხთან მიმართებაში დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ინკლუზიური განათლების მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ მცირე ზომის კლასები და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლების მიერ დათმობილი ყურადღება გადაამწყვეტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების უკეთესი აკადემიური მიღწევებისათვის. სპეციალურ სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს უფრო მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, ვიდრე –

ჩვეულებრივ სკოლებში. ინკლუზიური განათლების მომხრეები მიიჩნევენ, რომ სპეციალურ სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს აკადემიური თვალსაზრისით არ მოეთხოვებათ იმდენი, რამდენიც ჩვეულებრივ სკოლაში, რაც უარყოფითად აისახება სწავლის მოტივაციაზე.

- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის არსებობს რამდენიმე არჩევანი: ასეთი ბავშვი შესაძლებელია სპეციალურ სკოლაში გადაიყვანონ; შესაძლებელია, ასევე, ბავშვის ჩვეულებრივ სკოლაში დატოვება, მაგრამ მისი სპეციალურ ან ინტეგრირებულ კლასში გადაყვანა;
- ✓ მოსწავლესთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება გულისხმობდეს: შეზღუდვას მოქმედებასა და აქტივობაში; შეზღუდვას მონაწილეობის შესაძლებლობაში.
- ✓ უნარშეზღუდულობას ორ დიდ ჯგუფად ყოფენ – თვალსაჩინო და არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობად.
- ✓ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების სხვადასხვა ფორმიდან მკვლევრები განსაკუთრებით გამოყოფენ: მეტყველებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; აკადემიური უნარების დაქვეითებას; კოორდინაციის უნარის დაქვეითებასა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებს.
- ✓ დასწავლის უნარის დაქვეითება გულისხმობს ადამიანის უუნარობას, მიიღოს, შეინახოს, გამოიყენოს და ერთმანეთთან დააკავშიროს განსხვავებული, მეტყველებით გაშუალებული და ხატოვანი ინფორმაცია.
- ✓ დარღვევა, რომელიც აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული სკოლაში, ყურადღების კონცენტრაციას

უკავშირდება. ამ პრობლემის მქონე მოსწავლეები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ საქმეს, კონცენტრაცია მხოლოდ ხანმოკლე დროით შეუძლიათ და არ უსმენენ, როდესაც უშუალოდ მათ ესაუბრებიან.

- ✓ კითხვის პრობლემის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემაა ფონეტიკასთან დაკავშირებული სირთულეები, თუმცა, კითხვის სირთულეები, შესაძლოა, მეტყველების განვითარებაში შეფერხების მქონე მოსწავლეებსაც ჰქონდეთ.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების იდენტიფიცირება ადრეული ასაკიდან მოხდეს, რაშიც დაკვირვების მეთოდი დაგვეხმარება.
- ✓ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდი ეფექტიანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების სწავლების პროცესში, თუმცა მასწავლებელმა მისი უარყოფითი მხარეებიც უნდა გაითვალისწინოს.
- ✓ დაჩქარებული სწავლების მეშვეობით ნიჭიერ ბავშვებს ეძლევათ საშუალება, თანაკლასელებთან შედარებით უფრო სწრაფად აითვისონ სასწავლო პროგრამა.
- ✓ დაჩქარებული წესით სწავლების მეთოდის ეფექტურობის შეფასება საკმაოდ რთულია, ამიტომ საჭიროა მისი დადებითი და უარყოფითი ეფექტების გათვალისწინება.
- ✓ დაჩქარებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარე ის არის, რომ, ნიჭიერ ბავშვებს მაღალი აკადემიური მიღწევების მიუხედავად, შესაძლოა, სოციალური უნარები საკმარისად არ ჰქონდეთ განვითარებული. ამიტომ, შესაძლებელია, რომ უფროსი ასაკის მოსწავლეებთან ერთად განაწილებამ უარყოფითი სოციალური შედეგები გამოიღოს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაგოშიძე, თ., ჭინჭარაული, თ., ფილაური, ქ., & ბაგრატიონი, მ. (2008). *ინკლუზიური განათლების პრინციპები*. გამომცემლობა „ნეკერი“
- Fulk, B. (2000). 20 Ways to Make Instruction More Memorable. *Intervention in School and Clinic*, 25 (3), 183-184
- Hehir, T. (2006). *New Directions in Special Education*. Harvard Education Press
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications
- Stevens, S.H. (1997). *Classroom Success for the LD and ADHD Child*. Stephen H. Blair, Publisher
- Davis, G.A. and Rimm, S.B. (1998). *Education of the Gifted and Talented*. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall

XI თავი

კრიტიკული აზროვნების განვითარება

მოსწავლეებში

ძირითადი საკითხები:

- ◆ კრიტიკული აზროვნების განმარტება;
- ◆ კრიტიკული აზროვნების კომპონენტები;
- ◆ კრიტიკული აზროვნების ფაზები;
- ◆ კრიტიკული აზროვნება აზროვნების სხვა ფორმებთან მიმართებაში;
- ◆ როგორ ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება.

მომზადა მარიამ გაბაშვილმა

შესავალი

კრიტიკული აზროვნება აქტუალური თემაა თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ყველა, ვისაც კი რაიმე შეხება აქვს განათლებასთან – თეორეტიკოსი მეცნიერები, პრაქტიკოსი პედაგოგები, განათლების სისტემის მართვის რგოლში დასაქმებული ადამიანები და ა.შ. – ერთხმად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება უნდა იყოს სისტემის უმთავრესი პრიორიტეტი. **საგნობრივი ცოდნის გარდა, განათლება მოსწავლეებში კონკრეტულ უნარებსაც უნდა ავითარებდეს და ამ უნარებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ კრიტიკულ აზროვნებას უჭირავს.**

კრიტიკული აზროვნება, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, წარმოადგენს ერთგვარ საძირკველს სხვა უნარების განვითარებისათვის. წარმოუდგენელია ადამიანის ეფექ-

ტური ფუნქციონირება აკადემიურ გარემოში ან თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ უნარის გარეშე. აღსანიშნავია, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების აღზრდა არა მარტო ამ ადამიანების წარმატებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად საზოგადოების და ქვეყნის წარმატებისთვისაც. კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება აუცილებელი პირობაა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. შესაბამისად, განათლების სისტემა მოსწავლეებში ადრეული ასაკიდანვე უნდა ავითარებდეს სააზროვნო უნარებს. მასწავლებელი სასწავლო პროცესს ისე უნდა წარმართავდეს, რომ საგნობრივ ცოდნასთან ერთად ხელი შეუწყოს სააზროვნო, შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დაანახოს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების ღირებულება და აღძრას მათში ამ უნარის განვითარების მოტივაცია.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ კრიტიკული აზროვნების თემას და გაგაცნობთ მოსწავლეებში ამ უნარის განვითარების ხელშეწყობისაკენ მიმართულ პრაქტიკულ სტრატეგიებს. წარმოდგენილი მასალა მომზადებულია ცნობილი ამერიკელი მეცნიერების, პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლების – კენეტ დ. მურის და სტეფენ დ. ბრუკფილდის შრომებზე დაყრდნობით.

კრიტიკული აზროვნების განმარტება

კრიტიკული აზროვნება აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა. შესაბამისად, ამ კონკრეტული ფორმის განხილვამდე მნიშვნელოვანია შევეხოთ ზოგადად აზროვნების უნარს. ვფიქრობთ, ეს გაუადვილებს მკითხველს კრიტიკული აზროვნების კონცეფციის გაგებას.

დღეისათვის, სამწუხაროდ, არ არსებობს მარტივი და ამომწურავი პასუხი კითხვაზე, თუ რა არის აზროვნება. ამგვარი განმარტების შემუშავების სირთულე ნაწილობრივ მაინც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მეცნიერებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა აზროვნების უნარის გამოცალკევება სხვა კოგნიტური (შემეცნებითი) უნარებისაგან. აზროვნება არ არის ერთიანი, უცვლელი ფენომენი. იგი განსხვავებული ფორმითა და ხარისხით წარმოგვიდგება ადამიანის ამა თუ იმ აქტივობაში. ამ სირთულეების გამო დღეისათვის აზროვნების უნარის მრავალი განსხვავებული განმარტება არსებობს. ერთ-ერთი ასეთი განმარტების მიხედვით, **„აზროვნება არის ადამიანის უნარი გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება ახალი ინფორმაციის ანალიზისა და დასკვნების გაკეთებისათვის, მოვლენების მიმართ საკუთარი მოსაზრების, პოზიციის ჩამოყალიბებისათვის“** (მური, 2009). რაც შეეხება კრიტიკულ აზროვნებას, იგი აზროვნების ერთ-ერთი კონკრეტული ფორმაა, რომელიც გულისხმობს ფრთხილ დამოკიდებულებას შეუმონმებელი, თუ აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე ინფორმაციისადმი, ვიდრე არ მოხდება მისი გადამოწმება და საფუძვლიანობის შეფასება.

ხშირად კრიტიკული აზროვნება გაიგივებულია მარტივ კრიტიკასთან, ხოლო კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები – ცინიკურ და საკუთარ თავზე ძალიან მაღალი წარმოდგენის მქონე პირებთან. ამგვარი შეხედულება არ არის სწორი. კრიტიკულად აზროვნება არ არის მარტივი კრიტიკა. იგი უფრო კომპლექსური და კონსტრუქციული ფენომენია და გულისხმობს ადამიანის ღიაობას სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნებისათვის. კრიტიკული აზროვნება მოვლენების, ფაქტების, იდეების საკუთარი ძალებით შესწავლისადმი ერთგვარი მზაობა და სურვილია. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისთვის მიუღებელია სხვების მიერ თავს მოხვეული ღირებულებების, ნორმების, იდეების ბრმად გათავისება. მათთვის

მნიშვნელოვანია საკუთარი, გააზრებული და დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება. ამავდროულად, არ იქნება სწორი ახალი იდეებისა და პოზიციისადმი მუდმივი ღიაობა გავაგივოთ ერთი მყარი პოზიციის ჩამოყალიბების შეუძლებლობასთან. პირიქით, არსებული პოზიციის მუდმივი გადაფასება, ანალიზი, მისი ალტერნატივების ძიება ერთადერთი სწორი გზაა ნამდვილი, მტკიცე ღირებულებებისა და პოზიციის ჩამოყალიბებისათვის. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი არ არის ერთგული სხვის მიერ თავს მოხვეული პოზიციის ან ღირებულების მიმართ.

კრიტიკული აზროვნება არ უნდა გავაგივოთ ინტელექტუალურობასთან. ეს არის აზროვნების ერთ-ერთი ფორმა, რომლის განვითარება არის შესაძლებელი ნებისმიერი ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ადამიანისათვის.

კრიტიკული აზროვნების უკეთ გაგებისათვის მნიშვნელოვანია იმ მახასიათებლების განხილვა, რომლებიც ამ უნარის შესწავლის შედეგად გამოვლინდა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კრიტიკული აზროვნების აქტიური ბუნება. **ბევრი სხვა უნარისაგან განსხვავებით, კრიტიკული აზროვნება ადამიანისაგან ცნობიერ და აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.** არსებული იდეების, ღირებულებებისა და პოზიციის გადაფასება/გაანალიზება ავტომატურად კი არ მიმდინარეობს ჩვენს გონებაში, არამედ ჩვენგან აქტიურ ჩართვას, ამ პროცესის მიმდინარეობის კონტროლს და სრულიად გაცნობიერებულ ძალისხმევას მოითხოვს. ამით კრიტიკული აზროვნება ძალიან ჰგავს შემოქმედებით აზროვნებას (აზროვნების კიდევ ერთი ფორმა).

კრიტიკული აზროვნების აქტიური ხასიათიდან გამომდინარეობს მისი კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მახასიათებელი – იგი მუდმივად მიმდინარე, დაუმთავრებელი პროცესია. **კრიტიკული აზროვნება არ გულისხმობს რაიმე ერთი პროდუქტის შექმნას და შეჩერებას. პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.**

ნარეა. შეუძლებელია მისი „მწვერვალის“, დასასრულის მიღწევა.

კრიტიკული აზროვნება არ არის ტიპური და ერთგვარად მიმდინარე პროცესი. მისი გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, ისე გარემო ფაქტორებზე. თუმცა გამოვლენის ფორმისა და თავისებურების მიუხედავად, კრიტიკული აზროვნების ამოცნობა მარტივად არის შესაძლებელი, რადგან იგი ყოველთვის ორიენტირებულია ანალიზსა და შეფასებაზე.

კრიტიკული აზროვნება ხშირად გაგებულია, როგორც ძალიან რაციონალური, ცივი შემეცნებითი პროცესი. სინამდვილეში კი ის საკმაოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციებთან. საკუთარი თუ სხვათა ღირებულებების, მოსაზრებების, პოზიციის მუდმივი ანალიზი და გადაფასება საკმაოდ რთული პროცესია. ის საფრთხეს უქმნის, ერთგვარად ცვლის ყოველივე იმას, რაც ადამიანში ნლების განმავლობაში იყო გამჯდარი, რაც მისთვის ჩვეული, კომფორტული და კარგად ნაცნობია. ცხადია, ასეთი რადიკალური ცვლილებები ვერ განხორციელდება ემოციების გარეშე. დაბნეულობა, სევდა, სიბრაზე, შინაგანი წინააღმდეგობა მხოლოდ რამდენიმე იმ ემოციური მდგომარეობიდან, რომლებიც თავს იჩენს კრიტიკული აზროვნების პროცესში. თუმცა ნეგატიურ ემოციებზე მეტად, კრიტიკული აზროვნება პოზიტიურ ემოციებთან არის დაკავშირებული. გამყარებული, ხშირად სტერეოტიპული და თავს მოხვეული აზროვნების ჩარჩოებიდან გაღწევა, საკუთარი გონების განთავისუფლება ბრმად მიღებული ცოდნისაგან უდიდესი შვებისა და სიხარულის მომტანია ადამიანისთვის. კრიტიკულად აზროვნებას ძლიერი შინაგანი კმაყოფილება, საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებულობა და ემოციური ამაღლებულობა მოაქვს, რაც გადწინის კრიტიკული აზროვნების საწყის ეტაპზე აღმოცენებულ ნეგატიურ ფონს.

კრიტიკული აზროვნების კომპონენტები

კრიტიკული აზროვნების პროცესი ორი მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტისაგან შედგება – **ვარაუდების იდენტიფიცირება/გადამოწმება და ალტერნატივების შესწავლა/შეფასება**. ორივე კომპონენტი თანაბრად მნიშვნელოვანია აზროვნების პროცესის წარმართვისათვის. ამ ნაწილში ჩვენ მიერ მოკლედ იქნება განხილული თითოეული მათგანი. ტექსტში ხშირად წააწყდებით ტერმინს „ვარაუდი“. ჩვენი მიზნებისთვის, ამ ტერმინს ყოველდღიური მნიშვნელობისაგან ოდნავ უფრო განსხვავებული მნიშვნელობით გამოვიყენებთ. კერძოდ კი, კრიტიკულ აზროვნებაზე საუბრისას, „ვარაუდში“ ვიგულისხმებთ ღირებულებებს, იდეებს, პოზიციებს, ნორმებს, ქცევებს და ა.შ., რომლებიც ადამიანის მიერ ბრმად, გადამოწმების გარეშე არის გაშინაგნებული. „ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად ჭკვიანები არიან“ – ასეთი ტრადიციული, თავს მოხვეული და დაუსაბუთებელი ვარაუდის ერთ-ერთი ნიმუშია.

ვარაუდების იდენტიფიცირება და მათი გადამოწმება კრიტიკული აზროვნების ინიცირებასა და დაწყებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტია. იმისათვის, რომ ადამიანი აქტიურად ჩაერთოს აზროვნების პროცესში, საჭიროა, რომ მის მიერ იდენტიფიცირებული იყოს დაუსაბუთებელი ვარაუდი. ვინაიდან კრიტიკული აზროვნების პროცესი მთლიანად მიმართულია ამგვარი ვარაუდების აღმოფხვრაზე, ბუნებრივია, რომ ამ ვარაუდების იდენტიფიცირების გარეშე პროცესი დაკარგავს მიმართულებას. ვარაუდების იდენტიფიცირება გულისხმობს ადამიანის დაფიქრებას მისთვის ჩვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე; მის გონებაში ამ ვარაუდებთან დაკავშირებით კრიტიკული კითხვის აღმოცენებას. რატომ იქცევინან ადამიანები ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ისე, როგორც იქცევინან? საიდან მოდის კონკრეტული ნორმები, წესები, ტრადიციები? რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ნორმების

დაცვა? რატომ სჯერათ ადამიანებს იმის, რისიც სჯერათ? რა გავლენა ჰქონდა ზოგად კონტექსტს (პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას და ა.შ.) ამა თუ იმ ნორმის/პოზიციის ჩამოყალიბებაზე? ეს მხოლოდ რამდენიმეა იმ კითხვათაგანი, რომლებიც ვარაუდების იდენტიფიცირებას ემსახურება. ამ კითხვებზე პასუხების ძიება ადამიანს საკუთარი და სხვისი ვარაუდების გადამოწმებაში, მათ შეფასებაში ეხმარება.

კრიტიკული აზროვნების მეორე კომპონენტი არსებული ვარაუდების შესაძლო ალტერნატივების ძიებაზე, ამ ალტერნატივების შეფასება/შედარებაზეა ორიენტირებული. ის გარემოება, რომ ესა თუ ის ვარაუდი გაზიარებულია ბევრი ადამიანის მიერ და/ან დამკვიდრებულია წლების მანძილზე, არ არის იმის გარანტი, რომ ეს არის ფიქრის ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტი გზა. სწორედ ამიტომ კრიტიკული აზროვნების ეს კომპონენტი ემსახურება შესაძლო ალტერნატივების მოძებნას, მათ შეპირისპირებას ტრადიციულ ვარაუდებთან. გონებაგახსნილი, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს, რომ ჩვენს მუდმივად ცვალებად და კომპლექსურ სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტებები. ნებისმიერი, ყველაზე მტკიცე ვარაუდიც კი, შესაძლოა არაადეკვატური გახდეს დროის თუ სხვა გარემო ცვლილებების გამო. სამყაროს ასეთ დინამიურ ჭრილში დანახვა, მასში არსებული მოვლენებისა და ვარაუდების კრიტიკულად შეფასება, ალტერნატივების მუდმივი ძიება პიროვნული თუ საზოგადოებრივი პროგრესის უმთავრესი წინაპირობაა.

კრიტიკული აზროვნების ფაზები

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კრიტიკული აზროვნება უსასრულო პროცესია. მას შეიძლება ჰქონდეს დასაწყისი (ინიცირების მომენტი), თუმცა იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს

რაიმე საბოლოო საფეხურს, მწვერვალს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კრიტიკული აზროვნების და ზოგადად აზროვნების პროცესი რამდენიმე განმეორებადი ფაზის, ეტაპის მონაცვლეობას წარმოადგენს. მართალია, ინდივიდუალური თუ გარემო ფაქტორები აისახება აზროვნების პროცესის მიმდინარეობაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაინც შესაძლებელია ამ პროცესის შემადგენელი რამდენიმე ტიპური ეტაპის/ფაზის იდენტიფიცირება და აღწერა. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ ამ ფაზებს. ისინი აზროვნების პროცესში მათი აღმოცენების თანამიმდევრობით არიან წარმოდგენილი.

◆ **ინიცირება.** ვარაუდის იდენტიფიცირება შინაგანი დისკომფორტის გრძნობას უქმნის ადამიანს. ხდება იმის გაცნობიერება, რომ მანამდე ჩამოყალიბებული ღირებულება და პოზიცია შესაძლოა, არ იყოს ადეკვატური. ეს ყველაზე ხშირად თავს იჩენს მაშინ, როდესაც რომელიმე კონკრეტულ ვითარებაში არსებულ ვარაუდზე დაფუძნებული ქცევა, რეაქცია არ აღმოჩნდება ეფექტური შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, შესაბამისად, იქმნება პრობლემური სიტუაცია. ასეთ მომენტებს ხშირად მაპროვოცირებელსაც უწოდებენ. არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ მათი უმეტესობა ნეგატიურ ხასიათს ატარებს. შინაგანი დისკომფორტის აღმოფხვრის მიზნით, მაპროვოცირებელი მოვლენა ბიძგს აძლევს აზროვნების პროცესის დაწყებას.

◆ **შეფასება.** აზროვნების პროცესის ამ ეტაპზე ადამიანი ერთვება თვითანალიზში. მისი მიზანია გამოიკვლიოს, შეაფასოს, თუ კონკრეტულად რა ინვესტს შინაგან დისკომფორტს, რატომ გახდა კონკრეტული ვარაუდი არაადეკვატური, შეუსაბამო, როგორ ეწინააღმდეგება იგი არსებულ რეალობას.

◆ **შესწავლა.** დისკომფორტის წყაროს იდენტიფიცირების შემდეგ ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ხდება დისკომფორტის გრძნობის შემცირება, რისთვისაა საჭირო არსებული ვარაუდის/ვარაუდების მორგება, ახალი გამოცდილების კო-

რექტირება და რეალობისთან ან დისკომფორტთან შეგუების, მისი ატანის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება. აზროვნების ამ ეტაპზე ადამიანი იწყებს დისკომფორტის დაძლევის მისთვის ყველაზე მისაღები გზების ძიებას, ახალი შესაძლებლობებისა და სამყაროს ახლებურად ორგანიზების საშუალებების შესწავლას.

◆ **ალტერნატიული პერსპექტივის შემუშავება და განვითარება.** ამ ეტაპზე ხდება არსებული ვარაუდების ალტერნატივების შემუშავება/განვითარება წინა საფეხურზე მოძიებული ინფორმაციის/ცოდნის საფუძველზე. ეს ფაზა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია – ძველსა და ახალ ვარაუდებს შორის. გათავისებული, ძველი, დისკომფორტის მომგვრელი ელემენტი უკვე აღარ არსებობს პიროვნული სახით, თუმცა, ჯერ არც ახალი ვარაუდები და პოზიციებია საბოლოოდ ჩამოყალიბებული. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ აზროვნების სხვა ფაზებთან შედარებით ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ეტაპია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია უკვე მტკიცედ გამჯდარი, მანამდე ჩამოყალიბებული ვარაუდების შეცვლასთან. ხშირად, განსჯის შემდეგ, პიროვნება თავისი შინაგანი სამყაროთი, მთელი არსებით ეწინააღმდეგება ცვლილებას და ერთგვარად ეჯაჭვება კიდევ ძველ ვარაუდებს.

◆ **ინტეგრაცია.** მას მერე, რაც ალტერნატიული ვარაუდები საბოლოოდ შემუშავებული და გაანალიზებულია, მნიშვნელოვანი ხდება ამ სიახლეების ინტეგრირება, შერწყმა უცვლელად დარჩენილ პიროვნულ ელემენტებთან და ვარაუდებთან. ბუნებრივია, კრიტიკული აზროვნების დროს არ ხდება ადამიანის გონებაში, მის პიროვნებაში გამჯდარი ყველა ვარაუდის ერთიანად გადახედვა. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული ვარაუდის შეცვლა, მისი კორექტირება გარკვეული დისონანსის მომტანი შეიძლება გახდეს ხელუხლებელი ვარაუდების სისტემისათვის. ინტეგრაციის ეტაპზე ხდება ახალი და ძველი ელემენტების გაერთიანება, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს ძველი თუ ახალი ელემენტების

მცირედენი კორექტირება, მათი შესაბამისობაში მოყვანა. (საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ, ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურის პრობლემა – მტრისათვის მკლავის მოკვეთის ადათის მტკივნეული აღქმა პროტესტი და გადაფასება).

კრიტიკული აზროვნება აზროვნების სხვა ფორმებთან მიმართებაში

ყველაზე ხშირად კრიტიკულ აზროვნებას შემოქმედებით (კრეატიულ) და მეტაკოგნიტურ აზროვნებასთან აკავშირებენ. აზროვნების ეს ორი ფორმა ერთგვარად ჩართულია კრიტიკულ აზროვნებაში და ეხმარება მის განხორციელებას.

კრეატიული აზროვნება მიმართულია ახალი მიდგომების/სტრატეგიების ძიებასა და ინოვაციაზე. ისევე, როგორც კრიტიკული აზროვნება, აზროვნების ეს ფორმა უფრო მეტია, ვიდრე ფაქტების მარტივი შეგროვება და გამოყენება. ის სიახლის ცნობიერი თუ არაცნობიერი ძიებაა. იგი წარმოადგენს უკვე ნაცნობი, ძველი მოვლენების, ფაქტების ახლებულ წიგნში დანახვისაკენ სწრაფვას. კრიტიკული აზროვნების მსგავსად, კრეატიული აზროვნებაც მუდმივად მიმდინარე პროცესია. მისი მოქმედება უკავშირდება ახალი პროდუქტების შექმნას, თუმცა შედეგის მიღწევა არ გულისხმობს პროცესის დასრულებას ან მის შეჩერებას. ცნობისმოყვარეობა, წარმოსახვა, აღმოჩენის, ახლის გამოგონების ინტერესი – კრეატიული აზროვნების დახასიათებისათვის ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინებია. როგორც უკვე დავინახეთ, ეს ტერმინები საკვებით მიესადაგება კრიტიკულ აზროვნებასაც. ერთადერთი მკაფიოდ გამოხატული განსხვავება აზროვნების ამ ორ ფორმას შორის, ბევრი მეცნიერის აზრით, არის ის ფაქტი, რომ შემოქმედებითი აზროვნების უნარი დიდწილად თანდაყოლილია, მისი სწავლება პრაქტიკულად შეუძლებელია მაშინ, როდესაც კრიტიკული აზროვნება შექცნილი

უნარია და შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე ადამიანში.

მეტაკოგნიტური აზროვნება (მეტაკოგნიცია) არსებითად არის საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზი. სწავლის სტრატეგიები არის მეტაკოგნიციის საუკეთესო მაგალითი – ადამიანი აანალიზებს, თუ რა უწყობს ხელს მის სწავლოს პროცესს, მისი აზროვნების პროცესის მიმდინარეობას და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს კონკრეტულ, სტანდარტულ სასწავლო სტრატეგიებს. მეტაკოგნიცია ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტისგან შედგება: პრობლემის იდენტიფიცირება/ანალიზი და მაკორექტირებელი სტრატეგიების შემუშავება/განხორციელება. როგორც ვხედავთ, ეს კომპონენტები ძალიან ჰგავს კრიტიკული აზროვნების კომპონენტებს. ისევე, როგორც კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში, მეტაკოგნიცია ადამიანისაგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, არსებული შეუსაბამობის, სირთულის დადგენასა და უკვე ამის შემდეგ დაძლევის სტრატეგიების (ალტერნატივების) შემუშავებას. ასე მაგალითად, საშინაო დავალების მომზადებისას, მოსწავლემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისთვის გაუგებარია წაკითხული ტექსტის შინაარსი, მისი მნიშვნელობა. ეს გარემოება (ანუ წამოჭრილი პრობლემა) მეტაკოგნიციის ამოქმედების ბიძგი ხდება. ბავშვი ცდილობს გაიაზროს, თუ რაშია პრობლემა, რა უშლის მას ხელს ტექსტის გაგებაში. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე მოსწავლე მაკორექტირებელ, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს მოიფიქრებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარი სტრატეგიების მაგალითი შეიძლება იყოს ლექსიკონის დახმარება, ტექსტის დანაწევრება მცირე ნაწილებად და მისი ეტაპობრივად განხილვა და ბევრი სხვა. ცხადია, მთლიანი პროცესი არ არის ისეთივე მექანიკური, როგორიც ჩვენ ეს ზემოთ აღვწერეთ. ისევე, როგორც აზროვნების სხვა ფორმე-

ბის შემთხვევაში, მეტაკოგნიციის კომპონენტებიც ძალიან ჰარმონიულად ებმინ ერთმანეთს ადამიანის გონებაში.

მეტაკოგნიციის უნარის განვითარებაზე მიმართული აქტივობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს და კრიტიკული აზროვნების პროცესის ხელისშემწყობიც ხდება.

როგორ ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება

თეორიული საფუძვლები

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება მასწავლებლისგან გონებაგახსნილობასა და სიახლეებისათვის ღიაობას მოითხოვს. თუკი მასწავლებელი მუდმივად არ არის ჩართული თვითანალიზის, ახალი ცოდნის კრიტიკულად შეფასების და ექსპერიმენტების პროცესში, ანუ არ არის კრიტიკულად მოაზროვნე, ის ვერ შეძლებს ამ უნარის განვითარებას მოსწავლეებში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა არ მოახვიოს საკუთარი აზრები და ვარაუდები მოსწავლეებს. თუნდაც საგნობრივი მასალის ახსნის დროს, მნიშვნელოვანია, ბავშვებისთვის ნათელი იყოს, რომ ესა თუ ის ინფორმაცია შესაძლებელია არ იყოს აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ სრულიად დასაშვებია მოვლენათა ინტერპრეტირების სრულიად განსხვავებული ალტერნატივების არსებობაც.

ამავდროულად, **მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს მათი საკუთარი ვარაუდების, მსჯელობის მუდმივ ანალიზშიც.** იგი სარკესავით უნდა ირეკლავდეს ბავშვების იდეებს, მათ მსჯელობებს, გამოვლენილ ღირებულებას და უბრუნებდეს ამ ყოველივეს მათ უკან განსჯისთვის, შესწავლისა და დამატებითი გაანალიზებისათვის. მოსწავლეებს კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კრიტი-

კული აზროვნება და როგორ შეიძლება მის განვითარებაზე ზრუნვა მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად.

შესაბამის დარგში მომუშავე მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ აზროვნების განვითარება ყველაზე სწრაფად და ეფექტურად ხდება მაშინ, როდესაც ამისათვის საგანგებოდ არის გამოყოფილი საგაკვეთილო დრო. ამ პოზიციის მიმდევრები კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებელი გაკვეთილების შემოტანას უჭერენ მხარს. მათი აზრით, მოსწავლეებისთვის ძალიან რთული, თითქმის დაუძლეველიცაა ერთდროულად საგნობრივი მასალისა და ახალი აზროვნების სტრატეგიების შესწავლა, რაც ცხადია, ვერ იქნება ბევრი ახალი სტრატეგიის შესწავლისათვის და ზოგადად კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელისშემწყობი გარემოება.

თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც – აზროვნების უნარების სწავლისათვის ცალკე გაკვეთილების არსებობა არ შეუწყობს ხელს მოსწავლეების მხრიდან ამ უნარების საგნობრივ კონტექსტში ან თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. ამ პოზიციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ცალკე აღებული უნარების სწავლება შეუძლებელია. კრიტიკული აზროვნება ღირებული და მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი კონკრეტულ ამოცანაზეა ორიენტირებული. ამდენად, უმჯობესია აზროვნების სტრატეგიები, მათ შორის, კრიტიკული აზროვნებაც, მოსწავლეებს საგნობრივ მასალასთან ერთად, ჩვეულებრივი საგნობრივი საათების მსვლელობისასვე მიეწოდოს. ამ მოსაზრების მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ამ გზით ხელი შეეწყობა მოსწავლეების მიერ ახლად შექმნილი უნარის/სტრატეგიის გამოყენებას კონკრეტულ სასწავლო მასალასთან მიმართებაში.

ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რომელი პოზიციია უფრო ეფექტური კრიტიკული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან ორივეს აქვს გარკვეული ლოგიკური და ემპირიული დასაბუთება. ამის გამო, ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება ერთგვარი შუალედური

სტრატეგიის გამოყენება, რომელშიც მეტ-ნაკლები ხარისხით ორივე პოზიციას გაზიარებული და გათვალისწინებული.

აზროვნების კომპლექსურობის უკეთ გაგებისა და მოსწავლეებში ამ უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ბლუმის ტაქსონომიას.

ბლუმის მოდელში აზროვნების უნარის ექვსი იერარქიული საფეხურია გამოყოფილი. ამ კონცეფციის უკეთ ახსნისათვის მეცნიერები ხშირად კიბის ანალოგიასაც მიმართავენ, რომლის ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია და რომელზე ასვლაშიც მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს ბავშვებს. ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, აზროვნების ყველაზე დაბალი სამი საფეხურია ცოდნა, გაგება, და გამოყენება, მაღალ საფეხურებზე კი წარმოდგენილია ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ამ საფეხურების იერარქიულობა გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ყოველი მომდევნო საფეხური წინარეზე უფრო რთულია, არამედ იმასაც, რომ იერარქიის ქვედა საფეხურები შენარჩუნებულია ზედა დონეებზეც. მასწავლებლის მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ხელი შეეწყობა ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული აზროვნების ყველა საფეხურის განვითარებას. ამაში კი, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ.

I. ცოდნის დონე – ამ დონის შესაბამისად შემუშავებული სასწავლო აქტივობები, მოსწავლეებისაგან ძირითადად ფაქტების დამახსოვრებას მოითხოვს. მოსწავლეთა ყურადღება ახალი ინფორმაციის აღქმაზე, მის ხშირ გამეორებასა და დამახსოვრებაზე არის ორიენტირებული.

II. გაგების დონე – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობები, მოსწავლეებისაგან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას, მის ახსნას და სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. გრაფიკების, ცხრილებისა თუ დიაგრამების ინტერპრეტირება, მათში მოცემული ინფორმაციის წვდომა,

ასეთი აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა. ისევე, როგორც ცოდნის, გაგების დონეც მარტივ დონედ არის მიჩნეული იმიტომ, რომ მოსწავლეებს არ ევალებათ ახალი ინფორმაციის გენერირება, არსებულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით რაიმე ახლის შექმნა. ისინი მხოლოდ უკვე არსებული, მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტირებას ახდენენ.

III. გამოყენების დონე – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან საკუთარი ცოდნის ტრანსფერს (გადატანას), პრაქტიკულ ვითარებაში მის გამოყენებას მოითხოვს. მოსწავლეებს ევალებათ მიღებული ცოდნის კონკრეტულ ვითარებაში პრაქტიკულად გამოყენებისათვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების მოფიქრება და რეალიზება.

IV. ანალიზის დონე – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან მოითხოვს ერთი მთლიანის, კომპლექსური კონცეფციის შემადგენელ კომპონენტებად დაშლას; მთელსა და მის ნაწილებს შორის არსებული მიმართებების დანახვას, წვდომას; მათ შორის არსებული მსგავსება/განსხვავებულობის წვდომით მთლიანის უკეთ გაგებას; რთული კონცეფციების მიღმა მდგარი ძირითადი იდეისა და სტრუქტურის ამოკითხვას, გაგებას.

V. სინთეზის დონე – ამ დონეზე მომზადებული დავალება, საკლასო აქტივობა მოსწავლეებისაგან ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას მოითხოვს მათთვის უცნობი, სრულიად ახალი პროდუქტის შექმნისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი ახალი პროდუქტი არსებითად ახალი, აქამდე არარსებული ელემენტებისაგან შედგებოდეს. სინთეზის დონე ითვალისწინებს კარგად ნაცნობი ელემენტების (მოვლენების, ფაქტების, საგნების და

ა.შ.) ახლებურად გაანალიზებასაც, მათ შორის, ახლებური კავშირების, მიმართებების დამყარებას.

VI. შეფასების დონე – ამ დონის დავალებები მოსწავლეებისაგან მოვლენების ან ფაქტების შეფასებას, მათზე დასკვნების გამოტანას მოითხოვს ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა ხარისხი, სანდოობა, ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა და ა.შ. მოსწავლეებს ევალებათ საკუთარი პოზიციის მხარდაჭერი მტკიცებულებების წარმოდგენა, მათი აზრის მიღმა არსებული ლოგიკის პრეზენტაცია და პოზიციის გამყარება ღირებულებითი მსჯელობებით.

კრიტიკული აზროვნების უნარი ყველაზე მჭიდროდ ბლუმის ტაქსონომიის ყველაზე მაღალ – მე-5 და მე-6 საფეხურებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი დახმარება, მხარდაჭერა ბლუმის ტაქსონომიის „კიბზე ასვლის“ თვალსაზრისით.

პრაქტიკული სტრატეგიები

კრიტიკული აზროვნების შესახებ ზემოთ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არასპეციალისტისთვისაც საკმარისად ადვილად წარმოსადგენი ხდება კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე მიმართული სასურველი საკლასო გარემო. ამ ნაწილში ჩვენი მიზანია თქვენთვის რამდენიმე კონკრეტული სტრატეგიის გაცნობა, რომელთა გამოყენებაც დაგეხმარებათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის სასურველი გარემოს შექმნაში. აღნიშნული სტრატეგიები წარმოდგენილია შემთხვევითი თანამიმდევრობით; ჩვენი მიზანი არ არის მათი შედარება ან რომელიმე მათგანის უპირატესობის წარმოჩენა.

◆ **აღკვეთით მოსწავლეთა იმპულსურობა.** იმპულსურობაში იგულისხმება მოსწავლეების მიერ ნაჩქარევი, გაუაზრებელი პასუხების გაცემის ჩვევა. ალბათ თქვენთვის საკმაოდ კარგად არის ნაცნობი სიტუაცია, როდესაც მოსწავლე თქვენ მიერ კითხვის დასრულებასაც კი არ ელოდება და ადგილიდან, თუნდაც თქვენი ნებართვის გარეშე წამოიყვირებს მისი აზრით სწორ პასუხს. გახსოვდეთ, რომ ასეთი ქცევა არ უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. იმპულსური პასუხის შემთხვევაში, ბავშვი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იძლევა სტერეოტიპულ პასუხს ან ვარაუდს, რაც ავტომატურად „ხურავს“ მის გონებას შესაძლო ალტერნატივებისაგან.

◆ **წახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.** არც თუ ისე იშვიათია მოსწავლეები, რომლებიც ძალიან მიჯაჭვულები არიან მასწავლებლებზე. შეცდომის დაშვების შიშის, თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამო, ასეთი ბავშვები თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ მასწავლებელს; აზუსტებენ დავალების პირობას, მასწავლებლის მოლოდინს, ეკითხებიან მას დავალებაზე მუშაობის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების თაობაზე და ა.შ., ანუ ფაქტობრივად ყველანაირად გაურბიან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და სწავლის პროცესის საკუთარი ძალებით მართვას. კრიტიკული აზროვნება ვერ განვითარდება ასეთ პირობებში, ამდენად, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მასწავლებელზე მიჯაჭვულობის მიზეზის დადგენა და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

◆ **მოახდინეთ კონცენტრირება ხარისხზე და არა დროზე.** საკლასო აქტივობების დაგეგმვისას მოსწავლეთა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხშირად დავალების შესრულებაზე მათ მიერ დახარჯული დრო ხდება. სავარაუდოდ, მოსწავლეთა გარკვეული დროის ფარგლებში მოქცევას აქვს მხარდამჭერი არგუმენტები, თუმცა კრიტიკული აზროვნების განვითარების კონტექსტში ეს სრულიად შეუსაბამო

პრაქტიკაა. მოსწავლეთა დაჩქარება არ იძლევა კრიტიკული აზროვნებისა და ზოგადად ღრმა აზროვნების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას; ახალისებს ზედაპირულ მიდგომას და უბიძგებს დაუსაბუთებელი, გადაუმონმებელი ვარაუდების გამოყენებისაკენ.

◆ **იყავით ღია კრიტიკისათვის.** ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მასწავლებლის მზაობას და ღიაობას მოსწავლეთა მხრიდან მისი პოზიციის შეფასების, გაანალიზების და შესწავლისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებლისთვის არის შესაძლებელი მოსწავლეებში ამ უნარის განვითარება. შესაბამისად, ამ კონტექსტში სრულიად დაუშვებელი და არათანმიმდევრული იქნება მასწავლებლის მხრიდან საკუთარი პოზიციის ან ვარაუდების უზენაესობის, მათი სიზუსტის მტკიცება მოსწავლეებისათვის, აგრეთვე, პედაგოგის მიერ გამოთქმული მოსაზრებაზე მსჯელობის აკრძალვა ან შეზღუდვა.

◆ **წახალისეთ მოსწავლეები, იზრუნეთ მათი თვითშეფასების ამაღლებაზე.** მნიშვნელოვანია, ბავშვი გრძნობდეს, რომ მასწავლებელი მას აფასებს, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებას, პატივს სცემს მის აზრს და აინტერესებს მასთან ურთიერთობა. როგორც უკვე ვნახეთ, კრიტიკული აზროვნება გულისხმობს უკვე არსებული, გამჯდარი ღირებულებების, შეხედულებების, წესებისა და ნორმების გადასინჯვა/გადაფასებას. აღნიშნული ბევრად უფრო უმტკივნეულოდ წარიმართება, თუკი მოსწავლე დარწმუნებული იქნება საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში. მხოლოდ თავდაჯერებულ მოსწავლეს არ შეეძინდება იმ „უხერხული“ კითხვების დასმა, რომლებსაც კრიტიკული აზროვნების პროცესი მოითხოვს. კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული მაპროვოცირებელი შეკითხვები ისე ფრთხილად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არ გამოიწვიოს მოსწავლეთა ღირსების, მათი თვითშეფასების შელახვა.

◆ **ყურადღებით უსმინეთ თქვენს მოსწავლეებს.** იმისათვის, რომ ბავშვებისთვის უხერხული არ იყოს საკუთარ ღირებულებებსა და შეხედულებებზე საუბარი, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელში ისინი სანდო მსმენელს ხედავდნენ. ამ მხრივ მასწავლებლის ქცევა პროფესიონალი ფსიქოთერაპევტის საქმესაც ჰგავს. კარგი თერაპევტი ყოველთვის აქტიურად უსმენს პაციენტს, ყურადღებიანია მის მიმართ და შეფასებებისაგან სრულიად თავისუფალ ატმოსფეროს სთავაზობს მას. მოსწავლეში სათანადო ნდობის მოპოვების მიზნით, მასწავლებელიც აგრეთვე უნდა ახერხებდეს იმის ჩვენებას, რომ ბავშვის სიტყვები, მისი შინაგანი სამყარო არ გახდება მისი ან კლასის სხვა მოსწავლეების შეფასების საგანი; რომ პედაგოგი მხოლოდ ფასილიტატორია, რომელიც ეხმარება მოსწავლეს საკუთარ თავში უკეთ გარკვევაში, საკუთარი ღირებულებების შეფასებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

◆ **მოსმენა არ არის პასიური პროცესი,** ის მსმენელისაგან აქტიურ ჩართვას, ყურადღების კონცენტრაციას და მოსმენილის ინტელექტუალურ ანალიზს მოითხოვს. აქტიური მოსმენა თავის თავში არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებზეც მოითხოვს მასწავლებლის ყურადღების გამახვილებას (სხეულის მოძრაობები, სახის მიმიკა და ა.შ)

◆ **შეუქმენით მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნების მოტივაცია.** აჩვენეთ, თუ რაოდენ სასარგებლო შეიძლება იყოს მათთვის ამ უნარის განვითარება. მასწავლებელმა უნდა გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი ამ უნარის მიმართ შესაბამისი საუბრების თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მცდელობების და არა მხოლოდ საბოლოო შედეგების დაფასება, აღნიშვნა და ნახალისება. მოტივაციის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა რეალისტური, მიღწევადი მიზნები დაუსახოს მოსწავლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მალევე დაკარგავენ ინტერესს და ენთუზიაზმს.

◆ **გაამახვილეთ ყურადღება მეტაკოგნიციის აუცილებლობაზე.** მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს კარგად ესმოდეტ თვითშეფასების, საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზის მნიშვნელობა. ამისათვის, გარდა შესაბამისი საუბრებისა, სასარგებლოა პერიოდულად საკლასო აქტივობების შეჩერება და მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე აზროვნების პროცესის ანალიზში. ამით თქვენ არა მხოლოდ მეტაკოგნიციის აუცილებლობას უსვამთ ხაზს, არამედ აღჭურავთ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური აზროვნების კონკრეტული სტრატეგიებით.

შეჯამება:

- ✓ კრიტიკული აზროვნება, აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს ფრთხილ დამოკიდებულებას ყოველზე იმის მიმართ, რასაც აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს; ღიაობას სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნებისათვის.
- ✓ კრიტიკული აზროვნება არ არის თანდაყოლილი ან ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დამოკიდებული. მისი განვითარება შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანში.
- ✓ კრიტიკული აზროვნება უწყვეტად და უსასრულოდ მიმდინარე პროცესია, რომელიც ადამიანისაგან აქტიურ, ცნობიერ ჩართვას და ძალისხმევას მოითხოვს.
- ✓ კრიტიკული აზროვნება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს – (1) არსებული ვარაუდების იდენტიფიცირება/გადამოწმებას და (2) შესაძლო ალტერნატივების ძიება/შეფასებას.
- ✓ კრიტიკული აზროვნების უწყვეტი პროცესი ხუთ განმეორებად ფაზას მოიცავს. ეს ფაზებია: ინიცირება, შეფასება, შესწავლა, ალტერნატიული პერსპექტივების შემუშავება/განვითარება და ინტეგრაცია.
- ✓ აზროვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული თითქმის ყველა შემეცნებით პროცესთან, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნებაც აქტიურად არის ჩართული ბევრ უნარში. ყველაზე მჭიდრო კავშირი და მსგავსება კრიტიკულ აზროვნებას კრეატიულ და მეტაკოგნიტურ აზროვნებასთან აქვს.
- ✓ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი თვითონ იყოს კრიტიკულად მოაზროვნე; ის ერთგვარი მისაბაძი მოდ-

ელი იყოს მოსწავლეებისათვის ამ უნარის გამოყენების თვალსაზრისით.

- ✓ კრიტიკული აზროვნების სწავლებისას, მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს ბლუმის ტაქსონომიას.
- ✓ შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნით, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისადმი ინტერესის, მისი განვითარების მოტივაციის გაღვივებას.
- ✓ დაუშვებელია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს თავს მოახვიოს საკუთარი იდეები და ვარაუდები; მასწავლებლის ვალდებულებაა, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს დამოუკიდებელ პიროვნებად, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Moore, D. K. (2009). *Effective Instructional Strategies – From Theory to Practice* SAGE Publication inc

Brookfield, S. (1991). *Developing Critical Thinkers : Challenging Adults to Explore Alternative Ways of Thinking and Acting*. Jossey-Bass Higher Education Series

XII თავი

მოსწავლეების სოციალური უნარების განვითარება

ძირითადი საკითხები:

- ◆ სოციალური უნარების მნიშვნელობა;
- ◆ სოციალური უნარების განვითარება სკოლაში;
- ◆ მშობლების როლი ბავშვის სოციალური უნარის განვითარებაში;
- ◆ მორცხვობა.

მოამზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

სოციალური უნარების განმარტება საკმაოდ რთული და საკამათო საკითხია, თუმცა, ზოგადად ყველა განსაზღვრება მიუთითებს, რომ სოციალური უნარები ეწოდება ადამიანებთან ურთიერთობაში გამოჩენილ ადეკვატურობასა და ეფექტურობას. სკოლა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მოსწავლის სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან სკოლაში მოსწავლეები არა მხოლოდ სწავლობენ, არამედ ურთიერთობებს ამყარებენ თანატოლებთან, რაც მათი სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. თანატოლებთან ურთიერთობით ბავშვები სწავლობენ ჯგუფში მუშაობას, თანამშრომლობას, ურთიერთდახმარებასა და კონფლიქტების მოგვარებას. თუმცა, არიან ბავშვები, რომლებსაც სოციალური ურთიერთობები უჭირთ და მათ მასწავლებლის, მშობლისა და მეგობრების დახმარება სჭირდებათ.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ სოციალური უნარების მნიშვნელობაზე ბავშვის განვითარებაში, ასევე, მშობელთა როლზე

ამ კუთხით, განვიხილავთ სოციალური უნარების განვითარების საინტერესო სტრატეგიებსა და მეთოდებს, რომლებიც მასწავლებელს მისცემს საშუალებას, უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად ჩაერთოს მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარების საქმეში.

სოციალური უნარების მნიშვნელობა

მოსწავლის სოციალური უნარები მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორთან არის დაკავშირებული. კვლევებმა აჩვენა, რომ არასაკმარისად განვითარებული სოციალური უნარები მოზარდებში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი შეიძლება გახდეს (მუისი & რეინოლდსი, 2005). ხშირად კლასში თანატოლების მიერ გარიყული ბავშვები დაბალი თვითშეფასებითა და დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, რადგან თანაკლასელებისაგან იზოლაციაში ყოფნა, თავის მხრივ, მთელ რიგ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ კლასში არაპოპულარული ბავშვები ელექტრონული მედიის, მათ შორის, ტელევიზორის, კომპიუტერული თამაშებისა და მუსიკის გადაჭარბებული მოხმარებით გამოირჩევიან. როგორც ჩანს, ტელევიზორი და კომპიუტერი მათ მეგობრობის კომპენსაციას უწევს (რო, 1983). საინტერესოა, რა ფაქტორები უწყობს ხელს ბავშვებს შორის მეგობრობის ჩამოყალიბებას და რა არის კლასში კონკრეტული ბავშვის იზოლაციის მიზეზი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ, რომლის მიზანიც იყო, დაედგინა ბავშვებში მყარი სოციალური ურთიერთობების მიზეზები, აჩვენა, რომ ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია შემდეგი ფაქტორები: მშობელსა და ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, უთანხმოების დაბალი სიხშირე ოჯახში, დედ-მამის ერთად ცხოვრება და მჭიდრო ურთიერთობები იმ ადამიანებთან, რომ-

ლებიც ოჯახის წევრები არ არიან (ჰეირი & სხვები, 2001). სოციალური უნარების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია მოსწავლის პიროვნული თვისებები, მაგალითად, თბილი და მეგობრული ხასიათი, მაღალი ინტელექტი, ასევე, ყურადღებებიანი მშობლები და დაძმასთან ხშირი კონტაქტი. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ეკონომიკური გაჭირვება უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის სოციალური უნარების განვითარებაზე.

ბავშვები მეგობრების შერჩევასას სხვადასხვა ფაქტორს ანიჭებენ უპირატესობას. ისინი, ზოგადად, ისეთ მეგობრებს ეძებენ, ვისთან ერთად ყოფნაც მათ სიხარულს ანიჭებთ, კარგად გრძნობენ თავს მათთან და ენდობიან. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ინტერესების მქონე ბავშვები უფრო ადვილად მეგობრდებიან. **საყურადღებოა, რომ ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობაც.** პატარა ასაკში ბავშვები შედარებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუ რამდენად მხიარულად გრძნობენ თავს ამა თუ იმ ბავშვთან, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად უფრო ნდობა და ლოიალობა ფასდება.

სოციალური უნარების განვითარება სკოლაში

სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების ნაკლებობა ბავშვისათვის შეიძლება, სერიოზულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ის მეთოდები, რომელთა დახმარებითაც დავადგენთ მოსწავლის სუსტ მხარეებს კომუნიკაციაში.

მკვლევრების ძირითადი ნაწილის აზრით, ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდს მოსწავლეზე დაკვირვება წარმოადგენს. საჭიროა, ბავშვს მისთვის ჩვეულ გარემოში დავაკვირდეთ. იმ დროს, როცა ის თანატოლებთან და უფროსებთან არის. სასურველია, დაკვირვებისას დამკვირვებელმა ჩაინიშნოს ბავშვ-

ვის ქცევები და აღნიშნოს, რისი გამოსწორებაა საჭირო. შემდგომ შესაძლებელია, მისი თვისებების ცხრილში მოთავსება, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყოფა და პრობლემური საკითხების გამოსწორების გზების დასახვა.

დაკვირვების გარდა, მოსწავლეების სოციალური უნარების შესამოწმებლად შესაბამისი კითხვარებიც გამოიყენება. ბავშვებს შეუძლიათ, შეავსონ სოციალური უნარების თვითანალიზის სკალა. ეს უფრო მარტივი ხერხია, ვიდრე ბავშვებზე დაკვირვება, თუმცა ნაკლები სანდოობით გამოირჩევა. ქვემოთ მოცემულია სოციალური უნარების შესაფასებელი კითხვარის ნიმუში, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება მისთვის სასურველი კითხვარის შექმნაში:

თვითშეფასების კითხვარი

	არასოდეს	ზოგჯერ	თითქმის ყოველთვის
ჩემს თავს წარვუდგენ და ვეცნობი ადამიანებს, როდესაც მათ პირველად ვხვდები.			
ვცდილობ, გავამხნევო ადამიანი, თუ ვხედავ, რომ მოწყენილია.			
ბოდიშს ვიხდი, როცა ვხვდები, რომ არასწორად მოვიქეცი.			

ვცდილობ, გავიგო, რას გრძნობს და განიცდის სხვა ადამიანი.			
ვცდილობ, თანამოსაუბრეს იმ საკითხზე ველაპარაკო, რაც ჩვენ ორივეს გვაინტერესებს.			
ჯგუფში საუბარს ხშირად მე ვინწყებ.			
ვიცი, როგორ მივმართო ადამიანებს, როდესაც დახმარება მჭირდება.			
როდესაც ვხედავ, რომ სხვები იმ საქმეს აკეთებენ, რაც მეც მაინტერესებს, ჩემი ინიციატივით ვუერთდები.			
ვცდილობ, დავსვა შეკითხვები იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც ჩემთვის ბუნდოვანია.			
ხშირად ვუყოფ ჩემს ირგვლივ მყოფთ იმას, რაც მაქვს.			
ვცდილობ, გავაკონტროლო საკუთარი თავი, როდესაც გაბრაზებული ვარ.			

მოსწავლეების სოციალიზაციის უნარის განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა **ტრენინგი**. სოციალურ უნარებში ტრენინგი გულისხმობს ბავშვებისათვის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარების სწავლებას. ტრენინგის საკითხები შეიძლება იყოს, მაგალითად,

როგორ დავამყაროთ და შევინარჩუნოთ მეგობრობა, როგორ გავიგოთ, რას გრძნობენ და განიცდიან სხვა ადამიანები, რას ნიშნავს წარმატებული კომუნიკაცია და სხვ.

მკვლევრები გვთავაზობენ სოციალური უნარების სამი ნაწილისაგან შემდგარ ტრენინგის პროგრამას (უილიამსი და აშერი, 1993):

პირველ ნაწილში მწვრთნელი (პასუხისმგებელი ადამიანი, მაგალითად, მასწავლებელი) სიტყვიერად განუმარტავს ბავშვს, თუ რა როგორ უნდა დაამყაროს წარმატებული ურთიერთობა თანატოლებთან. ამ დროს მწვრთნელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვმა ურთიერთობისას და არა იმაზე, თუ რა არ უნდა გააკეთოს.

ტრენინგის **მეორე ნაწილი** ითვალისწინებს სხვა ბავშვებთან ერთად ზემოთ აღნიშნული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას, რაც გულისხმობს სიმულაციური სიტუაციების გათამაშებას ან როლურ თამაშებს.

ბოლოს, მწვრთნელი და მოსწავლე სოციალიზაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს განიხილავენ და დისკუსიას მართავენ.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური უნარების შესახებ საუბრისას მასწავლებელმა ეს უნარები არა მხოლოდ აღწეროს, არამედ ახსნას კიდევ ამ უნართა მნიშვნელობა და საჭიროება. უნარის პრაქტიკაში დანერგვა სასურველია, ამიტომაც ხშირად ეფექტურია უნარის მოდელირებული ურთიერთობებისას გამოვლენა, მანამ, ვიდრე მოსწავლე მას ყოველდღიურ ურთიერთობებში არ დანერგავს.

სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების განვითარება სკოლის მასწავლებელს სხვა ხერხებითაც შეუძლია. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია გაარკვიოს, თუ რა ჰობი, ინტერესები ან განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს პრობლემურ მოსწავლეს. სთხოვოს მას, რომ მოიტანოს თავისი ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული ნივთები სკოლაში,

ან გააკეთოს პრეზენტაცია. შესაბამისად, თანატოლები ამ ბავშვს აღიქვამენ, როგორც ექსპერტს კონკრეტულ სფეროში, რაც დაენმარება მას, მოიპოვოს პოპულარობა კლასში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი უნდა შეეცადოს, თანატოლებმა არ აღიქვან ბავშვი, როგორც მასწავლებლის ფავორიტი, რჩეული. ამგვარი აღქმა, რა თქმა უნდა, უკუშედეგს გამოიღებს.

ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვნად ეხმარება ბავშვს სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების განვითარებაში. წყვილებში მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია, თანატოლებში შედარებით არაპოპულარული ბავშვი დაანყვილოს კლასში პოპულარულ მოსწავლესთან, რაც დადებით გავლენას მოახდენს გარიყულ მოსწავლეზე. ამგვარი დაჯგუფებები, როგორც სამუშაოს, ასევე თამაშების დროს, ძალიან ეფექტურია ნაკლებად პოპულარული მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი დააკვირდებიან პოპულარულ მენყვილეებს და შეეცდებიან, მათ დაემსგავსონ.

მასწავლებელს მრავალნაირად შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეს სოციალური უნარების განვითარებაში, მაგალითად, მას შეუძლია, წლის დასაწყისში მოსწავლეები ერთმანეთს გააცნოს. ამ დროს ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თქვას რაიმე საკუთარი თავის შესახებ, თუნდაც საკუთარი ინტერესების სფეროთი შემოიფარგლოს. შედეგად, ბავშვები ბევრ საერთოს დაინახავენ თავიანთ თანატოლებთან. მრავალი კლასგარეშე წიგნი სწორედ მეგობრობის თემას ეხება, ამიტომ ამგვარი წიგნის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიის წამოსაწყებად და გაკვეთილის მსვლელობისას თემის განსავრცობადაც. ასე მაგალითად: ამ თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდია ტომ სოიერისა და ჯო ჰარპერის მეგობრობა, მათი „ბრძოლის“ ველზე შეხვედრა, „ომობანას“ მშვიდობიანი დასასრული.

მშობლების როლი ბავშვის სოციალური უნარის განვითარებაში

მშობლებსა და და-ძმას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ბავშვის სოციალური უნარების განვითარებაში. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბავშვის სოციალური უნარები მჭიდროდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ტიპის ურთიერთობა აქვს მას საკუთარ მშობლებთან. მკვლევრები განასხვავებენ მშობლების მხრიდან ბავშვის მიმართ ორ ძირითად დამოკიდებულებას (მუისი & რეინოლდსი, 2005):

- თბილი და ყურადღებიანი.
- მკაცრი და მაკონტროლებელი.

შედეგად ჩვენ ვიღებთ ბავშვის მიმართ მშობლის ოთხი სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულებას:

◆ **დამთმობი** მშობლები შვილების მიმართ სითბოთი გამოირჩევიან. ისინი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ტრადიციულ შეხედულებებს და შვილებს მეტი თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევენ. ასეთი მშობლები ერიდებიან შვილებთან დაპირისპირებებს.

◆ **ავტორიტარული** მშობლები მკაცრი და მომთხოვნი არიან შვილების მიმართ. ისინი მოითხოვენ, რომ ბავშვები ყოველგვარი განმარტების გარეშე, დაუყოვნებლივ დაემორჩილონ მათ ბრძანებებს. აგრეთვე, სითბოს იშვიათად გამოხატავენ.

◆ **ავტორიტეტული** მშობლები გულთბილები, თუმცა ამავდროულად მომთხოვნნიც არიან. ისინი შვილებისაგან მოითხოვენ დისციპლინას, მაგრამ ამავდროულად სითბოსაც არ იშურებენ მათთვის.

◆ **გულგრილი** მშობლები არც მაინცადამაინც მომთხოვნნი არიან და არც განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩევიან.

ზოგადად დამთმობი და ავტორიტეტული მშობლების შვილებს სოციალიზაციის უკეთესი უნარები აქვთ, ვიდრე ავტორიტარული და გულგრილი მშობლების შვილებს. ავტო-

რიტეტიული მშობლების შვილებს უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ და უფრო დისციპლინირებულნი არიან, ვიდრე გულგრილი მშობლების შვილები. მიუხედავად იმისა, რომ გულგრილი მშობლების შვილები არიან მეგობრულები და კომუნიკაბელურები, მათ აკლიათ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ განსხვავებულ სოციალურ გარემოში და არ იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე (მუისი & რეინოლდსი, 2005).

არსებობს სხვადასხვა მეთოდი და საშუალება, რომელთა მემეგობრითაც მშობლებს შეუძლიათ, დაეხმარონ საკუთარ შვილებს სოციალური უნარების განვითარებაში. მაგალითად, **ბავშვის სოციალური უნარის განვითარებაზე დადებითად აისახება კლასგარეშე გართობა-დასვენების დროს ჯგუფებში მუშაობა, რაც ბავშვებისათვის სასარგებლოც იქნება და სახალისოც.** მორცხვი ბავშვებისათვის სასარგებლოა მცირე ჯგუფებში თანატოლებთან ურთიერთობა. ასევე კარგი იქნება, თუ მორცხვი ბავშვის მშობლები მოუწოდებენ მას, რომ ყოველ ჯერზე თითო-თითო მეგობარი დაპატიჟოს სახლში.

თამაშისას მშობელს შეუძლია, ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარები განუვითაროს. **კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მათ ისე ეთამაშებოდნენ, როგორც თანატოლს, უფრო განვითარებული სოციალური უნარები აქვთ (ლინსი & სხვები, 1997).** მშობელი არ უნდა ეცადოს თამაშში დომინირებასა და ბავშვისათვის შენიშვნის მიცემას, არამედ უნდა ეთამაშოს, როგორც თანასწორს. ამ გზით ბავშვი მრავალ იმ უნარს განივითარებს, რომლებიც მას თანატოლებთან ურთიერთობაში გამოადგება.

მშობლები სერიოზულად უნდა მოეკიდონ თავიანთი შვილების სოციალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მშობელმა და ბავშვმა ერთად უნდა განიხილონ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა საშუალება; მშობლებმა ყოველთვის მხარი უნდა დაუჭირონ პრობლემის გადაჭრის მეგობრულ გამოსავალს. როდესაც ხდება ბავშვის გარიყვა სათამაშო სი-

ტუაციიდან და ეს ყველას შეიძლება დაემართოს, მათ შორის, პოპულარულ ბავშვებსაც, მშობლები უნდა ეცადონ, არ გააკეთონ უარყოფითი კომენტარები, მაგალითად: „შეიძლება მათ არ მოსწონხარ და არ უნდათ შენთან თამაში“, არამედ უნდა უთხრან: „ბავშვებმა დღეს სხვასთან ამჯობინეს თამაში, ხვალ შენთან ითამაშებენ“.

მორცხვობა

მორცხვობის პრობლემა საკმაოდ ახლოს დგას სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების ნაკლებობასთან. მორცხვობა ყველა ბავშვს ახასიათებს გარკვეულ პერიოდში, თუმცა, თუ არ მოხერხდა ამ ეტაპის გადალახვა, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებს ბავშვის სოციალურ განვითარებას. ბავშვს მორცხვობა ეტყობა მზერის არიდებასა და ფიზიკურ და სიტყვიერ თავშეკავებულობაში. ხშირად მორცხვი ბავშვები დაბალი ტონითა და მორიდებულად საუბრობენ.

ნორმის ფარგლებში მორცხვობა არ წარმოადგენს პრობლემას და, შესაძლოა, სოციალური ადაპტაციის ჯანსაღ ფორმაცადაც ჩაითვალოს. თავდაპირველად პატარა ბავშვები მორცხვები არიან უცხოებთან, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ისინი ეგუებიან სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობას. თუმცა, თუ მორცხვობა დროთა განმავლობაში არ კლებულობს, მან შესაძლოა, პრობლემატური ხასიათი მიიღოს. როგორც წესი, მორცხვ ბავშვებს უჭირთ ახალი მეგობრების შექმნა და ხშირად დაბალი თვითშეფასება გააჩნიათ. ის ფაქტი, რომ მათ უძნელდებათ თანატოლებთან ურთიერთობების დამყარება, ხელს უშლის მათი სოციალური უნარების განვითარებას.

არსებობს მორცხვი ბავშვების დახმარების სხვადასხვა გზა. აღსანიშნავია, რომ ხშირი შექება ზრდის მათ თვითშეფასებას. ბავშვის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება

ხელს შეუწყობს ნდობის ჩამოყალიბებას. არ არის სასურველი მათი მოულოდნელად ახალ სიტუაციებში შეყვანა, ვინაიდან ამან, შესაძლოა, გაუღვივოს სოციალიზაციის შიში. ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს ბავშებთან დამეგობრების მეთოდი. ისეთი შეთავაზება, როგორცაა – „შეიძლება, მეც ვითამაშო თქვენთან ერთად?“. გამჭრიახი მასწავლებელი მრავალ სხვადასხვა ხერხს იყენებს მორცხვი მოსწავლეების დასახმარებლად. მაგალითად, ხშირად უცვლის მათ პარტნიორებს მერხზე და სვამს ხოლმე მეგობრული და კონტაქტური ბავშვების გვერდით, მინიმუმამდე დაჰყავს მათთვის სტრესის ალბათობა, რთავს მათ განსაკუთრებულ აქტივობებში და სხვადასხვა საუბარში. ავალებს მათ ისეთ ფუნქციებს, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს, მაგალითად, გარკვეული ინფორმაციის მოსაპოვებლად ან გადასაცემად სადმე აგზავნის.

მორცხვ ბავშვს, შესაძლოა, არ ესია მოვნოს ბავშვების დიდ ჯგუფთან ურთიერთობა. შესაბამისად, თავდაპირველად მათთვის, შესაძლოა, უფრო შედეგიანი იყოს პატარა ჯგუფებში ურთიერთობა.

შეჯამება:

- ✓ თანატოლებთან ურთიერთობას ბავშვების განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეგობრების თანადგომა და მათი საშუალებით სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში ჩართვა მოსწავლეს სოციალური უნარების განვითარებაში ეხმარება.
- ✓ ჯგუფური მუშაობა მნიშვნელოვნად ეხმარება ბავშვს სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების განვითარებაში. ნყვილებში მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია, გარიყული ბავშვი დაანყვილოს კლასში პოპულარულ მოსწავლესთან, რაც დადებით გავლენას იქონიებს გარიყული ბავშვის სტატუსზე.
- ✓ მშობლებსა და და-ძმას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ბავშვის სოციალური უნარების განვითარებაში. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბავშვის სოციალური უნარები მჭიდროდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ტიპის ურთიერთობა აქვს მას საკუთარ მშობლებთან.
- ✓ არსებობს სხვადასხვა მეთოდი და საშუალება, რომელთა მეშვეობითაც მშობლებს შეუძლიათ, დაეხმარონ შვილებს სოციალური უნარების განვითარებაში. ბავშვის სოციალური უნარის განვითარებაზე დადებითად აისახება კლასგარეშე გართობა-დასვენების დროს ჯგუფებში ყოფნა, რაც ბავშვებისათვის სასარგებლოც იქნება და სახალისოც.
- ✓ მორცხვობის პრობლემა საკმაოდ ახლოს დგას სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების ნაკლებობასთან. მორცხვობა ყველა ბავშვს ახასიათებს გარკვეულ პერიოდში, მაგრამ, თუ არ მოხერხდა ამ ეტაპის გადალახვა, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ბავშვის სოციალურ განვითარებას.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად;

მასწავლებელი ავლენს მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლო აღმზრდელობით საქმიანობაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Hair, E.C., Jager, J., & Garrett, S. (2001). *Background for Community-Level Work on Social Competency in Adolescence: Reviewing the Literature on Contributing Factors*. Washington: Child Trends Inc

Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Edition. Sage Publications

Linsey, E. W., Mize, J., & Pettit, G.S. (1997). Mutually in Parent-Child Play: Consequences for Children's Peer Competence. *Journal of Social and Personality Relationships*, 1997

- Roe, K. (1983). *Mass Media and Adolescent Schooling: Conflict or Coexistence*: Stockholm:Almqvist & Wiksell International
- Smith, P.K., & Hart, C.H. (2004). *Blackwell Handbook of Childhood Social Development* (Eds.). Blackwell Publishing
- Williams, G. A., & Asher, S.R. (1993) Children Without Friends. In C.M. Todd (ed.). *Day Care Connections*. Urbana-Champaign, IL: University of Illinois Cooperative Extension Service

დამატებითი რესურსები:

1. სოციალური უნარების ტრენინგის მასალები
<http://www.socialskillstraining.org>
2. მოდელირებული ქცევის ვიდეო მასალები სკოლის მასწავლებლებისათვის
<http://www.modelmekids.com>

XIII თავე

მოსწავლეთა შეფასება

ძირითადი საკითხები:

- ◆ ტესტის როლი სასწავლო პროცესში;
- ◆ ტესტური დავალებების ტიპები: ღია და დახურული კითხვები;
- ◆ სტანდარტიზებული ტესტები: ნორმაზე და კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტები, მილწევისა და უნარების ტესტები;
- ◆ მასწავლებლის მიერ მომზადებული ტესტი;
- ◆ სანდოობა და ვალიდობა;
- ◆ კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი (CAT);
- ◆ შეფასების ალტერნატიული მეთოდები: შესრულების შეფასება და მოსწავლის პორტფოლიო;
- ◆ შეფასებისას წარმოქმნილი პრობლემები.

მოამზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი საქმიანობაა, რომელიც სწავლისა და სწავლებისათვის განკუთვნილი დროის დიდ ნაწილს იკავებს. მკვლევარების აზრით, შეფასებაზე მასწავლებლის დროის, დაახლოებით, ერთი მესამედი იხარჯება (მუისი და რეინოლდსი, 2005). მიმდინარე შეფასება სასწავლო პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების მთელი სასწავლო პროცესი საბოლოო შემაჯამებელ გამოც-

დაზეა ორიენტირებული. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ეწინააღმდეგება მასწავლებლის ზედმეტად აქტიურ ჩართვას შეფასების პროცესში და ფიქრობს, რომ უმჯობესია, შეფასებაზე დახარჯული დრო მასწავლებელმა სწავლებისათვის გამოიყენოს. მასწავლებლის მხრიდან საბოლოო შეფასებაზე გადაჭარბებული აქცენტის გაკეთება არ არის სასურველი, რადგან სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა და სწორი წარმართვა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების თვალსაზრისით თავისთავად იძლევა მაღალ შედეგებს.

მიუხედავად განსხვავებული დამოკიდებულებებისა, მოსწავლის შეფასება სასკოლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შეფასება იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, თუ რამდენად ითვისებენ მოსწავლეები განვლილ მასალას. მეტიც, შეფასება ეხმარება მასწავლებელს, უკეთესად დაგეგმოს შემდგომი გაკვეთილები და გაითვალისწინოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.

სასურველია, მასწავლებელი სწავლების პროცესში შეფასების სხვადასხვა მეთოდს და სტრატეგიას იყენებდეს, როგორებიცაა მაგალითად: დაკვირვება, ტესტი, პორტფოლიოს მეშვეობით შეფასება, დავალების შესრულების შეფასება, უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვ. წინამდებარე თავში განხილულია შეფასების ძირითადი სახეები, ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზანი და დანიშნულება. ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები იმ მასწავლებლისათვის, ვისაც სურს, რომ სასწავლო პროცესში თავად შექმნას ტესტები და შეაფასოს მოსწავლეები.

ტესტის როლი სასწავლო პროცესში

სწავლების პროცესში ტესტის გამოყენება მრავალნაირად შეიძლება. ტესტის ტიპი დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ტესტირება ემსახურება. მაგალითად, სასწავლო

წლის დასაწყისში ტესტის მეშვეობით მასწავლებელს შეუძლია დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა, ვიდრე ახალი სასწავლო წელი დაიწყება. ამგვარ ტესტს ხშირად **დიაგნოსტიკურ ტესტს** უწოდებენ. ტესტის შედეგები მასწავლებელს ეხმარება, შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასურველი თემები და სასწავლო პროგრამა მოსწავლეთა საჭიროებებს მოარგოს.

ტესტებს გასწორებისა და შეფასების თვალსაზრისით ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: **ობიექტურ და სუბიექტურ ტესტებად**. **ობიექტური ტესტის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება მოცემულ ვარიანტებში ერთი, ცალსახად სწორი პასუხის მონიშვნა, სუბიექტური ტესტის შემთხვევაში კი – მოცემულ პირობაზე პასუხის დაწერა**. ობიექტური ტესტისათვის დამახასიათებელია ისეთი სახის დავალებები, როგორცაა, მაგალითად, არჩევითპასუხიანი, ჭეშმარიტება-მცდარობის, შესატყვისობის დავალებები, ხოლო სუბიექტური ტესტების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თხზულების დაწერა, ამოცანის ამოხსნა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალების შესრულება, დასმულ შეკითხვაზე მოკლე პასუხის გაცემა.

მასწავლებლები ტესტს ხშირად შუალედური შეფასების საშუალებადაც იყენებენ, რომლის დროსაც ხდება განვლილი მასალის ათვისების შემოწმება. შუალედური შემოწმების ამგვარი ფორმა სწავლების პროცესში სისტემატური მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, ტესტი თავად მასწავლებლისა და სწავლების მეთოდების ეფექტურობის შესახებაც გვანვდის ინფორმაციას.

ტესტის შედეგები, როგორც წესი, საინტერესო ინფორმაციას წარმოადგენს მშობლებისათვის, სკოლაში მომუშავე სხვა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის, და ზოგადად, განათლების საკითხებით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვის. **ტესტის შედეგები იძლევა**

ინფორმაციას განათლების ხარისხის შესახებ როგორც კონკრეტულ სკოლასა და რაიონში, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

ტესტური დავალებების ტიპები: ღია და დახურული კითხვები

ტესტური დავალებების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – ღია და დახურული კითხვები. ორივე სახის დავალებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

ე.წ. დახურული კითხვების ძირითადი უპირატესობა არის ის, რომ სწრაფად, მარტივად შესასრულებელია. ამგვარი ტიპის ტესტში შეიძლება ბევრი დავალება შედიოდეს, რადგან დახურულ კითხვებზე საპასუხოდ ნაკლები დროა საჭირო. ასეთი ტესტის უარყოფითი მხარე არის ის, რომ მოსწავლეებს არ ეძლევათ საკუთარი აზრის განმარტების საშუალება. შესაბამისად, შეფასებისას აქცენტი მხოლოდ შედეგზე კეთდება.

მიუხედავად იმისა, რომ დახურული დავალებების ჭეშმევასებას შედარებით ნაკლები დრო სჭირდება, საკმაოდ შრომატევადია მათი მომზადების პროცესი. აუცილებელია, დავალებები ნათლად და გასაგებად იყოს შედგენილი. დახურული კითხვის მთავარ ნაწილს დავალების პირობა ეწოდება. დავალების პირობა ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და პასუხის გაცემისათვის საკმარის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

არსებობს დახურული დავალებების სხვადასხვა ვარიანტიც, მაგალითად, შესაბამისობის დავალებები და სასწავლო ტესტები, რომლებშიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ გამოტოვებული ადგილი, მაგალითად: „საქართველოს დედაქალაქია -----“.

ე. ნ. ღია კითხვების უპირატესობა ის არის, რომ მოსწავლეებს საკუთარი პასუხების განმარტების საშუალება ეძლევათ. როგორც წესი, დახურულ კითხვებთან შედარებით ღია კითხვების მეშვეობით უკეთ ხდება რთული სააზროვნო უნარების შემოწმება.

ღია კითხვების სირთულეს ის წარმოადგენს, რომ მათი შეფასებისათვის მეტი დროა საჭირო და მათი ობიექტურად შეფასება შედარებით რთულია. შესაბამისად, საჭიროა, დეტალებში გაიწეროს შეფასების სქემა თითოეული კითხვისათვის.

ნიმუში უმცროსკლასელებისათვის:

შეკითხვა: ზღაპარში ვკითხულობთ: „სალამო ჟამს მზე დალილ-დაქანცული იყო“. განმარტეთ, რატომ იყო მზე „დალილ-დაქანცული“?.

შეფასების სქემა: „იმიტომ, რომ მზემ მთელი დღე ცაზე იმოგზაურა“/ „მზემ ქვეყნიერება მოიარა“/„მზე მთელი დღე ცაზე ანათებდა“ – სწორ პასუხად ჩაითლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი;

სწორ პასუხად არ მიიჩნევა: „სალამო იყო და იმიტომ“./„სალამოს მზე დაიღალა“, ანუ იმგვარი პასუხები, რომლებშიც არ ჩანს მზის „დალის“ მიზეზი.

სტანდარტიზებული ტესტები

სტანდარტიზებული ტესტები პროფესიონალების (ფსიქოლოგებისა და საგნის სპეციალისტების) მიერ იქმნება. ამგვარი ტესტების მიზანია, სხვადასხვა გარემოში საწდო შედეგების მიღება უზრუნველყოს. **ტესტების სტანდარტიზება ნიშნავს, რომ ყველა აპლიკანტი, ვინც ტესტს ავსებს, ერთსა და იმავე კითხვას ერთსა და იმავე პირობებში, ერთნაირ ინსტრუქციებით, დროის ერთნაირ მონაკვეთში პასუხობს კითხვებს.** ამავე დროს, ტესტის შედეგები სწორდება შეფასების ერთნაირი სქემით. სტანდარტიზებული ტესტების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოში *გამოცდების ეროვნული ცენტრის* მიერ მომზადებული ტესტები, ასევე ჰოლანდიაში ტესტის განვითარების ცენტრალური ინსტიტუტის (CITO) მიერ შექმნილი ტესტები, აშშ-ში კალიფორნიის მიღწევების ტესტი (CAT) და ტეხასის აკადემიური უნარების შეფასების ტესტი (TAAS). სტანდარტიზებული ტესტების ნიმუშებია მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო კვლევები, რომელშიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად საქართველოც არის ჩართული. ეს კვლევებია: ნიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS), მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS) და მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA).

აშშ-ში სტანდარტიზებული ტესტები ფართოდ გამოიყენება სკოლებში, ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც შტატების, ასევე სახელმწიფო დონეზე. ტესტები მრავალ საგანს მოიცავს და შესაძლებელია მათი შეკვეთა და შექმნა. ხშირ შემთხვევაში ტესტირების შედეგები სკოლებისა და მასწავლებელთა ეფექტურობის, წარმატებულობის საზომად გამოიყენება.

სტანდარტიზებული ტესტების ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათში სპეციალისტების მიერ შექმნილი მაღალი ხარისხის დავალებებია მოცემული. ამასთან, სტანდარტიზებული ტესტი ეროვნულ სტანდარტებთან შედარების საშუალებას იძლევა და კარგი ფსიქომეტრული მახასიათებლები (სანდრობისა და ვალიდობის შესახებ იხ. გვ. 240) გააჩნია. მიუხედავად ამისა, სტანდარტიზებულ ტესტს მოქნილობა აკლია და არსებობს საფრთხე, რომ მან ზუსტად ის ცოდნა და უნარები ვერ შეაფასოს, რასაც მოსწავლეები კლასში უშუალოდ სწავლობენ და იძენენ. სტანდარტიზებული ტესტები უნდა ზომავდეს არა იმას, რაც ადვილი შესაფასებელია, არამედ იმას, რისი ცოდნაც მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია.

ნორმაზე და კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტები

სტანდარტიზებული ტესტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, რომელთაგან ერთს **ნორმაზე დაფუძნებულ ტესტებს**, ხოლო მეორეს **კრიტერიუმზე დაფუძნებულ ტესტებს** უწოდებენ.

ნორმაზე დაფუძნებული ტესტები შედარებითი ხასიათისაა – ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ მოსწავლეთა შედეგებს ერთმანეთს ადარებენ და ხდება შედეგების რანჟირება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ ტესტი სხვადასხვა მიღწევის მოსწავლეთა ერთმანეთისგან გარჩევის საშუალებას იძლეოდეს. ნორმაზე დაფუძნებული ტესტების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ეროვნული გამოცდებისათვის შექმნილი ტესტები, რომლებიც აბიტურინტთა შედეგებს ერთმანეთს ადარებს და ამ შედარების საფუძველზე ყველაზე მაღალი ქულების მქონე მოსწავლეები შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებიან.

ნორმაზე დაფუძნებული ტესტებისაგან განსხვავებით, კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტის მიზანია, წინასწარ შერჩეუ-

ლი კრიტერიუმით მოსწავლეების აკადემიური მიღწევის დონის განსაზღვრა. კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტი შედარებით ნაკლებად ეფექტურია მოსწავლეების მიღწევების ერთმანეთისაგან გარჩევის თვალსაზრისით. კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებული ტესტები, რომლებიც მასწავლებლის ცოდნასა და უნარებს, წინასწარ დადგენილი მასწავლებლის სტანდარტთან მიმართებაში ამოწმებს.

ტესტის შექმნამდე უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნისთვის იქმნება ტესტი. კლასში მიმდინარე შეფასებისათვის, როგორც წესი, კრიტერიუმზე დაფუძნებულ ტესტებს იყენებენ, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებლები ადგენენ, როგორ აითვისეს მოსწავლეებმა კონკრეტული თემის ფარგლებში განვლილი მასალა. შემაჯამებელი შეფასების შემთხვევაში ხშირად გამოიყენება ნორმაზე დაფუძნებული ტესტები, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა მოსწავლის მიღწევათა შედარება ხდება. მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეირჩეს ტესტირების მიზანი, რადგან სხვადასხვა დანიშნულებისათვის ერთი ტესტის შექმნას, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს.

მიღწევისა და უნარების ტესტი

სტანდარტიზებული ტესტები შინაარსის მიხედვით, ასევე, იყოფა **მიღწევის ან უნარების ტესტებად**. **მიღწევის ტესტი მოსწავლის კონკრეტულ საგანში მიღებულ ცოდნას ამოწმებს. უნარების ტესტი შედარებით ფართო სფეროს მოიცავს და ნაკლებ კავშირშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან** (რადნერი, 2002). ასეთი ტესტი განსაზღვრავს იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეს უკვე მიღებული აქვს ან ახდენს პროგნოზირებას, თუ რამდენად წარმატებული იქნება მოსწავლე სასწავლო წლის განმავლობაში. **შესაბამისად, უნ-**

არების ტესტი მასწავლებლისათვის შეიძლება იყოს ეფექტური დიაგნოსტიკური საშუალება, რომელიც მას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ნათელ წარმოდგენას შეუქმნის.

მასწავლებლის მიერ შექმნილი ტესტები

მასწავლებლებს ხშირ შემთხვევაში თავად უნევთ ტესტების შექმნა, რომელთაგან უმრავლესობა არჩევით-პასუხიანი დავალებებისაგან შედგება. **მასწავლებლის მიერ შექმნილი ტესტები უფრო მეტ კავშირშია კონკრეტული საგნის სასწავლო მიზნებთან და ამოცანებთან, თუმცა სტანდარტიზებულ ტესტებთან შედარებით ისინი ნაკლები სანდოობით გამოირჩევა.**

არჩევითპასუხიანი ტესტი, ჩვეულებრივ, შედგება დავალების პირობისა და ალტერნატიული პასუხებისაგან. დავალების პირობა, როგორც წესი, იწერება პასუხებამდე, თუმცა, მისი მოდიფიცირება პასუხების ვარიანტების დაწერის შემდეგაც შეიძლება. არსებობს დავალების პირობის შექმნის რამდენიმე პრინციპი, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება, ეფექტურად შეადგინოს ტესტური დავალება.

1. დავალების პირობის დაწერამდე საჭიროა, შეირჩეს ერთი კონკრეტული საკითხი, რომლის ცოდნაც გამოიცდება ამ დავალების ფარგლებში;

2. დავალების პირობა უნდა იყოს მარტივი და ერთ პრობლემაზე კონცენტრირებული;

3. დავალების პირობა და პასუხის ვარიანტები ერთმანეთთან აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული;

4. დავალების პირობაში არ უნდა იყოს უფუნქციო სიტყვები;

5. სავარაუდო პასუხები ერთმანეთს არ უნდა ფარავდეს;

6. დავალების პირობაში, სასურველია, გამოირიცხოს უარყოფითი მტკიცებულებები და ორმაგი უარყოფები.

7. დავალების პასუხების რაოდენობა სასურველია 4-5 სავარაუდო პასუხს არ აღემატებოდეს;

8. დავალების პასუხების მოცულობა, სასურველია, ერთმანეთის ტოლი იყოს და გრამატიკულადაც ერთნაირი სინტაქსური წყობა ჰქონდეს.

ქვემოთ ჩამოთვლილია მასწავლებლის მიერ შექმნილი ტესტის ძირითადი პრინციპები (მუისი და რეინოლდსი, 2005):

1. კარგი ტესტი უნდა ამოწმებდეს სხვადასხვა ტიპის ცოდნას, მაგალითად, როგორებიცაა ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა.

2. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ბუნდოვანი დავალებები ტესტში არ შეიტანოს, რადგან ის ორაზროვნებას გამოიწვევს მოსწავლეებში და ტესტის სანდოობას ეჭვის ქვეშ დააყენებს.

3. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს ტესტთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს მათგან უკუკავშირი.

„ტესტისათვის სწავლება“

ტესტების საშუალებით მოსწავლეთა შეფასების პრაქტიკას ერთი მნიშვნელოვანი რისკი ახლავს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ტესტირებისას საუკეთესო შედეგები აჩვენონ, დიდია ალბათობა, მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დიდი ნაწილი ტესტისათვის მომზადებას დაუთმოს. ამ პროცესში მასწავლებელს შეიძლება, ყურადღებიდან გამოიშველოს სწავლისა და სწავლების პროცესის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური უნარების განვითარებას. ასეთი მიდგომის დროს არ ხდება

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სფეროს მნიშვნელოვანი ასპექტების შესწავლა, არამედ ხდება მხოლოდ იმ მასალისა და ტექნიკების სწავლება, რაც ტესტირებისას მაღალი შედეგების მიღებაში დაეხმარება მოსწავლეებს. **მასწავლებელი უნდა ეცადოს, ამ არასასურველ პრაქტიკას გაემიჯნოს.** „ტესტისათვის სწავლების“ რისკი განსაკუთრებით იმ ქვეყნებში არსებობს, სადაც მასწავლებელთა ანაზღაურება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზეა დამოკიდებული. მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ის, რომ მისმა მოსწავლეებმა ტესტირებისას მაღალი შედეგები აჩვენონ, არამედ სწავლების მრავალფეროვანი მიდგომებისა და ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს სწავლის მოტივაცია აუმაღლოს და სხვადასხვა სახის უნარების განვითარებაშიც დახმარება გაუწიოს.

სანდოობა და ვალიდობა

ტესტის კლასიკური თეორიის მიხედვით, ტესტი უნდა აკმაყოფილებდეს ორ მთავარ კრიტერიუმს – უნდა იყოს სანდო და ვალიდური.

ტესტი სანდოა, როდესაც ტესტის შედეგად მიღებული ქულები არის თანმიმდევრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტესტირების შედეგები არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ, სად და როდის ატარებს ტესტს. მოსწავლემ იმავე ტესტში მეორედაც უნდა მიიღოს მსგავსი ქულა.

ვალიდობა არის ცნება, რომელიც ტესტის შინაარსს ეხება. **ტესტი ვალიდურია იმ შემთხვევაში, თუ იგი ზომავს იმას, რასაც უნდა ზომავდეს.** მაგალითად, თუ ტესტის მიზანია, გაარკვიოს მეოთხე კლასის მათემატიკის სასწავლო პროგრამის ცოდნა, ტესტის კითხვები ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული მათემატიკის პროგრამას არ უნდა გასცდეს. ამი-

სათვის საჭიროა ტესტის დავალებების განხილვა და სასწავლო პროგრამასთან მათი შესაბამისობის შემოწმება.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ტესტი დაცული არ არის ცდომილებისაგან. ცდომილების სამი ძირითადი წყარო არსებობს: თავად ტესტი, მოსწავლის ფაქტორი და შეფასების სქემები. ტესტთან დაკავშირებით ცდომილება შეიძლება მაშინ გაჩნდეს, როდესაც არჩევითპასუხიან კითხვებში რამდენიმე სწორი პასუხია მოცემული, ან ტესტის დავალებები მოსწავლეთა შესაძლებლობებთან შედარებით ძალიან რთულია. ზედმეტად რთული დავალებები უბიძგებს მოსწავლეებს, გამოიცნონ პასუხები და შემთხვევითობის პრინციპით შემოხაზონ.

მოსწავლეების შემთხვევაში ცდომილება შეიძლება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობოს: მოსწავლეებმა ტესტის ინსტრუქცია შეიძლება კარგად ვერ წაიკითხონ და მას არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთონ. მოსწავლეთა განწყობამ, ჯანმრთელობამ, შეიძლება, გავლენა მოახდინოს ტესტის დავალებების შესრულების ხარისხზე.

შეფასების სქემები ცდომილების ასევე მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ შეფასების სქემა მკაფიო და ცხადი არ არის.

კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი

კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი (CAT), როგორც სახელიდანაც ჩანს, სრულდება კომპიუტერზე. ტესტის კითხვები შეიძლება ინტერნეტიდან მოდიოდეს, ან კომპაქტურ დისკზე იყოს ჩანერილი. ხშირად კომპიუტერული ტესტები დახურული კითხვებისაგან შედგება და მათი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ კომპიუტერი კითხვებს მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად არჩევს.

მოსწავლეს თავდაპირველად რამდენიმე წინასწარი კითხვა ეძლევა, რომელთა საფუძველზე დადგინდება მისი შესაძლებლობები და შემდგომ კომპიუტერი ავტომატურად არჩევს კონკრეტული მოსწავლისათვის შესაბამისი სიძლიერის კითხვებს. მაგალითად, თუ მოსწავლე ტესტურ დავალებას სწორად უპასუხებს, შემდგომი კითხვა იქნება წინა კითხვაზე შედარებით რთული და პირიქით, თუ დავალებას სწორად ვერ უპასუხებს, მომდევნო კითხვას კომპიუტერული პროგრამა უფრო მარტივს შეურჩევს.

კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი მის შემქმნელებს საშუალებას აძლევს, რომ მუდმივად განაახლონ ტესტი და დავალებათა ბანკს ახალი დავალებები დაამატონ, საიდანაც შემდგომში შემთხვევითობის პრინციპით მოხდება დავალების შერჩევა ტესტისათვის. კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი საშუალებას იძლევა, მუშაობის დასრულების შემდეგ სწრაფად შეფასდეს ტესტის შედეგები.

დაკვირვება

დაკვირვება შეიძლება იყოს შეფასების ეფექტური მეთოდი, თუმცა, დაკვირვება ნაკლები სანდოობით გამოირჩევა და ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. დაკვირვების პროცესზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მასწავლებლის მოსწავლეებზე წინასწარ ჩამოყალიბებულმა შეხედულებამ. მიუხედავად სუბიექტური ხასიათისა, დაკვირვების მეთოდს ხშირად გამოიყენებენ სასწავლო პროცესში და სხვადასხვა ხერხით ცდილობენ ობიექტურობის უზრუნველყოფას.

რეიტინგულმა სკალამ დაკვირვებისას შეიძლება შეფასების კრიტერიუმის ფუნქციაც შეასრულოს. სკალაზე, როგორც წესი, განთავსებულია რამდენიმე ინდიკატორი, რომლებიც ხარისხის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, სკალას, რომლის მეშვეობით ფასდება მოსწავლეთა საკლასო გარემოში ჩართულობა,

შეიძლება ჰქონდეს ხუთი დანაყოფი, საიდანაც უმცირესი კატეგორია აღინიშნება სიტყვით „არ არის ჩართული“ და უმაღლესი კატეგორია სიტყვით – „ჩართული“ (მური, 2009):



არ არის

ჩართული

ჩართულია

გარდა რეიტინგული სკალისა, დაკვირვებისას ხშირად გამოიყენებენ **შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალს (Checklist)**, რომლითაც მასწავლებელი აფასებს, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოსწავლე ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. მაგალითად, გაკვეთილის წაკითხვა-გააზრებისათვის მასწავლებელმა შეიძლება შემდეგი სახის ჩამონათვალი შექმნას (მური, 2009):

- 1. შეასრულა საშინაო დავალება;
- 2. ამჟღავნებს მასალასთან დაკავშირებული ტერმინების ცოდნას;
- 3. შეუძლია მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამოყოფა;
- 4. შეუძლია წაკითხულის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება;
- 5. შეუძლია წაკითხულის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმა, შეფასება და არგუმენტების ჩამოყალიბება.

შეფასების რუბრიკები

სასწავლო პროცესში შეფასებისას ასევე ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკა შეფასების სქემის გზამკვლევეს წარმოადგენს, რომელიც შეფასების კრიტერიუმებს აჯამებს. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს **ჰოლისტური ანუ მთლიანობითი და ანალიტიკური**. **ჰოლისტური რუბრიკა** მოსწავლის ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო **ანალიტიკური რუბრიკა** აფასებს ცალკეულ კომპონენტებს (მური, 2009).

შეფასების რუბრიკების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დეტალურად აღწერს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება მოსწავლის ნამუშევრის შეფასება; ეს კი მოსწავლეს საკუთარი ნაშრომის შეფასების შესახებ საფუძვლიან ინფორმაციას აწვდის. მასწავლებელს აღარ უწევს, თითოეულ მოსწავლეს აუხსნას, რატომ მიიღო ესა თუ ის ნიშანი. შეფასების რუბრიკების დარიგება შეფასების წინ მოსწავლეებს ეხმარება, უკეთესად გაიაზრონ, რას მოელის მასწავლებელი მათგან და, შესაბამისად, მუშაობისას გაითვალისწინონ.

შეფასების ალტერნატიული მეთოდები

ბოლო დროს, ტესტირების გარდა, აქტიურად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა სახის მეთოდები, რომელთა მიზანი მოსწავლის შესახებ უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებაა, ვიდრე ეს ფორმალური შეფასებისას ხდება. ალტერნატიული მეთოდებია:

დავალების შესრულების შეფასება

დავალების შესრულების შეფასების მიზანია ნასწავლის ან შესრულებულის შემონმება პირდაპირი მეთოდებით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფიზიკური აღზრდა, სადაც მასწავლებელი, ჩვეულებრივ, პირდაპირი მეთოდებით განსაზღვრავს დავალების შესრულებას. აღნიშნული მეთოდით მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებელმა გარკვეული ფიზიკური გარემო უნდა შექმნას, რომლის ფარგლებშიც დააკვირდება მოსწავლეებს და შეაფასებს პრობლემის გადაჭრისა და დავალების შესრულების უნარებს. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, რეალურ გარემოში დააკვირდეს მოსწავლის მოქმედებას. ამგვარი შეფასების კიდეც ერთი მაგალითია მოსწავლეების შეფასება უცხოურ ენაზე საუბრის დროს ან ექსპერიმენტის ჩატარებისას.

დავალების შესრულების შესაფასებლად, მასწავლებელმა უნდა შეადგინოს შეფასების სქემა, რომელშიც დეტალურად იქნება განერილი ის ცოდნა და უნარები, რომელთა შემონმე-ბასაც აპირებს.

დავალების შესრულების შეფასება ნაკლებად სანდოა, ვიდრე ტესტირებით შეფასება. გარდა ამისა, შესრულების შეფასება შედარებით სუბიექტურიცაა და მასწავლებლის მიკერძოება, შესაძლოა, მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს. მოსწავლის ქცევის რეალურ გარემოში შეფასება ძალზე ეფექტური პროცესია, თუმცა, „შესრულების შეფასების“ მომზადება და განხორციელება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და შრომატევადია.

მოსწავლის პორტფოლიო

საკლასო პორტფოლიოს, ანუ საქალაღდეს მეშვეობით მოსწავლის შეფასება დღითიდღე სულ უფრო პოპულარული

ხდება. შეფასების ამ ფორმის პოპულარობა მისი მრავალფეროვნებითაც არის განპირობებული — **პორტფოლიოს საშუალებით შესაძლებელია მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება, მისი ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტით შემონიშვნა. პორტფოლიოს მიხედვით შეფასება კრებს შეფასების სხვადასხვა ფორმით მიღებულ შედეგებს და მოსწავლის შესახებ უფრო სრულ სურათს გვაჩვენებს.**

პორტფოლიოს მეთოდით შეფასება საშუალებას იძლევა შემონიშნოს მოსწავლის მიღწევები დროის განსაზღვრულ პერიოდში, მაგალითად, სასწავლო წლის განმავლობაში. პორტფოლიოში გროვდება მოსწავლის ნამუშევრები, ტესტების შედეგები, ნახატები, აუდიო და ვიდეო მასალა, მიმდინარე პროექტები, თემები და სხვა მონაცემები. პორტფოლიოს მეშვეობით შეფასების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია მასწავლებელსა და მშობელს დაანახოს მოსწავლის შესაძლებლობების ფართო სპექტრი.

საკლასო პორტფოლიოს შეუძლია შემდეგი ფუნქციების შესრულება:

- ◆ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი;
- ◆ სწავლის შედეგების ჩვენება;
- ◆ საგნობრივი შეფასება;
- ◆ სწავლების მეთოდოლოგიის შეფასება;
- ◆ მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- ◆ მომდევნო მასწავლებლისათვის ინფორმაციის გადაცემა.

ისევე, როგორც დავალების შესრულების შეფასების შემთხვევაში, პორტფოლიოს შეფასების მიზნები და საშუალებები წინასწარ იგეგმება და მოსწავლესთან თანხმდება. პორტფოლიოს მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები, კერძოდ, პორტფოლიოში უნდა შედიოდეს ის მასალები, რომლებიც მათთან წინასწარ არის შეთანხმებული. მოსწავლეთა და მშობელთა

ჩართულობა დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს მათი მხრიდან პორტფოლიოსთან მიმართებაში საკუთრების განცდის გაჩენას.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პორტფოლიოში შესული მასალები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სწავლების მეთოდისკადასთან. მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს შეფასების დეტალური სქემა, სადაც ნათლად იქნება განერილი შეფასების პროცესის ყველა ეტაპი და კრიტერიუმი. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს კარგი, ცუდი ან საშუალო ნიშანი. ბოლოს, ეს შეფასებები უნდა შეჯამდეს. შესაძლებელია როგორც საშუალო ქულის გამოყვანა, ასევე ცალკეულ თემებში მიღებული ქულებისათვის გარკვეული წონის მინიჭება.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს და გადაწყვიტოს პორტფოლიოსთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური საკითხი, მაგალითად, როდის და როგორ მოხდება პორტფოლიოში ჩასაღები მასალების შეგროვება? გაკვეთილის დაწყებისას თუ გაკვეთილის ბოლოს? დააკლდება თუ არა მოსწავლეს ნიშანი მასალების დაგვიანებით ჩაბარებისას? სად შეინახება მოსწავლეთა პორტფოლიოები? ვის მიუწვდება ხელი პორტფოლიოზე? მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს პასუხები ყველა ამ და მსგავს კითხვებზე.

პორტფოლიოს მეთოდის კიდევ ერთი უპირატესობა შეფასების სხვა მეთოდებთან მიმართებაში ის არის, რომ აჩვენებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის დონეს, არამედ იმასაც, თუ როგორ ვითარდება დროში მისი ნაშრომები. პორტფოლიოს საშუალებით შეფასება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის თანამშრომლობით ფორმას წარმოადგენს. პორტფოლიოს მეშვეობით მოსწავლეთა შეფასების მთავარი უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მასწავლებლისა და მოსწავლის მხრიდან დიდ დროსა და მუშაობას მოითხოვს. ამგვარი შეფასების შემთხვევაში შეიძლება

პრობლემური გახდეს მასწავლებლის მხრიდან მიკერძოებულობისა და სუბიექტურობის საკითხი.

შეფასებისას წარმოქმნილი პრობლემები

მოსწავლეთა შეფასებისას ყველაზე დიდი საფრთხე მასწავლებლის სუბიექტურობაა. **მასწავლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მიუკერძოებელი და ყველა მოსწავლე სამართლიანად შეაფასოს.** შეფასებაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს ამ ფაქტორების ზემოქმედებას და ეცადოს, გაანეიტრალოს ისინი. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი განწყობილია, რომ ცელქ და მოუსვენარ მოსწავლეებს დაბალი შეფასება მისცეს. მოსწავლის ქცევა არასოდეს არ უნდა გახდეს ცუდი ნიშნის განმსაზღვრელი, რადგან მოსწავლის ნიშანი მხოლოდ მის აკადემიურ მიღწევებს უნდა ასახავდეს (მოსწავლის უდისციპლინო ქცევის მართვის შესახებ იხილეთ თავი № 16).

შეფასების გამჭვირვალობა და ასევე შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მასწავლებლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები კავშირში იყოს სასწავლო მიზნებთან. თავად შეფასების მიზნები რაც შეიძლება ცხადი და ნათელი უნდა იყოს როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა შეფასების შედეგების კონფიდენციალურობა დაიცვას.

შეჯამება:

- ✓ მოსწავლის შეფასება იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, თუ რამდენად ითვისებენ მოსწავლეები განვლილ მასალას. შეფასება ეხმარება მასწავლებელს, უკეთესად დაგეგმოს შემდგომი გაკვეთილები და გაითვალისწინოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.
- ✓ სასურველია, მასწავლებელი სწავლების პროცესში შეფასების სხვადასხვა მეთოდს და სტრატეგიას იყენებდეს, როგორებიცაა, მაგალითად: დაკვირვება, ტესტი, პორტფოლიოს მეშვეობით შეფასება, დავალების შესრულების შეფასება, უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვ.
- ✓ დიაგნოსტიკური ტესტის მიზანია დაადგინოს, რა ცოდნას და უნარებს ფლობენ მოსწავლეები სასწავლო წლის დაწყებამდე ან ახალ პროგრამულ მასალაზე გადასვლამდე.
- ✓ დახურული კითხვების უპირატესობაა მათი მიუკერძოებლობა და შეფასების სისწრაფე. ღია კითხვები მოსწავლეს საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს და მოსწავლის მიერ კონკრეტული სფეროს ცოდნის შემოწმების უფრო მეტ საშუალებას იძლევა.
- ✓ სტანდარტიზებულ ტესტებს პროფესიონალები ადგენენ და ამ ტესტის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სხვადასხვა გარემოში სანდო შედეგების უზრუნველყოფა.
- ✓ არსებობს სტანდარტიზებული ტესტის ორი ძირითადი ფორმა: ნორმაზე და კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტები.
- ✓ ნორმაზე დაფუძნებული ტესტების მიზანია მოსწავლეების შედეგების ერთმანეთთან შედარება. კრიტერიუმზე და-

ფუძნებული ტესტის მიზანი კი იმის შემოწმებაა, მიაღწია თუ არა მოსწავლემ გარკვეულ დონეს, სტანდარტს ამა თუ იმ საგანში ან სფეროში.

- ✓ სტანდარტიზებული ტესტი უნდა იყოს სანდო (იძლეოდეს ერთნაირ შედეგებს განმეორებითი ტესტირების შედეგად) და ვალიდური (გაზომოს სწორედ ის, რასაც უნდა ზომავდეს).
- ✓ მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტი მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროგრამასთან და ხშირად შესაბამისობაშია მოსწავლეების შესაძლებლობებთან, თუმცა, ნაკლები სანდოობით გამოირჩევა.
- ✓ კომპიუტერული ადაპტირებული ტესტი (CAT) ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ კომპიუტერი კითხვებს მოსწავლის შესაძლებლობებს არგებს და ცალკეულ მოსწავლეს შესაბამის კითხვებს შეუზღვევს.
- ✓ შეფასების ერთ-ერთი ალტერნატიული მეთოდის, დავალების შესრულების შეფასების მიზანია სწავლის ან შესრულების შეფასება პირდაპირი მეთოდებით.
- ✓ პორტფოლიოს მეშვეობით შესაძლებელია მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება, მისი ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტით შემოწმება. პორტფოლიოს საშუალებით შეფასება კრებს შეფასების სხვადასხვა ფორმით მიღებულ შედეგებს და მოსწავლის შესახებ უფრო სრულ სურათს გვიჩვენებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის;

მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;

მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;

მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Kwo, O. (2010). *Teachers as Learners. Critical Discourse on Challenges and Opportunities* (Ed.). Hong Kong University. Springer
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies. From Theory to Practice*. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice. Second Edition*. Sage Publications
- Rudner, L. M. (2002). *What Teachers Need to Know About Assessment (Student Assessment Series)*. Natl Education Assn

XIV თავი

მოსწავლეთა თვითშეფასება

ძირითადი საკითხები:

- მოსწავლეთა თვითშეფასების გაუმჯობესება;
- მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე;
- თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ბავშვს ადრეულ ასაკშივე უჩნდება, თუმცა მისი ჩამოყალიბების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად სკოლის ასაკში მიმდინარეობს. სკოლაში სწავლის პერიოდში საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას თანატოლები და მასწავლებლები ახდენენ; ამიტომ მათ მიერ გაკეთებულ კომენტარებს მოსწავლეები, ჩვეულებრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მოსწავლის თვითშეფასება არსებით გავლენას ახდენს საკუთარი თავის მიმართ რწმენის ჩამოყალიბებაზე და, ხშირ შემთხვევაში, სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზეც მოქმედებს. მოსწავლის მიერ საკუთარი თავის აღქმა და თვითშეფასება არა მხოლოდ სასკოლო კონტექსტში, არამედ იმ პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ, რომლებიც ბავშვებს ყოველდღიურად შეიძლება შეექმნათ. დაბალ თვითშეფასებას არასასურველი გავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე და, ზოგადად, მის წარმატებაზე ცხოვრებაში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ

მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლისა და სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ თვითშეფასების მნიშვნელობაზე მოსწავლის ცხოვრებაში; განვიხილავთ, რა გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასება და საკუთარი თავის აღქმა მის აკადემიურ მოსწრებაზე და როგორ შეუძლია სკოლასა და მასწავლებელს, რომ მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში დაეხმარონ.

მკვლევრები განასხვავებენ **თვითშეფასებას, თვითპატივისცემასა და საკუთარი თავის აღქმას**. თვითშეფასების ცნება, ძირითადად, გამოიყენება ადამიანის საკუთარი თავის შეფასებაზე საუბრისას და, შეიძლება, განიმარტოს, როგორც ადამიანის წარმოდგენა საკუთარი მნიშვნელობის შესახებ რომელიც საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში გამოიხატება (კუპერსმიტი, 1967). **ჩვენ ვაფასებთ, რამდენად კარგად ვაკეთებთ რაიმეს იმით, რომ საკუთარ შესრულებულ სამუშაოს სხვისას ვადარებთ. ამ შედარების საფუძველზე ყალიბდება საკუთარი თვითპატივისცემა** (ნოზიკი, 1974). **საკუთარი თავის აღქმა ნიშნავს ადამიანის შეხედულებას საკუთარ თავზე, რომელიც მას უყალიბდება გარემოსათან და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში**. მაგალითად, პროფესიონალი ფეხბურთელისათვის საკუთარი თავის აღქმა ფიზიკური უნარიანობის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა საკუთარი თავის აღქმა შესაძლოა, აკადემიური კუთხით მისთვის ნაკლებად არსებითი იყოს. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, **საკუთარი თავის შეფასება მრავალგანზომილებიანია** (მარში და სხვები, 1983). მრავალგანზომილებიანობა ნიშნავს, რომ ადამიანი, შესაძლოა, განსხვავებულად აღიქვამდეს საკუთარ თავს თავისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. მაგალითად: მოსწავლე ხვდება, რომ კარგად სწავლობს ქართულ ენას ან რომელიმე უცხო ენას, მაგრამ იმავე წარმატებით არ გამოსდის მათემატიკა; ასევე შეიძლება, მას კომუნი-

კაციის განსაკუთრებული უნარი გააჩნდეს, მაგრამ არც თუ ისე წარმატებული იყოს სპორტში.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანები თვითშეფასების ფორმირებისას, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი თავის აღქმის იმ ასპექტს, რომელშიც მათ საკუთარ თავთან დადებითი დამოკიდებულება გააჩნიათ. ხშირად მოსწავლეები, რომელთა აკადემიური მიღწევები არც თუ ისე კარგია, ამცირებენ კარგად სწავლის მნიშვნელობას თვითშეფასებისას და საკომპენსაციოდ ცდილობენ სხვადასხვა სტრატეგიის ამუშავებას (მაგალითად, ისინი იწყებენ მუსიკის სფეროში გარკვევას, ან ამბობენ, რომ „ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ სწავლობ სკოლაში“).

არის თუ არა თვითშეფასება დამოკიდებული მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე?

კვლევებით დადასტურებულია, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, თუმცა ეს კავშირი ყოველთვის მიზეზ-შედეგობრივი არ არის. ცნობილია, რომ წარუმატებელ მოსწავლეს მის წარმატებულ თანაკლასელთან შედარებით გაცილებით დაბალი თვითშეფასება გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის კავშირი მოსწავლის ასაკთან ერთად იცვლება. ეს კავშირი ყველაზე სუსტია დაწყებით კლასებში და იზრდება ასაკის მატებასთან ერთად. თუმცა სტუდენტების შემთხვევაში კვლავ იკლებს. ზოგადად მოსწავლეების თვითშეფასება საგრძნობლად მაღალია დაწყებით კლასებში. დროთა განმავლობაში ეს შეხედულება იცვლება, ვინაიდან მოსწავლეებს უვითარდებათ უნარი, კრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს, მიიღონ უკუკავშირი და მოახდინონ მისი ინტეგრირება თვითშეფასებაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ხარისხი განსხვავებულია გოგონებისა და ბიჭების შემთხვევაში. კვლევები ცხადყოფს, რომ გოგონებს უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის კუთხით, ბიჭებს კი გოგონებთან შედარებით გაცილებით მაღალი თვითშეფასება აქვთ ფიზიკური უნარების თვალსაზრისით (მარში და სხვები, 1985). დანყებითი კლასების შემდგომ ეტაპზე ბიჭებს უფრო მაღალი თვითშეფასება უყალიბდებათ მათემატიკაში, ხოლო გოგონებს ჰუმანიტარულ საგნებში. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სიტუაციაა მრავალ ქვეყანაში და, მიუხედავად იმისა, ჯობნიან თუ არა ბიჭები გოგონებს მათემატიკაში, მათ მაინც უყალიბდებათ შედარებით მაღალი თვითშეფასება ამ საგანში (ქლოერი და დალტონი, 2001). აღმოჩნდა, რომ ბიჭებს გოგონებთან შედარებით უფრო მაღალი თვითშეფასება ჰქონდათ მათემატიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნიშნები ამ საგანში პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (მუისი, 1997). ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ თვითშეფასებაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული მყარი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რომელი სქესის წარმომადგენელს რომელი საგნის შესწავლა შეუძლია უკეთ.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ აკადემიურ მიღწევებს რაიმე აბსოლუტურ სტანდარტს კი არ ადარებენ, არამედ იმ მოსწავლეებისას, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სკოლაში. სწორედ ამის მიხედვით უყალიბდებათ მათ თვითშეფასება. ეს ნიშნავს, რომ შედარებით დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეს, რომელიც გარემომორტყმულია უფრო დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებით, უფრო მაღალი თვითშეფასება ექნება, ვიდრე სამუალო მოსწრების მქონე მოსწავლეს, რომელიც მასზე მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებთან ერთად სწავლობს.

მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესება

ცნობილია, რომ მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესებამ, შეიძლება, დადებითი გავლენა იქონიოს მათ აკადემიურ მიღწევებზე. არ არის გამორიცხული დაბალი თვითშეფასება ასევე ფსიქოლოგიურ პრობლემებთანაც იყოს დაკავშირებული; შესაბამისად, თვითშეფასების გაუმჯობესებას ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება.

სასკოლო გარემოში მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების სხვადასხვა გზა არსებობს. ძირითადი საშუალებაა თბილი, მეგობრული და ამავდროულად დისციპლინირებული გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები ნათლად იქნება გამიჯნული ერთმანეთისაგან და ყველასთვის მისაღები ქცევის წესები იარსებებს.

თვითშეფასების გაუმჯობესებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მიმართ არსებობდეს პოზიტიური მოლოდინი. თუ მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მისგან ბევრს არაფერს ელის, მისი აკადემიური თვითშეფასება კონკრეტულ საგანში მცირდება, რაც, თავის მხრივ, აკადემიური მიღწევების გაუარესებას იწვევს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომელთა გათვალისწინება მასწავლებელს დაეხმარება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებაში:

- ◆ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ საჯაროდ ნუ ისაუბრებთ;
- ◆ საშუალება მიეცით მოსწავლეებს, გამოასწორონ ნიშნები და ხელახლა შეასრულონ დავალება, თუ ამის სურვილი აქვთ (და თუ ამის შესაძლებლობას სასწავლო გეგმა იძლევა);
- ◆ ნუ დააჯგუფებთ მოსწავლეებს უნარების მიხედვით და მათ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ნუ გაუსვამთ ხაზს;

- ◆ დავალებების შერჩევისას მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები;
- ◆ ხაზი გაუსვით მოსწავლეთა შორის თანამშრომლობისა და არა კონკურენციის მნიშვნელობას.

მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე

საჭიროა, მასწავლებელი ყურადღებით აკონტროლებდეს ყველა გზავნილს, რომელსაც მოსწავლეები მისგან იღებენ. ვერბალური და არავერბალური მინიშნებების საფუძველზე მოსწავლემ, შესაძლოა, დაასკვნას, რომ მასწავლებელი არ არის მისი აზრით დაინტერესებული, არ ენდობა მას, ან არ აფასებს მის მოსაზრებას. მასწავლებელმა ასევე კარგად უნდა იცოდეს, რომ ხშირ შემთხვევაში უარყოფითი უკუკავშირის მიწოდება შედარებით დადებითი ფორმითაც არის შესაძლებელი. მასწავლებლის მხრიდან ადეკვატური შექება, აღიარება და ნახალისება მოსწავლეს დადებითი თვითშეფასების ფორმირებაში ეხმარება.

უარყოფითი უკუკავშირი განსაკუთრებით ამახსოვრდება მოსწავლეს, რაც იწვევს საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური წარმოდგენების ფორმირებას. როდესაც მასწავლებელი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფით უკუკავშირს აძლევს მოსწავლეს, ეს მოსწავლეზე მტკივნეულად მოქმედებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს ისედაც დაბალი თვითშეფასება აქვს.



კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ თვითშეფასებაზე, არის **უდისციპლინო ქცევა**. მასწავლებელი მოსწავლის უდისციპლინობას ისე უნდა გაუმკლავდეს, რომ მოსწავლის თვითშეფასებას ზიანი არ მიაყენოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უდისციპლინო საქციელზე და განმარტოს, თუ რატომ არის ეს საქციელი მიუღებელი. **საჭიროა საქციელისა და არა მოსწავლის გაკრიტიკება**. მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს თანაკლასელების წინაშე მოსწავლის დამცირებისაგან.

მოსწავლეებისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს უწყობს საკუთარ ძალებში დარწმუნებას, რაც ასევე დადებით გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ არჩევანის გაკეთებისა და გაკვეთილის მიმდინარეობისას მონაწილეობის შესაძლებლობა. პატარა ასაკის მოსწავლეებს უნდა მიეცეთ მარტივი დავალებები, მაგალითად, საკლასო ოთახის დასუფთავება, დაფის განმეორება და ა. შ. ხოლო უფროსი ასაკის მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ ქცევის წესების დადგენაში. მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას თბილი გარემო, რომელშიც მოსწავლის წვლილი დაფასებული იქნება. შექება მნიშვნელოვანია, თუმცა, ძალიან ხშირად ქებაც მიზანშეწონილი არ

არის, რადგან მოსწავლე ჩათვლის, რომ მასწავლებელი არა-გულწრფელია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შექება იყოს რეალისტური. არასწორი და უდროო შექება არ იქნება სერიოზულად აღქმული და გამოიწვევს შექების გაუფასურებას მომავალში.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უფრო მეტად მოსწავლის წარმატებაზე და ნაკლებად – მის შეცდომებზე. მან მეტი უნდა ისაუბროს საქმის იმ ნაწილზე, რომელიც სწორად იყო შესრულებული და არა იმ მხარეზე, რომელშიც შეცდომები ჭარბობდა. მასწავლებელმა, აგრეთვე, ხაზი უნდა გაუსვას რომ სწავლა შეცდომის გზითაც შესაძლებელია, და რომ შეცდომის სასირცხვილო არაფერია. მასწავლებელმა ნათლად უნდა მიუთითოს მოსწავლეს სწორად შესრულებულ სამუშაოზეც და იმაზეც, თუ რა გააკეთა არასწორად. მნიშვნელოვანია, მოსწავლე ორიენტირებული იყოს საკუთარი დავალების, თავისი საქმის კარგად შესრულებაზე და მუდმივად თანაკლასელს არ ეჯიბრებოდეს.

თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები

არსებობს მოსწავლის თვითშეფასების გასაუმჯობესებელი რამდენიმე აქტივობა. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა „მაგიური წრე“. კლასში რომელიმე მოსწავლეს ეძლევა სამკერდე, რომელსაც აწერია „მე კარგი ვარ“, იგი დროებით ტოვებს ოთახს და მისმა თანაკლასელებმა უნდა გაიხსენონ ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც ოთახიდან გასულს გააჩნია. შემდეგ მოსწავლე ბრუნდება საკლასო ოთახში და თანაკლასელები მას ეუბნებიან ყველაფერს, რაც მის შესახებ გაახსენდათ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი წინადადებები დაიწყონ ფრაზით „მე ვფიქრობ“ ან „ჩემი აზრით“, რათა მოსწავლემ აღიქვას, როგორც სხვისი მოსაზრება და არა მტკიცებულება, რომელსაც, შესაძლოა,

განსხვავებული მოსაზრება დაუპირისპირო. ბოლოს, მოსწავლეს ეძლევა საშუალება, თავადაც დაასახელოს ერთი რამ, რაც მოსწონს თავის თვისებებში და რითიც ამაყობს.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ თვითშეფასებაზე აკადემიური მიღწევების გავლენა მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებამ, შესაძლოა, ყველა მოსწავლის თვითშეფასებაზე ერთნაირი გავლენა არ მოახდინოს. შესაბამისად, მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლესაც კი შეიძლება, არ ჰქონდეს მაღალი თვითშეფასება, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ სხვა მოსწავლეები სკოლაში მასზე უკეთ სწავლობდნენ.

მოსწავლეების თვითშეფასებაზე დადებითი გავლენის მოსახდენად საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეს შეეუქმნათ რაც შეიძლება დიდი ასპარეზი, მიაღწიოს წარმატებას. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, რთული და კომპლექსური დავალების მცირე ამოცანებად დაყოფით და მათი საფუძვლიანად შესწავლით. სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობაში მონაწილეობაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაეხმაროს მოსწავლეებს წარმატების მიღწევასა და ამ გრძნობის განცდაში.

თვითშეფასების ასამაღლებელ აქტივობად შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს შესაფასებლად ერთმანეთის ნაშრომებს აძლევს. ამ გზით მოსწავლეები იგებენ, როგორ შეასრულა იგივე დავალება მისმა კლასელმა და მსჯელობს, თუ რა შეფასება ეკუთვნის მას. თანატოლების მიერ ერთმანეთის ნაშრომების შეფასება, სასურველია, იყოს ანონიმური, რათა გამოირიცხოს სუბიექტურობა. ამგვარი შეფასება რომ მაქსიმალურად ეფექტური გამოვიდეს, ამისათვის მასწავლებელმა დადებითი და მხარდაჭერი გარემო უნდა შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხრიდან გულწრფელ და კონსტრუქციულ უკუკავშირს.

თვითშეფასების ნიმუშები (აღებულია თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის, ირაკლის, ფორტფოლიოდან)

ნიმუში № 1

მთელი წლის მანძილზე მე საკუთარ თავს ვამჩნევ პროგრესს ცოდნის შეძენის, მასალის ათვისების და გამოცდილების მიღების მხრივ. სასწავლო წლის დასაწყისში კლასში ვერ გამოვხატე აქტიურობა და ვერ შევძელი ცოდნის გამომჟღავნება, თუმცა ვთვლი, რომ პროგრამის მსვლელობას ავყევი და პროგრამა ავითვისე. მეორე სემესტრის დასაწყისში შევძელი გამომჟღავნებინა ათვისებული მასალის საფუძვლიანი ცოდნა. ჩემი კლასი, მთლიანობაში, შედარებით ინერტული და მოუზნადებელი იყო, გაკვეთილებზე არ იყო სწავლისათვის შექმნილი განწყობა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა და მეც ფეხი ავუბი პროგრამის მსვლელობას, პირველი სემესტრის მასალას ისევე ათვისებულად ვთვლი, როგორც დანარჩენს, უბრალოდ პირველ სემესტრში ცოდნის გამომჟღავნების საშუალება არ მქონდა (თუ რატომ, ამას ვეტყვი პირადად მასწავლებელს). ახლა რომ ვუკვირდები, მეთერთმეტე სასწავლო წელიწადმა ყველაზე მეტი შემმატა, სხვა დანარჩენთან შედარებით.

ნიმუში № 2

საკუთარ დიდ მიღწევად მიმაჩნია საკლასო დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა (თუმცა, იყო ერთი-ორი პასიური მონაკვეთიც). წელს შესრულებული თემებითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ აქაც მქონდა ხარვეზი.

სამი დიდი თემა:

„სასულიერო და საერო პირთა დაპირისპირება“

(V საუკუნე, „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი ეპოქა)

ადამიანის ცხოვრების მიზანი და დანიშნულება
(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

„სიბრძნე სიცრუისა“ პერსონაჟთა დახასიათებები
(სედრაქი, რუკა, ლეონი, ჯუმბერი და ფინეზი)

ასახავს და აჯამებს ჩვენი წლევანდელი კურსის სამ ძირითად პერიოდს. ამ თემების კარგად შესრულებამ და მიღებული შეფასებებმა განაპირობა ჩემი თვითშეფასებაც.

ახლა განვმარტავ მინუსის მიზეზებს: ეს არის შარშანდელთან შედარებით ოდნავ სუსტი პრეზენტაცია პრეზენტაციის (და არა თემის) თვალსაზრისით და მცირე ხარვეზი „სიბრძნე სიცრუისა“ ერთ-ერთი პერსონაჟის დახასიათებაში.

ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში შედარებით მაღალ შეფასებას ვიმსახურებ. თუნდაც პუნქტუაციის წესების დაცვაში პროგრესის გამოც. მნიშვნელოვან სუსტ მხარედ ალბათ მაინც პრეზენტაცია უნდა მივიჩნიო, თუმცა, უკვე ვიცი მომავალში როგორ გამოვასწორო ეს ხარვეზი.

შეჯამება:

- ✓ საკუთარი თავის აღქმა ნიშნავს ადამიანის შეხედულებას საკუთარ თავზე, რომელიც მას უყალიბდება გარემოსა და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში. ადამიანები საკუთარ თავს განსხვავებულად აღიქვამენ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, სხვადასხვა სასკოლო საგანში.
- ✓ თვითშეფასება ფართო ცნებაა, რაც ითვლისწინებს ადამიანების შეხედულებას საკუთარი მნიშვნელობის შესახებ.
- ✓ თვითპატივისცემა არსებითად ფარდობითია, ჩვენ ვაფასებთ, რამდენად კარგად ვაკეთებთ რაიმეს იმიტომ, რომ საკუთარ შესრულებულ სამუშაოს სხვისას ვადარებთ.
- ✓ კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი მოსწავლის თვითშეფასებასა და მის აკადემიურ მიღწევებს შორის.
- ✓ მოსწავლეების მიმართ მაღალი მოლოდინი დადებითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე. უდისციპლინო საქციელის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააკრიტიკოს საქციელი და არა პირადად მოსწავლე.
- ✓ მოსწავლეებისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს უწყობს საკუთარ ძალებში დარწმუნებას, რაც ასევე დადებით გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე.
- ✓ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლის წარმატებაზე და მიუთითოს მას, როგორც კარგად შესრულებულ სამუშაოზე, ისე შეცდომებზე.
- ✓ თანატოლების მიერ ერთმანეთის ნაშრომების შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თვითშეფასების ასამაღლებელი აქტივობა. სასურველია, შეფასება იყოს ანონიმური, რათა სუბიექტურობის ხარისხი რაც შეიძლება დაბალი იყოს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში.

მითითებული ლიტერატურა:

- Cloer, T. Jr. and Dalton, S.R. (2001). Gender and Grade Differences in Readings Achievement and in Self-Concept as Readers. *Journal of Readings Education* 26 (2), 31-36
- Coopersmith, S. (1967). *The Antecedents of Self-Esteem*. San Francisco: W.H. Freeman
- Marsh, H. W., Relich, J.D. & Smith, I. D. (1993). Self-concept: The construct validity of interpretations based on the SDQ. *Journal of Personality and Social Psychology* 45 (1), 213-231
- Marsh, H. W., Parker, J. & Barnes, J. (1985). Multidimensional Adolescent Self-concepts: Their Relationship to Age, Sex and Academic Measures. *American Educational Research Journal* 22 (3), 422-444
- Muijs, R. D. (1997). *Self, School and Media. A Longitudinal Study of the Relationship Between Self-Concept, School Achievement, Peer Relations and Media Use among Flemish Primary School Children*. Lauen: K.U. Leuvan, Department of Communication Science
- Nozick, R. (1974). *Anarchy, State and Utopia*. Oxford, Basil Blackwell

XV თავი

კლასის მართვა და ქცევის წესები

ძირითადი საკითხები:

- ◆ კლასის მართვის ასპექტები;
- ◆ კლასის ეფექტურად მართვის შემადგენელი ნაწილები;
- ◆ გაკვეთილზე ქცევის წესებისა და პროცედურების განსაზღვრა.

მოამზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

მოსწავლეთა ქცევისა და, ზოგადად, კლასის ეფექტური მართვა მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული საქმიანობაა. გამოცდილი მასწავლებლები ახერხებენ კლასის ეფექტურ მართვას და ერთი აქტივობიდან მეორეზე მარტივად გადასვლას მაშინ, როცა დამწყები, გამოუცდელი მასწავლებლებისთვის კლასის მართვა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. კლასის მართვა მასწავლებლის მხრიდან მხოლოდ დისციპლინისა და კონტროლის შენარჩუნება არ არის, არამედ ის გულისხმობს კლასის ორგანიზების მთლიან პროცესს, რომლის დროსაც სასწავლო მიზნები ეფექტურად მიიღწევა.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ კლასის მართვის ისეთ ხერხებსა და სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც მასწავლებელს დაეხმარება ორგანიზებულად მართოს კლასი და სასწავლო პროცესში შეამციროს მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის რიცხვი.

კლასის მართვის ასპექტები

კლასის მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მასწავლებლის კლასში შესვლის პირველი დღეები და პირველი წუთებიც კი. პირველივე დღეებმა შეიძლება განაპირობოს მოსწავლეების მასწავლებლის მიმართ დამოკიდებულება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებელმა თავიდანვე მოიპოვოს კლასის ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს.

ამბობენ, რომ გამოუცდელი მასწავლებლები პირველსავე გაკვეთილს ხშირად სახალისო აქტივობით იწყებენ. სახალისო აქტივობა შეიძლება არ აღმოჩნდეს კლასთან ურთიერთობის დაწყების საუკეთესო გამოსავალი და ის ქაოსში გადაიზარდოს. **გამოცდილი მასწავლებლები ამბობენ, რომ წარმატებული მართვის საიდუმლო კლასის ორგანიზებაშია და ამიტომ ისინი კლასის მართვას ხშირად ქცევის წესების გაცნობით იწყებენ** (მური, 2009). შესაბამისად, კლასთან ურთიერთობის პირველივე დღეები, სასურველია, კლასის ორგანიზების, ქცევის წესებისა და პროცედურების გაცნობას დაეთმოს. მოსწავლის ქცევებზე უკუკავშირის მიგება ადრეულ ეტაპზევე ძალიან მნიშვნელოვანია. საჭიროა, მასწავლებელმა შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს ქცევის წესები კარგად ეცოდინებათ, ჩართულნი იქნებიან გაკვეთილის პროცესში და ყველა სახის უდისციპლინო ქცევისათვის შესაბამის უკუკავშირს მიიღებენ.

კლასის მართვის უმთავრესი კომპონენტია დისციპლინის შენარჩუნება, რაც ძალიან რთულია. დისციპლინის დამკვიდრება კლასში მხოლოდ დასჯასთან არ არის დაკავშირებული. **დასჯა არის უდისციპლინო ქცევაზე მასწავლებლის რეაქცია, ხოლო დისციპლინა გულისხმობს, როგორც უდისციპლინო ქცევაზე ადეკვატურ რეაქციას, ასევე ამგვარი ქცევების თავიდან აცილებას** (მური, 2009).

მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავი № 16.

კლასის უფაქტურად მართვის უმაღლესი ნაწილები

გაკვეთილის დაწყება

კლასის მართვისას გადამწყვეტია გაკვეთილის დაწყების პროცესი. ზოგიერთი მასწავლებელი ამას ხშირად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და გაკვეთილს დროულად არ იწყებს. თუმცა, არსებობს გაკვეთილის გვიან დაწყების მიზეზებიც: წინა გაკვეთილის დამთავრება დაგვიანებით, დასვენების გახანგრძლივება, დასვენების შემდეგ გაკვეთილის დაწყებისას წარმოქმნილი ხმაური და მოსწავლეთა არაორგანიზებულად შესვლა საკლასო ოთახში. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს თავად შეუძლია ამ პრობლემური საკითხების მოგვარება, მნიშვნელოვანია სკოლის ერთიანი პოლიტიკაც.

გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი შეიძლება რამდენიმე სირთულეს წააწყდეს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლეთა, შესაძლებელია, განსხვავებულ გარემოში იმყოფებოდნენ, (მაგალითად, სკოლის ეზოში ან სასადილოში) და გაუჭირდეთ კონკრეტული გაკვეთილისათვის შესაბამისი განწყობის შექმნა. ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე შესაბამისი სტრატეგია, მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება, ინსტრუქციები და მითითებები დაფაზე ჩამოწეროს, ან მოსწავლეს მისცეს წესები წასაკითხად. ეს ხელს შეუწყობს შემოსვლისთანავე მოსწავლეთა საკლასო საქმიანობაში ჩართვას.


მოსწავლეთა საკლასო ოთახში გადანაწილება

კლასის მართვისათვის ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია საკლასო ოთახში მოსწავლეთა სწორი გადანაწილება. ამ პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს კომფორტულად მუშაობისათვის გარკვეული თავისუფალი სივრცე სჭირდება. თუ გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეები გადაადგილდებიან, მათ ეს ისე უნდა შეეძლოთ, რომ თანაკლასელებს მუშაობაში ხელი არ შეუშალონ. მერხებს შორის საკმარისი ადგილი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა თავისუფლად იმოძრაოს კლასში.

მოსწავლეთა გადანაწილების სქემის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სწავლების მეთოდი გაითვალისწინოს. მოსწავლეთა მერხებთან განთავსება გაკვეთილის ფორმატს და მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. კლასში მერხების არასწორმა განლაგებამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასალის ათვისების ხარისხზე. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილის ძირითად დროს მასალის გადაცემას და მთელ კლასთან ურთიერთობას უთმობს, აუცილებელია, რომ მოსწავლეები კარგად ხედავდნენ მასწავლებელს და იმ ხელსაწყოებსა თუ ნივთებს, რომლებსაც იგი იყენებს (დაფას, პროექტორის ეკრანს და ა. შ.). არც ერთი მოსწავლე არ უნდა იჯდეს მასწავლებლისაგან ზურგით (იხ. სურათი № 1).

მცირე ჯგუფებში მუშაობისას სასურველია მოსწავლეთა ჯგუფების განთავსება მაგიდის ირგვლივ, რათა მათ ერთმანეთთან ურთიერთობა გაუადვილდეთ (იხ. სურათი № 2). თუ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალება მოსწავლეთა ინდივიდუალურ მუშაობას ითვალისწინებს, მათი ერთი მაგიდის გარშემო განთავსება სასურველი არ იქნება. მოსწავლეთა აქტიურობას ხელს უწყობს ასევე მერხების ნახევარწრიულად განთავსება. ამ მეთოდით მასწავლებელი თვალს კარგად ადევნებს თითოეული მოსწავლის ქცევას.


სურათი № 1



დაფა / პროექტორი

სურათზე გამოსახულია მერხების განლაგება მწკრივებად, რომელიც ეფექტურია პირდაპირი სწავლებისას (პირდაპირ სწავლება ზე იხ. თავი № 3) და არა ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში. (მუისი და რეინოლდსი, 2005)


სურათი № 2



დაფა / პროექტორი

სურათზე გამოსახულია მერხების განლაგება, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობისათვის და არა პირდაპირი სწავლებისათვის (მუისი და რეინოლდსი, 2005)

სურათი № 3



სურათზე გამოსახულია მერხების განლაგება, რომელიც გამოიყენება დისკუსიისათვის და არა მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის. (მუისი და რეინოლდსი, 2005)

ხელის შემშლელი გარემოებები

არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი იძულებულია, გაკვეთილის დრო დაუთმოს გაუთვალისწინებელ და დაუგეგმავ მოქმედებებს. მაგალითად, შეიძლება კლასში შემოვიდეს დირექტორი განცხადების გასაკეთებლად, ან კარი შემოალოს სხვა მასწავლებელმა/მოსწავლემ რაიმეს საკითხავად და ა. შ. სასურველია, რომ, ზოგადად, სასკოლო პოლიტიკა არეგულირებდეს ხელის შემშლელ მოქმედებებს; თუმცა ზოგ შემთხვევაში ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილება შეუძლებელია. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ასეთმა ფაქტორებმა მინიმალური გავლენა მოახდინოს გაკვეთილის მიმდინარეობაზე. წინასწარ უნდა იყოს გან-

საზღვრული მოსწავლეთა ქცევის წესები მსგავსი შემთხვევებისას (მაგალითად, უხმაუროდ ჯდომა ან მუშაობის გაგრძელება). მასწავლებელმა მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოაგვაროს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას წარმოქმნილი პრობლემები, მაგალითად, ზოგჯერ შესაძლოა, გაკვეთილზე შემოსულ უცხო პირს მოგვიანებით შემოსვლა სთხოვოს.

გაკვეთილზე ქცევის წესებისა და პროცედურების განსაზღვრა

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, იმისათვის, რომ გაკვეთილი ეფექტურად და მშვიდ გარემოში წარიმართოს, აუცილებელია ქცევის წესებისა და პროცედურების მკაფიოდ ჩამოყალიბება. **ქცევის წესები უფრო ხშირად წერილობითი ფორმით არის მოცემული და განსაზღვრავს, თუ რისი უფლება აქვს, ან არ აქვს მოსწავლეს.** მასწავლებელი უნდა შეეცადოს, ქცევის წესები თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას კლასში. არსებობს შემთხვევები, როცა ქცევის წესები ერთიანია მთელი სკოლის მასშტაბით. სასურველია, ქცევის წესები ფორმულირებული იყოს პოზიტიურად და არა ნეგატიურად. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ დავწეროთ: „**ნუ შეაწყვეტინებთ ერთმანეთს ლაპარაკს**“, უმჯობესია, მივუთითოთ „ერთმანეთს მოუსმინეთ და დააცადეთ აზრის დამთავრება“. **ხშირად ნეგატიურად ფორმულირებული წესები უბიძგებს მოსწავლეებს აკრძალული ქცევის განხორციელებისაკენ.** შესაძლებელია ასევე, მოსწავლემ პირად გამოწვევად მიიღოს წესი და შეეცადოს მის დარღვევას თანატოლებთან თავის გამოჩენის მიზნით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცდილი მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მნიშვნელოვან დროს უთმობენ მოსწავლეთათვის წესებისა და პროცედურების გაცნობა/განმარტებას. კვლევებით დადასტურდა, რომ საბოლოო

ჯამში მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილზე დროს უთმობს ამ ფორმალურ საკითხს, მეტ დროს იგებს, ვინაიდან მას აღარ უნევს გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეთათვის დისციპლინასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა (მუისი და რეინოლდსი, 2005). ქცევის წესებისა და პროცედურების შექმნისას ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი და სწავლის საფეხური. რაც უფრო დაბალია სწავლის საფეხური, მით უფრო მარტივი უნდა იყოს ქცევის წესები და პროცედურები.

ფსიქოლოგები და განათლების სფეროს ექსპერტები რამდენიმე მთავარ რჩევას გვთავაზობენ იმისათვის, რომ მასწავლებელმა უფრო ეფექტიანად შეძლოს სასწავლო პროცესში ქცევის წესებისა და პროცედურების განსაზღვრა:

- ◆ გააცანით მოსწავლეებს სასკოლო წესები და დისციპლინის პროცედურები — ზოგადად, რა ქცევებია მისაღები სკოლაში;

- ◆ ჩართეთ მოსწავლეები კლასის წესების შემუშავების პროცესში;

- ◆ შეარჩიეთ წესების ჩამონათვალი და განსაზღვრეთ რაოდენობა (კვლევის შედეგად დადგენილია, რომ შესრულებადი წესების მაქსიმალურ რაოდენობას წარმოადგენს 6 ძირითადი წესი);

- ◆ მაქსიმალურად გაამარტივეთ წესები;

- ◆ წესები უნდა იყოს კონკრეტული და სპეციფიკური;

- ◆ ყოველი წესი პოზიტიურად უნდა იყოს ფორმულირებული. წესში მოცემული უნდა იყოს ბავშვისათვის მისაღები ქცევა და არა – პრობლემური ქცევის აკრძალვა;

- ◆ თავი აარიდეთ წესების დუბლირებას;

- ◆ გააცანით კლასის წესები მშობლებს (გაგოშიძე და სხვები, 2008).

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს კარგად აუხსნას წესები და პროცედურები და ქცევაზე რეაგირებისას იყოს თანამიმდევრული. **აუცილებელია, მასწავლებელმა წესების გაცნობასთან ერთად მოსწავლეებს განუმარტოს თითოეული წესის დანიშნულება და მნიშვნელობა.** მაგალითად, როდესაც მასწავლებელი მცირე ასაკის მოსწავლეებს პასუხის ნამოძახებას დაუშლის, მან იქვე უნდა განმარტოს, თუ რა არის ამის მიზანი: სხვა ბავშვსაც უნდა მიეცეს პასუხის გაცემის საშუალება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიერ დაწესებული წესი მოსწავლეებს სიჩუმისაკენ მოუწოდებს მაშინ, როდესაც სხვა მოსწავლე პასუხობს, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კლასს განუმარტოს, თუ რატომ არის საჭირო სიჩუმის დაცვა. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი არგუმენტებსაც მოიშველიებს, მაგალითად, სიჩუმით მულავენდება პატივისცემა იმ თანაკლასელის მიმართ, რომელიც პასუხობს. ამასთან ერთად, როდესაც კლასი ჩუმად არის და უსმენს მოპასუხეს, შეიძლება რაიმე საინტერესო და ახალიც გაიგონ მისი პასუხიდან.

ასევე, როდესაც მასწავლებელი ცდილობს ლაბორატორიული ხელსაწყოების ინსტრუქციის მიხედვით გამოყენების აუცილებლობა აუხსნას მოსწავლეებს, საჭიროა, განმარტოს, რომ ამ წესის მთავარი მიზანი მხოლოდ ხელსაწყოების გაფრთხილება კი არ არის (წესების დარღვევით ის შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს), არამედ მოსწავლეების უსაფრთხოება.

წესებისა და პროცედურების განმარტების გარდა, უმნიშვნელოვანესია ამ წესების სისტემატურად დაცვა და შესრულებაც. თუ წესების დაცვას მასწავლებელთა მხრიდან სისტემატური ხასიათი არ მიეცა, წესებს ყურადღებას აღარავინ მიაქცევს. თუ მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ კლასში აიკრძალოს ნამოძახებით პასუხი, ამგვარი შემთხვევის დაფიქსირებისთანავე მან შენიშვნა უნდა მისცეს მოსწავლეს.

თუ მასწავლებელი ასე არ მოიქცევა, მალე უფრო მეტი მოსწავლე დაიწყებს პასუხების წამოძახებას და საბოლოოდ მასწავლებელს მკაცრი ზომების გამოყენება მოუწევს.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ქცევის წესები სისტემატურად დაიცვან და შეასრულონ, მასწავლებელმა სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას უნდა მიმართოს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წახალისოს დადებითი ქცევა შექებით. მასწავლებლის მხრიდან მოსაწონ ქცევაზე გაკეთებული პოზიტიური კომენტარი სხვა მოსწავლეებსაც უბიძგებს მსგავსი ქცევის განხორციელებისკენ შექების მოლოდინით. ასევე აუცილებელია, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირების ფორმები. წესების დარღვევის გამო მოსწავლეთა დასჯისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები. **წესების დარღვევაზე მასწავლებლის რეაგირება მოსწავლეების მიერ უნდა აღიქმებოდეს, როგორც დამსჯელი მექანიზმი, მაგრამ სამართლიანი და ადეკვატური** (გაგოშიძე და სხვები, 2008).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს ქცევის წესების შესრულებაზე და დარღვევაზე მასწავლებლის რეაგირების სხვადასხვა ფორმას, რომელიც მნიშვნელობის ხარისხით (მცირე, საშუალო, ძლიერი) განსხვავდება ერთმანეთისაგან:

მნიშვნელობის ხარისხი	ჯილდო	სასჯელი
მცირე	<ul style="list-style-type: none"> - ღიმილი; - კომპლიმენტი, შექება; - დადებითი რეპლიკა. 	<ul style="list-style-type: none"> - თვალთ კონტაქტი; - მოსწავლის სხვა ადგილზე გადასმა; - კლასში განცალკევებით დასმა.

<p>საშუალო</p>	<ul style="list-style-type: none"> - მოსწავლის ნამუშევრის საჯარო გამოფენა; - მშობლებისათვის პოზიტიური კომენტარის თქმა; - განსაკუთრებული პრივილეგიები (მაგალითად, ტექსტის კითხვის პირველად დანყება) 	<ul style="list-style-type: none"> - გაკვეთილების შემდეგ დატოვება; - პრივილეგიების ჩამორთმევა; - მშობლებთან დარეკვა; - წესების შეხსენება; - მკაცრი გაფრთხილება;
<p>ძლიერი</p>	<ul style="list-style-type: none"> - განსაკუთრებული როლის მინიჭება (მაგალითად, მოსწავლეს ეკისრება მასწავლებლის ფუნქცია); - პრიზის გადაცემა. 	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დირექტორთან დაბარება; - სასკოლო აქტივობებს (მაგალითად, ღონისძიებებს) ჩამოშორება; - გაკიცხვა.

გაკვეთილის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა

კლასის ეფექტური მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გაკვეთილის ერთი ნაწილიდან მეორეზე უხმაუროდ და უპრობლემოდ გადასვლაა. ეს პროცესი განსაკუთრებით რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეები საკლასო ოთახის ერთი ნაწილიდან მეორეში გადაინაცვლებენ (მაგალითად, ფანქრებისა და სხვა დამხმარე საგნების აღება კარადიდან). კლასის არაეფექტური მართვის შემთხვევაში,

შესაძლოა, ასეთ გადაადგილებაზე გაკვეთილის მნიშვნელოვანი დრო დაიხარჯოს.

გაკვეთილის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა უნდა მოხდეს, რაც შეიძლება, სწრაფად და უხმაუროდ. ხშირად გამოცდილი მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ პროცედურებს, რომლებიც ითვალისწინებს კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად: რამდენ მოსწავლეს შეუძლია ერთდროულად კლასში მოძრაობა ან რომელ მოსწავლეს ევალება მაგიდაზე დარჩენილი ფურცლებისა და ფანქრების ალაგება (კარგი იქნება, თუ ეს მოვალეობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოსწავლეს დაეკისრება). გაკვეთილის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის პროცესი მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს. მეტი თვალსაჩინოებისათვის, შესაძლებელია ყოველივე ამის ფორმატზე ჩამონერა და კედელზე გაკვრა.

საერთო საკლასო მუშაობიდან, როდესაც მოსწავლეები მასწავლებლის გარშემო სხედან, ინდივიდუალურ მუშაობაზე გადასვლა მასწავლებელმა შეიძლება რამდენიმე ეტაპად განახორციელოს, მაგალითად:

1. მოსწავლეები თანამიმდევრობით მიუსხდებიან მაგიდებს: ჯერ პირველ მაგიდას, შემდეგ მეორეს და ა. შ.
2. მოსწავლეები მოიმარჯვებენ კალმებსა და რვეულებს.
3. ფურცლის ზედა მხარეს აწერენ საკუთარ სახელს, გვარს და თარიღს.
4. იწყებენ მუშაობას.

გაკვეთილის ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის მართვისას ეფექტურია მოსწავლეთა წინასწარი გაფრთხილება. მასწავლებელი წინასწარ ამცნობს კლასს, რომ მალე გაკვეთილის შემდეგ ნაწილზე უნდა გადავიდნენ და მუშაობის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეებს ამის შესახებ. ასეთი შეტყობინება გაკვეთილის დასრულებამდე ერთი წუთით ადრეც უნდა გაიმეოროს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს სამუშაოს დროულად

დასრულებაში და ისინი სხვა საქმისათვის განკუთვნილ დროს აღარ დაუთმობენ წინა სამუშაოს.

საუბარი მოსწავლეთა შორის

მოსწავლეთა შორის საუბარი გაკვეთილის პროცესის ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. მოსწავლეები, რომლებიც საუბრობენ, არც თვითონ ასრულებენ სამუშაოს და სხვა მოსწავლეებსაც აცდენენ. ამგვარი ჩვევის აღკვეთისაკენ გამუდმებული მონოდება ანელებს გაკვეთილის მიმდინარეობის ტემპს და არასასურველ გარემოს ქმნის საკლასო ოთახში. **მასწავლებელმა ნათლად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, თუ რა შემთხვევებშია ნებადართული საუბარი, მაგალითად, მცირე ჯგუფებში მუშაობისას ხმადაბლა საუბარი დასაშვებია.**

გაკვეთილის ტემპის შენარჩუნება

გაკვეთილის ტემპის შეფერხება მნიშვნელოვნად ამცირებს გაკვეთილის ეფექტიანობას. მკვლევარმა კუნიმმა (1970) აღწერა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი თავად აფერხებს გაკვეთილის მიმდინარეობას:

- ◆ **გაკვეთილის შეწყვეტა:** მასწავლებელი იწყებს კონკრეტულ აქტივობას და შემდეგ წყვეტს მას, ანუ საქმე „ჭაერში გამოკიდებული“ რჩება. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს ინდივიდუალურად მუშაობისათვის და შემდეგ ახსენდება, რომ რაღაც აქვს ასახსნელი.

- ◆ **გადახტომა-გადმოხტომა:** მასწავლებელი იწყებს გარკვეულ სამუშაოს და მის დასრულებამდე გადადის სხვა საქმეზე, რომელსაც ასრულებს და შემდეგ უბრუნდება პირველ სამუშაოს. საქმიანობის შუა გზაში შეწყვეტამ და ერთი თემიდან მეორეზე გადახტომა-გადმოხტომამ, შესაძლოა, ზო-

გიერთ მოსწავლეში დაბნეულობა გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს უდისციპლინო ქცევას.

◆ **გადამეტება:** გადამეტებაა, როდესაც მოსწავლეებმა გაიგეს და გაიაზრეს ინსტრუქციები, ხოლო მასწავლებელი მაინც აგრძელებს ახსნას. ეს გამოიწვევს მოსწავლეებში მოწყენილობას და მოუსვენრობას. შესაბამისად, გაიზრდება უდისციპლინო ქცევების ალბათობაც.

მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ თავად არასოდეს გახდეს გაკვეთილის ტემპის შენელების მიზეზი და მაქსიმალურად შეეცადოს ასეთ სიტუაციებში ეფექტური გამოსავალი მოძებნოს, რათა მოსწავლეებმა სწავლის ხალისი და ენთუზიაზმი არ დაკარგონ.

თავისუფალი დრო

მოსწავლეს შეიძლება, თავისუფალი დრო დარჩეს, თუ, მაგალითად, ადრე დაასრულა სამუშაო, ან მასწავლებელმა ნაადრევად დაასრულა გაკვეთილის ახსნა და ახალ მასალაზე გადასვლას აზრი არ აქვს, ან მოსწავლეები ელოდებიან დარიგებული მასალის მიღებას, კომპიუტერული პროგრამის ჩატვითვას და სხვ. **წინასწარ განსაზღვრული პროცედურების არარსებობის შემთხვევაში ასეთი ვითარება შეიძლება მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის გამომწვევი გახდეს.** კარგია, როცა მასწავლებელს წინასწარ აქვს განსაზღვრული ასეთი შემთხვევები და ამბობს, მაგალითად: „თუ ადრე დაასრულებთ მუშაობას, შეგიძლიათ, წიგნი წაიკითხოთ“, ან „მუშაობის დასრულების შემთხვევაში მოდით ჩემს მაგიდასთან პასუხების ფურცლების ასაღებად“.

საერთოდ, უმჯობესია, თავისუფალი დროით გამოწვეული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, მასწავლებელმა მოიმიარაგოს დამატებითი სამუშაო მასალა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც დროზე ადრე დაასრულებენ მუშაობას.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ყველა საჭირო მასალა გაკვეთილის დაწყებამდე უკვე კლასში იყოს.

გაკვეთილის დასრულება

კლასის მართვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, შესაძლოა, გაკვეთილის დასრულების დროსაც იჩინოს თავი. ერთ-ერთი სავარაუდო პრობლემაა, როდესაც მოსწავლეებს არ რჩებათ საკმარისი დრო სამუშაოს დასასრულებლად, ან ზარის დარეკვის მიუხედავად, მასწავლებელი აგრძელებს გაკვეთილს. ამის გამო, მოსწავლეები საშინაო დავალებასთან დაკავშირებით ვერ იღებენ შესაბამის მითითებებს, რადგან იწყებენ ნივთების ალაგებას და მიიჩქარიან სასადილოში ან ეზოში სათამაშოდ. **გაკვეთილის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია გაკვეთილის ტემპის სწორად განსაზღვრა, აგრეთვე, საშინაო დავალების მისაცემად გაკვეთილის ბოლოს საჭირო დროის დატოვება.** გამოცდილი მასწავლებელი თავიდან იცილებს შესაძლო აურზაურს საკლასო ოთახში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილის დასრულებამდე დარჩენილი დროის შესახებ აცნობოს.

შეჯამება:

- ✓ კლასის მართვისას უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებელმა სასწავლო წლის დაწყების პირველივე დღეებში მოიპოვოს კლასის ნდობა და პატივისცემა.
- ✓ კლასთან ურთიერთობის პირველივე დღეები სასურველია კლასის ორგანიზების, ქცევის წესებისა და პროცედურების გაცნობას დაეთმოს. მოსწავლის ქცევებზე უკუკავშირის მიგება ადრეულ ეტაპზევე ძალიან მნიშვნელოვანია.
- ✓ დისციპლინის დარღვევის ყველაზე დიდი ალბათობა გაკვეთილის დაწყებისა და დასრულებისას, აგრეთვე, თავისუფალ დროსა და გაკვეთილის ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას არსებობს.
- ✓ დასჯა არის უდისციპლინო ქცევაზე მასწავლებლის რეაქცია, ხოლო დისციპლინის დამყარება გულისხმობს, როგორც უდისციპლინო ქცევაზე ადეკვატურ რეაქციას, ასევე ამგვარი ქცევების თავიდან აცილებას.
- ✓ მოსწავლეთა კლასში განთავსებისას, საჭიროა მასწავლებელმა სწავლების მეთოდი გაითვალისწინოს. მოსწავლეთა მერხებთან განთავსება გაკვეთილის ფორმატსა და მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.
- ✓ წესებისა და პროცედურების რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს. აუცილებელია, რომ ისინი ყოველთვის სრულდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეებს გაუჩნდებათ წესების დარღვევის სურვილი.
- ✓ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მასწავლებელმა აუხსნას, თუ რა მიზანს ემსახურება ქცევის კონკრეტული წესი. სასურველია, თუ წესების შექმნაში მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

- ✓ წესებისა და პროცედურების განმარტების გარდა, უმნიშვნელოვანესია ამ წესების სისტემატურად დაცვა და შესრულებაც.
- ✓ ქცევის წესების დარღვევაზე მასწავლებლის რეაგირება მოსწავლეების მიერ უნდა აღიქმებოდეს, როგორც დამსჯელი მექანიზმი, მაგრამ სამართლიანი და ადეკვატური.
- ✓ გაკვეთილის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, გაკვეთილის ტემპის სწორად განსაზღვრა, აგრეთვე, საშინაო დავალების მისაცემად გაკვეთილის ბოლოს საჭირო დროის დატოვება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერ თობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაგოშიძე, თ., ჭინჭარაული, თ., ფილაური, ქ., & ბაგრატიონი, მ. (2008). *ინკლუზიური განათლების პრინციპები*. გამომცემლობა „ნეკერი“
- Kounin, J. (1970). *Discipline and Groups Management in the Classroom*. New York: Holt, Rinehart & Winstone
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies: From Theory to Practice*. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Editon. Sage Publications

დამატებითი რესურსები:

1. კლასის მართვის პრაქტიკული რჩევები მასწავლებლისათვის:
<http://www.theteachersguide.com/ClassManagement.htm>
2. კლასის მართვა და მასწავლებელთა პროფესიული მომზადება:
<http://www.tqsource.org/topics/effectiveClassroomManagement.pdf>
3. ქცევის წესების შემუშავება და სწავლების სხვა სტრატეგიები მასწავლებლებისათვის:
<http://www.plsweb.com/Products-Resources/Newsletter/Newsletter-Archives>

XVI თავი

მოსწავლის უდისციპლინო ქცევის მართვა

ძირითადი საკითხები:

- ◆ მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის გამომწვევი მიზეზები;
- ◆ უდისციპლინო ქცევის თავიდან აცილება;
- ◆ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება;
- ◆ სკოლაში ქცევის ერთიანი წესები;
- ◆ დისციპლინისადმი დამოკიდებულება;
- ◆ ჯილდოსა და სასჯელის გამოყენება.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

ეფექტიანი სწავლების სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს გაკვეთილის სასურველი ფორმით წარმართვასა და უდისციპლინო ქცევის თავიდან აცილებას. წარმატებულ მასწავლებელს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ სასწავლო მასალის გადაცემა, მოსწავლეებთან კომუნიკაცია და მათი მოტივირება, არამედ კლასში დისციპლინის დამყარება და შენარჩუნება. თუმცა, ნებისმიერი მასწავლებელი დაადასტურებს, რომ დისციპლინის დარღვევის შემთხვევების გარეშე სასწავლო პროცესის წარმართვა, კლასის საუკეთესოდ მართვის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია. შესაბამისად, მოსწავლეთა უდისციპლინობის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის გამომწვევი მიზეზები

დისციპლინის დარღვევის მიზეზი, შესაძლოა, მრავალი ფაქტორი გახდეს. ეს შეიძლება იყოს, როგორც კლასის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეზე. **მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის გამომწვევი მიზეზები ხშირ შემთხვევაში ადვილად შესამჩნევი არ არის, ამიტომ უდისციპლინო ქცევას რომ გაუმკლავდეს მასწავლებელი, ამისთვის საჭიროა, ის უფრო ღრმა მიზეზებით დაინტერესდეს, რომლებიც ამგვარ ქცევას იწვევს.** კლასში უდისციპლინობას, შესაძლოა, სახლში არსებულმა ვითარებამაც შეუწყოს ხელი, მაგალითად, მშობლების განქორწინებამ, ან თუნდაც მშობლების მხრიდან ყურადღებისა და სითბოს ნაკლებობამ. ამგვარ შემთხვევებში სკოლამ უნდა უზრუნველყოს თბილი და მეგობრული გარემოს შექმნა. **უდისციპლინობის მიზეზი შეიძლება გახდეს სკოლასა და ოჯახში დამკვიდრებულ ღირებულებათა შორის განსხვავება.** შესაძლოა, ზოგიერთი მშობელი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდეს იმას, თუ როგორ სწავლობს ბავშვი სკოლაში, ან ზოგადად უარყოფითად იყოს სკოლის თუ რომელიმე მასწავლებლის მიმართ განწყობილი, რაც ბავშვზეც აისახება. ასეთ დროს მნიშვნელოვანია მშობლებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

გარკვეულ ასაკში მოსწავლეები განსხვავებული აზრის გამოხატვით ცდილობენ გარშემომყოფთა ყურადღების მიქცევას. თუ მოსწავლეები გაკვეთილს უმნიშვნელოდ და უინტერესოდ მიიჩნევენ, ისინი, ჩვეულებრივ, არ ერიდებიან დისციპლინის დარღვევას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხშირად დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება მასწავლებელს, რომელიც ზომაზე მეტად მკაცრი ან ძალიან დამთმობია.

ცნობილია, რომ მოსწავლეთა ყოფაქცევასა და მათ აკადემიურ მოსწრებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ხშირად დაბალი მოსწრება სკოლაზე გულის აცრუებას იწვევს და მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის მიზეზი ხდება. დისციპლინის დარღვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, მასწავლებელმა მუშაობა წარმართოს ისეთი სასწავლო პროგრამით, რომელსაც მოსწავლეები თავს გაართმევენ და წარმატების განცდა დაეუფლებათ.

უდისციპლინო ქცევის თავიდან აცილება

მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიითა და სწავლების მეთოდებით მუდმივად უნდა ცდილობდეს კლასში ისეთი პოზიტიური გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს დისციპლინის დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას, თუმცა ამის მიღწევა საკმაოდ რთულია. **ჩვეულებრივ, უდისციპლინო ქცევის თავიდან აცილება საუკეთესოდ დაგეგმილ გაკვეთილებზეც არ არის ადვილი.** მიუხედავად ამისა, არსებობს მოსწავლეთა მოტივირების მრავალი გზა, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

ბევრი ახალბედა მასწავლებელი მიიჩნევს, რომ თავდაპირველად აუცილებელია კლასში დისციპლინის დამყარება და მხოლოდ შემდეგ არის საჭირო სწავლებისა და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, თუმცა, არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც.

ხშირად უდისციპლინო ქცევას სწავლების უინტერესო პროცესი და ისეთი სასწავლო პროგრამა იწვევს, რომელიც მოსწავლეს სწავლის მიმართ ინტერესს უკარგავს და მის შესაძლებლობებს არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, სწავლებისა და სწავლის პროცესის ადეკვატურობაზე ყურადღების გამახვილება შესაძლებელია, ეფექტური

საშუალება აღმოჩნდეს მოსწავლეთა დისციპლინის პრობლემების მოსაგვარებლად.

ეფექტური სასწავლო პროგრამა თავისთავად დაკავშირებულია სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებასთან. ისეთი სასწავლო გეგმა, რომელიც არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლოა, მოსწავლეების სწავლის მიმართ ინდიფერენტულობისა და უდისციპლინო ქცევის გამომწვევი ფაქტორი გახდეს.

დისციპლინის დარღვევის თავიდან ასაცილებლად სასურველია, სასწავლო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რთული ან ნაკლებად პოპულარული საგნების სასწავლო გეგმიდან ამოღებას. სასწავლო გეგმის ძალიან გამარტივებამ, შესაძლოა ხელი შეუშალოს მოსწავლეთა მომავალ წარმატებებს. ასე მაგალითად: საქართველოში 2003 წელს ჩატარებული ეროვნული შეფასების შედეგებით გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს ყურადღების კონცენტრირება უძნელდებოდათ რთული გრამატიკული მასალის ათვისების გამო: მეორე-მესამე კლასების სახელმძღვანელოებში ისწავლებოდა მორფოლოგიისა და იმავდროულად, სინტაქსის საკითხებიც. არსებითი სახელისა და ქვემდებარის, ზმნისა და შემასმენლის ერთდროულად გააზრება დაუძლეველი ამოცანა იყო მოსწავლეთა დიდი ნაწილისათვის. კვლევის ანალიზის შემდეგ შეიქმნა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასწავლო გეგმაში მოხდა. შესაბამისად, სასწავლო გეგმით გრამატიკის სწავლების გეზი შეიცვალა და გამარტივდა, თუმცა ცვლილება არ შეხებია ზოგადად გრამატიკის სწავლების აუცილებლობას, გამოიკვეთა მოთხოვნა: გრამატიკის კურსი მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს უნდა დაექვემდებაროს.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება

იმის თქმა, რომ სასწავლო გეგმა და სწავლების მეთოდები უნდა შევუსაბამოთ მოსწავლეთა ინტერესებს, მარტივია, მაგრამ ამ მიდგომის პრაქტიკაში განხორციელება არც ისე ადვილია. ამ მხრივ, ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სკოლის მართვასა თუ სხვადასხვა სასკოლო საქმიანობაში. **კვლევების შედეგად გამოვლინდა: რაც უფრო მეტად მონაწილეობენ მოსწავლეები სკოლის მართვის პროცესებში და რაც უფრო აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში, მით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ სასწავლო პროცესების მიმართ** (რადაკი & ფლატერი, 2003). სკოლის მართვაში მოსწავლეთა ჩართვის ერთ-ერთი ვარიანტი, შესაძლოა, იყოს, მაგალითად, მოსწავლეთა გაერთიანება, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა და დისციპლინასთან, სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. სასწავლო პროცესებში მოსწავლეთა არასაკმარისმა მონაწილეობამ შესაძლებელია, ბავშვების უკმაყოფილება გამოიწვიოს, რადგან სკოლაში არსებული შეზღუდვების მიმართ, სავარაუდოდ, კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდეს. სკოლის მართვის პროცესებში მონაწილეობის შედეგად მოსწავლე სკოლის სრულფასოვან წევრად მიიჩნევა თავს, შესაბამისად, უმჯობესდება მოსწავლეთა დისციპლინა, დამოკიდებულება სკოლისა და სწავლის მიმართ და იკლებს გაცდენების შემთხვევები.

მაღალ კლასებში მოსწავლეები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ **ღირსების** გრძნობას. ამ თვალსაზრისით, ისინი განსაკუთრებული მგრძობელობით გამოირჩევიან და ხშირად ჰგონიათ, რომ მათ პატივს არ სცემენ, თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ და სკოლის მიმართ სიძულვილი უჩნდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებული მგრძობელობა საზოგა-

დოდ ცნობილია, ხშირ შემთხვევაში სკოლა მაინც ვერ იჩენს ბავშვების მიმართ საკმარის ყურადღებას და გულისხმიერებას.

სკოლაში ქცევის ერთიანი წესები

მრავალი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ეფექტური სასკოლო გარემოს შესაქმნელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში ქცევის ერთიანი წესების შემუშავებას (რეინოლდსი, 1992). მასწავლებლების მიერ ინდივიდუალურად შემუშავებულ წესებთან შედარებით, უფრო ქმედითია სკოლის ერთიანი წესები, რადგან მოსწავლემ იცის, რომ არსებობს ყველა გაკვეთილისათვის საერთო წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია. მოსწავლეებმა კარგად რომ აითვისონ ეს წესები, შესაძლებელია მათი თვალსაჩინოდ წარმოჩენა საკლასო ოთახებსა და სკოლის კედლებზე. **სასურველია, ქცევის წესების ჩამოყალიბებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა, რაც ბავშვებში თანამონაწილეობის სურვილსა და პასუხისმგებლობის გრძნობას გააღვივებს.** სასურველია, თავი ავარიდოთ წესების ვრცელ სიას. ეს მოსწავლეებში დაბნეულობას გამოიწვევს. გაცილებით ეფექტური იქნება რამდენიმე მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესი. მაგალითად:

- ◆ მოუსმინეთ და პატივი ეცით სხვა მოსწავლეებს;
- ◆ სკოლაში ისაუბრეთ დაბალ ხმაზე;
- ◆ არ ირბინოთ დერეფნებში;
- ◆ ყოველთვის ეცადეთ, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნოთ.

დისციპლინისადმი დამოკიდებულება

მოსწავლეთა უდისციპლინობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ მასწავლებლის პირველადი რეაქცია და დამოკიდებულება. სასურველია, მასწავლებელმა უდისციპლინო ქცევა დროულად შენიშნოს და აღვკვეთოს, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად მოსწავლეს გაკვეთილის შემდეგ გაესაუბროს.

უდისციპლინო ქცევის შემჩნევის შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებლის რეაქცია არ იყოს გადაჭარბებული. თუ მოსწავლე ცდილობს თანაკლასელის ყურადღების მიპყრობას და, ამასთან, არ არის ჩართული გაკვეთილის პროცესში, პედაგოგმა, რაც შეიძლება სწრაფად, ზედმეტი აურზაურის გარეშე უნდა განმუხტოს ვითარება. **სასწავლო აქტივობები ნაკლებად ეფექტური იქნება, თუ უდისციპლინობის აღმოსაფხვრელი მოქმედება უფრო მეტ ზიანს მიაყენებს გაკვეთილის მსვლელობას, ვიდრე თავად უდისციპლინო ქცევა.** აქ არსებითია მასწავლებლის უნარი, უდისციპლინო მოქმედება დაწყებისთანავე, ზედმეტი ხმაურის გარეშე შეაჩეროს.

პედაგოგიურ პრაქტიკაში წარმატების მისაღწევად ძალიან მნიშვნელოვანია დისციპლინის დარღვევის დროულად შემჩნევის უნარი. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ეს უნარი გამოცდილებასთან ერთად ვითარდება. პრაქტიკული საქმიანობის დასაწყისში საკმაოდ რთულია დისციპლინის პრობლემის სწრაფად შემჩნევა, სანამ ის მნიშვნელოვან აურზაურში გადაიზრდება. „დამნაშავეს“ სწორად შემჩნევა გამორიცხავს უდანაშაულო მოსწავლის უმიზეზოდ დასჯას, რაც, შესაძლოა, ამ უკანასკნელის სწავლის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი გახდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში უმჯობესია, თუ მასწავლებელი არ მიაქცევს ყურადღებას მცირე უდისციპლინობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეებმა, შესაძლოა, იფიქრონ, რომ მასწავლებელი ზედმეტად ავტორიტარულია. მნიშვნელოვანია,

მასწავლებელმა მკაფიოდ განსაზღვროს ისეთი უდისციპლინო ქცევა, რომლის გამოც მოსწავლეებს შენიშვნას არ მისცემს. **თუ ამგვარი მკაფიო გამოიჯვნა არ მოხდა, მოსწავლეები იფიქრებენ, რომ მასწავლებელი შემთხვევითი პრინციპით წყვეტს, თუ როდის უნდა მისცეს შენიშვნა მოსწავლეს და როდის – არა. ეს კი მოსწავლეებში უნდობლობას გამოიწვევს.**

სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს უდისციპლინო ქცევას მანამ, სანამ იგი კონტროლს ექვემდებარება. მსგავსი სიტუაციებიდან თავის დასაღწევად მასწავლებელმა შეიძლება შემდეგ მეთოდებს მიმართოს:

- ◆ მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეს, შეწყვიტოს უდისციპლინო ქცევა. მასწავლებელმა არ უნდა მოაშოროს თვალი მოსწავლეს მანამ, სანამ იგი არ შეწყვეტს არაკორექტულ ქცევას.

- ◆ მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეს კლასში დამკვიდრებული ქცევის ნორმები.

- ◆ მასწავლებელმა, შესაძლოა, მოსთხოვოს მოსწავლეს კლასში მისაღები ქცევის წესების განმარტება. თუ მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია, მასწავლებელმა უნდა აუხსნას და განუმარტოს.

- ◆ წესების დარღვევისათვის შეიძლება მასწავლებელმა, ჯარიმა დაანესოს. თუ მოსწავლემ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ განზრახ იქცევა ცუდად, მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს დასჯის მარტივი ფორმა, (მაგალითად, დატოვოს კლასში დასვენებაზე).

- ◆ ხშირად დისციპლინა ირღვევა მაშინ, როცა მოსწავლეს უწევს მოსაწყენი საქმის კეთება, რომლის შესრულებაც მას უკვე კარგად შეუძლია. სწავლების მეთოდის შეცვლამ, შესაძლოა, მოსწავლეები გაახალისოს და მათი მოტივაციაც გაზარდოს.

უდისციპლინო ქცევის აღმოსაფხვრელად მკვლევრები გვთავაზობენ ხუთ მთავარ რჩევას (არენდსი, 1998):

1. თუ უდისციპლინო ქცევა არ იწვევს აურზაურს და პრობლემებს, ნუ მიაქცევთ მას ყურადღებას.

2. უდისციპლინო ქცევა შეწყვიტეთ არაპირდაპირი გზით – მოსწავლეს, რომელიც სხვისი ყურადღების მიპყრობას ცდილობს, დაავალეთ რაიმე.

3. კარგად გაიცანით მოსწავლეები, შესაბამისად, თქვენ შეძლებთ პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას. შესაძლებელია, მოსწავლეს პრობლემა ჰქონდეს სახლში, შესაძლოა, მას სკოლაში ჩაგრავდნენ, შესაძლოა, უჭირდეს ახალი მასალის ათვისება და სხვა. ამგვარი მიზეზების ცოდნა დაეხმარება მასწავლებელს ადეკვატური გადანყვეტილების მიღებაში.

4. მიუთითეთ მოსწავლეს სწორ ქცევაზე და შეახსენეთ მას, თუ რა შედეგებს გამოიღებს მისი მხრიდან უდისციპლინო ქცევის გაგრძელება.

5. აწარმოეთ ჩანაწერები – თუ მოსწავლე ხშირად იქცევა ცუდად, მასწავლებელმა უნდა აღრიცხოს მისი ქცევები. ეს, შესაძლოა, გარკვეულ ჯილდოს დაუკავშირდეს. მაგალითად, თუ მოსწავლე გარკვეული დროის განმავლობაში არ დაარღვევს დისციპლინას, იგი დაიმსახურებს გარკვეული სახის ჯილდოს, ხოლო მოსწავლეები, რომლებიც გაფრთხილების მიუხედავად რამდენჯერმე დაარღვევენ დისციპლინას, დაისჯებიან.

იმისათვის, რომ უდისციპლინო ქცევიდან მოსწავლის ყურადღება გაკვეთილის მსვლელობაზე გადაიტანოს, მასწავლებელმა, პირველ რიგში, შეიძლება მისთვის შეკითხვის დასმა, ან მერხიდან იმ ნივთების მოცილება სცადოს, რითაც მოსწავლე ერთობა. თუ ეს შედეგს არ გამოიღებს, საჭირო გახდება უფრო მკვეთრი ზომების მიღება, მაგალითად: მოსწავლესთან ახლოს მისვლა, თვალთ კონტაქტის დამყარება, მისი სახელის დაფიქსირება (მაგალითად, „გიორგი, ჩვენი შემდეგი თემა იქნება...“), სანიმუშო მოსწავლის შექება და სხვა. თუ ესეც არ იქნება საკმარისი, მასწავლებელს დასჭირ-

დება უფრო მკაცრი ზომების მიღება, შესაძლოა, მოსწავლის დასჯაც კი.

ჯილდოსა და სასჯელის გამოყენება

საკლასო პრაქტიკა ცხადყოფს ჯილდოსა და სასჯელის მნიშვნელობას კლასის მართვის პროცესში. **ჯილდოს გამოყენება ხელს უწყობს მისაღები ქცევის განმტკიცებას, ხოლო სასჯელის გამოყენება ხელს უწყობს მიუღებელი ქცევების აღკვეთას.**

არსებობს სხვადასხვა სახის ჯილდო, რომელთა გამოყენებაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სასურველ ქცევას. მოსწავლე შეიძლება, შევაქოთ გაკვეთილის მსვლელობისას. შექებას, როგორც ჯილდოს, ალბათ, ყველაზე ხშირად იყენებენ მასწავლებლები. შექება ძალიან ეფექტურია, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გადაჭარბებულად არ ხდებოდეს მისი გამოყენება. ქება რომ ეფექტური იყოს, უნდა გავითვალისწინოთ მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

სასურველ ქცევათა მისაღწევად მასწავლებლებს შეუძლიათ გარკვეული ტიპის ჯილდოსა და ნახალისების გამოყენება. ჯილდოს, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია, მშობლებს მადლობის წერილი გაუგზავნოს, ან მოსწავლეს პრიზი გადასცეს. ძალიან ეფექტურია მოსწავლისათვის სიმბოლოების, მაგალითად, „მომღიმარი სახის“ გადაცემა, ან მისი სახელისა და გვარის, ანდა სურათის საპატიო დაფაზე გამოკვრა. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ტკბილეულითაც გაუმასპინდლდეს.

ჯილდო, შესაძლოა, ითვალისწინებდეს გარკვეული სახის სამუშაოსგან გათავისუფლებას, ან განსაკუთრებული მოვალეობების დაკისრებას (იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, დაფის განმენდით დაწყებული, ჯგუფის ხელმძღვანელის

ფუნქციის დაკისრებით დამთავრებული). ზოგჯერ დასაშვებია, მასწავლებელმა მოსწავლეს მისცეს ჯილდოს არჩევის საშუალება. ჯილდო, რომელსაც მოსწავლე აირჩევს და მიიღებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მისთვის. საყურადღებოა, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ სასურველი ჯილდო განსხვავდება მოსწავლეთა ასაკისა და სქესის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ გარეგანი წამახალისებელი საშუალებების ზომაზე მეტად გამოყენება მასწავლებლის მხრიდან მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამან, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს სწავლის შინაგან მოტივაციაზე. თუ ზოგიერთ მოსწავლეს ბუნებრივად აქვს ცოდნის მისაღებად აუცილებელი მოტივაცია, სხვათა შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს შესაბამისი **განმამტკიცებლების** ამოქმედება. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გადაწყვეტს, რა ტიპის ქცევას უნდა შეუწყოს ხელი, უნდა დაფიქრდეს, როგორი შედეგები მოჰყვება ამ მოქმედებას. მაგალითად, თემის დაწერა ითვალისწინებს წინადადებების ჩამოყალიბებას, საკუთარი აზრის გამოთქმას და ა. შ. შემდეგ მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ქცევის ხელშეწყობა სურს. მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად, სასურველი შედეგი ნათლად უნდა ესმოდეს მოსწავლესაც. მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს გაკვეთილი, რომ სასურველი შედეგები ძალზე მკაფიო იყოს მოსწავლეთათვის.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის დაჯილდოება ეფექტურია, თუ ის ბუნებრივი და დამაჯერებელია კლასისთვის; თუ ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას; როდესაც ჯილდო მოსწავლის წარმატებას აკავშირებს მონდომებასა და ნიჭთან, რომელიც მიანიშნებს, რომ მომავალშიც შესაძლებელია მსგავსი წარმატების მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯილდოს გამოყენება მოსწავლეთა ქცევის მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, ზოგიერთ კლასში საჭირო ხდება დასჯის მეთოდის

გამოყენებაც. ამ მეთოდის მიზანია, მოსწავლეებმა მომავალში თავი აარიდონ ისეთ ქცევას, რომელსაც შედეგად შეიძლება, მათი დასჯა მოჰყვეს. დასჯისას მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეს მიღებული ქულები შეუმციროს, გაკვეთილების შემდეგ ან დასვენებაზე კლასში დატოვოს, მოუხსნას პრივილეგიები, კლასიდან დაითხოვოს, შესაძლებელია, აგრეთვე, სიტყვიერი გაფრთხილების მიცემაც. **თავდაპირველად მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, თუ უდისციპლინო საქციელი არც ისე სერიოზულია.** თუმცა, რამდენიმე სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ აუცილებელია გარკვეული სასჯელის მექანიზმის გამოყენება, რათა სხვა მოსწავლეებმა არ იფიქრონ, რომ მათაც შეუძლიათ, ასევე მოიქცნენ.

მრავალი კვლევა ადასტურებს დაჯილდოების მეთოდის უპირატესობას დასჯის მეთოდთან შედარებით. დასჯის მეთოდის გამოყენებამდე საჭიროა მასწავლებელი დაფიქრდეს რისკებსა და უარყოფით შედეგებზე, რაც დასჯას შეიძლება მოჰყვეს.

◆ **დასჯის შედეგები, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია კონტექსტზე, აგრეთვე, მასწავლებელზე.** მაგალითად, თუ კონკრეტული მასწავლებელი მოსწავლეს გაკვეთილზე საუბრისთვის დასჯის, ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მოსწავლე სხვა მასწავლებლის გაკვეთილზე არ ისაუბრებს. გარდა ამისა, შესაძლოა, იმავე მოსწავლემ, იმავე მასწავლებლის გაკვეთილზე უდისციპლინობა სხვაგვარად გამოავლინოს.

◆ **მოსწავლის დასჯა არ არის სასურველი შედეგის მიღწევის აუცილებელი პირობა.** დასჯის შედეგად, შესაძლოა, მოსწავლემ აღარ გაიმეოროს კონკრეტული საქციელი, რომელსაც არასასურველი შედეგი მოჰყვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე მომავალში არასოდეს მოიქცევა ცუდად, ან დასჯა მას გამოასწორებს. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება, შეწყვიტოს გაკვეთილზე საუბარი, თუმცა, ეს იმას არ

ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ჩაერთვება გაკვეთილის პროცესში.

◆ **მოსწავლის დასჯისას, შესაძლოა, ეს ქმედება დაუკავშირდეს თავად დამსჯელს, ანუ მასწავლებელს და არა მიუღებელ ქცევას.** მასწავლებლები, რომლებიც ხშირად სჯიან მოსწავლეებს, აღნიშნავენ, რომ დასჯა მათთან უფრო ასოცირდება, ვიდრე მიუღებელ ქცევასთან.

◆ **დასჯას, რომლის მიზანიცაა არასასურველი ქმედების შეჩერება, მაგრამ მიუღებელია ქცევის ნორმების მიხედვით, იშვიათად აქვს სასურველი გრძელვადიანი შედეგი.** მოსწავლეებს, შესაძლოა, არ ესმოდეთ, თუ რომელია მისაღები ქცევა და ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებენ მომავალში მის განხორციელებას.

◆ **ზოგჯერ დასჯას შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს.** მაგალითად, მოსწავლემ გადაწყვიტოს, რომ აღარ ამოიღოს ხმა და უარი თქვას გაკვეთილის პროცესში ჩართვაზე. დასჯამ მოსწავლეში აგრესიაც შეიძლება გამოიწვიოს.

ზოგჯერ დასჯა აუცილებელია, მაგრამ ეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ და იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაუფიქრებელი რეაქცია. წახალისებისა თუ დასჯის დროს ძალიან მნიშვნელოვანია თანამიმდევრულობის პრინციპი, როგორც კონკრეტული მასწავლებლის, ასევე მთელი სკოლის შემთხვევაში. თუ მოსწავლეები შენიშნავენ, რომ წახალისებასა თუ დასჯას არ აქვს თანამიმდევრული ხასიათი, ეს მათში აგრესიას გააღრმავებს და ხელს შეუწყობს უდისციპლინობას.

შეჯამება:

- ✓ მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორი გახდეს, მაგალითად: მოსწავლეთა ფსიქოლოგიური თავისებურებები, მოსაწყენი, უინტერესო გაკვეთილები და სასწავლო პროგრამა, ძალიან მკაცრი ან ლმობიერი წესები.
- ✓ სკოლაზე მოსწავლის გულის აცრუების თავიდან აცილების ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა ჩართვა სკოლის მართვის პროცესში.
- ✓ მცირე უდისციპლინობის შემთხვევაში მასწავლებელი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი.
- ✓ ნახალისების ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმაა შექება. თუმცა ყველა სახის შექება არ არის ეფექტური.
- ✓ შექება უნდა იყოს დამაჯერებელი და ორიენტირებული მოსწავლის ძალისხმევაზე და უნარზე. შექების შედეგად მოსწავლემ უნდა იფიქროს, რომ მსგავსი წარმატების მიღწევას მომავალშიც შეძლებს.
- ✓ ზოგჯერ შეუძლებელია დასჯის თავიდან აცილება, მაგრამ საჭირო არ არის გადამეტება. კვლევებმა აჩვენა, რომ სასურველი ქმედების ხელშესაწყობად ნახალისება დასჯაზე ეფექტური საშუალებაა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერ თობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

მასწავლებელმა იცის და ითვისწინებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Arends, R. I. (1998). *Learning to Teach*. Boston, MA: McGraw-Hill
- Miller, A. (2003). *Teachers, Parents and Classroom Behavior*. A psychological Approach. Open University Press
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Editon. Sage Publications
- Porter, L. (2007). *Behavior in Schools*. Theory and Practice for Teachers. Open University Press
- Reynolds, D. (1992). School Effectiveness and School Improvement: An updated Review of the British Literature. In D. Rey-

nolds and P. Cuttance (eds) *School Effectiveness. Research, Policy and Practice*. London: Cassell

Rudduck, J. & Flutter, J. (2003). *How to Improve Your School*. London: Continuum

დამატებითი რესურსები:

1. უდისციპლინო ქცევის მართვა სკოლაში. მასალები სემინარისა და ტრენინგისათვის

<http://www.bmef.org>

2. ქცევის მართვის სტრატეგიები საკლასო ოთახში. პრაქტიკული რჩევები

<http://www.teachervision.fen.com/classroom-discipline/resource/5806.html>

XVII თავე

საკლასო გარემო

ძირითადი საკითხები:

- ◆ სასკოლო და საკლასო გარემო;
- ◆ სასურველი საკლასო გარემოს შექმნა;
- ◆ საკლასო გარემოს სამი ტიპი: კონკურენტული, თანამშრომლობითი და ინდივიდუალური;
- ◆ მასწავლებლის მოლოდინი;
- ◆ სასკოლო და საკლასო ატმოსფეროს შეფასება.

მომზადა ნუცა კობახიძემ

შესავალი

საკლასო გარემო ფართო ცნებაა და გულისხმობს კლასში არსებულ განწყობას, ზოგად ატმოსფეროს, რომლის ჩამოყალიბებაზეც გავლენას ახდენს მასწავლებლსა და მოსწავლეებს შორის არსებული ურთიერთობები, კლასში დამკვიდრებული წესები და საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო. საკლასო გარემოს განათლების სპეციალისტები და ფსიქოლოგები დიდი ხანია ინტენსიურად სწავლობენ, რადგან მიჩნეულია, რომ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. კლასში არსებული ატმოსფერო მოსწავლეთა სწავლის მიმართ განწყობებსა და დამოკიდებულებებზე მოქმედებს და სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

თბილი, მეგობრული და მშვიდი გარემო კლასში მრავალ ფაქტორს უკავშირდება, როგორებიცაა, მაგალითად: მოსწავლეთა მაღალი თვითშეფასება, მოტივაცია, კლასში

ჩართულობა, მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა და სხვ. აღსანიშნავია საკლასო ატმოსფეროს გავლენა მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობაზე. კერძოდ, ცნობილია, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი მშვიდი და საქმიანი საკლასო გარემო ამცირებს მოსწავლეთა აგრესიულობის დონეს. თერთმეტ ქვეყანაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე **მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ეფექტური მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი კლასში დადებითი ატმოსფეროს შექმნა (OECD, 1994).**

სასკოლო და საკლასო გარემო

საკლასო გარემოზე საუბრისას მნიშვნელოვანია, სასკოლო გარემოც გავითვალისწინოთ, რადგან ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ სხვა გაკვეთილებზე მოსწავლეები იშვიათად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და საკმარისად არ ეძლევათ დისკუსიის შესაძლებლობა, ერთი მასწავლებლისთვის არც თუ ისე ადვილი იქნება მათი გააქტიურება, დისკუსიაში ჩართვა და ზოგადად, სკოლაში დამკვიდრებული წესების შეცვლა. **მასწავლებელი, რომელიც თავის გაკვეთილზე ცდილობს, შეცვალოს სკოლაში დამკვიდრებული რადიკალურად განსხვავებული ატმოსფერო, როგორც წესი, წინააღმდეგობებს აწყდება და უჭირს მოსწავლეთა ჩვევების შეცვლა.**

მეგობრული და სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. შეიძლება მოსწავლეთა ნამუშევრების სკოლის შენობის სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, სასადილოში ან დერეფნებში გამოფენა.

სასკოლო გარემოს შექმნის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის

მხრიდან უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, თანატოლების მიერ ერთმანეთის დაჩაგვრის შემთხვევების აღკვეთას. ამგვარი შემთხვევების აღმოსაფხვრელად მკაცრი წესები უნდა დანესდეს. ასევე, საგულისხმო და მნიშვნელოვანია სკოლის შენობაში სისუფთავის დაცვა და ხმაურის მინიმუმამდე დაყვანა.

სასურველი საკლასო გარემოს შექმნა

ურთიერთობები საკლასო ოთახში

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ეფექტიანი სწავლება წარმოუდგენელია პოზიტიური საკლასო გარემოს გარეშე. ყურადღებიანი და მეგობრული მასწავლებელი, რომელიც არც ზედმეტად მკაცრია და არც ზედმეტად რბილი, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. როდესაც მოსწავლეებით უკმაყოფილო მასწავლებელი გადაჭარბებულად ბევრ შენიშვნას იძლევა, ბავშვები, როგორც წესი, ნაკლებად პროდუქტიულნი არიან.

მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეეძლება აზრის გამოთქმა და მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით მოეპყრობიან. მცდარმა პასუხებმა არ უნდა გამოიწვიოს მასწავლებლის უარყოფითი რეაქციები. არასწორი პასუხის შემთხვევაში მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ რომელი ნაწილი იყო სწორი მოსწავლის პასუხში.

მასწავლებლები, რომლებიც მხედველობაში იღებენ მოსწავლეების ემოციურ, სოციალურ თუ აკადემიურ საჭიროებებსა და თავისებურებებს, უკეთესად ახერხებენ მოსწავლეთა ჩართვას გაკვეთილის პროცესში. ხშირად ხდება, რომ სწორედ ის მოსწავლე, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება

დახმარება, ყველაზე იშვიათად ითხოვს მას, ხოლო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, პირიქით, ხშირად მიმართავენ მასწავლებელს დახმარებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს ყველა მოსწავლეს, შექმნას ნაკლებად კონკურენტული გარემო და გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დადებითი საკლასო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებისათვის საკუთარი სახელებით მიმართვა. თუ მასწავლებელმა არ იცის მოსწავლის სახელი, მოსწავლემ, შესაძლოა, ჩათვალოს, რომ მასწავლებელი მას სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს. შესაბამისად, მასწავლებელმა, რაც შეიძლება, ხშირად უნდა მიმართოს მოსწავლეებს სახელებით. ყველაზე რთულია სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი ახალ კლასში შედის და მოსწავლეთა სახელები არ იცის.

არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ასეთ ვითარებაში უხერხულობის დასაძლევად (მუისი და რეინოლდსი, 2005):

1. ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ მოსწავლეებმა თავიანთი სახელები უნდა წარმოთქვან (ვიდრე მასწავლებელი ყველას სახელს დაიმახსოვრებს);

2. მოსწავლეებს შეუძლიათ სახელები ქალაქის ფურცელზე დაწერონ და მერხებზე დააწყონ. შესაძლებელია მოსწავლემ ფურცელზე თავისი ჰობი ან ინტერესი მიანეროს, რაც მასწავლებელს მოსწავლეების უკეთ გაცნობაში დაეხმარება;

3. მასწავლებელს შეუძლია, თავის მაგიდაზე დადოს მოსწავლეების დასურათებული სია.

დადებითი საკლასო ატმოსფეროს შექმნის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან გამოვლენილი ხალისი და ენთუზიაზმი. თუ მასწავლებელი უხალისოდ არის განწყობილი, სავარაუდოდ, ეს განწყობა მოსწავლეებზეც გადა-

ვა. ხოლო მასწავლებელი, რომელსაც უყვარს თავისი საგანი და პროფესია, ადვილად შეძლებს მოსწავლეთა მოტივირებასაც. კვლევებმა აჩვენა დადებითი კავშირი მასწავლებლების ენთუზიაზმსა და გაკვეთილის მსვლელობაში მოსწავლეთა ჩართულობას შორის (მორტიმორი და სხვები, 1988). **შემთხვევითი არ არის, რომ მოსწავლე მის საყვარელ მასწავლებელად ყოველთვის იმ მასწავლებელს ასახელებს, რომელმაც კონკრეტული საგნის მეშვეობით მასში ინტერესი აღძრა.** ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელი ყოველდღე ერთნაირი ენთუზიაზმით გამსჭვალული ვერ იქნება. თუმცა, სასურველია, მასწავლებელმა არასოდეს არ მოახდინოს მოსწავლეთა დემოტივირება, თუნდაც ამგვარი გამონათქვამით: „ვიცი, რომ ეს საკითხი მოსაწყენია, მაგრამ მაინც მოგვიწევს ამის სწავლა, რადგან სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული“.

ქვემოთ დამატებით ჩამოთვლილია რამდენიმე რჩევა, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება სასიამოვნო და პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნაში:

1. **მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები.** აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ ყველა მათგანი თქვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია.

2. **შეეცადეთ, საკლასო ოთახში გაკვეთილის დაწყებამდე შეხვიდეთ, ასევე ცოტა ხანს დარჩით გაკვეთილის დამთავრების შემდეგ,** რათა მოსწავლეებს მიეცეთ შეკითხვის ინდივიდუალურად დასმის შესაძლებლობა.

3. თუ სხვა გაკვეთილზე მიდიხართ, ან სხვაგან მიგეჩქარებთ, უთხარით მოსწავლეებს როდის და სად შეუძლიათ თქვენი ნახვა.

4. **თუ არ ეთანხმებით მოსწავლის შეხედულებას, ისე გამოხატეთ თქვენი აზრი, რომ მოსწავლე უხერხულობის გრძნობას აარიდოთ.** შეეცადეთ, თავიდან აიცილოთ ისეთი ფრაზები, როგორცაა მაგალითად, „ეს რა უაზრობაა“, „კიდევ მოუშადადებელი მოხვედი?“.

5. **ხშირად დაამყარეთ თვალთ კონტაქტი მოსწავლეებთან.** საკლასო ოთახში სიარულისას პოზიტიური სიტყვებით გამოხატეთ მოსწავლეების ნამუშევრების მიმართ თქვენი დამოკიდებულება, მაგალითად: „საინტერესოა“, „კარგია“, „ორიგინალურია“.

ფიზიკური გარემო

პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს მოწყობა, მაგალითად, მიმზიდველი და სასიამოვნო სურათების, პლაკატების და სხვა თვალსაჩინოებების გამოყენება. მასწავლებელს შეუძლია, სასწავლო მასალა კედელზე გააკრას, რაც სწავლების ეფექტური ფორმაა და ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან მასალის ადვილად დამახსოვრებას. საკლასო გარემოს გასაუმჯობესებლად კედელზე მოსწავლეების ნაშრომების გაკვრაცაა შესაძლებელი. შედეგად მოსწავლეებს სიამაყის გრძნობა დაეუფლებათ, რაც დადებითად იმოქმედებს სწავლის მოტივაციაზე.

საკლასო ატმოსფეროს შექმნაში მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მცირე დეტალებსაც კი, როგორცაა, მაგალითად: მერხების განლაგება, დაფის, წიგნების თაროსა და სხვა ნივთების მდებარეობა. **მასწავლებელმა ისეთი საკლასო გარემო უნდა შექმნას, სადაც მოსწავლეები კომფორტულად იგრძნობენ თავს და გაუჩნდებათ მასწავლებლის, საკუთარი თავისა და თანატოლების პატივისცემის განცდა.**

სკოლაში სისუფთავისა და სანიტარული ნორმების დაცვა პოზიტიური გარემოს აუცილებელი კომპონენტია. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასადილოსა და დერეფნებში ზომავზე მეტი ხმაური უარყოფით გავლენას ახდენს სასკოლო ატმოსფეროზე. **ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კლასში მოსწავლეთა რაოდენობამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს საკლასო ატმოსფეროზე** (ჰერმანი და სხვები, 2002). ხშირად შედარებით

მცირერიცხოვან კლასებში უფრო თბილი და მყუდრო ატმოსფერო იქმნება, ვიდრე გადაჭედილ კლასებში.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო და საკლასო გარემოს გაუმჯობესებაში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ეს გამოიწვევს სასკოლო პროცესებში მათ ჩართულობას და საკუთრების განცდას, რაც, თავის მხრივ, გარემოსა და მოსწავლეთა განწყობებს გააუმჯობესებს. მოსწავლეებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების მინიჭება, აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს სასკოლო და საკლასო გარემოს მიმართ მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას.

საკლასო გარემოს სამი ტიპი

მკვლევრები განასხვავებენ საკლასო გარემოს სამ ძირითად ტიპს, რომელთა შერჩევაც მასწავლებელს გაკვეთილის მიხედვით შეუძლია (ბორიხი, 1996). ეს ტიპებია: **კონკურენტული, თანამშრომლობითი და ინდივიდუალური.**

კონკურენტული საკლასო გარემო

კონკურენტული ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სწორი პასუხის გაცემაში. მასწავლებელი განსაზღვრავს პასუხის მართებულობას, ხსნის გაკვეთილს და უძღვება მას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები რიგრიგობით პასუხობენ კითხვებს და სწორი პასუხის გაცემას ცდილობენ.

კონკურენტული გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, რაც შეიძლება, დადებითად აისახოს მათ აკადემიურ მიღწევებზე. გაკვეთილებზე კონკურენტული გარემოს შექმნა მასწავლებლისგან შესაბამის მართვას მოითხოვს. კონკურენტული გარემოს უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს შედარებით დაბალი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეების თვითშეფასების კლება. ამან შეიძლება,

გამოიწვიოს მათი დემოტივირება და, ზოგადად, სწავლაზე გულის აცრუება. გარდა ამისა, ეს მეთოდი ხელს ნაკლებად უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

თანამშრომლობითი საკლასო გარემო

თანამშრომლობითი ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან და მონაწილეობენ დიალოგში, რომელსაც თვალყურს ადევნებს მასწავლებელი. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გამოთქვან და განიხილონ თავიანთი მოსაზრებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას. კონკურენტულთან შედარებით, ამ ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეებს მეტი უფლებები აქვთ, რადგან მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ და განიხილონ თავიანთი აზრები. ამ პროცესში მასწავლებლის როლი დისკუსიის წარმართვა და იმის გაკონტროლებაა, რომ მოსწავლეებს შორის კამათი ჩხუბში არ გადაიზარდოს. დისკუსიის ბოლოს მასწავლებელი აჯამებს და მიმოიხილავს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ აზრებს.

თანამშრომლობითი ტიპის საკლასო გარემოს შემთხვევაში მოსწავლეები მინიშნებებით ეხმარებიან თანაკლასელს, თუ მას სწორი პასუხის გაცემა უჭირს. ინდივიდუალური მუშაობისას მოსწავლეებს შეუძლიათ, გვერდზე მჯდომ თანაკლასელთან ითანამშრომლონ, გაცვალონ იდეები, ან შეამოწმონ ერთმანეთის ნაშრომები. ამ ტიპის საკლასო გარემო ძალიან ეფექტურია ჯგუფური მუშაობისთვის. ამ დროს მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა თემის განხილვა ან პრობლემის გადასაჭრელი გზის ძიება. ამგვარი გარემოს უპირატესობა ისაა, რომ ის ავითარებს მოსწავლეთა სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. ამ მეთოდის შესაძლო უარყოფითი მხარე ის არის, რომ

შეიძლება დისკუსიის პროცესის მონოპოლიზება მოახდინონ ისეთმა მოსწავლეებმა, რომლებიც სხვებზე მეტად არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში. არსებობს აგრეთვე რისკი, რომ მოსწავლეები დაიწყებენ პასუხების წამოძახებას და ვითარების გაკონტროლება გაძნელდება.

ინდივიდუალური საკლასო გარემო

ინდივიდუალურ საკლასო გარემოში მოსწავლეებმა ინდივიდუალურად, მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა შეასრულონ სამუშაო და შეამონწონ საკუთარი თავი. მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ გარკვეული დავალება და შემდეგ უნდა შეარჩიონ ისეთი პასუხი, რომელიც, მათი აზრით, საუკეთესოა. ინდივიდუალური ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეთა ყველა ჯგუფს განსხვავებული დავალება აქვს და შედეგების გაზიარება მთელი კლასისთვის არ ხდება. ინდივიდუალური მუშაობისას მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა დაასრულონ სამუშაო. ინდივიდუალური მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია, დაანესოს ჯილდო იმ მოსწავლისათვის, რომელიც ყველაზე სწრაფად ჩამონერს სწორ პასუხებს ფურცელზე, ან რომელიც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გასცემს. ამ ტიპის საკლასო გარემოს უპირატესობას ის წარმოადგენს, რომ მოსწავლეებს ეძლევათ თავისუფლად მუშაობისა და კითხვებზე პასუხის დამოუკიდებლად მოძიების საშუალება. **ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებლად სწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას.** ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ შედარებით დაბალი მოსწავლის მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მასწავლებლის დახმარება, დამოუკიდებლად მოუწევთ სამუშაოს შესრულება. ასევე ეს მეთოდი ხელს არ უწყობს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის უნარის განვითარებას.

მასწავლებლების მოლოდინი

საკლასო გარემოს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მოლოდინებს. კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლის მოლოდინი მოსწავლეებთან მიმართებაში, როგორც წესი, მართლდება. მოსწავლე, რომლისგანაც მასწავლებელი დამაკმაყოფილებელ ნიშანსაც კი არ ელოდება, როგორც წესი, დაბალ შედეგს აჩვენებს და, პირიქით, როდესაც მასწავლებელი მოსწავლისაგან მაღალ ნიშანს ელოდება, მოსწავლე მართლაც კარგ აკადემიურ შედეგს აჩვენებს (რეინლოდსი და სხვები, 1996).

შესაძლოა, მასწავლებლებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ თავიანთი მოსწავლეების შესაძლებლობებზე და სწორედ ამიტომ ემთხვეოდეს შედეგი მოლოდინს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევები მეტწილად ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს, არსებობს სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიც. **კვლევებმა აგრეთვე აჩვენა, რომ მასწავლებლებს მოსწავლის მიმართ მოლოდინი შეიძლება, ფაქტობრივი ინფორმაციის არსებობის გარეშეც ჩამოუყალიბდეთ. როგორც წესი, ამ მოლოდინის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სქესი.** მასწავლებლებს მეტი მოლოდინი აქვთ იმ მოსწავლეების მიმართ, რომელთა მშობლებიც საშუალო ან საშუალოზე მაღალ ფენას მიეკუთვნებიან, ვიდრე იმ მოსწავლეების მიმართ, რომელთა მშობლებიც დაბალი სოციალური ფენიდან არიან (მუისი და რეინოლდსი, 2009).

მოლოდინმა, შესაძლოა, სხვადასხვანაირად იმოქმედოს თავად მოსწავლეზე. მასწავლებლები თავიანთ მოლოდინს მოსწავლეების შესახებ სიტყვიერად გამოხატავენ (სშირად მასწავლებლის მიმართვაში მრავლადაა შეფასებითი ხასიათის

განცხადებები). როგორც წესი, მასწავლებელი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს იმ მოსწავლეებს, რომელთა მიმართაც მეტი მოლოდინი აქვს. ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ მოსწავლეებს, რომელთა მიმართაც ნაკლები მოლოდინი აქვს, და უფრო ხშირად აკრიტიკებს მათ, ვიდრე აქებს. მასწავლებელი იშვიათად უსვამს მათ კითხვებს და პასუხის გასაცემადაც ნაკლებ დროს უტოვებს. შედეგად, კლასისა და მოსწავლის მიერ ხდება ამ მოლოდინის გათავისება და აღიარება.

მასწავლებლის უარყოფით მოლოდინს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში უარყოფითმა მოლოდინმა, შესაძლოა, მთელი სკოლა მოიცვას და ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, სადაც მასწავლებლები ამგვარ განცხადებებს აკეთებენ: „რას შეიძლება ველოდოთ ისეთი მოსწავლეებისაგან, როგორიც ჩვენები არიან“. ასეთ დროს მასწავლებელი ზედმეტად კრიტიკულია და შედეგად, შესაძლოა, მივიღოთ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და არაეფექტური სასწავლო გარემო.

უარყოფითი მოლოდინის თავიდან აცილების სტრატეგია

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააცნობიეროს, რომ პედაგოგს მოსწავლეების მიმართ მიუკერძოებელი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს შეიძლება წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობა ჰქონდეს ამა თუ იმ მოსწავლის მიმართ, ის მუდმივად უნდა ეცადოს, დაძლიოს სუბიექტურობა და მოძებნოს ასეთი პრობლემებისაგან გამოსავალი გზები.

- ◆ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი და მოსწავლეებმა ეს დამოკიდებულება მასწავლებლისაგან უნდა იგრძნონ;

◆ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

◆ მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ობიექტური კრიტერიუმები. ამის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია, გასწორებული ნაშრომი ხელმეორედ სხვა მასწავლებელს გაასწორებინოს;

◆ მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმას, თუ რა პრინციპით ახდენს მოსწავლეთა წახალისებას და დასჯას.

ამერიკელმა მკვლევარებმა როზენტალმა და ჯეკობსონმა (1968) საფუძვლიანად შეისწავლეს მასწავლებლის მოლოდინსა და მოსწავლის ქცევას შორის კავშირი და აღმოაჩინეს ფენომენი, რომელიც „პიგმალიონის ეფექტის“ სახელით გახდა ცნობილი. „პიგმალიონის ეფექტი“ გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ექცევა საკუთარი წარმოდგენისა და მოლოდინის შესატყვისად, რომელიც ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურია. კვლევის შედეგები მოცემულია ნიგნში *პიგმალიონი საკლასო ოთახში: მასწავლებლის მოლოდინი და მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარება* (1968).

სასკოლო და საკლასო ატმოსფეროს შეფასება

საკლასო ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში, აუცილებელია სასკოლო ატმოსფეროს შესწავლა და შემდგომ მისი შეფასება. ამისათვის არსებობს შეფასების სხვადასხვა საშუალება, რომლებიც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამონაწილეობასაც გულისხმობს. ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანია არამხოლოდ მასწავლებლებისაგან, არამედ მოსწავლეებისგანაც,

რადგან მათ, შესაძლოა, განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. მოსწავლეთა აზრის გათვალისწინებას გაკვეთილის ატმოსფეროს შესახებ ის დადებითი მხარეც აქვს, რომ ბავშვები უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ და, შესაბამისად, დადებით წვლილს შეიტანენ სასურველი სასკოლო და საკლასო გარემოს შექმნაში.

სასკოლო და საკლასო გარემოს შესასწავლად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმები. ზოგიერთი მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს პირდაპირ მეთოდებს, მაგალითად, კითხვარებსა და ინტერვიუებს, ხოლო ზოგიერთი არჩევს არაპირდაპირ მეთოდებს, მაგალითად, დასწრების აღრიცხვასა და დისციპლინის მონიტორინგს.

სასკოლო ატმოსფეროს შესწავლის თვალსაზრისით ასევე ფართოდ გამოიყენება სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სკოლის ადმინისტრაციის გამოკითხვის ფორმა, რომელსაც **სასკოლო გარემოს პროფილს** უწოდებენ (ჯონსონი, 1997). სასკოლო გარემოს პროფილში გამოყოფენ რვა ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სასკოლო ატმოსფეროს შექმნაზე, ეს ფაქტორებია:

- ◆ პატივისცემა;
- ◆ ნდობა;
- ◆ ეთიკის მაღალი სტანდარტი;
- ◆ წვლილის შეტანის შესაძლებლობა;
- ◆ უწყვეტი აკადემიური და სოციალური განვითარება;
- ◆ ერთიანობა;
- ◆ სკოლის განახლება;
- ◆ ზრუნვა.

ხშირად ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს ამატებენ ხოლმე უსაფრთხოების შენარჩუნებას, მოსწავლეთა აქტივობებს, მასწავლებელსა და სკოლის დირექტორს შორის, ასევე მასწავლებლებს შორის ურთიერთობებს.

გარდა ამისა, არსებობს შეფასების სხვადასხვა ტიპის კითხვარები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ურთიერთობაში. სასკოლო ატმოსფეროს შეფასების მეთოდი დაეხმარება სკოლის ადმინისტრაციას, დაადგინოს, თუ სად არის შეუსაბამობა არსებულ და სასურველ გარემოს შორის და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. მეთოდი ითვალისწინებს კითხვარების შექმნას მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციისათვისაც.

სკოლაში არსებული ატმოსფეროს შესასწავლად სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის განსხვავებული კითხვარები გამოიყენება. მოსწავლეებს, რომლებიც საბაზო საფეხურზე გადადიან, შესაძლებელია, შემდეგი კითხვები დავუსვათ:

- ◆ რა მოგნონთ სკოლაში?
- ◆ რა საკითხები გაღელვებთ ყველაზე მეტად საბაზო საფეხურზე გადასვლის წინ?
- ◆ რას გააკეთებთ საბაზო საფეხურზე მეტი წარმატების მისაღწევად?
- ◆ როგორია თქვენთვის იდეალური სასკოლო გარემო? აღწერეთ დეტალურად.
- ◆ რას ურჩევდით მასწავლებელს?

მოსწავლეებს კი, რომლებიც საბაზო საფეხურიდან საშუალო ანუ დამამთავრებელ საფეხურზე გადადიან, შეიძლება, დავუსვათ შემდეგი კითხვები:

- ◆ რა მოგნონთ სკოლაში?
- ◆ რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად საბაზო საფეხურზე სწავლისას?
- ◆ როგორია თქვენთვის იდეალური სასკოლო გარემო? აღწერეთ დეტალურად.
- ◆ რას შეცვლიდით სკოლაში?

◆ რას ურჩევდით მასწავლებელს?



ცხადია, კითხვარების გამოყენება პირველ-მეორე კლასებში არ იქნება მიზანშეწონილი. ამიტომ საკლასო ატმოსფეროს შესახებ ინფორმაციის მისაღებად ბავშვებს შეიძლება სურათის დახატვა ვთხოვოთ.

მნიშვნელოვანია, რომ კითხვარებიდან მიღებული შედეგები რეალურად გამოვიყენოთ სასკოლო ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად. სკოლის დონეზე ცვლილებების განხორციელების შემდეგ, შესაძლებელია, ამავე ფორმატის გამოყენება საკლასო ატმოსფეროს შესასწავლად და შესაძლო ცვლილებების საჭიროების დასადგენად.

შეჯამება:

- ✓ საკლასო გარემო ფართო ცნებაა და გულისხმობს კლასში არსებულ განწყობას, ზოგად ატმოსფეროს, რომლის ჩამოყალიბებაზეც გავლენას ახდენს მასწავლებლის მოსწავლეთა მიმართ დამოკიდებულება, კლასში დამკვიდრებული წესები და საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო.
- ✓ თბილი, მეგობრული და მშვიდი გარემო კლასში მრავალ ფაქტორს უკავშირდება, როგორებიცაა, მაგალითად, მოსწავლეთა მაღალი თვითშეფასება, მოტივაცია, სასწავლო პროცესში ჩართულობა და სხვ.
- ✓ მასწავლებელმა უნდა შექმნას გარემო, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეეძლება აზრის გამოთქმა და სადაც მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით მოეპყრობიან.
- ✓ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია.
- ✓ დადებითი საკლასო ატმოსფეროს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან გამოვლენილი ხალისი და ენთუზიაზმი. თუ მასწავლებელი უხალისოდ არის განწყობილი, სავარაუდოდ, ეს განწყობა მოსწავლეებზეც გადავა.
- ✓ მკვლევრები განასხვავებენ საკლასო გარემოს სამ ძირითად ტიპს: კონკურენტულს, თანამშრომლობითსა და ინდივიდუალურს.
- ✓ როდესაც კლასში კონკურენტული გარემოა, მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სწორი პასუხის გაცემაში.

მასწავლებელი განსაზღვრავს პასუხის მართებულობას, ხსნის გაკვეთილს და უძღვება მას.

- ✓ კთანამშრომლობითი ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეები მონაწილეობენ დიალოგში, რომელსაც თვალყურს ადევნებს მასწავლებელი. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოთქვან და განიხილონ თავიანთი მოსაზრებები, მასწავლებელი ეხმარება მათ ამ პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას.
- ✓ ინდივიდუალურ საკლასო გარემოში მოსწავლეებმა ინდივიდუალურად, მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა შეასრულონ სამუშაო და შეამოწმონ საკუთარი თავი. მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ გარკვეული დავალება და შემდეგ უნდა შეარჩიონ ისეთი პასუხი, რომელიც, მათი აზრით, საუკეთესოა.
- ✓ საკლასო გარემოს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მოლოდინს. კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლის მოლოდინი მოსწავლეებთან მიმართებაში, როგორც წესი, მართლდება.
- ✓ კვლევებმა აგრეთვე აჩვენა, რომ მასწავლებლებს მოსწავლის მიმართ მოლოდინი შეიძლება, რეალური ფაქტობრივი ინფორმაციის არსებობის გარეშეც ჩამოუყალიბდეთ. როგორც წესი, ამ მოლოდინის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სქესი.
- ✓ ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააცნობიეროს, რომ პედაგოგს მოსწავლეების მიმართ მიუკერძოებელი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს.

- ✓ საკლასო ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად, პირველ რიგში, აუცილებელია სასკოლო ატმოსფეროს შესწავლა და შემდგომ მისი შეფასება.
- ✓ სასკოლო და საკლასო ატმოსფეროს შესასწავლად არსებობს სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ურთიერთობაში.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;

მასწავლებელმა იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Borich, G. (1996). *Effective Teaching Methods* (Third Edition). New York: Macmillan

Harman, p., Egelson, P., Hood, A. & O'Connell, D. (2002). *Observing Life in Small-class Size Classrooms*. Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association New Orleans, LA, 1-5 April, 2002

- Johnson, W. L., Johnson, A. M., & Zimmerman, K., (1996). Assessing School Climate Priorities: A Texas study. *The Clearing House*, (70 (2), 64-66
- Mortimore, P., Sammons, P., Stoll, L., Lewis, D. & Ecob, R. (1998). *School Matters*. Somerset Wells: Open Books
- Moore, K. D. (2009). *Effective Instructional Strategies*. From Theory to Practice. Sage Publications
- Muijs, D., & Reynolds, D. (2005). *Effective Teaching: Evidence and Practice*. Second Editon. Sage Publications
- Organization for Economic Co-operation and Development (1994). *Teacher Quality, Synthesis of Country Studies*. Paris: OECD
- Reynolds, D., Creemers, B. P. M., Hopkins, D., Stoll, L. & Bollen, R. (1996). *Making Good Schools*. London: Routledge

სახელთა საძიებელი

ა

ადაპტაციის უნარი, 12, 175, 177

აუტიზმი, 175, 176

ალტერნატიული პერსპექტივის შემუშავება, 201

ალტერნატივების შესწავლა/შეფასება, 198-9, 203, 213

არაპირდაპირი სწავლება, 39, 40, 53

არჩევანი, 11, 171

არტიკულაცია, 10

ბ

ბლუმის ტაქსონომია, 206-8

გ

გამოცდების ეროვნული ცენტრი, 235

განმამტკიცებელი, 293

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვი, 165-7, 182-7

გაკვეთილი, 5-17, 39-48, 52, 56-7, 59, 115, 131-3, 141, 267-8, 276, 279

- სანყისი ფაზა, 15, 17

- ძიების ფაზა, 15, 17

- რეფლექსიის ფაზა, 16, 18

- განხილვისა და შეჯამების ფაზა, 16, 18

გაკვეთილის ტემპი, 45, 63, 277-9

გლასერსფელდი, 6

გონებაგახსნილი ბავშვი, 183

გონებრივი ჩამორჩენა, 176-7

დ

დაგეგმვა

- ჯგუფური დაგეგმვა, 135-7

- საგნის გეგმა, 127

- თემის გეგმა, 128-9

- დროის მართვა, 137-9

- კვირის გეგმა, 130

დავალების დიფერენცირება, 51

დაკვირვება, 14, 184, 217, 230, 242-3,

„დამაინტრიგებელი“ დასაწყისის მეთოდი, 29

დამოუკიდებელი მუშაობა, 39, 48-9, 50-1

დასწავლის უნარის დაქვეითება, 172, 181

დაჩქარებული სწავლება, 165, 186-7,

„დეკოდირების უნარი“, 173-4

დისციპლინა, 141, 149, 151, 182, 222-3, 265-6, 272,

284, 311

დისლექსია 173

დისპრაქსია 174

ე

ეფექტური სწავლების შვიდი პრინციპი, 22-5

ვ

ვარაუდების იდენტიფიცირება/ გადამონმება, 198-9

თ

თვითშეფასება, 58, 69, 96-8, 137, 168, 178, 181, 210-8, 224, 252-9, 260-1, 305
თვითპატივისცემა, 253

ი

ინტერქტიული სწავლება, 56-7, 64-8
- გამოკითხვა, 48, 56-8, 60, 68
- მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები, 58
- რთული და მარტივი კითხვები, 59
- პროცესსა და შედეგზე ორიენტირებული კითხვები, 59

კ

კალიფორნიის მიღწევების ტესტი (CAT), 235
კომუნიკაცია
- კომუნიკაციის განმარტება, 106
- ვერბალური და არავერბალური, 107, 110-20
კომბინირება, 45
კომპიუტერული თამაშები, 216
კონსტრუქტივიზმი
- გაკვეთილის ფორმატი, 5, 15
- გაკვეთილის ნიმუში, 17
კონცეპტუალური რუკა, 46-7
კრიტიკული აზროვნება, 65, 71, 150, 193-212

- ინიცირება, 200
- შეფასება, 200
- შესწავლა, 200
- ინტეგრაცია, 201

ლ

ლექციური მეთოდი, 41

მ

მასწავლებლის მოლოდინი, 209, 308-10
მეტაკოგნიცია, 11, 203-4, 212
მიდგომა
- დედუქციური მიდგომა, 44
- ინდუქციური მიდგომა, 44
მოდელირება, 9, 46, 63
მოსწავლეთა მოტივაცია
- მოტივაციის განმარტება, 85
- შინაგანი და გარეგანი, 86-9
მორცხვობა, 79, 224
მშობელი
- ავტორიტარული მშობელი, 222
- ავტორიტეტული მშობელი, 222
- დამთმობი მშობელი, 222
- გულგრილი მშობელი, 222

პ

პერკინსი, დ., 22-7, 35
„პიგმალიონის ეფექტი“, 310

რ

რეფლექსია, 10
რეიტინგული სკალა, 242-3

როლური თამაშები, 69-71

ს

„საბოლოო პროდუქტი“, 24-30
სამინაო დავალება

- პრაქტიკული დავალება, 149,
- მოსამზადებელი დავალება, 149
- მასალის გარმანევის დავალება, 150

საერთაშორისო კვლევები

- წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS), 235
- მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS), 235
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA), 235

საკლასო დისკუსია, 6, 7, 56, 64-8, 95, 221, 261, 300, 306-10

სანდობა და ვალიდობა, 240
სასკოლო გარემოს პროფილი, 311

სიმულაცია, 67, 70

სოციალიზაცია, 69, 70

სწავლის სწავლება 35

ტ

ტესტი

- დიაგნოსტიკური ტესტი, 231
- ობიექტური ტესტი, 231

- სუბიექტური ტესტი, 231

- ღია და დახურული

კითხვები, 232

- სტანდარტიზებული

ტესტები, 235

- ნორმაზე დაფუძნებული

ტესტი, 236

- კრიტერიუმზე

დაფუძნებული ტესტი, 236

- მიღწევის ტესტი, 237

- უნარების ტესტი, 237

- მასწავლებლის მიერ

შექმნილი ტესტი, 238

- „ტესტისათვის სწავლება“, 239, 240

- კომპიუტერული

ადაპტირებული ტესტი (CAT), 241

ტესტის განვითარების

ცენტრალური

ინსტიტუტის (CITO),

235

ტეხასის აკადემიური

უნარების შეფასების

ტესტი (TAAS), 235

უ

უდისციპლინო ქცევა, 248,

258, 265-78, 283-95

უკუკავშირი, 60, 71, 153, 182,

219, 260, 266

- დადებითი უკუკავშირი,

60, 92, 96

- უარყოფითი

უკუკავშირი, 256

უნარის/უნარების დეფიციტი

მოსწავლეებში, 171-2

უნარშეზღუდულობა

- თვალსაჩინო
უნარშეზღუდულობა,
172
 - არათვალსაჩინო
უნარშეზღუდულობა,
172
- უსაფრთხო გარემო, 301

- ფ**
- ფიზიკური გარემო, 170, 244,
304
- ფსიქომეტრული
მახასიათებლები, 235

- ქ**
- ქცევის წესები, 256, 258, 266,
271-4, 288, 290

- ყ**
- „ყოფითი“ სწავლა, 22, 25, 27
- ყურადღების დეფიციტი, 178,
179

- შ**
- შეფასების კრიტერიუმის
ჩამონათვალი, 91, 242-3
- შეფასების რუბრიკები, 244
- ჰოლისტური
(მთლიანობითი)
რუბრიკა, 244
 - ანალიტიკური რუბრიკა,
244
- შეფასების ალტერნატიული
ფორმები
- დავალების შესრულების
შეფასება, 245
 - მოსწავლის
პორტფოლიო, 245-7

- ც**
- ცოდნის გამოყენე-
ბა/ტრანსფერი, 24, 31-4

- ხ**
- „ხარაჩოს მეთოდი“, 9, 10, 18

- ჯ**
- ჯგუფური მუშაობა
- ჯგუფური მუშაობის და-
დებითი მხარეები, 76-7
 - ჯგუფური მუშაობის უა-
რყოფითი მხარეები, 72-82
- ჯილდო და სასჯელი, 292-4

- პ**
- პიპერაქტივობა, 178, 182


გამოცდების ეროვნული ცენტრი

კვლევის დეპარტამენტის სხვა გამოცემები

დამატებითი ინფორმაციისთვის მსურველებს შეუძლიათ დარეკონ გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე:

8 32 2 20 62 32

ან ეწვიონ ვებ-გვერდს www.naec.ge.



წიგნიერება


PIRLS –2006 საქართველოში

ანგარიშში წარმოდგენილია 2006 წელს ჩატარებული წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა 9-10 წლის მოსწავლეთა კითხვის უნარის შეფასებას. წიგნში მოცემულია როგორც საერთაშორისო კვლევაში გამოყენებული ტესტური დავალებები, ასევე რეკომენდაციები პედაგოგებისათვის კითხვის სწავლებასა და კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით.

TIMSS 2007 – მათემატიკა

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა

წიგნში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. მასში მოცემულია საერთაშორისო კვლევაში გამოყენებული ტესტური დავალებები მათემატიკაში (მეოთხე კლასი, მერვე კლასი) და მათემატიკის პედაგოგებისათვის საინტერესო ბევრი სხვა ინფორმაცია.



TIMSS 2007 – საბუნებისმეტყველო საგნები

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა

წიგნში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. მასში მოცემულია საერთაშორისო კვლევაში გამოყენებული ტესტური დავალებები საბუნებისმეტყველო საგნებში (მეოთხე კლასი, მერვე კლასი) და ამ საგნების პედაგოგებისათვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, მეცნიერება სიცოცხლის შესახებ) საინტერესო ბევრ ინფორმაციას.

სასურველია, ეს გამოცემები ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში ინახებოდეს, რათა პედაგოგებმა გაითვალისწინონ კვლევის შედეგები და გამოიყენონ მასში მოცემული რეკომენდაციები მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.



როგორ ვასწავლოთ კითხვა

ქრესტომათია დანყებითი კლასების პედაგოგებისათვის

სახელმძღვანელოში შესულია კითხვის სწავლების თეორიებისა და პრაქტიკის შესახებ შექმნილი თანამედროვე ლიტერატურის თარგმანები. წიგნში პედაგოგები იპოვიან სასარგებლო რჩევებს, პრაქტიკულ მასალებსა და თანამედროვე კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს კითხვის სწავლების ხელშესანყობად. სახელმძღვანელო დაეხმარება დანყებითი კლასების მოქმედ და მომავალ პედაგოგებს პროფესიულ განვითარებასა და სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

სწავლობთ ტექსტის გააზრებას

(კრებული I და II)

კრებულებში შეტანილია ტესტური მასალები კითხვის უნარის განსავითარებლად. ამ ტესტების საშუალებით პედაგოგს შეუძლია, შეამოწმოს და განავითაროს მოსწავლეთა წაკითხულის გააზრების უნარი; დაადგინოს, რამდენად იგებს და იაზრებს 9-11 წლის ასაკში მოსწავლე სხვადასვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას.



როგორ ვიცით მათემატიკა

კრებულებში შეტანილია ტესტური მასალები. ეს მასალა წარმოადგენს ე. წ. სტანდარტიზებულ ტესტის ნიმუშებს – მისი ყოველი დავალების სირთულე დადგენილია 2004 წელს საქართველოში ჩატარებული ეროვნული შეფასებისას. ამ ტესტების საშუალებით პედაგოგს შეუძლია, შეამოწმოს და განავითაროს მოსწავლეთა მათემატიკური უნარები.